

საქართველოს სსრ მიცნობრიგათა აკადემია




03. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და  
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

### ა. პიროვა

ვახტანგი VI-ის სახელმწიფოსას მოღვაწეობა  
(პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალურ-  
კულტურული სამიარია)

6303-2000  
ეგვიპტის უძინაში



„მიცნობრიგა“  
თბილისი

1988

- 63.32Γ 1) ვახტაგ მე-6 , 1675-1737"  
 ქ 562 2) საქართველოს ისტორია მე-17 - 182.  
 3) ტელის ისტორია

ნაშრომში განხილული და შესწავლილია ვახტანგ VI-ის სახელმწიფობრივი მოღვაწეობა ქართლის სამეფოს საერთაშორისო და შიდა პოლიტიკურ კითხებათა ფონზე, მვეყნის ეკონომიკური მდგრადი სოციალურ და კულტურულ ურთიერთობათა დასასათების ჭრილში.

ვახტანგ VI-ის სახელმწიფობრივი საქმიანობის ასეთი მრავალმხრივ მონოგრაფიული შესწავლა პირველი ცდა ქართულ ისტორიოგრაფიაში.

გარდა ცნობილი საარქივო მასალისა, გამოყენებული და გათვალისწინებულია დღემდე ორსებული საბჭოთა ისტორიისების ნაშრომები და სტატიები. აგრეთვე, უცნობი, გამოყენებული დოკუმენტური წყაროები და მიღებულია ახალი დასკვნები, რაც ახასიათებს ვახტანგ VI-ს, როგორც ფეოდალური სახელმწიფოს მოწინავე მოღვაწეს.

ნაშრომი განკუთვნილია ისტორიისებისა და მკითხველთა ფართო ჭრისათვეს.

რედაქტორი ისტ. მეცნ. დოქტ. | შ. ხ ა ნ თ ა ძ ე |


რეცენზენტები: ისტ. მეცნ. დოქტ. გ. ჭ ა მ ბ უ რ ი ი

ისტ. მეცნ. კანდ. ჭ. ს ტ ე ფ ნ ა ძ ე

K 204.988

ქ 0603020906  
 M 607(06)-88 168-88

ISBN 5-520-00168-5



„ისტორია და პატრიოტიზმი ერთმანეთისაგან  
განუყოფელია. პატრიოტიზმი ისტორიის  
საფუძველია“.

ნიკოლოზ ბერძენიშვილი

ვ ვ ს ა ვ ა ლ ი

XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოს პოლიტიკურ-კულტურულ საზოგადოებრივი ცველაზე გამოჩენილი მოწინავე სახელმწიფოებრივი მოღვაწეა ვახტანგ VI. მან ითავა არა მარტო საქართველოს პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ბედ-იღბლის საკითხის გადაჭრა, არამედ მთელი ამიერკავკასიის ხალხთა მომავალი პოლიტიკური ცხოვრების განსაზღვრაც. ვახტანგ VI თავისი საქმიანობით აღიარებული იყო სახელმწიფო მოღვაწედ, არა მარტო ახლოაღმოსავლეთის ქვეყნების მესვეურთა, არამედ რუსეთის სამპერატორო 'კარის მიერაც. ცველა ისინი ვახტანგ VI-ს, როგორც პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ მოღვაწეს, გარკვეული ხანისა და დროის მანძილზე იმდენად ჯეროვან მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რომ სრულიად შეგნებულიად ცდილობდნენ ურთიერთობა და ემყარებინათ მასთან. ეს არ იყო შემთხვევითი მოვლენა. ვახტანგ VI-ის პიროვნება და მისი საქმიანობა ამის სრულ საფუძველს იძლეოდა. მისი ეკონომიკური და სოციალური ხასიათის აქტიური პრაქტიკული ღონისძიებანი, დიდი მნიშვნელობის სამუშაოები სამართლისა და სახელმწიფო წესრიგობილების მოწესრიგების დარგში, ზუსტი მეცნიერების და კულტურის განვითარების სფეროში შეესატყვისებოდა არა მარტო საქართველოში სამისოდ უკვე მომზადებულ ნიადაგს, არამედ უთანაბრდებოდა რუსეთის იმპერიის სახელმწიფოებრივი ცხოვრების სათანადო საფეხურებს.

ვახტანგ VI-ის ინტენსიურმა კულტურულ-მეცნიერულმა მოღვაწეობამ, ისტორიული მეცნიერების აღორძინებაში მისმა წვლილმა, სასტამბო საქმიანობამ, რუსთველოლოგიური ხასიათის კვლევამ, მათემატიკურ-ასტრონომიული ტრაქტატების თარგმანებმა, მედიცინისა და ქიმიის სახელმძღვანელოთა გაფრცელება-შედგენამ, ფილოსოფიურ-დიდაქტიკურ თხზულებათა შესწავლა-დამუშავებამ მნიშვნელოვა-

ნი ადგილი დაიკავეს ქართული კულტურის საგანძურში. ვახტანგ VI-ის თაოსნობით ქართლის სამეფო ერთ-ერთ მოწინავე ქართველობის ფოდ იქცა მთელს ამიერკავკასიაში, რამაც დაგვიანახა, რომ ეროვნულმა ასაკმა და ისტორიის უმძიმესმა ქარტეხილებმა ვერ მოახერხეს გამოეფიტათ საქართველოს სულიერი სასცოცხლო ძალები. ✓

საერთაშორისო ვითარებათა გამძაფრებამ, ეკრანისა და რუსეთის იმპერიის სახელმწიფოთა დაპირისპირებამ, ლეკიანობის გაძლიერებამ, საქართველოში ფეოდალიზმის გახანგრძლივებამ, ფეოდალურ-პოლიტიკურ ერთეულთა დაქსაქსულობამ, მუდმივმა ურთიერთბრძოლამ ვახტანგ VI-ს არ მისცა საშუალება სისრულეში მოეყვანა მასზე დაკისრებული პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ვალდებულებანი. მან არაჩეულებრივად დამძიმებულ პოლიტიკურ ვითარებას თავი ვერ გაართვა. ვერ მოახერხა ამიერკავკასიის ხალხთა შეკავშირება საერთო მტრის წინააღმდეგ; ვახტანგ VI-ს ისიც არ ელირსა, რომ სული საკუთარ სამშობლოში დაელია და მის ცხედარს მშობლიურ მიწაში ეპოვა განსასვენებელი.] 1987 წელი მნიშვნელოვანი თარიღია. იგი ვახტანგ VI-ის გარდაცვალებიდან ორასორმოცდა ათ წელს მოითვლის.

წინამდებარე ნაშრომში გავითვალისწინეთ ყველა წინამორბედი ავტორის ნაკვლევი. შევეცადეთ ჩვენი შეხედულებანი შეგვეთავაზებინა მკითხველისათვის და უცნობი, გამოუშვეუნებელი მასალის საფუძველზე ზოგიერთი საკუთარი მოსაზრება დაგვემატებინა. ძირითადად, გავიძახვილეთ ყურადღება ვახტანგ VI-ის დროინდელ სახელმწიფოებრივ ღონისძიებებზე ეკონომიკის, იურისპრუდენციის, სოციალურისა და კულტურის სფეროში. ნაშრომში შევიტანეთ, აგრეთვე, აღნიშნული ეპოქის მოხელეთა რიგის დადგენის ცდაც. შევიცადეთ, გავვეშუქებინა მეურნეობის განვითარებისა და მევახშეობის ჩასახვის ცდები, რაც, თავის მხრივ, გარკვეულ ბაზას უქმნიდა ქართლის ეკონომიკის განვითარებას იმ რთულ საგარეო და საშინაო პოლიტიკურ ვითარებაში, რომელშიც ვახტანგ VI-ის დროინდელი ქართლის სამეფო იმყოფებოდა. შეძლებისდაგვარად შევაფისეთ ვახტანგ VI-ის როლი საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობაში. ჩვენ სრულიადაც არ ვთვლით, რომ დასახული მიზანი საბოლოოდ მიღწეულია, რომ ვახტანგ VI-ის მოღვაწეობა ყველა კუთხით მონოგრაფიულად შესწავლილია; ვიმედოვნებთ, მომავალი სპეციალისტები კიდევ უფრო სრულყოფილად მოგვცემენ მისი ღვაწლის დახასიათებას.

ვახტანგ VI-ის საქმიანობის შესახებ საქმაოდ ვრცელი ლიტერატურა და წყაროები არსებობს. დ. ბაქრაძემ უურნ. „მნათობში“ 1872 წ. გამოაქვეყნა წერილი სათაურით „საქართველოს მდგომარეობა შემდეგ დაყოფისა ვახტანგ VI-ე“. 1887 წ. კი გამოიცა მის. ნასიძეს



მცირეფორმატიანი წიგნი, რომელსაც ეწოდებოდა „ვახტანგ VI-ქვეყნის საკუთხეტერბურგში 1861 წ.“ გამოქვეყნდა მ. ბროსეს წერილები „Переписка грузинских царей с российскими государями“, ასევე საინტერესო მასალა გამოქვეყნდა ი. ბუტკოვმა—Материалы для истории Кавказа (III, 1, 1922; 1869). 1891 წ. სანქტეტერბურგში გამოიცა ა. ცაგარელის წიგნი „Сношение России с Кавказом в XVI—XVIII вв. ამავე საკითხს შეეხო ალ. ხახანაშვილის წერილი „Из истории сношений Грузии с Россией в XVIII в. ж. ЖАНП, 1899 г., № 5). ანალოგიურ თემაზე გამოქვეყნა წერილი ბ. რომანოვსკიმ „Вахтанг VI-ой и Петр Великий“, რომელიც „Кавказский вестник“-ის 1905 წ. № 2 დაიბეჭდა. 1919 წ. კი ივ. ჯავახიშვილი ახესიათებს ვახტანგ VI-ის საგარეო პოლიტიკის თავის წერილში „დამოკიდებულება რუსეთისა და საქართველოს შორის XVIII ს.,“ რომელიც თბილისში დაისტამბა. აღნიშნულ საკითხს ი. ცინცაძე იხილავს წერილში „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან“, რომელიც გამოქვეყნდა ისტ. ინსტ. მიმომხ. ტ. III, 1953. წ.

(თანამედროვე თვალსაზრისით იქნა შეფასებული ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის ესა თუ ის სფერო ნ. ბერძენიშვილის, ვ. დონდუას, კ. გრიგოლის, ვ. გაბაშვილის, შ. მესხიას მიერ.

ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის შესახებ ქართული კულტურის დარგში გარევეული მოსაზრებები გამოთქვეს კ. კეკელიძემ, ა. შანიძემ, გ. ლეონიძემ, ალ. ბარამიძემ, ე. მეტრეველმა, ლ. მენაბდემ, ს. ცაიშვილმა, დ. ბრეგაძემ, ბ. დარჩიამ და სხვ. მის საბუნების მეტყველო საქმიანობას შეეხო რ. ჩაგუნავას ფუნდამენტური ნაშრომები, რაც 1981—1986 წწ. გამოქვეყნდა.

ლირსშესანიშნავია გ. პაიჭაძის ნაშრომები: „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხისათვის XVIII ს. I მეოთხედში“ (თბ., 1960), „Русско-грузинские отношения в 1725-35 гг. (Тб. 1965 г.)“, „ვახტანგ VI“ თბ., და 1981 წ. „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ IV ტომში (1973 წ.) XVIII ს. I მეოთხედის ქართლის პოლიტიკური ისტორიის ავტორები არიან მ. დუმბაძე, გ. პაიჭაძე, ლ. ტუხაშვილი.

ცაგარელი VI-ის დროის საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობათა დახასიათებისათვის ი. ტაბაღუამ 1972 და 1982 წწ. გამოქვეყნა საფრანგეთის საარქივო მასალები, რასაც თავისი შესავალი ინტერპრეტაცია დაურთო.

გამოქვეყნდა, აგრეთვე, ვახტანგ VI-ის მოთავეობით შედგენილი „დასტურლამალი“ და მისი სამართლის კანონები ი. სურგულაძის, ი. ლოლიძის და თ. ენუქიძის რედაქციით. ვახტანგის ეული ქართული სტამბის ისტორია შეისწავლეს ქრ. შარაშიძემ, ვ. კურდლელაშვილმა და ე. ლორთქიფანიძემ.

ვახტანგ VI-ს საგარეო პოლიტიკის დახასიათებას უძლვეს მარცხნილ  
პაშვილმა თავისი სადისერტაციო ნაშრომი „საქართველოს საგვარეულო  
პოლიტიკური ურთიერთობანი XVIII ს. I მეოთხედში“, 1987 წ.

წინამდებარე ნაშრომში გათვალისწინებულია საქართველოს სა-  
ხელმწიფო ცენტრალურ არქივსა თუ ხელნაწერთა ინსტიტუტში და-  
ცული უცნობი მასალა.

პირველი თავი

## ვახტანგ VI-ის პოლიტიკური მოღვაწეობა

1. ირანის იმპერიასთვის ჩართლის პოლიტიკური პოლიტიკის შეცვლა

XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან მოკიდებული, ვიდრე XVIII საუკუნის პირველ მეოთხედამდე ქართლის ირგვლივ სტაბილური პოლიტიკური ვითარება დამყარდა. საქართველოში შევიდობიანი ცხოვრების პირობები შეიქმნა. ქართლი ითვლებოდა სპარსეთის „ვალის“ — (მოადგილის) ქვეყნად და ქართველი „ვალი“. შაპის ნებით უნდა დანიშნულიყო. ქართლის მზრდანებელი ირანის შაპს უნდა ხლებოდნენ, მიეღოთ მაჭადის რჯული და ამის საზღაურად სამმართველოდ მოიპოვებდნენ თავის ქვეყნას ქართველ „ვალს“ ჯამაგირი შაპისაგან ჰქონდა დანიშნული, ხოლო თვითონ თავისი ქვეყნიდან სპარსეთის სახელმწიფოს უგზავნიდა გარკვეულ გადასახადს — „საურის“ გამოსაღების სახით, რომელიც მოსახლეობაში იყრიბებოდა და სახელმწიფო გაღმასახადს წარმოადგენდა. „საურიდანვე“ ითარებოდა „ფეშქაშის“ ხარჯები. „ფეშქაში“ კი შეიცავდა „ტყვე“ ჭაბუკებს, პარამხანისათვის განკუთვნილ ქალიშვილებს, საპალნობით ლვინოს, ჯიშიან ცხენებს და გარკვეულ ძვირფასეულობას<sup>1</sup>.

**ქართველი „ვალი“** ვალდებული იყო შაპის ბრძანებისთანავე გაეყვანა ჯარი, ხოლო თბილისის ციხეში ჰყოლოდა მუდმივი სპარსული გარნიზონი, რომელიც ქართლის დედაქალაქის აღმოსავლეთ უბანში იყო განლაგებული. ქართლის მეფები სიუზერენ-გასალური ურთიერთობის საფუძველზე სპარსეთის შაპისაგან იღებდნენ საბოძვარს, რომელიც შეიცავდა 2000 თუმანს, სადღესასწაულო ტანისამოსს (ოქტომბერის თავისი კაბას, თვეებით მოჭედილ სარტყელს, სიასამურის წამოსახამს, ხმალ-ხანჯალს, „თაჯს“ — პატიოსანი თვლებით შემცულ თავსაბურავს), ოქტომბერი მოჭედილ მოსართავებით მოსილ ცხენსა და ოქტომბერის სურა-თასს.

ეს სტატუსი თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე, XVII საუკუ-

<sup>1</sup> საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს მაკეტი, 1955, გვ. 308.



მნიშვნელოვანია, რომ როგორც ვ. გაბაშვილი აღნიშნავს, „ირანის პოლიტიკური ბატონობის მიუხედავად, არსებობას განაგრძობდა ქართული ფეოდალური საზოგადოების სოციალური სტრუქტურა, აგრძარული სისტემა და სახელმწიფოებრივი წყობილება“<sup>2</sup>. ქართული სახელმწიფოს არსებობა შეპირობებული იყო იმ პოლიტიკური შეურიგებლობით და ბრძოლებით, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა არჩილისა და გიორგი XI-ის მეფობის დროს. სწორედ იმ შეუპოვარ ბრძოლებში გამოიხატა ირანოფილური პოლიტიკისადმი შეურიგებლობა და ამან გააპირობა ქართული სახელმწიფოებრივი წყობილების შენარჩუნება. მაგრამ ანგარიშგასაწევია ის ფაქტიც, რომ ქართლის მეფეთა ბრძოლისა და მშვიდობიანობის პოლიტიკა მაინც მონაცელეობდა გარეპოლიტიკური სიტუაციის შესაბამისად. ქართლის და, კერძოდ, ცახტანგ VI-ის საგარეო პოლიტიკის კურსი, რომელიც ძირითადად ირანთან კეთილდამოკიდებულებას გამოხატავდა, გარკვეული ცვალებადობით ხორციელდებოდა. XVII საუკუნის მიწურული-სათვის ქართლის მეფეები აღმოსავლელი მბრძანებლებისადმი წინააღმდეგობის გაწევას პოლიტიკურად (რამდენადაც ეს მათ შეეძლოთ) არ ერიდებოდნენ. თავდაპირველად ეს განსაკუთრებით გამოიხატა მუხრანელ ბაგრატიონთა საქმიანობაში, რომლის სულის ჩამდგმელი გიორგი XI იყო. ბაგრატიონთა წარმომადგენლები არჩილი, გიორგი XI, შემდეგ ლევან შაჰყულიხანი, ქაიხოსრო და ვახტანგ VI შეეცადნენ როსტომისგან მიღებული შეგვებისა და შერიგების საგარეო პოლიტიკური კურსი უკუვეგდოთ და შაპის დაპყრობითი პოლიტიკისათვის ბრძოლა გამოეცხადათ. მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლის სრული დამოუკიდებლობა და განთავისუფლება არ მოჰყოლია, მათ მაინც გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს, არა ერთი მძიმე შემოტევა გადაიტანეს სპარსი დამპყრობლის მხრიდან, არა ერთი მარცხი განიცადეს, დიდი მსხვერპლიც გაიღეს, მაგრამ მათი შეურიგებლობა საბოლოოდ მაინც უმზადებდა ქვეყანას სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური წინსვლის ნიადაგს, რაც აქვარა გახდა ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის ხანაში<sup>3</sup> მუხრანელ ბაგრატიონთა შეუპოვრობამ, ძლიერმა ბრძოლებმა და წინააღმდეგობებმა სპარსეთის შაპის კარი იძულა გარკვეულ დამობაზე წასულიყო და აღმოსავლელ მბრძანებელს დაანახვა, რომ მას ანგარიში უნდა გაეწია ქართველი პოლიტიკოსებისათვის. ქართველი პოლიტიკური მოღვაწენი თვითონ გახდნენ სპარსეთის სახელმწიფო სამხედრო თუ საერთო პოლიტიკის მესვეურები. თა-

<sup>2</sup> ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVIII სს. თბ., 1959, გვ. 411.



ვისი ქვეყნის ფიზიკური გადარჩენის მიზნით მათ მიაღწიეს იმას, რომ მონაცემები მონაცემების მიზნის სპარსეთის სახელმწიფოს მართვაში და გავლენაც მოიპოვეს შაპის კარზე. მათ მოახერხეს შაპის სამეფო კარზე უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური თანამდებობანი დაეკავებინათ და გარკვეული პოლიტიკური წონა დაემკვიდრებინათ ახლოაღმოსავლეთის საერთო პოლიტიკურ საქმიანობაში, რომელიც ამიერკავკასიის ხალხთა ბედ-იღბალსაც წყვეტდა. ეს მონაპოვარი ამ ეტაპზე ქართლის ბაგრატიონებმა გარკვეული საზღაურის გაღებით მიიღეს. [სპარსეთის მმართველმა არჩილსა და გიორგი XI-ს, რომელთა პოლიტიკა შემდეგ ვახტანგ VI-მ გააგრძელა, ერეკლე I-ს დაუპირისპირა, რომელიც ირანოფილური პოლიტიკის გამტარებელი უნდა ყოფილიყო ქართლში. გიორგი XI იძულებული გახდა იმერეთს გადახვეწილიყო და არჩილს დაყავშირებოდა<sup>3</sup>. იმერთა მეფე ალექსანდრე კი ერეკლე I-ს დაუკავშირდა და ქართლში გადმოვიდა. მაგრამ გამარჯვებული გიორგი XI-ის წყალობით იმერეთი არჩილს ხვდა წილად. ერეკლეც არ წავიდა წინააღმდეგი. ბატონიშვილი ვახუშტი ამ ფაქტს გამართლებას უძებნის და წერს, რომ „ერეკლეს დისტულნი არჩილის ძენი იყვნენო“<sup>4</sup>. არჩილ და გიორგი XI საქართველოს სამეფო-სამთავროთა გაერთიანებას გარდაუვლად მიიჩნევდნენ. მაგრამ ვახუშტის თქმით, ერეკლე I-ს „უმძიმდაცა ფრიად ესე ვითარი ცვლილება და სწადა, რათა აქუნდეს კახეთი თვთ და ქართლი გიორგი მეფესა, ვითარცა მემკვიდრეთა“<sup>5</sup>.

ვახუშტის ზემომოტანილი ცნობა საგულისხმოა. იგი ამ შემთხვევაში ქადაგებს შინაგან პოლიტიკურ ერთობას, რომელიც ქართლისა და კახეთის ბაგრატიონთა შორის უნდა არსებულიყო გარეშე მტრის მოგერიების საქმეში და აერიტიკებს ერეკლე I-ის საქციელს. მართლაც, მუხრანელ ბაგრატიონთა ბრძოლების არსი იმაში მდგომარეობდა, რომ გაერთიანებული საქართველო საერთო მტრის წინააღმდეგ უფრო ძლიერ ძალის შექმნიდა და მისი მოგერიებაც უფრო ადვილი იქნებოდა.

(ვახტანგ ლევანის ძე, მომავალი ვახტანგ VI, აქტიურად ჩაება ბიძის გიორგი XI-ის მომხრეთა ბრძოლებში. 16 წლის ვახტანგ ბატონიშვილმა შეკრიბა ჭარი და გიორგის დასახმარებლად გაემართა, როდესაც ქართლის ტახტის პრეტენდეტი გიორგი XI ერეკლესთან საბრძოლველად თბილისისავენ მიდიოდა. ცხადია, ვახტანგ ბატონიშვი-

<sup>3</sup> ს. ჩხეიძე, საქ. ცხოვრება, ვიშნიაძის გამოც., 1913, გვ. 5.

<sup>4</sup> ვახუშტის ბაგრატიონი, ცხოვრება და ოქმულება მეფეთა, ქართლისათა, ქართლის ცხოვრება, თბ., 1973, ტ. IV, გვ. 465.

<sup>5</sup> იქვე.

ლი არჩილისა და გიორგის პოზიციებზე იდვა და ქართლში მუჭათ მუხრანელ ბაგრატიონთა შტოს გამეფებაზე ხრუნველა. თბილისშანო თრი სამხედრო ძალა დაუპირისპირდა ერთმანეთს. ერთი მხრივ, სპარსულ გარნიზონთან გაერთიანებული ერეკლე I, მეორე მხრივ, გიორგი — არჩილის ლაშეარი, რომელსაც თავის მხრივ, მთელი სომხით-საბარათიანო, ზემო ქართლი და ნიკოლოზ კათალიკოსის ჯარი უნდა შემოშვერებოდა. მათ რიგებში იბრძოდნენ ვახტანგ ბატონიშვილიც და კახელი პატრიოტებიც. მიუხედავად ამისა, ქართლში ერთსულოვნება მაინც არ სუფევდა. პოლიტიკური არეულობით ორგული თავადიშვილები სარგებლობდნენ. სამილახორის მეთაური — გივი ამილახორი თავის მოქიშვებს — ქსნისა და არაგვის ერისთავებს ეპრძოდა და როგორც მემატიანე ამბობს: „ქართლს არ ევდა“<sup>6</sup>.

გიორგი XI თავის გეგმების განხორციელებას საშამხლოს დახმარებით აპირებდა და შამხალთან მოლაპარაკება თავის ძმისწულ ვახტანგ ლევანის ძეს დაავალა. საშამხლოში მიმავალი 18 წლის ვახტანგ ბატონიშვილი გერგეტის მონასტერში გაჩერდა და „გერგეტის სულთა მატიანეში“ შემდეგი ვედრებითი მინაწერი გააკეთა: „ჰე, ყოვლად ძლიერო ღმერთო, რომელმან აშ, ქართლის მთავრად ჰქმენ გიორგი, ბრძანებითა შენითა, სძლიერ სპარსთა და გარდავარდა. დაპყო წელი ღარიბობაში ოთხი და მოვიდა და დაიჭირა ქართლი. სოხოვა სპარსთა და არ მოსცა და მე, ვახტანგ, გამგზავნა ლექში და მე, ბრძანებითა (მისითა) შემოვიარე აქ და მივდიოდი, რათა გევედრები წარმიმართო სავალი ჩემი“<sup>7</sup>. ვახტანგ ბატონიშვილის ვედრებამ უქმად ჩაიარა.

ვახტანგ ბატონიშვილი საშამხლოში მძევლად დარჩა. შამხალმა პირობა დასიღო, რომ ქართლის მეფეთა ერთგული იქნებოდა და დახმარებასაც გაუწევდა, მაგრამ ძალიან ჩეარა მდგომარეობა სრულიად შეიცვალა. სპარსეთის შავმა, გაიგო რა ქართლისა და საშამხლოს ახალი დამოკიდებულების ხასიათი, საშიშად მიიჩნია მათი კივშირი, შამხალს დიდიდალი საბოძვარი გაუგზავნა და მოსთხოვა, რომ მის ტერიტორიაზე ყოფილი რუსეთში მიმავალი არჩილი შეეპყრო და მისთვის მიეგვარა. შამხალმა უმაღვე უარყო ქართველებთან დადებული ფიცი და ჩერქეზეთს მყოფი არჩილი 1693 წ. შეაჩერა. როგორც კი ეს ამბავი ვახტანგ ლევანის ძემ შეიტყო, მაშინვე დატოვა საშამხლო და ქაიხოსრო ბატონიშვილთან ჩავიდა გორს. ქართლი და კახეთი გიორგი XI-ისა და ერეკლე I-ს შორის განაწილდა. საბოლოოდ ქართველ ხელისუფალთათვის სრულიად ცხადი გახდა, რომ ქართლ-კახეთის გერთიანებაზე ზრუნვა ჯერ ნააღრევის იყო. მათ შავს მორჩილება გა-

<sup>6</sup> ვახტუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 467.

<sup>7</sup> ქ. შარაშიძე, „საქ. ისტორიის მასალები (XV—XVIII სს.)“, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 242.



წუცხადეს<sup>8</sup>. ამრიგად, სპარსეთის ხელისუფალი ყოველმხრივ ცდილობდნენა  
და სპარსთა ჭარის და ერეკლე I-ის დამარტინ ქართლის ხელში ჩაგ-  
დებას. უკანასკნელმა ციციშვილისა და ბეჟან საავაძის დამარტინ თბი-  
ლისამდეც კი მიაღწია. 1695 წელს გიორგი XI-ს ვახტანგ ბატონიშვილი  
შეეგება თავისი მამაცი რაზმით. გიორგი—ვახტანგის ლაშქრის შეტავე-  
ბა ერეკლეს ჭარებთან ბორჩალოსთან მოხდა. ბრძოლებს ბოლო არ  
უჩანდა. ქართულ სამეფოთა გაერთიანების საკითხი კვლავ სამერმისოდ  
იდებოდა. შეტავებები თბილისის მისაღომებთან განახლდა. ერეკლეს  
კანი და თუში შემოუერთდნენ. ბრძოლის ცენტრში ისევ ვახტანგ ლე-  
ვანის ძე ბაგრატიონი აღმოჩნდა და ხოხონა ხერხეულიდე რომ არა, იგი  
ბრძოლის მსხვერპლი გახდებოდა. ხოხონამ ქართლის მომავალი ხე-  
ლისუფალი მცერდით იხსნა სპარსი მეციხოვნის ნასროლი ისრისაგან.  
მათ მოეხმარა ნიკოლოზ გოსტამაბიშვილი, რომელმაც ყიზილბაშნი  
უკუაქცია, მაგრამ გიორგი XI-მ და ვახტანგ ბატონიშვილმა მარცხი  
განიცადეს და ერეკლე ნაზარ-ალი-ხანი თბილისში შეიკრია. გიორგი  
XI-მ დიდი დიპლომატიური ფანდებით შეძლო სპარსი აბაზყული-ხა-  
ნის გადმობირება, მაგრამ ერეკლე I-მა ეს ამბავი უმალევ შაშს შეა-  
ტყობინა<sup>9</sup>. საფიქრებელია, რომ შაშმა გიორგის ძები ლევან და ლუ-  
არსაბ ბატონიშვილებით მოხვენებით გაათავისუფლა, ხოლო, თავის  
მხრივ, ერეკლეს დასახმარებლიდ ქართლში განჯის ხანი და სპარსი  
ქალბალი-ხანი ჭარით გამოისტუმრა. უკანასკნელს — დავალებული  
ჰქონდა აბაზყული-ხანი შეეცკრო. 1697 წ. ქაბალი-ხანი ხუნანს მოად-  
გა, სადაც მის ერეკლე I ელოდა. იმჯერად იმერთა სამეფო ჭარი ერე-  
კლე I-ის პოლიტიკას იზიარებდა და მასთან ეძიებდა მოკავშირეობას. საფიქრებელია,  
რომ ალექსანდრე იმერთა მეფეს ოსმალთა ხონთქრის  
განეიტრალების ინტერესი ამოძრავებდა. იგი დასაყრდენს კი მეფეებ-  
ში პოულობდა და ქართლის მეფის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა. ქარ-  
თლის ჭარის მეთაურებმა გიორგი XI-ის წინამდლოლობით ქალბა-  
ლი-ხანთან შებმა მიზანშეწონილად არ ჩათვალეს და თავი იმერეთს  
შეაფარეს. იმერეთის მეფემ მაინც, ლტოლვილი ქართლელები, მათ  
შორის ვახტანგ ბატონიშვილიც, შეიკედლა. ქალბალი-ხანმა დროებით  
მოდრიკა არჩილი — გიორგის მომხრეთა მთელი ჭგუფი ქაიხოსრო ბა-  
ტონიშვილის მეთაურობით. არჩილ-გიორგის პროგრამის განხორციე-  
ლებას სიფუძველი ერყეოდა. გიორგი XI შეუთანხმდა ერევნის ხანს,  
რომელიც, თავის მხრივ, ქალბალი-ხანისაღმი ურჩობას იჩენდა, რათა  
ქართლი ხელთ ეგდო. გიორგი ერევნის ხანთან მიეკიდა და მისგან თან-  
ხმობა მიიღო, რათა შეერთებული ძალებით იერიში მიეტანათ საერთო

<sup>8</sup> ვახტავ შტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 469.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 471—472.



მტერზე. ერევნის ხანმა გიორგის განშრახვა უმაღვე აცნობა შაჰინშარის გამოც სახლაურად თოფჩიალაბაშობა მიიღო<sup>10</sup>.

გიორგი — არჩილის და მათთან ერთად ვახტანგ ბატონიშვილის პოზიცია დიდი საფრთხისა და წინააღმდევობის წინაშე აღმოჩნდა. ამიტომაც მათი ბრძოლების წარმატებას ერთთავად საშიშროება ელოდა. გიორგი XI ყოველმხრივ ცდილობდა თავისი მეზობელი „ვალის“ ქვეყნები თანამოკავშირებად გაეხადა, რათა ჩერქეზეთს კიდევ უფრო მეტად დაჭავშირებოდა და გარედან მეტი მხარდაჭერა ჰქონდა. გიორგიმ თავის ძმისწულს ვახტანგს ჩერქეზი ბატონის ქალი რუსულანი მიუყვანა თანამეცხედრელ უველა ამ ღონისძიებათა მიუხედავად, ქართლი დაიცალა მუხრანელ ბაგრატიონთა მომხრეებისაგან, რომელთაც სპარსეთის ქვეშევრდომობისაგან თავის დაღწევა სურდათ. ირანის შაპა თავისი პოლიტიკა შეცვალა და გიორგი XI თავის კარზე დაიბარა. ირანში გიორგის მისი ძმები ლევანი და ლუარსაბი დახვდნენ. იქვე იმყოფებოდა ქაიხოსრო ლევანის ძეც. რაც შეეხება ვახტანგ ბატონიშვილს, იგი იმერეთს იყო შეკედლებული და ქართლში დაბრუნებისათვის ბრძოლას მიზანშეწონილად აღარ მიიჩნევდა. ვახტანგ ბატონიშვილის აქტიური ბრძოლის ხასიათმა გარკვეულად იცვალა სახე. ამრიგად, ქართლის ბაგრატიონებისაგან დაცლილი ქვეყანა ისევ კახი ერევლე I-ის ხელში ომოჩნდა. გიორგი XI-მ შაპს მოსთხოვა დატყვევებული და ქირმანს გადასახლებული ქართველების გათავისუფლება. ამ დროს ირანში 600 ქართველი იმყოფებოდა<sup>11</sup>. ეს მოხდა 1698 წელს. ცმრიგად, ქართლ-კახეთი, როგორც სპარსეთის შაპის „ვალის“ ქვეყნები, კვლავ მორჩილების პოლიტიკას დადგა. ქართლის მესვეურნი შაპის კარზე დაწინაურდნენ. ხელთ იგდეს დიდი თანამდებობანი და მომავალი მიზნების განხორციელებისათვის პოლიტიკური გავლენის მოპოვებას ცდილობდნენ. გიორგი XI-ემ ქირმანის ბეგლარბეგობა მიიღო, ლევან ბატონიშვილმა — ირანის მსაჯულთუხუცესობა და ქირმანის ნაიბობა, ქაიხოსრომ — ისპაპანის ტარულობა, ხოლო ყაფლანიშვილმა — ყანდაარის ხანობა<sup>12</sup>. ირანში მყოფი ქართველი პოლიტიკოსები წინასწარ ქვრეტდნენ, რომ მათი გაელენა და პოზიცია შემდეგში საკუთარი ქვეყნის სასიკეთოდ შეიძლებოდა გამოეყენებინათ. მათ დიდი ბრძოლები გადაიხადეს და თავი ისახელეს ირანში ავღანთა და ბუქმუთა წინააღმდეგ წარმოებულ ომში. ამ პოლიტიკას იზიარებდა ვახტანგ ბატონიშვილიც, რომელიც თავისი გამაპმადიანებული მამა-ბიძების მიბაძვით შაპისადმი მოჩვენებითი დაქვემდება-

10 ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 474—475.

11 ს. ჩერეძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 10; ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 477.

12 ს. ჩერეძე, დასახ. ნაშრ., გვ. 10—11.

ჭებით, ეროვნულ-ქრისტიანული პოლიტიკისა და ლონისძიებების გან-  
ხორციელებისათვის ემზადებოდა.]



ერეკლე I-მა ქართლის ციხეები სპარსთა მეციხოვნებით ააცილ. თბილისის, გორის და სურამის ციხეებში ეტიური ტყვეთა ყიდვა დაიწყო. „იცვლებოდაცა ქცევა-ზნენი ქართლისანი და ქეცეოდნენ უმეტეს ყიზილბაშთა ზნე-წესთა და ყოველთა უწესობითა ქრისტიანულისათა ცოდვითურთ“<sup>13</sup> — წერდნენ შეშფოთებული მემატიანენი.

ირანის პოლიტიკური საზღვრების დაცვაში მონაწილეობა და იმპერიის გადარჩენა ავღანთა თავდასხმებისაგან ქართველმა პოლიტიკოსებმა კარგად გამოიყენეს. მათ არ დაყოვნეს და შაპი მოსთხოვეს გახტანგ ბატონიშვილის იმერეთიდან ქართლში გადმოყვანა. ირანის მბრძანებელს განუცხადეს: „რამეთუ, არა რად ეყო შეწევნა თქუნ მიერ, წარვალს იგი რუსეთს და ამისთვის ჩუნ უვნო ვიყვნეთ წინაშე შენსა“<sup>14</sup>. ქართველ ბატონიშვილთა ეს წინადაღება მუქარის ხასიათს ატარებდა და შაპი იძულებული გახდა დაექმაყოფილებინა იგი. სპარსეთის მბრძანებელმა ქართლის მმართველად სპარსეთიდან ლევან შაპული-ხანი გამოგზავნა ქართველთა ჭარით. შაპმა თავისი გადაწყვეტილება ნაზარ-ალი-ხანს აცნობა, რის შედეგად ქართლს ამიერიდან გიორგი XI-ს უმტკიცებდა, მას თავისთან იტოვებდა, სპარსალარიბას და ყულარალისობრივი აძლევდა, ხოლო ქართლში გამგებლად ვახტანგ ლევანის ძეს ნიშნავდა. [ერეკლე ნაზარ-ალი-ხანი] კი სპარსეთს იქნა გა- ხმობილი.

2. ვახტანგ ბაგრატიონის ქართლი გამზაღლად დასხა. მისი საჯინაო და საგარეო პოლიტიკა

[1703 წ. ვახტანგ ლევანის ძე ბატონიშვილი თბილის დაჭდა ქართლის გამგებლად. მას მთელი საუფლისწულო დაუბრუნდა. ლევან შაპული-ხანი, რომელმაც 20 წელი დაპყო შაპის ქარზე, სამშობლო-საკენ გამოემართა, რათა ვახტანგთან ერთად მოევიარებინა ქართლის მოუწესრიგებელი საქმები.] ლევანს ტაშირთან მისი ძე ვახტანგი შეეგება ჭარით, შემდეგ მათ თბილისელებიც შეხვდნენ და „შექმნეს სიხარული დიდი“<sup>15</sup> — წერს ს. ჩხეიძე.

ს. კავაბაძე აღნიშნავს, რომ თუ XVII ს. 70-80 წწ. თბილისში 70—80 ათასი მაცხოვრებელი იყო, 1703 წლისათვის მხოლოდ 2500

<sup>13</sup> ვახტანგ ბაგრატიონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 477; ს. ჩხეიძე,  
დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

<sup>14</sup> იქვე

<sup>15</sup> ს. ჩხეიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 20.

კომლილა დარჩენილიყო, დაახლოებით 20 000 სულის შემადგენლობით გამოიყოფა. ასე დაეცარი იელებინა ქართლის დედაქალაქი სპარსელუმთან ერთად უკელა მოუწესერი ბრძოლებს. ლევანს თავის ძესთან — ვახტანგთან ერთად უკელა მოუწესერი ბრძოლი საქმე უნდა მოევარებინა. შავმა მათ აახლა ერთგული გიორგი ერისთავი და პაპუა მუხრანბატონი დიდი საბოძერით ვახუშტი ბატონიშვილი წერდა ვახტანგის პოლიტიკური დამსახურების შესახებ: „ამას მორჩილებდნენ იმერნი და უსმენდნენ კახნი“<sup>16</sup>.

„ქართველობისათვის“ ბრძოლამ ხორცი შეისხა. ქართლელისა, კახისა და იმერლისათვის ერთიანი საქართველოს არსებობა, როგორც ვახუშტიმ დასახა, ახდენილ ოცნებად უნდა ქცეულიყო.

ჩვენ ვერ გავიზიარებთ მოსაზრებას იმის შესახებ, თითქოს „გიორგის წინააღმდეგობა ირანისადმი მისივე მორჩილებით დამთავრებულიყოს, რომ ქართლის ფეოდალური საზოგადოებისაგან გარიყული მეფე გიორგი ყორჩიბაშთა სამხედრო ძალას დაყრდნობოდეს და მაჰმადიანობის ერთგულ დამცველად აღმოჩენილიყოს“<sup>17</sup>.

ცვიქერობთ, რომ სწორედ გიორგი XI-ს ქედუხერელმა და შეუდრეველმა ბრძოლებმა, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, კომპრომისულმა პოლიტიკამ შავმის კარისადმი, ბოლოს და ბოლოს ქართლის ტახტიდან ერეკლე I-ის გადაყენება გამოიწვია და ქართლის სამეფოს სათავეში კვლავ მუხრანელ. ბაგრატიონთა წარმომადგენელი დასვა. ქართლის გამგებლად ანუ „ჯანიშინად“ გიორგი XI-ს მაგივრად მისი გაზრდილი, თანამზრანებელი და მისი პოლიტიკის გამტარებელი ვახტანგ ლევანის ძე დაჭდა. ეს მოხდა 1703 წ. მარიგად, პოლიტიკური კურსის წამმართველნი ქართლში პროგრესული შტოს წარმომადგენელი — მუხრანელი ბაგრატიონები გახდნენ, და მათი პოლიტიკური საქმიანობის ხაზი კველაზე მისაღები აღმოჩნდა, რასაც კვეყანა მშვიდობიანი მშენებლობის გზაზე უნდა გადაეყვანა. თუ ახლა გიორგი XI მაჰმადიანობისადმი გარკვეულ ქედის მოხრას ამჟღავნებდა, ეს იყო მხოლოდ მოჩვენებითი, რასაც იგი ამ გარკვეულ მომენტში მიზანშეწონილად მიიჩნევდა. ხოლო შემდეგშიც, როდესაც ის შავმის სამსახურში შევიდა და ეგრეთწოდებული „ერთგულება“ გამოავლინა, მას ეს უფრო ფართო მიზნების განხორციელებისათვის სჭირდებოდა, თუნდაც იმისათვის, რომ თავისი ძმისშვილ ვახტანგისათვის ქართლი ჩაებარებინა. ამდენად, ცერეკლე I-ის ქართლიდან გაწვევა, გიორგი XI-ისა და ვახტანგ ბატონიშვილის გამარჯვების შედევი იყო. სპარსეთის შავმა ერეკლეს ირანთვილურ პოლიტიკაზე ხელი აიღო და „ქართველობისათვის“ მებრძოლ ბაგრატიონთა პოლიტიკური ხაზი შეი-

16 ს. ქავებაძე, საქ. ისტორია, თბ., 1922, გვ. 128.

17 ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 482.

18 საქართველოს ისტორიის ნაკვეთი, ტ. IV, 1972, გვ. 398—399.

წყნარა] ქართლის სამეფო კვლავ მუხრანელ ბაგრატიონებს დაუბრუნ-  
და. ამიტომ მოხდა, რომ სპარსეთისა და საქართველოს ურთიერთობა  
ე. წ. „კომპრომისული პოლიტიკის“ ხასიათი მიიღო. ორივე სახელმწი-  
ფო გარკვეულ შეთანხმებაზე წავიდა. ირანი აღიარებდა საქართვე-  
ლოში ეროვნულ-ფეოდალური საზოგადოებრივი და სახელმწიფო ეგ-  
რივი წყობილების არსებობას, ხოლო საქართველო კი სცნობდა საკუ-  
თარ ვასალურ დამოკიდებულებას ირანისადმი. ასე დაიწყო ქართლის  
სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული აღმავლობის ხანა ვახ-  
ტანგ VI-ის მოღვაწეობით მუხრანელ ბატონთა დიდი პოლიტიკური  
გულმოდგინების წყალობით.

ვახტანგ VI-ის საშინაო პოლიტიკა ფრთხილი და მოქნილი იყო  
მან თანდათანობით ჩამოაცილა სამეფო კარს მისთვის მიუღებელი და  
მერყევი პიროვნებანი. ცხადია, ახალ გამგებელს ფეოდალური იდეო-  
ლოგიის მხარდაჭერა სჭირდებოდა. ამ მიზნით, მან 1705 წ. საეკლე-  
სიო კრება მოიწვია, რომელმაც ქართლის კათალიკოსად რუსეთიდან  
ახლადდაბრუნებული ვახტანგ მეფის ძმა დომენტი აირჩია. დომენტი  
განათლებული პიროვნება იყო. თავისი მოღვაწეობის პირველ ეტაპზე  
დომენტი ვახტანგს ენერგიულად შეელოდა სახელმწიფო საქმეთა მო-  
გვარებაში.)

ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისა და განმტკიცების  
მიზნით, ვახტანგმა „მცველთა ჯარი“ შეადგინა. ეს იყო სამეფო გვარ-  
დია; რომელიც ოსებითად ურჩი თავადების წინააღმდეგ გამოიყენე-  
ბოდა. ამ ჯარის შემადგენლობაში ირიცხებოდნენ თავადიშვილები,  
აზნაურები და მსახურნი. იგი სამი რაზმისაგან შედგებოდა. სამეფო  
გვარდიის მეომრებს ჯამაგირი სახელმწიფო სალაროდან ეძლეოდათ.  
მცველთა ჯარის შექმნამ თავადთა გულისწყრომა გამოიწვია. როგორც  
ვახტანგი ბატონიშვილი გადმოგვცემს: „შუღლი ჩაიდო გულში არ-  
ვეის ერისთავმა“<sup>19</sup>.

ვახტანგ გამგებელი ქართლის ჩრდილო-სასაზღვრო ხაზის გამა-  
ვრებას შეუდგა. მან 1707 წ. ქართლის ჯარი შეუსია დვალეთს, ურჩ  
დავალთა ციხე-სიმაგრენი დააქცია და მათზე გაიმარჯვა, მთელი დვა-  
ლეთი დაიმორჩილა და ხარკი შეაწერა<sup>20</sup>. ამ ღონისძიებით ვახტანგ  
„ჯანიშინმა“, გარდა ჩრდილოეთის მომთაბარე ტომთაგან თავის დაცვი-  
სა, ქსნისა და არაგვის ერისთავებიც ალაგმა, რომელნიც ხშირად ეურ-  
ჩებოდნენ სამეფო კარს.]

ამავე წლებში ქართველ პოლიტიკოსთა მოღვაწეობა ირანში არ  
შენელებულა. გიორგი XI, რომელსაც სპარსეთში „გურჯი ხანს“  
უწოდებდნენ, ავღანთა წინააღმდეგ წვრილ-წვრილ ომებში იმარჯვებ-

19 ვახტანგი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 492.

20 ს. ჩხეიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

და. ავლანელ მირვეისს კი მისი შარავანდედი არ ასვენებდა მაგრამ დღოს ავლანელებს გურგი ხანის მრავალრიცხოვანი ლაშქრში უტყობე ეშინოდათ, ვიდრე შაპის დანარჩენი ჯარისა<sup>21</sup>, — წერდა იმდროინ-დელი სომეხი ისტორიკოსი.

მირვეისმა მოახერხა შაპის პირველი მინისტრის ფათალი-ხანის თავის გავლენის ქვეშ მოქცევა და მისი დაეჭვება გიორგი XI-ის ერთგულებაში. ამ ხანებში ირანში გამოჩნდა რუსეთის მთავრობის მიერ წარმოგზავნილი ისრაილ ორი, რომელიც აქ ჩასული იყო რუსეთ-ირანის სავაჭრო ურთიერთობათა საკითხის მოსაგვარებლად. მირვეისი ხმებს არხევდა შაპის კარზე, თითქოს გიორგი და ვახტანგი დიპლომატიური ურთიერთობას აწარმოებდნენ რუსეთთანაც. მათ, როგორც ერთმორწმუნე ხალხს, საერთო ინტერესები უჩინდებათ აღმოსავლეთში ირანის საწინააღმდევობა. მირვეისი ამტკიცებდა, რომ საქართველო ყოველ ლონეს იხმარდა, რუსეთის ჯარი თავის ტერიტორიაზე გაეტარებინა და თვითონ გიორგი XI-ც არ მორიცებოდა თავის პირადი კარიერა შეეწირა სამშობლოს ინტერესებისათვის<sup>22</sup>.

მართლაც, სომხური დელეგაციის წევრმა ისრაილ ორიმ გოლოვინს გადასცა ბარათი, სადაც მოცემული იყო საქართველოსა და სომხეთში რუსული არმიის ლაშქრობის გეგმა, რომელშიც ქართველებს ვახტანგ VI-ის მეთაურობით აქტიური მონაწილეობა უნდა მიეღოთ. ისრაილ ორი დაუკავშირდა არჩილ მეფეს და ერთად გაიზიარეს ამიერკავკასიის განთავისუფლების გეგმა<sup>23</sup>. ამ ნაბიჯმა ხორცი შეისხა. შემდეგში, საქართველოც და სომხეთიც „საქრისტიანოს“ დაცვის გულისხმობდა. მირვეისი თავის მხრივ ამტკიცებდა, რომ აღმოსავლეთ საქართველო შეეცდება კავშირი შეკერას სომხეთთან და რუსეთის დახმარებით სრული დამოუკიდებლობა მოიპოვოს ირანისაგან<sup>24</sup>. შაპმა კარგად იცოდა, რომ მაპარანობას ნაზიარები ქართველი მზრანებლები მხოლოდ ფორმალურად ატარებდნენ საძულველ, უცხო რჯულს და სპარსი დამშყობლისადმი ბოლომდე ერთგულები ვერ იქნებოდნენ. გიორგი XI-ის დალუპვის შემდეგ 1709 წ. შაპმა ქაიხოსრო ბატონიშვილი ისპაპანს იხმო და ირანის მხედართმთავრობა ჩააბარა, ქართლში კი კვლავ ვახტანგ ბატონიშვილი დარჩა გამგებლად. ამ შემთხვევაში, მუხრანელ ბაგრატიონთა დაუმორჩილებლობის პოლიტიკა ირანის სამეფო კარისადმი ერთგვარ ელასტიურ

<sup>21</sup> Петрос ди Саргис Гигаленц, Дневник осады Искаганы, с. VII.

<sup>22</sup> Ханвей, Путешествие в Персии, т. II, часть. I, с. 148—149.

<sup>23</sup> ი. მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII—XVIII სს. თბ., 1982, გვ. 198.

<sup>24</sup> ვახტარი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრ., გვ. 492.

ფორმას ატარებდა და ყველა ცალკეულ მოსახერხებელ შემთხვევაში სხვადასხვანაირად ვლინდებოდა. 1709 წ. ქაიხოსრომ (ხოსრო-ხანმა) პოლონე თავრიზიც და ბარდაც მიიღო სამმართველოდ; მისმა ძმებმა, იესე ბატონიშვილმა — ბეგლარებეგობა, ხოლო როსტომმა — ისპაპანის ტარულობა. თუ ერთი მხრივ, ირანი თავის ქვეშევრდომ ქართლიდან ნიჭიერ პოლიტიკურ მოღვაწეთა გამოყენებას ცდილობდა, არც ეს მოღვაწენი ტოვებდნენ შაპის კარს ვალში. ისინიც, თავის მხრივ, ანაზღაურებას თხოულობდნენ. ესეც, ცხადია, გარკვეული პოლიტიკის შედეგი იყო.

კახტანგ გამგებელმა ქართველების მიერ ირანში მოპოვებული გამარჯვებებით ისარგებლა და თბილისის ყიზილბაში ციხისთავები გადააყენა, ხოლო მათი თანამდებობები ქართველებს ჩააბარა. ციხეში მჯდომი ყიზილბაშები დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ ვახტანგს და რამდენჯერმე შეტაცებაც კი მოხდა მათ შორის. ვახტანგმა მათი ურჩობა შაპის შეატყობინა, აიძულა იგი, დამსჯელი რაზები გამოეგზავნა და მოითხოვა ურჩი ციხისთავების ალამუტის ციხეში ჩამწყვდევა. ამან სოციალური ხასიათი მიიღო. „ამისათვის არღა-რა იყო ტყვის სყიდვა“<sup>25</sup>, — წერს ვახტაშტი ბაგრატიონი.

ამრიგად, ამ ეტაპზე ქართველების მოჩვენებით ერთგული პოლიტიკა ირანის ხელისუფლებისადმი სრულიად გამართლებული აღმოჩნდა. ირანელ მეციიხოვნეთაგან განთავისუფლება და ტყვეთა სყიდვის შენელება ქართლის სოციალურ-ეკონომიკურ საფუძვლებს აძლიერებდა. ქვეყანა ეკონომიურად და კულტურულად წინაურდებოდა.

კახტანგ გამგებელმა 1711 წ. ქართლის სამეფოს ჩრდილოეთის სამხედრო პოლიტიკური ხაზის გასამაგრებლად ახლა ოსეთში მოაწყო ლაშქრობა. „კვლავ აღმიხედრა სპითა შესვლად ოვსეთს და შევიდა და შემუსრა კოშკი. მოწვა და მოსტყვევნა ურჩინი... მოვიდა ქართლს გამარჯვებული ქს ჩლია... დაიპყრა დვალეთნი და დასდვა ხარკნი“<sup>26</sup>.


ვახტანგ ჯანიშინმა დასაბამი დაუდო ქართლის სამეფოს ჰეგემონობას მთელ საქართველოში. ასე ეყრებოდა საფუძველი საქართველოს „აღდგენა-გამოხსნისათვის“ ბრძოლის იდეას ქართლის გამგებლის მეთაურობით.

ამასობაში ირანში ისევ დაისვა საკითხი ქართლის მეფის პრეტენდენტის შერჩევის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ნაზარ-ალი-ხანის ვაჟები გამაპმადიანებული დავითი და კონსტანტინე შაპის კარზე იყვნენ და ირანის ვეზირის ფათალი-ხანის სიძეებად ითვლებოდნენ, შაპიმა ქართლის „ვალზე“ შეაჩერა ყურადღება. ირანის ხელისუფლების საგარეო პოლიტიკაში თურქეთთან ურთიერთობის პრობლემის გადა-

25 კახუ შტა ბაგრატიონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 493.

26 იქვე, გვ. 491—92.

2. პ. ქიქეძე



წყვეტა და რუსეთთან დამოკიდებულების რეგულირება მსევ დამორჩილებული ქვეყნების ხარჯზე უნდა მომხდარიყო. შაპი მაინც დამორჩილებული ვახტანგ ბატონიშვილზე აკეთებდა. ირანის მმრდანებელმა ვახტანგი ქართლის კანონიერ მეფედ შერაცხა. იგი ირანს დაიბარა, რათა მა- პმადიანობა მიეღებინებინა და ქართლის გამგებლად დაენიშნა. და- შლილი საქართველოს გაერთიანებისა და ერთიანი ძლიერი ქართული სახელმწიფოს არსებობის აუცილებლობა ვახტანგს კარგად ჰქონდა შეფასებული და შეგნებული. ვახტანგის დასტური, რომ ირანის მმრდა- ნებელს ხლებოდა, მისი პოლიტიკური გეგმების განხორციელების იდეას გულისხმობდა. იგი ამ ნაბიჯით ცდილობდა საქართველოს გაერ- თიანებისათვის ერთვარი დასაბამი დაედო; თან ვარაუდობდა — ირანში ყოფნის დროს კარგად გაერკვეოდა აღმოსავლეთის პოლიტი- კურ ვრთარებაში და ამ მიმართულებით გარკვეულ გეზს აიღებდა. ვახტანგმა მოინდომა, კახეთი და იმერეთი ერთმანეთისათვის დაემო- ყვრებინა. ირანში წასვლის წინ ქართლის გამგებელმა ამ თვალსაზრი- სით დინისტიური ხასიათის ლონისძიებები ჩატარა; მან დააქორწინა თავისი ქალიშვილები. თამარი 1712 წლის თებერვალში კახთ ბატონი- შვილს თეიმურაზ ერეკლეს ძეს მიათხვა და კახეთთან ურთიერთო- ბა განიმტკიცა, ხოლო ანუკა ბატონიშვილი გავლენიან ვახტანგი აბა- შიძეს მისცა ცოლად<sup>27</sup>. თავისი ვაჟები ბაქარი და გიორგი რუსულან- დედოფალთან ერთად გორს დაამკვიდრა. 1712 წ. არილში ვახტანგ ირანს გაემგზავრა ფორმალურად ქართლის ტახტის მოსაპოვებლად. ვახტანგს ირანში თან გააყვა ამალა, რომელშიც ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მეცნიერი სულხან-საბა ორბელიანიც იყო. ბიძა-ძმისწუ- ლი იმ განზრახევით გაემგზავრნენ ირანის შაპთან, რათა ქართლის მე- ფეს რჯულის გამოუცვლელად მიეღო მთელი თავისი სამეფო. თავის მხრივ, შაპი ვარაუდობდა, რომ ვახტანგი ქართლის მეფობას და ირა- ნის სპასალარობას დაიმტკიცებდა, მას შემდეგ რაც ქრისტიანობას უარყოფდა და მაქმადიანობას აღიარებდა. ვახტანგ ჯანიშნმა კი ქრი- სტიანობა არ დაპგმო და ქართლის ტახტიც დაკარგა. „პირველ ხანებ- ში თავისი სარწმუნოებისადმი ვახტანგმა სიმტკიცე გამოიჩინა, რომ- ლის მსგავსი იშვიათად თუ მოეპოვებოდა მისი გვარეულობის უფ- ლისწულებს. მან იმუამად უარი თქვა ჩალმის დახურვაზე და ეს უფ- ლება დაუთმო თავის ძმას იესეს, რომელიც ნაკლებად კეთილსინდი- სიერი იყო სარწმუნოებისადმი, ვიდრე მისი ძმა“ — წერს შარლ დე- პეისონელი<sup>28</sup>.

27 ვახტანგ შტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 491.

28 ი. ტაბაღუა, საფრანგეთ-საქართველოს ურთიერთობა XVIII ს. I მეოთ- ხედში. თბ., 1972, გვ. 311.

ქრისტიანობისაღმი ერთგულების დამტკიცება ეროვნულ ერთგულებას გულისხმობდა. მაგრამ გამოირკვა, რომ ეს არ იყო მარტინ ფორმალური პროტესტის გამოვლენა. მას უფრო ორმა ფესვები ჰქონდა. გარდა აღმოსავლეთის საერთაშორისო კითარებათა გარკვევისა და მასში გარკვეული მონაწილეობის მიღებისა, ვახტანგი ზაქე თვლიდა, რომ საქართველოში „აზიური“ პოლიტიკის გატარება ისე თანამიმდევრულად, როგორც ეს უკანასკნელ წლებში ხდებოდა, მისთვის ახლა მიუღებელი იყო. ამჯერად ვახტანგ ჭანიშვილი ჩამორჩენილ ირანთან კავშირს, კულტურულ ეკრანასა და რუსეთთან ურთიერთობას ამჯობინებდა. ვახტანგისათვის ამ პოლიტიკურმა აქტმა დიდი მნიშვნელობა მიიღო. საგარეო პოლიტიკის ხაზი სრულად უნდა შეცვლილიყო. ვახტანგი აშკარად ურყევებად იცავდა იმ პოზიციას, რომ ეკრანასა და რუსეთთან პოლიტიკური კავშირი დაეყყარებინა. ქართლის გამგებლად ვახტანგმა თავისი ძმა სიმონი დატოვა და ქვეყნის მმართველობა ჩააბარა. თვითონ ირანში დარჩა იმ მიზნით, რომ საბოლოოდ გარკვეულიყო არჩეულ საგარეო პოლიტიკურ სიტუაციაში. XVIII ს. ათიანი წლებისათვის მარტო რელიგიური მომენტი ვერ განსაზღვრავდა სახელმწიფოებრივ და საერთაშორისო ურთიერთობის შინაარსს, მაგრამ სწორედ ამ მომენტის მომიზეზებით ვახტანგმა ქრისტიანობის დაუგმობლად ირანში დარჩენა გადაწყვიტა. ცხადია, ირანიც, თავის მხრივ, ცდილობდა ამ პოლიტიკურ კიდილში ამიერკავკასიაში თავისი ხელდებული — ქართლის „ვალის“ სახით, გამაპმალიანებული კაცი ჰყოლოდა, თუნდაც ეს თურქეთისა და რუსეთის პოლიტიკურ პოზიციათა გათვალისწინებით მომხდარიყო. ვახტანგმა კარგად იცოდა ირანის სახელმწიფოებრივი კრიზისული მდგომარეობა და ქართველების წონა ირანის სამეფო კარზე. იგი, ერთი მხრივ, ცდილობდა საქართველო-ირანის ურთიერთობაში როგორმე მოეპოვებინა მოჩვენებითი, შემარბილებელი სტატუსი, ხოლო, მეორე მხრივ, კი უცხოეთში მოქავშირის ძრებას შეუდგა. ა. კრუზინსკის ცნობით, ვახტანგ გამგებელი ირანში ჩავიდა 2000 თანმელებლით. ვახტანგს ამალისათვის დღეში 50 თუმანი დაუნიშნეს და ბოლოს სარწმუნოების შეცვლა შესთავაზეს, რაც მან უარყო და ამასთან დაკავშირებით განაცხადა: „უფალს უფლისა მიეცეს, ხოლო კეისიარს კეისრისა“<sup>29</sup>.

ქართლში დარჩენილმა სიმონ გამგებელმა ვახტანგ VI-ის პოლიტიკური ორიენტაცია გაიზიარა და მანაც გეზი დასაელეთისაკენ აიღო<sup>30</sup>. მან დიდი მასპინძლობა გაუშია 1713 წ. ფრანგ მისიონერ რი-

29 ო. ჭიჭინაძე, უცხოელი აგრძორები საქართველოსა და ირანის ურთიერთობის შესახებ. თბ., 1983, გვ. 65—66.

30 ვ. დონდუა, ვახტანგ VI-ის დროინდელი საქართველოს ისტორია. ისტ. ინსტ. მცმომხილველი. ტ. III, 1953, გვ. 33—34.

შარს, რომელიც ვახტანგის საიდუმლო დავალებით მიემგზავრებოდა საფრანგეთში. სიმონმა რიშარი თბილისში დიდი პატივით მიიღო და ტრივით ვახტანგ VI-სთან შეთანხმებით მოხდა. ვახტანგი ბაგრატიონის ცნობით კი, თითქოს სიმონის მეთაურობით ვართლის სამეფო კარი ვახტანგის პოლიტიკის გამტარებელი არ იყო ქართლში და ირანისადმი სრულ მორჩილებას იჩენდა<sup>31</sup>. არ არის გამორიცხული ისცე, რომ ბეგრატიონთა შორის საგარეო პოლიტიკის კურსის არჩევაში სიმონს ვახტანგის პოზიცია არ გაეზიარებინა. ვ. დონდუა ამტკიცებს, რომ სიმონი ქართლის ბაგრატიონთა, ე. ი. ვახტანგ გამგებლის თვალსაზრისხე მდგარა და ირანისადმი ერთგულება არ გამოუჩენია, რის გამოც მას ორიოდე წელიწადში დაუკარგავს ქართლის მართვის უფლება<sup>32</sup>. იგი 1714 წ. ვახტანგისადმი მტრულად განწყობილი იქსე ალიყული-ხანმა შეცვალა, მაგრამ შავმა იქსეს მჩხევლად მაინც სიმონი დაუტოვა. ექედანაც ჩანს, რომ ირანის სამეფო კარი, თუმცა თავის ძალას ავლენდა, მაგრამ მაინც იძულებული იყო ანგარიში გაეწია ქართველ მოღვაწეთათვის, ვინაიდან ცხადია, არც შავმა კარისათვის იქნებოდა უცნობი ვახტანგის საგარეო პოლიტიკის არსი.

ქართლის ზოგიერთი გავლენიანი თავადი, კერძოდ, ქსნისა და არაგვის ერისთავები ვახტანგის პოლიტიკის წინააღმდეგი აღმოჩნდნენ და ვახტანგისა და მის მომხრეთა საწინააღმდეგო ბანაკში მოექცნენ. ისინი უკმიყოფილონი იყვნენ ვახტანგის მიერ მცველთა ჯარის შექმნით. ეს ჯარი მათ საწინააღმდეგოდ იყო შექმნილი. ამ თავადებს არც ის მოსწონდათ, რომ ვახტანგმა 1711 წ. ოსეთი შემოიერთა, ჩრდილოეთით მათ სამფლობელოებს მოექცა და მათი დაორგუნვა გაიაღვილა.

„ურჩი“ ვახტანგ ჯანიშინი შავმა შორეულ ქირმანს ტყვედ გაგზავნა, მაგრამ საქმაო თანხა დაუნიშნა, რათა პატივით ეცხოვრა. ვახტანგის ანტიირანულმა პოლიტიკამ დასავლეთისა და რუსეთის ორიენტაციის მიღებამ იმ მომენტში გარკვეული ზიანი მიაყენა საქართველოს.

ვახტანგმა ვერ გაითვალისწინა, რომ დასუსტებულ და დაცემული იჩინთან კავშირი მას იმ შემთხვევებში მეტ სიკეთეს მოუტანდა, ვიღრე სამშობლოს მიტოვება და შორეულ ქირმანში გადასახლება<sup>33</sup> ეკონომიკურად და სოციალურად მშვიდობიან გზაზე მდგარ ქვეყნის კვლავ უნდა დაეხია. ამის შედეგად ვახტანგ VI-ის გავლენა საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროზე გაზრდის შაგივრად შემცირდა. ქარ-

<sup>31</sup> ვ. თამარა შვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1902, გვ. 312.

<sup>32</sup> ვახტანგ ბაგრატიონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 492.

<sup>33</sup> ვ. დონდუა, დასახ. ნაშრ., გვ. 30.



თლის სამეფო ტახტი პოლიტიკურმა არეულობამ მოიცვა. ეს არა მარტინი და გართლში იქსეს გამგებლად დანიშვნამ გამოიწვია. იქსეს შესახებ კი თვითონ ვახტანგ ჯანიშვინი წერდა: „მუდამ განდგომილი მტერი და ეშმაკია“<sup>34</sup>. ქართლის სამეფოს მართვა კი იქსე აღი ყული-ხანს დარჩა.

იქსემ თბილისის მეციხოვნებთან პირი შეკრა და ქართლელები დაასმინა — თითქოს ისინი ყურანს სწვავლნენ და ყიზილბაშებს უჭეროდ ექცეოდნენ. ამას ისიც მოჰყავა, რომ შაპშა ქართველებს ოფიციალურ ზედამხედველად სპარსი მოხელე — ხოლოთა დაუყენა, რომელსაც კონტროლი უნდა გაეწია ქართველთა საქციელისათვის, მაგრამ ქართლის თავკაცებმა შეძლეს ხოლოთა თავიდან მოქმორებინათ და ისპაპანში უკან გაებრუნებინათ შაპის კარჩე<sup>35</sup>.

1714 წ. შაპშა „წარმოავლინა იქსე მეფედ ქართლის ნიჭითა, ვინათვან აღუთქვა იქსეს ყერისათვის წარვლინებად დედოფალი და ძენი ვახტანგისანი და ხუთასნი ქართველნი ცოლ-შვილით, რათა დაასახლოს „დარაბაძს“<sup>36</sup>. შეშინებულმა ვახტანგის ჯალაბმა — ცოლმა და შვილებმა თავი რაჭას შეაფარეს, ხოლო თვითონ ვახტანგი 1714 წ. 10 აპრილს ქარმანს იქნა გადასახლებული. პატიმარი ქართლის მეფე წერდა:

მეტყვიან ხეაღმე, რისთვის გაქვს მისი, ჭმუნვა და წყინება?  
შეჩერის სახლს ვწუნობდე, როგორა მომეწყინება!  
ახლა ქირმანსაც დამკარგეს, დამვიწყდ ამას წინება  
და არ ვეჭვობ, შერჩეს ღმრთისაგან, ვინც ჩემთვის ასე ინება<sup>37</sup>.

თვითონ ის ფაქტი, რომ ვახტანგმა მაპმადიანობა არ მიიღო და ირანის შაპის კარჩე დარჩა, მერე კი ქირმანს გადავიდა ტყვეობაში, ცხადია, ქართლის მეფის საგარეო პოლიტიკის აშეკრა საბოლოო ცვლის გულისხმობდა. მიუხედავიდ იმისა, რომ მას მიზნად ჰქონდა დასახული ირანის საშინაო და საგარეო პოლიტიკა აღგილზე შეესწავლა, ამ მოქმედებაში გამომეუღვნდა მისი უკომპრომისო პოლიტიკა ირანისადმი. ვფიქრობთ, ევროპასა და რუსეთთან გარკვეული დიპლომატიური კონტაქტების დამყარებისათვის ეს გამიზნული ნაბიჭი იყო, ხოლო თუ გავითვალისწინებთ ყოველივე ამის შედეგად მომზდარ ისტორიული ფაქტების დინებას, დავინახავთ, რომ ვახტანგის ეს გადაწყვეტილება მისი ქვეყნისათვის საზიანო აღმოჩნდა. ] .

34 მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 317.

35 ვახტუ შტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 493; ძველი საქართველო, ტ. II, თბ., 1913, გვ. 137.

36 ვახტუ შტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრ., გვ. 493.

37 ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, ალ. ბარამიძის გამოც. თბ., 1975, გვ. 32.

საქართველოსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის XVII საუკუნის II ნახევრიდან მოყოლებული XVIII ს. დასაწყისამდე შენელებული სავაჭრო და პოლიტიკური ურთიერთობა კვლავ აღდგა. ქართლის ცენტრალური ხელისუფლება გარკვეულ პოლიტიკურ გეგმებს უსახვდა ევროპული ქვეყნების წარმომადგენლებს: „ქართველები კათოლიკობას თავისი ქვეყნის მომავალს უკავშირებენ. ყველა, ვინც ქვეყნის დაცვისა და ოლდგენისათვის იბრძოდა, ქრისტიანობდა და ასე თუ ისე „ფრანგობდა“, ოლონდ კი საფრანგეთ-ევროპის პოლიტიკური დახმარება მიეღო ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში]. ხოლო — აგრძელებს ნ. ბერძენიშვილი — საქართველოს საუკეთესო გზა იქნებოდა ფრანგი ვაჭრებისათვის ირანისაკენ, თბილისი კი მეტად მარჯვე ადგილი ვაჭართა საქონლის საწყობად“<sup>38</sup>.

XVII ს. დამლევს ევროპის სავაჭრო კაპიტალი თანდათან შემოიჭრა ირან-თურქეთის ყმაღნაფიც ქვეყნებში. მართალია, სრულ დამკვიდრებას ევროპის კაპიტალი ვერ ახერხებდა, მაგრამ იყო აშენა ნიშნები, რომ ამ მოვლენამ თავი იჩინა. ვაჭართა მოძალებას აღმოსავლეთში თან სდევდა კათოლიკური ეკლესიის გავლენის გავრცელება აღმოსავლეთის ქვეყნებსა და აგრეთვე საქართველოშიც. ყოველივე ამის გამო, ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთ, ვახტანგ VI-ის მეთაურობით, დიდი იმედი ჰქონდათ, რომ ისინი მოახერხებდნენ „ქათოლიკობის“ გავრცელებას, არა მარტო საქართველოს სამეფო-სამთავროებში, არამედ ამიერ-და იმიერვავასის სხვა ნაწილებშიც, განსაკუთრებით, სომხეთში, აფხაზეთსა და ჩერქეზეთში.

თავის მხრივ, ევროპელი პოლიტიკოსები, სოვდაგრები, მეცნიერებმოგზაურები და კათოლიკე მისიონერები ინტერესს იჩენდნენ საქართველოსადმი. ქართლის ცენტრალური ხელისუფლება ვახტანგ VI-ის მეთაურობით მათ ყოველმხრივ დახმარებას უწევდა.

ამრიგად, ქართველი პოლიტიკოსებისათვის და ვახტანგ VI-ისათვის გაყათოლიკებას ძირითადად პოლიტიკური სარჩული ედო საფუძვლად.

ვახტანგ VI, როგორც აღვნიშნეთ, სპარსეთში ყოფნის დროს ცდილობდა გარკვეულიყო მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო კითარებაში<sup>39</sup> მას უნდა გაეთვალისწინებინდე ევროპული ქვეყნებისა და განსაკუთრებით საფრანგეთის რეალური პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები. იგი უნდა გარკვეულიყო, ერთი მხრივ, საფრანგეთისა და, მეორე მხრივ, ინგლისისა და პოზიციებში, რო-

38 ნ. ბერძენიშვილი, XVIII ს. საქართველოს ისტორიიდან. საქ. ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 150—151.



უფრო განამტკიცა, მაგრამ შეეცადა, რომ ირანის შაჰისათვის დაუტელი ვებინა საიდუმლოდ. ყოველივე ამას ვახტანგისათვის ის სატურულო ჰქონდა, რომ იგი კარგად ერკვეოდა მახლობელი აღმოსავლეთისა და ევროპის საერთაშორისო საკითხებში, ხოლო ვინაიდან მისთვის ცნობილი იყო, რომ საფრანგეთი ირანში თავისი სავაჭრო კომპანიის დაარსებას პირებდა<sup>42</sup>, საგარეო პოლიტიკის სფეროში გადადგმულ ამ ნაბიჯს სამართლიანად სთვლიდა.

ამ დროისათვის საფრანგეთისათვის „ქართველი ვალის პრობლემაც“ თითქოს გარეულ მნიშვნელობას იდენტა, მაგრამ ვ. გაბაშვილი მოგვითხრობს, რომ „დ. ლენგიც, რომელმაც სპეციალურად შესწავლა საქართველოს ურთიერთობა საფრანგეთთან 1711—1724 წწ., ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საფრანგეთს არ შეეძლო საქართველოს გამო დაეთმო თავისი სავაჭრო და პოლიტიკური ინტერესები სპარსეთში“<sup>43</sup>. ამიტომაც ვახტანგ VII-ის ცდა, დახმარება საფრანგეთისაგან მიეღო, განუხორციელებელი აღმოჩნდა.

საქართველოსთან პოლიტიკურ და სავაჭრო ურთიერთობას და ოფიციალურ კავშირს საფრანგეთისათვის ირანთან დამოკიდებულების გამწვავება მოჰყვებოდა, რასაც, ცხადია, საფრანგეთი შეეცდებოდა მორიდებოდა. შეიძლება ვიწამოთ, რომ თითქოს „ვახტანგი დაუკავშირდა რა სავაჭრო და პოლიტიკური ურთიერთობით საფრანგეთს, ინიციატივით შექმნილ ვითარებაში ფრანგი მესვეურნი გამოვიდნენ“<sup>44</sup>.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს კავშირი როგორც საფრანგეთს, ისე საქართველოს ერთნაირად აინტერესებდათ და ინიციატივაც თანაბარი უნდა ყოფილიყო. თუ კი გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ქართლის მეფე ირანთან ვასალურ ურთიერთობაში იმყოფებოდა და თანაც მის ტყვეობაში იყო, ამიტომ ვახტანგი გაცილებით უფრო მეტად უნდა ყოფილიყო დაინტერესებული ამ კავშირით, ვიდრე საფრანგეთი.

საქართველოში კათოლიკობის გავრცელებისა და თბილისის ქართული მისიონის მოღვაწეობის წინააღმდეგნი, პირველ ყოვლისა, კაბი გამაპმადიანებული ბაგრატიონები იყვნენ, მეორე მხრივ კი, სომეხი სოვდაგრები, რომლებიც მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ვაჭრობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ, ამდენად ისინი „კათოლიკე მისიონერებს დასავლეთ ევროპის კათოლიკური სა-

42 ვ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ.

316

43 ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრ. თბ., გვ. 73.

44 ვ. პაპაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 62.



ხელმწიფოების სავაჭრო აგენტურად და საშიშ მეტოქეებად თვლილი იყო ნერანგი<sup>45</sup>. ცხადია, ეს შემაფერხებელი ფაქტორი იმ შემთხვევაში არა-ხელსაყრელ ვითარებას უქმნიდა ვახტანგ VI-ს.]

1708 წ. საფრანგეთ-ირანს შორის დადებული საზავო ხელშე-კრულება ფრანგ ვაჭრებს ირანის ტერიტორიაზე დიდ შეღავათს აძლევდა. მათ ნება ეძლეოდათ სავაჭრო საქმიანობა ეწარმოებინათ და სომეხი ვაჭრები კონკურენციით შევეიწროვებინათ. მაგრამ, თავის მხრივ, საფრანგეთის მთავრობა ირანისადმი გარკვეულ პოლიტიკურ ვალდებულებებს კისრულობდა, რაც ქართლის გამგებლისათვის ან-გარიშგასაწევი იყო. [საფრანგეთის ელასტიური საგარეო პოლიტიკა საქართველოს მესვეურთა თანხმობის მოპოვებას მაინც არ ერიდებოდა. მიუხედავად ყოველივესი, კათოლიკურ სარწმუნოებას ნაზია-რები ქართლის მეფის ბიძა, სულხან-საბა ორბელიანი, ითვალისწინებდა რა ვახტანგ VI-ის გარკვეულ პოლიტიკურ კურსს, ვარაუდობდა, რომ XVIII ს. ათიანი წლებისათვის ვახტანგის მეთაურობით ქართულ სახელმწიფოს აღორძინებულ კულტურულ და პოლიტიკურ ძალთა განვითარება მხოლოდ და მხოლოდ კულტურულ ეკრობასთან კავშირში უნდა მომხდარიყო.] მით უმეტეს, რომ ირანში მყოფ ვახტანგისაგან ქართლის სამეფო კარხე მიღებული იყო ცნობები ირანის სახელ-მწიფოს დასუსტებისა და დაცემის შესახებ. ამიტომაც, როგორც ცნობილია, საბოლოოდ 1713 წ. ქართლში მომზადდა ელჩობა საბა-სულ-ხან ორბელიანის მეთაურობით, რომლის სულისჩამდგმელი ვახტანგ VI იყო. ეს ელჩობა, როგორც აღვნიშნეთ, საფრანგეთის მთავრობისათვის წინაშარი იყო ცნობილი, „რადგან მაღლისა და დიდად ქრისტიანს დიდებულს ფრანციის მეფეს ჩვენის მეფისათვის წიგნი მიუწერია, მე მისი პასუხის მოსატანად საფრანგეთს წამოველ“<sup>46</sup>, — იტყობინებოდა საბა ორბელიანი.

[სულხან-საბა ფრანგ მისიონერ რიშართან ერთად 1713 წ. აგვისტოში ქართლიდან იმერეთში გადავიდა, სადაც შეხვდა დასავლეთ საქართველოს კათალიკოსს გრიგოლს და ორმოცი დღე გაატარა მასთან. ცხადია, მათ გარკვეული გეგმა დასახეს საფრანგეთთან მომავალი ურთიერთობის დამყარებისათვის<sup>47</sup>.]

რიშარისავე ცნობით, კათალიკოს გრიგოლს განზრახული პქონია ჩერქეზეთამდე — იმერეთში, სამეგრელოსა და აფხაზეთში კათო-

<sup>45</sup> ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 63; ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 81.

<sup>46</sup> M. Brosset, op. cit. p. 334; მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა, გვ. 324—24.

<sup>47</sup> ც. ტაბაღუა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII ს. I მეოთხედი), 1972, თბ., გვ. 152.

ლიკობა გაეცრცელებინა. ] თავის მხრივ კი, ვახტანგი საფრანგეთში და მეფო კარს პირდებოდა, რომ იგი ყველ ღონეს იხმარდა, რათა ქართველოში ყველ ფრანგისათვის სასურველი მასპინძლობა გაეწია, თან იმასაც დასძენდა, რომ „რიშარი იხილავდა, თუ როგორ მალე და რანირად უნდა მომხდარიყო სპარსეთის სამეფოში საფრანგეთის სამეფო კომპანიის დაარსება“<sup>48</sup>.

როგორც ცნობილია, საქართველოდან ფრანგ მისიონერ უან რი-შართან ერთად გასული სულხან-საბა ჯერ რომში კლიმენტი XI-ს ეხლა და შემდეგ ლუი XIV-სთან წარსადგენად მოემზადა. ქართველმა ელჩმა საფრანგეთის იმპერატორს ვერსალში სპეციალური მემორანდუმი და საქართველოს რუკა წარუდგინა. მემორანდუმი პირველ პუნქტად მოითხოვდა ქართლის მეზობელ სამთავროთა — გურიის, იმერეთის, აფხაზეთ-სამეგრელოს გაკათოლიკებაში ხელის შეწყობას, ასევე ჩრდილო კავკასიის სხევ ქვეყნებში კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებას. სრულიად ცალკე პუნქტად იყო ჩამოყალიბებული საფრანგეთის ირან-თურქეთთან გაჭრობის საკითხი, სადაც პირდაპირ იყო ნათევამი, თუ როგორ უნდა გადასულიყვნენ საქართველოს გვლით შევი ზღვიდან ტრაპეზუნტის გილან-არზრუმში ფრანგი ნეგოციანტები და იქ აღმოსავლური საქონელი სარფიანად შეეძინათ<sup>49</sup>.

ამრიგად, საქართველოს პოლიტიკური მოღვაწენი ვახტანგ VI-ის შეთაურობით ცდილობდნენ საფრანგეთი ირანისა და თურქეთთან სავჭრო ურთიერთობის გაფართოებით დაეინტერესებინათ; არწმუნებდნენ, ფრანგი ვაჭრები სმირნამდეც კი მიაღწევენო.

გარდა ზემოთქმულისა, მემორანდუმში აღნიშნული იყო, რომ ქართული ელჩობა მოითხოვდა საფრანგეთის მთავრობისაგან 300 000 ლარს ფულად დახმარებას, რათა მოესყიდათ ირანის შაპის კარი და დაეხსნათ ქართლის მეფე მაპმადიანთა ტყვეობიდან. ვახტანგ VI და ქართველი პოლიტიკოსები განსაკუთრებით შაპის ყველაზე გავლენიანი ვეზირის ფათალი-ხანის მოსყიდვას ცდილობდნენ, რომელიც ცნობილი იყო უკიდურეს ქრთამის მოყვარულობით<sup>50</sup>. მისი მოქრობამვა მით უფრო ადვილისაშველობად მიაჩნდათ, რომ იგი ქართველებს ენთესავებოდა — სიძედ ქართველი ბატონიშვილი როსტომ-მირზა ჰყავდა.

საბა-სულხან ორბელიანის მიერ წარდგენილი რუკის მიხედვით, ფრანგი ნეგოციანტებისათვის გზა საფრანგეთიდან აღმოსავლეთისა-

48 ი. ტაბალუა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან, 1975, თბ., გვ. 129.

49 ი. ტაბალუა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა, 1972, გვ. 175.

50 ა. გამწერ ელია, მასალა ვახტანგ VI-ის ბიოგრაფიისათვის, მნათობი, 1957, № 12, გვ. 154.



კენ საქართველოს გავლით, სამი მეოთხედით მცირდებოდა, რაც, ცხენის აღმდეგობა და საფრანგეთის სახულმწიფოსათვის მეტად სახარბიელო და მნიშვნელოვანი იყო<sup>51</sup>.

აღსანიშვია, რომ მემორანდუმში პირდაპირ იყო ნათქვამი, თუ რა პრატიკული შედეგი უნდა მოჰყოლოდა კათოლიკობის გავრცელებას საქართველოში, როგორი სამხედრო ძლიერება უნდა შექმნილიყო ევროპის ქვეყნებში, რათა ირან-თურქეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური გავლენის დათრგუნვა მომხდარიყო. მემორანდუმში აღნიშნული იყო, რომ მარტო პოლიტიკურად გაერთიანებულ საქართველოს შეეძლო თვითონ „ასი ათასზე მეტი ცხენისანი თუ ქვეითი“<sup>52</sup> შეეყარა მთელი მაპმადიანური სამყაროს დასაპისრისპირებლად. მემორანდუმის სამხედრო გეგმა გულისხმობდა, აგრეთვე, საქართველოდან 15—20 ახალგაზრდის საფრანგეთში გაგზავნას<sup>53</sup>, რომელნიც გარუეული წერთნის შედეგად სამშობლოში დაბრუნდებოდნენ და ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სამხედრო სიძლიერის საფუძველზე საფრანგეთის მთავრობას გარკვეულ თანამშრომლობას გაუწევდნენ. აღმოსავლეთის ქვეყნებში მათ თავისი გეგმები უნდა განეხორციელებინათ: კავკასიის ნაწილების შეკავშირება ირან-ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ ქართლის პოლიტიკოსებისათვის, ვახტანგის შესვეურობით, საქართველოს საშინაო პოლიტიკის მოწესრიგებას, ფეოდალთა ძალაუფლების აღაგმვას, მეფე-მთავართა შეთანხმების მიღწევას განაპირობებდა და ქრისტიანული რწმენის დაცვით მაპმადიანობის გავრცელებას შეაფირხებდა. დასახული საკითხების სისრულეში მოყვანისათვის მემორანდუმის ავტორებს მიაჩნდათ, რომ საფრანგეთის მთავრობას სავაჭრო მოქმედების არე უფრო გაუფართოვდებოდა და ყველა ამ ღონისძიებათა შესრულების შედეგად შეიზღუდებოდა პოლანდიის სავაჭრო კონკურენცია ინდოეთში, შესუსტდებოდა პორტუგალიელთა გავლენა აღმოსავლეთში და დაითრგუნებოდა ინგლისის ვაჭრობა სამხრეთის ქვეყნებში. ამდენად, ირანი და თურქეთი საფრანგეთისადმი დამოკიდებულ ურთიერთობაში აღმოჩნდებოდნენ. ყოველივე ამის შედეგად, საფრანგეთი შეძლებდა აღმოსავლეთში და, კერძოდ, ინდოეთში შეძენილი საქონელი მთელს ევროპაში გაენაწილებინა<sup>54</sup>. ამის გამო, საქართველო საფრანგეთისათვის გადაიქცეოდა ირან-თურქეთის ურთიერთობაში სავაჭრო-სატრანზიტო პუნქტად. ქართველ დიპლომატთა მიერ დასახული საქართველოს როლი, ჩვენი ფიქრით, ერთგვარად გაზვიადებულად გამოიყურება,

51 ი. ტაბაღ უ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 219.

52 იქვე, გვ. 221—222.

53 იქვე, გვ. 225.

54 იქვე, გვ. 197—203.



თუ გავითვალისწინებთ იმ რეალურ გარეპოლიტიკურ სიტუაციას  
რომლის ატმოსფეროში ეს მოლაპარაკება წარმოებდა.

საინტერესოა, რომ საბას ელჩობის პერიოდში რიზაზში ჩავიდა  
ირანის ელჩი, ერევნის ქალანთარი მუჰამედ რიზა-ხანი, რომელიც  
დიდი ზარ-ზეიმით მიიღეს საიმპერატორო კარზე. ცხადია, მოჰამედ  
რიზა-ხანის ჩავლა მარტო მასი სურვილით არ მოხდებოდა, მას საფ-  
რანგეთის მთავრობისაგან ექნებოდა დასტური მიღებული.

ვ. გაბაშვილი ვარაუდობს, რომ „მოჰამედ რიზა-ხანის ელჩობა-  
მაც შეუშალა ხელი საბას დიპლომატიური მისის წარმოებას საფ-  
რანგეთში“<sup>55</sup>.

შესაძლებელია, მოჰამედ რიზა-ხანის ელჩობას ხელი არ შეუშლია  
ვახტანგ VI-ის საფრანგეთთან დიპლომატიური ურთიერთობის დამ-  
ყარებასა და საბას ელჩობისათვის, მაგრამ, ვფიქრობთ, მას გადამწყვე-  
ტი მნიშვნელობა არ ჰქონია. ც საბა-სულხან ორბელიანის ელჩობა,  
ისევე როგორც ერევნის ქალანთარის, თავიდანვე თითქოსდა უსაფუ-  
ძვლოდ გამოიყურებოდა. ფაქტიურად საფრანგეთის მთავრობა სულ-  
ხან ორბელიანის მიერ შემოთავაზებულ წინადადებაზე საბოლოო პა-  
სუხის გაცემის არ აპირებდა. 1715 წ. საფრანგეთიდან ყოველგვარი  
ნივთიერი დახმარების გარეშე ქართველი ელჩი სულხან-საბა ორბე-  
ლიანი სამშობლოში დაბრუნდა. მას ეკრიბიდან 12 კათოლიკე მღვდე-  
ლი გამოიყოლეს იმ შინნით, რომ ქართლის სამეფოში მყოფი კათო-  
ლიკე მღვდელის მეშვეობით გარკვეული საკათოლიკო-სამისიონერო  
საქმიანობას გააძლიერებდნენ. სხვა ნივთიერი და პოლიტიკური დახ-  
მარება ვერ გაუწიეს. ქართველების იმედი გაცრუებული აღმოჩნდა.  
მოსალოდნელი იყო, რომ საქართველოს დაცვის დროშით ევროპის  
სახელმწიფოები ირან-ოსმალეთთან საეჭრო-დიპლომატიურ ურთი-  
ერთობათა გამწვავებას მოერიდებოდნენ.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ  
„თუ... დასავლეთი პრაქტიკულ ნაბიჯს გადაღებამდა, ესე იგი ქართლის  
კარის შემოთავაზებულ გეგმას განახორციელებდა, მაშინ ვახტანგი  
აღმოსავლეთში საფრანგეთის მეფესა და რომის პაპის მტკიცე დასა-  
ყრდენი იქნებოდა, რის შემდეგ დაკონკრეტდებოდა საქართველო-  
საფრანგეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობის საკით-  
ხები“<sup>56</sup>.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ თავიდანვე ძალიან საეჭვო იყო დასავლეთის  
შევენებისა და, კერძოდ, საფრანგეთის შერივ პრაქტიკული ნაბიჯის  
გადაღების იმედიც კი, იმ საერთაშორისო პოლიტიკურ პირობებსა და  
გარემოში, რომელშიც თვით საფრანგეთი იმყოფებოდა. სავსებით

55 ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 74.

56 ვ. პაპაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 90.

გართალია ვ. გაბაშვილი, როდესაც ოლნიშნავს, რომ „ირან-საფრანგე-  
თას 1708 წ. საგაჭრო ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხი წერილი და  
ნასწარ გამორიცხავდა საბამ ელჩობის წარმატებას ლუი XIV-ის კარ-  
ზე“<sup>57</sup>. ყოველივე ამას, თან ერთვოდა, ერთი მხრივ, ინგლისთან, პო-  
ლანდიასა და პორტუგალიასთან დაპირისპირება, მეორე მხრივ, ირან-  
თურქეთთან ურთიერთობის გამწვავების შესაძლებლობა, რაც საფ-  
რანგეთის სამშერატორო კარისათვის სავსებით ცხადი უნდა ყოფი-  
ლიყო. საბამ ელჩობის შედეგი თითქოსდა ლოგიკური იყო. ამდენად,  
ვახტანგ VI-ისა და საბამ დიპლომატიური ნაბიჯი, რათა საქართველო  
ესნათ ირანის ვასალობისაგან და სამოქმედოდ საერთაშორისო პო-  
ლიტიკურ ასპარეზზე გამოეყვანათ, თავიდანვე განწირული იყო. სა-  
ერთაშორისო ვითარების შეფასება ქართველმა პოლიტიკოსებმა სათა-  
ნადოდ ვერ მოახდინეს.

ვახტანგ VI ირანში მყარად იდგა თავის პოზიციაზე, ქრისტიანო-  
ბის დაგმობასა და მაკმადიანობის მიღებაზე უარს აცხადებდა. მას  
მაინც ესახებოდა, რომ სრულიად ახლო მომავალში შეიძლებოდა გან-  
ხორციელებულიყო ევროპისთან პოლიტიკური ურთიერთობის დამყა-  
რების იდგა. მაგრამ ევროპის პოლიტიკურ მესვეურთათვის ირანისაღ-  
მი ვასალურ მდგომარეობაში მყოფი საქართველო არ წარმოადგენდა  
ისეთ მდიდარ საგაჭრო ნედლეულის შემქმნელ წყაროსა და მზა სა-  
ქონლის გასაღების ბაზარს, რომ თურქეთისა და ირანის საგაჭრო პო-  
ტენციალი შეეზღუდათ, რაც მნიშვნელოვანი იყო ევროპის ქვეყნები-  
სათვის. ყოველივე ეს კი, ფაქტიურად, ქართლის მეფის ევროპული  
პოლიტიკის მარტბს ნიშნავდა, ვინაიდან ევროპა აქტიურად ვერ ჩაე-  
რია აღმოსავლეთისა და მით უმეტეს, ქართლის პოლიტიკურ ცხოვ-  
რებაში. ვახტანგ VI იძულებული შეიქნა თავისი პოლიტიკური ხაზი  
ფორმალურად მაინც კვლავ შეეცვალა. იგი უფრო ელასტიური პო-  
ლიტიკის კომპრომისულ გზას დაადგა. მან 1716 წელს ფარაბაღში  
მაკმადიანობა მიიღო და ჰუსეინ ყული-ხანის სახელით მოინათლა. მაგ-  
რამ „მხოლოდ სიტყვით და არა საქმითაო“<sup>58</sup> — წერდა ვახუშტი ბა-  
გრატიონი.

შაქმა ვახტანგ VI-ს ქართლი დაუმტკიცა, ხოლო როგორც ჩი-  
ნებული მრჩეველი და გამორჩეული სპასალარი, ისევ ირანში დატო-  
ვა. ბარდა და თავრიზი სამშართველოდ გადასცა. ქართლის სამეფო  
ცაჟს ბაქარს ჩააბარა. ბაქარმაც მაკმადიანური სახელი შაპნავაზ-ხანი  
მიიღო. 1719 წლამდე ვახტანგი ქართლში არ დაბრუნებულა და  
ქართლს ბაქარი მართავდა.]

57 ვ. გაბაშვილი, ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, მას. საქ. და კავკ.  
ისტ., № 31, 1954, გვ. 125; მისივე, დასახ. ნაშრომი, გვ. 74.

58 ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 496.

ვახტანგისათვის, როგორც სახელმწიფო მოღვაწისათვის, კიდევ უფრო აქარა გახდა საქართველოს სამეფო-სამთავროთა გაუმრთებული ბის საჭიროება. ვახტანგმა შავის შემწეობით ორგული იქსე ალიყული-ხანი ბაქარს ხელთ ჩაგდებინა, ხოლო მან მოტავატე ბიძა თბილისის სასახლეში დამწყვდია<sup>59</sup>.

ბაქარი ორგულთა დასჯას შეუდგა. დაპატიმრა სპასპეტი ლუარ-საბ ორბელიშვილი, ერეკლე მუხრან-ბატონს თვალები დასთხარა და პაპუნა დიასამიდე ჩამოახრჩო. ამრიგად, ბაქარის მეთაურობით ქართლში ანტიირანული მოძრაობა იღდგა, ფაქტიურად რაც ვახტანგ VI-ის სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ხაზის გაგრძელება იყო. რაյო ევროპიდან რამე დახმარების მიღება თურქეთ-ირანის საწინააღმდეგოდ სრულიად არარეალური აღმოჩნდა, ვახტანგ VI-მ მთელი გულისყური ამიერკავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის საკითხის გადაჭრაზე გადაიტანა. ამ საკითხის გადაწყვეტისათვის მან სამშობლოში დაბრუნება ირჩია. ამას კიდევ კონკრეტული ფაქტიც დაერთო. თავის დროზე, შავის პოზიციის შეცვლამ ქართლის მეფისადმი გააძლიერა ლეკი აბრაგების შემოსევა ქართლისა და ამიერკავკასიის ტერიტორიაზე. „ლეკიანობა“, გარდა იმისა, რომ გვიანდეოდა-ლური საქართველოს კეონომიკის ერთ-ერთი გამანადგურებელი ფაქტორი იყო, იგი იქცა მთელი ირანის იმპერიის თითქმის ცველა ყმადნაფიცი ქვეყნისათვის დამთრგუნელ ძალად. ისიც გასათვალისწინებელია, რომ 1717 წ. 30 ივლისს ირან-რუსეთს შორის დადებულ საეპრო პოლიტიკურ ხელშეკრულებას რუსეთისათვის საიმედო ვერაფერი მოჰკონდა<sup>60</sup>, ვინაიდან ირანთან დაზავებით რუსეთს თურქეთთან საფრთხე უძლიერდებოდა. რუსეთის მთავრობას კი, თავის მხრივ, ანგარიში უნდა გაეწია თურქეთისათვის, ვინაიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვრების დაცვა მისი უვნებლობის ერთ-ერთი პირობა იყო.

#### 4. ვახტანგ VI-ის ლაშქრობანი ლეკი აპრაგვის ზინააღმდეგ და განჯის ალყა

1715 წლისათვის დადესტნის მხრიდან აბრაგი ლეკები თარეშია და ძარცვას თანდათან უფრო აძლიერებდნენ. აღმოსავლეთ ტერიტორიაზე შემოსული აბრაგ ლეკთა რაზმები არბევდნენ სოფლებსა და ქალაქებს, იტაცებდნენ ადამიანებს, ტყვევად ჰყიდნენ და მთელი მოსახლეობის სარჩო-საბადებელს აცამტვერებდნენ. დაღესტნელები კარგად იცნობდნენ ქართლის გზა-კვალს, განსაკუთრებით, არაგვის, ალა-

59 ს. ჩ ხ ი ძ ე, ქართლის ცხოვრება, თბ., 1913, გვ. 30.

60 Очерки истории СССР, Период феодализма, Россия в I четверти XVIII в., М., 1954, с. 603.

ზნის და ივრის ხეობათა ყველა ბილიკს. საქართველოსაც დაძრული ლეგიბი ფეოდალების ლტოლვის მხოლოდ კახეთის სამეფო იყავებოდა ამ მისის შესრულება კახეთს ძალზე გაუჭირდა და მთელი ამიერთ კავკასია საფრთხეში ჩავარდა. პირველ რიგში, საქართველო აღმოჩნდა მძიმე მდგომარეობაში.

1717 წ. ლეკ აბრაგათა თარეშმა უშუალოდ ქართლის მიწაცაც მიაღწია. „ლეკიანობა“ საერთო კავკასიურ პრობლემად იქცა ისინი შეესივნენ ქციის ხევსა და ბოლნისს. მათ წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლას აძხელებდა ქართლის ფეოდალური ბუნებისათვის დამახასიათებ ბელი შეუთანხმებლობა და ირანის შაპის მერყეობა. ლეკ აბრაგათა უსასრულო თარეში მახინჯ ფორმებს იღებდა და ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას კიდევ უფრო უკან სწევდა. ირანის სახელმწიფო მმართველობამ დაინახა, რომ მოზღვავებულ ლეკ-აბრაგებს ვერც მისი სამხედრო ძალები, ვერც აღრინდელი საქართველო გაუმკლავებოდა. და ვახტანგ VI სამშობლოში გამოგზავნა არსებული მდგომარეობის შესამსუბუქებლად. ვახტანგ VI-ც მიხვდა, რომ მისი პრაქტიკული ჩარევა და სამშობლოში დაბრუნება უკვი გადაუდებელი იყო. მა შემთხვევაში, ირანისა და ქართლის მეფის პოლიტიკური ხაზი ერთმანეთს ემთხვეოდა და ვახტანგ VI სრულიად შეგნებულად კომპრომისულ გზას დაადგა<sup>61</sup> მისი ჰეგემონობა ამიერკავკასიაში მსწრაფლ აღდგა.

1719 წ. გამაპებრიანებული ვახტანგ VI თბილსში მოვიდა. ქართველები ზეიმით შეხვდნენ სასურველ მეფეს და ერთგულება შემჰიცეს. ვახტანგი შეუდგა ქვეყნის შინაური საქმეების მოგვარებას. მან, პირველ რიგში, ორგული დასახვა<sup>62</sup> სომხითის მელიქი-ქამარ ბეგის ძე შეიპყრო და მოაცვლევინა. ბაგრატ ციციშვილი და პაპუნა ვეშაპისძე კი დომენტი კათალიკოსმა სიკვდილით დასჯისაგან იხსნა და ისინი ოსეთში გაყიდეს თხებზე<sup>63</sup>.

ოღანიშნავია, რომ სომეხი ისტორიკოსები და პირველწყაროები სწორედ ვახტანგის საქართველოში დაბრუნებას უკავშირებენ სომხური არმიის ჩამოყალიბების ფაქტს<sup>64</sup>. ვახტანგ VI კვლავ აღიარებულ იქნა ამიერკავკასიის ხალხთა გამაერთიანებელი ბრძოლის მებაირახტედ.

სომეხთა არქიელი მინას ფერვაზიანი რუსეთის სამპერატორო კარს ატყობინებდა: „...ახლა კი უფალმა წყალობით გადმოგვეხდა ქრისტიანებს და მოგვცა ჩვენი მწყემსი. ქართველმა პრინცმა ვახტანგმა, რომელიც მტრებისაგან ჩვენ დაცვას შეუდგა, დანარჩენი სომეხი ერი შექრიბა და თავისი ხელისუფლებისა და მფარველების ქვეშ

61 ვახტუ შტი ი ბაგ რატიონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 497.

62 გ. შავსურაძე, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა VIII ს. თბ., 1982, გვ. 203.

Ապացնացությունը Սոմերը Տէղուալուի կատարած հաւաքացիան են կազմութած Հայութաց մասունքները՝ ուղարկելով աշխատակատը, ինչը առաջարկվել է ի առաջարկը, ուղարկելով աշխատակատը:

Թ. Ապացությունը Սանհերեց կողմէու սահմանադրությունը համապատասխան առաջարկը կազմութած է աշխատակատը, ինչը առաջարկվել է կազմութած համապատասխան առաջարկը, ուղարկելով աշխատակատը:

Դաստիարակությունը կազմութած է աշխատակատը, ինչը առաջարկվել է կազմութած համապատասխան առաջարկը, ուղարկելով աշխատակատը:

Եվրոպական մատուցությունը կազմութած է աշխատակատը, ինչը առաջարկվել է կազմութած համապատասխան առաջարկը, ուղարկելով աշխատակատը:

Եվրոպական մատուցությունը կազմութած է աշխատակատը, ինչը առաջարկվել է կազմութած համապատասխան առաջարկը, ուղարկելով աշխատակատը:

Եվրոպական մատուցությունը կազմութած է աշխատակատը, ինչը առաջարկվել է կազմութած համապատասխան առաջարկը, ուղարկելով աշխատակատը:

Եվրոպական մատուցությունը կազմութած է աշխատակատը, ինչը առաջարկվել է կազմութած համապատասխան առաջարկը, ուղարկելով աշխատակատը:

63 Գ. Էզօվ, Ընաւայի աշխատակատը, 1898, գլ. 217, 218.

64 Պ. Արդյունական աշխատակատը, 1898, գլ. 217, 218.

65 Յ. Յանձնությունը, աշխատակատը, 1898, գլ. 111.

66 Վանական աշխատակատը, աշխատակատը, 1898, գլ. 498.

67 Ս. Բեհակե, Տէղուալու սահմանադրութած, 1913, գլ. 32.

68 Ռ. Շահումյան, „Ամառալան Տէղուալու սահմանադրութած”, Խոշուալու սահմանադրութած, 1913, գլ. 33, 1960, գլ. 148—158.

32



ვებთან წარმოებულ ბრძოლებში ვახტანგს გარდა დახმარებისა, ხელი მდღვანელობასაც სოხოვდა და უპირატეს მდგომარეობას ქართლს ამონი ჰერი ჰებდა, როგორც მტერთან ბრძოლის, ისე აღმოსავლეთთან ურთიერთობის წარმოების საკითხში. დავით იმამყული-ხანის ძმის, თეიმურაზ ბატონიშვილს (შემდეგ თეიმურაზ II-დ წოდებულს, რომელიც ვახტანგის სიძე იყო) სიმბრის პოზიცია დაუჭირია და ქართლში დარჩენილა. სწორედ მაშინ, როდესაც კახელებს ქართლთან ურთიერთობის აღდგენა დასჭირებით, დავით იმამყული-ხანს ვახტანგისათვის უთხოვია მისი სიძე და ქალიშვილი კახეთში დაებრუნებინა.

ლეკი აბრაგებით შევიწროებული კახელი გლეხეაცობა ქართლში შეხიზნულა. დავითი მათ აყრასა და უკან დაბრუნებას მოითხოვდა. დავითის თხოვნით, 1719 წ. დეკემბერს ქართლისა და კახეთის მეფეები საფურცლეს შეხვდნენ ერთმანეთს და ერთიანი საომარი გეგმა შეიმუშავეს. დავითი და კახი ეპისკოპოსნი რჩევა-დარიგებას ვახტანგისაგან იღებდნენ, თუ რა ხსიათის საომარი მოქმედება უნდა განხორციელებინათ. კახელები პირობას იძლეოდნენ, რომ ორც ბელადობას დაიჩირებდნენ, ორც დოვლათის გაყოფაში მოითხოვდნენ უპირატესობას. პირიქით, „მოვლას, ყარაულობას და სამსახურს“<sup>69</sup> სთავაზობდნენ ვახტანგ VI-ს. გაზაფხულისათვის ვახტანგმა კახთა ჯარს ერთ-ერთი სადროშოს—საბარათიანოს ლაშქარი მიაშველა ერასტი ყაფლანიშვილის მეთაურობით. ამ ჯარმა კახეთში 3 თვე დაპყო. დავითმა ლეკებზე გალაშქრება ვერ გაძედა და დამატებით დახმარება მოითხოვა ვახტანგისაგან. საბარათიანოს ჯარის დაბრუნების შემდეგ ქართლის ცენტრალურ ხელისუფლებას ვახტანგ VI-ს მეთაურობით აღარ ჩაუთვლია საჭიროდ კიდევ გაეგზავნა კახეთში მაშველი რაზმი. როგორც ჩანს, ვახტანგი დროებით ერიდებოდა თავისი სამხედრო ენერგიისა და მარაგის დახარჯებას<sup>70</sup>. იგი გარკვეულ დრომდე ზოგადდა თავის სამხედრო შესაძლებლობებს. გარდა ამისა, ვახტანგს ირც ის რჩებოდა მხედველობიდან, რომ აჯანყებული დავითი და შანშე ქსნის ერისთავი კახეთს აფარებდნენ თავს და ამით ეკვის ქვეშ აყენებდნენ დავით იმამყული-ხანის დამოკიდებულებას ვახტანგისადმი. კახი ბატონი ყოველმხრივ ცდილობდა ვახტანგი აქტიურად ჩაება ლეკ ფეოდალებთან ბრძოლებში. წაქეზებისათვის ხან შაპის მოწოდებას ატყობინებდა გაერთიანებული ბრძოლების შესახებ და ხან ირანის მბრძანებლისაგან ჯარის მიღებით იმედებდა მას<sup>71</sup>. შაპის, მართლაც, ქართველების საშველად შირვანის (აზერბაიჯანის) ხანი გაუგზავნია, მაგრამ შაქს მისულ ხანი ჭარელებს მოუკლავთ. საინტერესოა ის ფაქტი, რომ

<sup>69</sup> დ. მეგრელი ა. ძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 150.

<sup>70</sup> იქვე, გვ. 151.

<sup>71</sup> იქვე, გვ. 156.

შირვანის ხანიც ჩაება ამ ბრძოლებში და უველანი გაერთიანებულნი იყვნენ ვახტანგის დროშის ქვეშ. შაპი კატეგორიულად ითხოვდნა, რომ გაერთიანებულ ქართულ ჯარს აბრაგი ლეკები შეემუსრა. ლეკები ხუნს მიაღწენ.

ვახტანგ VI-მ თავისი ყურადღება მთლიანად ქვეყნის სამხედრო გამაგრებაზე გადაიტანა. ამ თვალსაზრისით მისი თაოსნობით 1721 წ. ოღურილ იქნა სომხით-საბარათიანო<sup>72</sup>.

ირანის ძმადნაფიცი მაპმადიანური სახანოები — შირვანის, ერევნის, ყარაბაღის, შემახის და კახეთის მმართველები ქართლის სამეფოს გაერთიანებულ ბრძოლებში. სამხედრო ხელმძღვანელობას ვახტანგს სთავაზობდნენ, თქვენის სიტყვის მომლოდინე ვართო<sup>73</sup>, ეუბნებოდნენ.

ლეკ აბრაგთა თარეში სენივით მოედო მთელ ამიერკავკასიას — აღმოსავლეთით სომხეთს, აზერბაიჯანს და საქართველოს. ამიერკავკასიის ხალხთა გაერთიანებულმა ძალებში ლეკების წინააღმდეგ ბრძოლებში მარცხი განიცადეს, მაგრამ ყველა ეს ქვეყანა თავის წინამძღოლად და იმედად მაინც ქართლის სამეფოს და მის მეთაურს თვლიდა. ლეკებს შირვანი დაჭირათ. შეშინებულ შაპს ეთიმადოვლეს ძმის მაპმად-ხანის მეთაურობით ყიზილბაშთა ჯარი გამოეგზავნა ლეკების წინააღმდეგ; მაგრამ საინტერესოა, რომ არც ეს მომენტი აქეზებდა ვახტანგს აქტიურად ჩარეულიყო ლეკებთან ბრძოლებში.

შექმნილი სიტუაციის გამო ვახტანგი ამ დროს თავის შეკავებას ამჯობინებდა. ვახტანგის პოლიტიკის ეს ხაზი გაუმართლებელი აღმოჩნდა, ვინაიდან ამიერკავკასიის სახანოების ურთიერთდამოკიდებულებისაღმი ანგარიშგაუწევლობამ მას, როგორც ვნახავთ, პოლიტიკური მოკავშირის არჩევანში გარკვეული მარცხი განაცდევინა. რუსეთის სახელმწიფოსგან სამხრეთ-აღმოსავლეთით დაინტერესებამ ვახტანგ VI-ს „რეალური“ მოკავშირე დაანახვა<sup>74</sup> და წაქეზებამ მასთან სამხედრო კავშირი დაემყარებინა<sup>75</sup>. ამ წაქეზებამ ვახტანგს ბრძოლის გეზი შეაცვლევინა. გამოთქმულია მოსაზრება, თითქოს „ვახტანგი გაძლიერებულ დალესტნელებში ირანის წინააღმდეგ მებრძოლ ძალას ხედავდა. დალესტნელთა წარმატება აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ირანის პოზიციებს შეასუსტებდა და ქართლის მეფის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებას ხელს შეუწყობდა“<sup>76</sup>.

72 ე. თაყაიშვილი, სტატისტ. ოღური, 1916, თბილისი.

73 Переписки грузинских царей с груз. гос-ми, გვ. 116; т. ბოტვინი, საქ. დალესტნის ურთიერთობის ისტორია, 1963, გვ. 17.

74 ნ. ბერძენიშვილი, „XVIII ს. საქართველოს ისტორიანი“. საქ. ისტორ. საკითხები, ტ. II, 1965, გვ. 153.

75 საქართველოს ისტორიის ნაჩვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 411.



ქართლს მეფემ არ მიიჩნია საჭიროდ ამიერკავკასიის სახანოებზე უკარგრავი  
დაყრდნობით თავი ეხსნა ირანის ვასალობისაგან, მიუხედავად აშიც შეკულტობის  
რომ მან იცოდა, ირანის იმპერიის არსებობას ბოლო ეღებოდა.

1721 წ. შემოდგომისათვის ლეკ აბრაგთა თარეშმა ისე იმატა,  
რომ სრულიად მოედო მაპმადიანურ სახანოებსა და მთელ ქანეთს. იშ-  
ლებოდა სოფლის მეურნეობა, უძლურდებოდა მწარმოებელი საზო-  
გადოება. თანდათან ძლიერდებოდა ავლინელების შეტევა ირანზეც.  
მირვეისის ქე შაპ მაპმუდს ისპაპანამდე მიეღწია და ირანის იმპერიის  
დამხობას აპირებდა ივლანელებითა და ლეკებით შეწუხებული ირა-  
ნი შეველს გახტანგ VI-საგან ითხოვდა, რას გამოც 1721 წ. ვახტანგს  
ოფიციალურად სამხრეთ აზერბაიჯანის სპასალარობა უბოძა. 1721 წ.  
შემოდგომისათვის ირანის შაპის მითითებისთანავე ვახტანგი ლეკების  
წინააღმდეგ მოწყობილ ექსპედიციაში ჩაეგა. ვახტანგს კოჯრის სა-  
ზაფხულო სასახლეში მიართვეს ყაენისაგან ბოძებული საპატიო ნი-  
შეგბი და სამხრეთ აზერბაიჯანის სპასაპეტობა. ქართლის მეფე დიდი  
ჯარით გაემართა განჯისაკენ, რომელიც ლეკთა მძარცველურმა რაზ-  
მებმა დაარბიეს. ვახტანგ VI-ც თვლიდა, რომ მოზღვავებულ ლეკ  
ფეოდალთა თარეშის წინააღმდეგ მახვილის აღმართვა ისევ ქართლის  
პირდაპირ ინტერესებს შეიცავდა. ქართულ ჯართან ერთად ამ ბრძო-  
ლებისათვის გაემზადა სომეხი კათალიკოსი ესაი ჯალალიანცი. სომეხ-  
თა რაზმის დახმარებით ქართველებმა ლეკებს ზეგამში, ბაზარში,  
შაქერსა და ბარდაში შეუტიეს და გამარჯვებულნი, ნაალაფიარნი  
განჯასთან დაბინავდნენ. ხელში ჩაგდებული რკინეულობა, ფარჩა,  
ტანსაცმელი, ცხენები ჩილაყის მინდორზე მოაგროვეს. გამარჯვებუ-  
ლი ვახტანგ VI-ის ნადავლში 25 000 თავი ცხვარი და 9 000 მსხვილი  
საქონელი დაითვლებოდა<sup>76</sup>. ვახტანგ VI გარეგნულად შაპის ბრძანებას  
სრულებდა, ირანის იმპერიის ჩრდილოეთით ყმაღნაფიცი ქვეყნების  
დაცვის მიზნით დალესტნელებზე იერიშის მიტანას არ ერიდებოდა,  
ამავე დროს მოხერხებულად უკავშირდებოდა ქართველების ე. წ.  
„აღდგომისა და გამოხსნის“ საქმეს. ქართველები ვახტანგ VI-ის მე-  
თაურობით „გამოხსნაში“ გულისხმობდნენ მაპმადიანი ქვეყნებისაგან  
თავის დაღწევას, ხოლო „აღდგომაში“ — საქართველოს ტერიტო-  
რიულ გერთიანებას ქრისტიანული ქვეყნების თანადგომით.

შეშინებულმა ლეკებმა, ერთი მხრივ, სრული კაპიტულაცია შეს-  
თავაზეს ვახტანგს, მეორე მხრივ, კი შაპის კარს მიმართეს<sup>77</sup>. ვახ-  
ტანგის გამარჯვების მოსურნე შაპის კარზე ძალიან ცოტა ვინმე აღ-  
მოჩნდა. ირანის შაპისათვის ცნობილი იყო, რომ ვახტანგ VI საიდუმ-

<sup>76</sup> ესაი ჯალალიანცი, ქართ. მეფის ვახტანგის მოსულა განჯას, „მო-  
გზაური“, 1902, № 1, გვ. 65—66.

<sup>77</sup> ვახტანგი ბაგრატიონი, ქართლის ცხოვრება, გვ. 498.



და მოლაპარაკების აწარმოებდა რუსეთთან და როგორც უმარტველეს ძლებლობა მიეცემოდა, ირანის ხელისუფლებას გადაუდებოდა. შაჰმა ვახტანგ VI-სთან ბევრა თოქალთოიანი მიავლინა და შეუთვალა ქართლის მეფეს, ლექების წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაზე უარი ეჯევა. შაჰს ჩაგონებული ჰქონდა ვახტანგის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი უპირატესობა და ესმოდა, რომ „თუ მეფე ვახტანგ ჭარი დაიჭირა, ქვეყანასაც ის დაიჭერს“<sup>78</sup>. შაჰმა ვახტანგ VI აიძულა ლეგებზე ორგანიზებულ ლაშქრობაზე უარი ეთქვა.

„ვახტანგი გასრუსდა კიდეც ლეკებს — წერს ჰანვეი — როდესაც მან ბრძანება მიიღო სამშობლოსაკენ გაბრუნებულიყო“<sup>79</sup>.

თვით ვახტანგს არც ქართველი თავადების იმედი ჰქონდა, რადგანაც ისინი ხშირად გადამწყვეტ მომენტში თავისი ინტერესების თვალსაზრისით მოქმედებდნენ და საერთო საქმისათვის მებრძოლ ქართლის მეფეს ლალატობდნენ. ვახტანგმა განჯის პირველ ლაშქრობაზე ხელი აიღო. იგი შაჰ ჰესეინის ბრძანებას დაემორჩილა და ქართული ჭარი განჯიდან უკან გაიწვია. ვახტანგმა სპარსეთის დესპანის თანდასწრებით სახაროდ დასჭრ ფიცი, რომ მას ამიერიდან ვერავითარი ძალა ვერ აიძულებდა შაჰის ბრძანებით სპარსეთის სახელმწიფოს დასახმარებლად რაიმე დავალება შეესრულებინა. ვახტანგმა ჭარი გაიყვანა და თბილისისაკენ გაბრუნდა, მტკიცე რწმენით, რომ თავის გადამწყვეტილებას არ გადაუხვევდა<sup>80</sup>. განჯის მისადგომებთან ლეკების დამარცხება და მათი საერთო შესუსტება აღმოსავლეთ საქართველოს თითქოს და დადი ხნის სიმშევიდეს უმზადებდა, მაგრამ ასე არ მოხდა.

1722 წ. სეფევიდების საბოლოო დამარცხებას წინ რთული და ხანგრძლივი ისტორიული პროცესი უძლოდა, მაგრამ ავღანთა სეფევიდებზე საბოლოო გამარჯვებაში, ქართლის მეფის პოზიციამაც, შესაძლებელია, გარკვეული როლი შეასრულა, თუმცა არაგადამწყვეტი, „ვახტანგმა თავისი ფიცი სისრულეში მოიყვანა“<sup>81</sup>. ვფიქრობთ, ვახტანგმა უკან დაიხია, არა მარტო შაჰის ბრძანების შესრულების მიზნით, არამედ იმის გამოც, რომ მას გარკვეული დასახული მოსაზრებანი ამოძრავებდნენ.

ვახტანგი ვარაუდობდა, რომ, მართალია, ლეკი აბრაგების დამარცხების შემდეგ ირანს დიდ დაბრკოლებას შეუქმნიდა, მაგრამ მაინც იგი ფარულად ელოდა, რომ მიიღებდა დახმარებას რუსეთიდან ზღვის გზით.

78 ს. ჩეეიძე, ქართლის ცხოვრება, თბ., 1913, გვ. 32—33; ვახტანგ მაგრატიონი, დასახ. ნაშრომი, იქვე.

79 გ. ხუბუ ა, ქართ. ირან. ურთერთობიდან, ენიმქის მ-ბე, V—VI, გვ. 254.

80 იქვე.

81 ა. გამწერელია, მასალა ვახტანგ VI-ის ბიოგრაფიისათვის 1712—1722 წწ. მნათობი, 1958, № 1, გვ. 162—163.

ვახტანგი ადვილად დათანხმდა განჯის ალყის მოხსნას იმ იმედით, რომ რუსეთთან უფრო მყარი პოლიტიკური კავშირის გაძლიერებისათვის ეზრუნა. თავისთავად კი, სრულიად აშკარა იყო, რომ რუსეთი თავის მხრივ ამიერკავკასიის და ლევების საკითხის გადაჭრაში ქართლის მეფეს პრეტიკულ თანაგრძნობას ვერ გაუწევდა, ვინაიდან ეს პოლიტიკური აქტი ირან-თურქეთისადმი დაპირისპირებას გამოიწვევდა.

თ. ბოცაძე სრულიად სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ვახტანგმა „ლევური“ საკითხის“ გადაჭრა შეუფარდა პეტრესულ გეგმებს., რის გამოც მოიშალა ლაშქრობა“<sup>82</sup>.

ქართველთა უკან დახვევამ კი სომეხთა გარკვეული გულისტკი-ვილი გამოიწვია: „ისინი (ე. ი. ქართველები) თავიანთ ადგილებში დაბრუნდნენ, ჩვენი ქვეყანა კი ისევ უპატრონოდ და უთავოდ დარჩაო“, წერდა ესაი ჰასან ჯალალიანცი.

აღმოსავლეთის საერთაშორისო მდგომარეობა კიდევ უფრო იძებებოდა. ირანის იმპერიის პოლიტიკური ბედი საბოლოოდ წყდებოდა. სეფევილების სახელმწიფოს მსხვრევა გამოწვეული იყო სამეფო კარის დასუსტებით, ევროპიდან ინდოეთისაკენ სავაჭრო-საქარავნო გზების გადანაცვლებით და ირანელი მწარმოებელი საზოგადოების განუსაზღვრელი ექსპლოატაციით.

ჩვენი ფიქრით, დიდ მნიშვნელობას იძენდა ის ფაქტი, რომ იმ-ხანად გაძლიერებული თურქეთი ყოველ მხრივ შეეცდებოდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთფავშირი შეეფერხებინა. თურქეთის აგრესიული პოლიტიკა ამიერკავკასიის მიმართ თანდათან ძლიერდებოდა, რაც რამდენიმე წელიწადში ცხადი გახდა.

## 5. ვახტანგ VI-ის ურთიერთობა რუსთავან XVIII ს. 20-იან წლებში

XVIII ს. 20-იანი წლების რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკის მთვარ მიზანს წარმოადგენდა ზღვებისაკენ გესასვლელი გზების ხელში ჩაგდება. ე. წ. „სპარსეთის ანუ აღმოსავლეთი ლაშქრობის“ საბოლოო მიზანი იყო კასპიის ზღვაზე გამატონება და ვილაგა-კასპიის მხარეთა დაბატრონება. ქართული ჯარი ამ ლაშქრობის უშუალო მონაწილე უნდა ყოფილიყო. ირანს, კავკასიის და მახლობელ აღმოსავლეთს შეეძლოთ საგარეო ბაზარზე გაეტანათ აბრეშუმის-ნედლეული, შალი, ბამბის ნაწარმი, ქსოვილები, სარებაეები, ლვინო, ხილი და სანელებლები. ყველა ამ საქონლით დაინტერესებული იყვნენ ევროპელები, თურქები და ბერძენ-სომეხი ვაჭრები, რომელთაც საქონელი გაჰქინდათ როგორც ხმელთაშუა ზღვით, ისე თურქეთის

82 თ. ბოცაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 137.

ნევსადგურებით. რუსეთის მთავრობა განსაკუთრებით დაინტერესებული  
კაბინის ზღვის რაიონებით — შემახით, გილანით და დარუჭებულებებით  
სადაც მაღალბარისხოვან აბრეშუმს აწარმოებდნენ. ჯერ კიდევ  
XVIII ს. 70-იანი წლებისათვის საიდუმლო მრჩეველი ფ. სოიმო-  
ნოვი ახასიათებდა რა პეტრე I-ის მიზნებს მიერეავგასიასა და კას-  
პიისპირეთში თავის გავლენის გავრცელების შესახებ, წერდა: „პეტ-  
რე I-ს უნდოდა მტკვრის შესართავზე საფუძველი ჩაიყარა დიდი სა-  
ვაჭრო ქალაქისათვის, სადაც თავს მოიყრიდა ქართველების, სომხე-  
ბის, სპარსელების ვაჭრობა და ძეედან გაგრძელდებოდა გზა ასტრახა-  
ნიმდე“<sup>83</sup>.

როგორც ცნობილია, ამ მიზნით 1715 წ. ირანში გაემგზავრა რუსი  
ელჩი ა. კოლინსკი, რომელსაც სავაჭრო ურთიერთობა უნდა დაემყა-  
რებინა რუსეთ-სპარსეთს შორის. რუსეთის დესპანს თან გაატანეს  
წაიდუმლო ინსტრუქცია, რომლის VIII—XII მუხლები საქართვე-  
ლოსთან ურთიერთობას ეხებოდა. კოლინსკის საგანგებოდ უნდა შეე-  
სწავლა ვახტანგის ტყვეობის საკითხი: სად იმყოფებოდა ტყვეობაში  
ქართველი ქრისტიანი ბატონიშვილი, იყო იგი მართლაც ქრისტიანი  
თუ არა და მასთან საიდუმლო კავშირი დაემყარებინა<sup>84</sup>.

კოლინსკიმ ცეველა დავალებული საკითხის გარდა შეისწავლა  
სპარსეთის სამხედრო შესაძლებლობანი და ქართლის გარის უბირა-  
ტესობის შესახებ რუსეთის სამეფო კარს აცნობა: „ვახტანგს შეუძლია  
გამოიყვანოს ბრძოლის ველზე 30-დან 40000-იანი გარი და მდენად  
ირწმუნება, რომ თუ თქვენი გარი საქართველოში შემოვა, მაშინ იგი  
თვისი გარით და თქვენი გარის დახმარებით ისპაპანამდე ჩაიგა“<sup>85</sup>.

კოლინსკი ქართლის სამეფოსთან ურთიერთობის დამყარების  
ვიწმე ფარსადან ბეგის საშუალებით ახერხებდა. ფარსადან ბეგის შე-  
შევეობით კოლინსკი საიდუმლოდ არცევდა რუსეთის მეფისგან —  
დავალებულ საკითხს, ვახტანგის დამოკიდებულებას ამ ლაშქრობას-  
თან, ირანის სამხედრო შესაძლებლობებს და სხვა<sup>86</sup>.

თვითონ ასტრახანის გუბერნატორი კი ქართული გარის შესახებ  
პეტრე I-ს ატყობინებდა: „მე მიმაჩნია, რომ მთელ სპარსეთში ცეველა-  
ზე უკეთესი ქართული გარია, რომელთა საშუალებით შესაძლებელია  
ბრძოლების გადატანა და სრულიად თამაბად მათთან ერთად უშიშრად  
მთელი სპარსეთის გადალახვა“<sup>87</sup>.

<sup>83</sup> Ф. И. Соймонов, Описание Каспийского моря, Ежемесячное со-  
чинение и известия о учёных делах, 1763, т. XI, с. 380.

<sup>84</sup> გ. ვაიჟა ე. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვეის  
(XVIII ს. I მეოთხ.), თბ., 1960, გვ. 67—68.

<sup>85</sup> ცევე, გვ. 77.

<sup>86</sup> ცევე, გვ. 69—72.

<sup>87</sup> ცევე, გვ. 80.

რუსეთის მთავრობის მიზანი იყო ხელთ ეგდო კასპიისპირეთის  
სავაჭრო პუნქტები და კასპიის ზღვის ნავსადგურები. გარდა ამისა ამავე პერიოდის  
სწადდა თავისი სამხრეთ-აღმოსავლეთ პოლიტიკური საზღვრის დაცვა  
ყოველგვარი თავდასხმისაგან. მიუხედავად იმისა, რომ ა. ვოლინსკი  
გარევეულ სიფრთხილეს იჩენდა და მოლაპარაკებას ფარსადან-ბეგის  
მეშვეობით აწარმოებდა, იგი აშკარად სთავაზობდა ვახტანგ VI-ს  
რუსეთის საიმპერატორო კარის მომავალ გეგმებში ჩაბმას, ხოლო ვახტანგიც,  
საკუთარი სახელმწიფოს დაცვის მიზნით, სამშობლოში უკვე  
რუსეთშე თრიინატაციის გარდაწყვეტილებით ბრუნდებოდა.

ამ დროისათვის ქართლის სამეფოში ვახტანგის საწინააღმდეგო  
ჯგუფი შიშით შეჰყურებდა რუსეთთან ურთიერთობის საკითხს. ირა-  
ნის იმპერიის მოსალოდნელი დაცემის შედეგად, თვითონ რუსეთს  
თურქეთის მხრიდან დიდი საფრთხე უჩნდებოდა. ქართველ მოლვაშე-  
თა ვარკვეულ ნაწილს აფიქრებდა საერთაშორისო ვითარების დაძაბვა,  
რის გამოც საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვებას ვერ მოახერ-  
ხებდა<sup>88</sup>.

მომდლავრებული თურქეთი თავის მხრივ, დაბეჭითებით სთავა-  
ზობდა საქართველოს მფარველობას. იგი იბრაჟიმ არზრუმის ფაშას  
პირით ვახტანგ VI-ს თავის მეგობრობას უთვლიდა და სრულ უვნე-  
ბლობას ჰპირდებოდა. სულთანი ვახტანგ VI-ს წინადადებას აძლევდა  
ირანის წინააღმდეგ ოშში ჩაბმულიყო, სამაგიეროდ კი თურქეთის ტე-  
რიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის განთავისუფლებას აღუთქვამ-  
და<sup>89</sup>. თურქეთის მისწრაფება ქართლის და მთელი ამიერ- და იმიერ-  
კავკასიის თავის გავლენის შვეულისაკენ, მას პირველ რიგში  
რუსეთთან და შემდეგ ირანთან ურთიერთობის საკითხს მოუგვარებდა  
და მისი სავაჭრო-პოლიტიკური გავლენის სფეროს გააფართოებდა.  
თურქეთი ცდილობდა რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ საზღვრებს  
თვითონ დამეზობლებოდა. ვახტანგ VI სულთნის შემოთავაზებულ წი-  
ნადადებაზე უარყოფით პასუხს იძლეოდა და დიპლომატიურად აცხა-  
დებდა, რომ „მას ირანის შაპის დალატი არ უნდა“<sup>90</sup>.

ვახტანგი ბაგრატიონი აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ვახ-  
ტანგს სულთანი არზრუმის ფაშის საშუალებით წინადადებას აძლევდა,  
მასთან მოკავშირეობა დაემყარებინა<sup>91</sup>. ასეთ მძიმე პოლიტიკურ ვი-  
თარებაში ქართლის მეფეს მოკავშირე უნდა აერჩის. სასწორმა, რო-

88 ღ. გურამიშვილი, დავითიანი, თბ., 1955, გვ. 55—57; ივ. გავახი-  
შვერი, დამოუკიდებულება რუსეთ-საქართველოს შორის XVIII ს., თბ., 1919,  
გვ. 8.

89 М. Броссе, Переписка на иностранных языках грузинских царей  
с росс. государями. Спб., 1861, с. 92.

90 გ. პაიპაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 92.

გორც ზევით იყო აღნიშნული, რუსეთისაკენ გადასძლია. დასავლელ  
და აღმოსავლელ დიპლომატთათვის კი უკვე ცნობილი იყო მაგრამ მეტა  
თის სახელმწიფო ზრახვანი. სულთანი ქართლში ჯარის შეყვანას ლა-  
მობდა<sup>91</sup>.

თავის მხრივ, ვახტანგ VI საომარი მოქმედებისათვის ემზადებოდა  
და ამ სამზადისის შესახებ ასტრახანის გუბერნატორს ა. ვოლინსკის  
ატყობინებდა. ა. ვოლინსკის კი რუსეთის საიმპერატორო კარისაგან  
დავალებული ჰქონდა, შეემზადებინა ქართლის მეფე, რომ იგი „სა-  
ჭიროების შემთხვევაში სანდო ყოფილიყო“<sup>92</sup>.

ქართლის მეფე შეემზილ ვითარებას პეტრე I-ს ატყობინებდა და  
გზავნიდა მასთან ბაადურ თურქესტანიშვილს, რომელიც კარგად იყო  
გარკვეული არსებულ ვითარებაში; უთვლიდა პეტრე I-ს, რომ ავგის-  
ტოს 20-იან რიცხვებში განვაში აპირებდა ქართული ჯარის ჩაყვანას,  
სომხებთან დაკავშირებას და რუსეთისაგან დახმარებას ელოდა<sup>93</sup>.

მაგრამ, მანამ განჯის დაცვის საკითხი დღის წესრიგში დადგებოდა  
და განჯის ხანთან მოლაპარაკება დაიწყებოდა, ვახტანგს მთელი ერთ  
წლის განმავლობაში პეტრე I-თან დიპლომატიური ურთიერთობა  
ჰქონდა გაბმული. კონკრეტული შეთანხმება, რომელიც რუსეთის იმ-  
პერატორს ვახტანგთან ჰქონდა ჩამოყალიბებული, 1721 წ. ვახტანგის  
პასუხიდან სავსებით ცხადად ჩანს. ქართლის მეფე პეტრე I-ს სწერ-  
და: „Мы сговорились письменно с предводителем Вашего войска  
и переговорили с ним, о том как вести и свершить дело“<sup>94</sup>.

ქართული ჯარი სანაქებოდ ითვლებოდა. მთელ სპარსეთში თუ  
ყმადნაფიც ქვეყნებში მსგავსი ლაშქარი არც ერთ ერს არ გააჩნდა.  
თვითონ ა. ვოლინსკი ქართული ჯარის შესახებ ატყობინებდა, რომ  
ირანის ჯარს სამჯერ ალებულს ერთად სჯობდა<sup>95</sup>.

ქართლის მეფეს ვახტანგ VI-ს, თავის მხრივ, ფართო, ზოგადი გეგ-  
მები ამოძრავებდა, როდესაც რუსეთის მოკავშირეობას უპირატესო-  
ბას აძლევდა. საქართველო უნდა განთავისუფლებულიყო ირანის ჩა-  
გრისაგან, თურქეთის მხრიდან თავდასხმები აეცდინა, მოეხერხებინა  
ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანება, შეენელებინა დინასტიური შუ-  
ღლი, მოესპო ქრისტიანული რელიგიის დევნა და შედარებით უკეთე-  
სი პირობა შეექმნა ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის.

ავღანელთაგან შევიწროებული ირანის შაპი კი ქართლის სამე-  
ფოში ხედადა ძლიერ დასაყრდენს. იგი ჩაფარს ჩაფარზე უგზავნიდა

<sup>91</sup> ვახტანგი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 499.

<sup>92</sup> გ. პაიჭაძე, დასახლებული ნაშრომი, გვ. 91.

<sup>93</sup> М. Броссе, დასახ. ნაშ., გვ. 40.

<sup>94</sup> გ. პაიჭაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 88.

<sup>95</sup> იქვე, გვ. 91.

ვახტანგ VI-ს და მისგან დახმარებას ელოდა: მის წასაჭაზებლად, რომ გორც აღვნიშნეთ, ირანის მძრდანებელი მაქ აზერბაიჯანის სპასალუ კურივალი რობას უმტკიცებდა<sup>96</sup>. ვახტანგ VI კი, რუსეთის საიმპერატორო კარი-საგან დაიმედებული ირანის სახელმწიფოს დახმარებას არ კისრულობდა. შაპის ამ განხრახვას თავისი მზაკვრული სარჩული ედო საფუძვლად. ერთი მხრივ, შაპი ვახტანგს ქრთამავდა დაწინაურებით, ძაგრამ ამავე დროს კახეთის მმართველ კონსტანტინე მამალული-ხანს კახეთს უტოვებდა სამშართველოდ, რათა ქართლისა და ყაზახ შამ-შალილისაკენ გზა გაეკაფა. შაპი კონსტანტინეს ერთგულებაში დარწმუნებული იყო, ხოლო ვახტანგ VI-ის გაერთგულება და ამოქმედება აშკარად თავისი ხელისუფლების შენარჩუნებისათვის უნდოდა. რაც შეეხება ვახტანგ VI-ს, იგი რუსეთის საიმპერატორო კარს უკვე სავაჟებით დაკონკრეტებულ მოთხოვნებს უყენებდა. ის ითხოვდა, რომ მდ. თერგის შესართავთან აეგო ციხე-სიმაგრეები, ხელთ ეგდო დერბენდ-შემახა და საქართველოში რუსული ჯარი შეეყვანა. თავის მხრივ კი, ქართლის მეფე რუსეთის მთავრობას პირდებოდა, რომ დაეხმარებოდა 40 000 მეომრით, რომელსაც გაგზავნიდა თავის საზღვრებს გარე<sup>97</sup>.

ამრიგად, გარკვეული შეთანხმება ამ ორ ხელისუფალს შორის თითქოსდა მოხერხდა.

სანამ ე. წ. „სპარსეთის ანუ კასპიისპირეთის“ ლაშქრობა<sup>98</sup> მზად-დებოდა, რუსეთისა და ინგლისის პოლიტიკური ინტერესები კიდევ უფრო მძლავრად ინასკვებოდა კონსტანტინოპოლიში. ევროპელი დიპლომატები ამტკიცებდნენ, რომ რუსეთი აპირებს ირანის, სომხეთისა და საქართველოს დაპყრობას, ხოლო ამის შემდეგ კონსტანტინოპოლიშე გალაშქრებას. საქართველო, ცხადია, ამ პოლიტიკურ ქსელში გაბმისათვის სრულიად მოუმზადებელი იყო და მისი ბედიც მისი მონაწილეობის გარეშე უნდა გადაწყვეტილიყო.

აღმოჩნდა, რომ საერთაშორისო ვითარება, რომელიც შეიქმნა, ერთი მხრივ, საფრანგეთ-რუსეთსა და, მეორე მხრივ, ინგლის-თურქეთის დაპირისპირებით, ვახტანგს ბოლომდე არ ჰქონდა გათვალისწინებული.

ჯერ კიდევ 1721 წ. აგვისტოში დაღესტნელ ფეოდალთა — დავით ბეგისა და სურხაის აჯანყება ირანის ხელისუფლების წინააღმდეგ საბედისწერო შეიქმნა. მათ თავი ოსმალეთის ქვეშევრდომებად გამოაცხადეს. შეესინ შემახას, დასწევს და დიდი ზარალი მიაყენეს.

<sup>96</sup> М. Б р о с с е, დასახ. ნაშრომი., გვ. 180.

<sup>97</sup> Очерки истории СССР XVIII в., I ч., М., 1954, с. 606.

<sup>98</sup> გ. პაიჭაძე ამ ლაშქრობას „კასპიისპირეთის ლაშქრობას“ უწოდებს, რაც სრულიად მისალებია. დასახ. ნაშრომი., 1970, თბ., გვ. 39.

Шемахин с апостолом Фарисеем и апостолом Петром. На 50 000 человек в Гяндже было 20 000 христиан. Согласно Азизиеву, в Гяндже было 20 000 христиан в 1722 году. Важно отметить, что в Гяндже было 20 000 христиан в 1722 году. Важно отметить, что в Гяндже было 20 000 христиан в 1722 году. Важно отметить, что в Гяндже было 20 000 христиан в 1722 году.

В 1722 году в Гяндже было 20 000 христиан в 1722 году. Важно отметить, что в Гяндже было 20 000 христиан в 1722 году. Важно отметить, что в Гяндже было 20 000 христиан в 1722 году. Важно отметить, что в Гяндже было 20 000 христиан в 1722 году.

В 1722 году в Гяндже было 20 000 христиан в 1722 году. Важно отметить, что в Гяндже было 20 000 христиан в 1722 году. Важно отметить, что в Гяндже было 20 000 христиан в 1722 году. Важно отметить, что в Гяндже было 20 000 христиан в 1722 году.

99 گ. ڈاکٹر ڈیوڈ، ڈالاس کے بائیکارم، ص 92.

100 П. Бутков, Материалы для новой и старой Кавказской истории с 1722 по 1803 г. ч. I, СПб., 1869, с. 16.

101 о. Григорий, Гаврилович Григорьев, Сборник памятников русской литературы XVIII века, т. 1, № 1, 1976, с. 242.



ჯართან ერთად — შემახა<sup>102</sup>. ა. ვოლინსკის კი დაევალა ვახტანგ VI-ის გამზღვებინა საომრად გამზადება<sup>103</sup>.

მიღოთ თუ არა ვახტანგ VI-მ ცნობა ერანის ყმაღნაფიც ქვეყნებში რუსი ჯარის შესვლის შესახებ, მაშინვე 30 000-იანი ქართული და 8 000-იანი სომხური ჯარით განჯისაკენ გაემართა, რათა რუს ლაშქრთან ერთად ერევნისაკენ დაძრულიყო. ცნობილია, რომ ქართლის სამეფო კარზე საპირისპირო პოლიტიკური მოსაზრებაც გაჩნდა, რომელიც ვახტანგ VI-ის გადაწყვეტილების არ იზიარებდა და რუსეთთან მოკავშირეობის წინააღმდეგი იყო. დავით გურამიშვილმა დარბაზის წარმომადგენელთა პოზიცია ნათლად შეაფასა:

სამი ვეშაპი ერთ ლომსა, აშ, ვითარ მიეთვისება?  
მეღვა სძრახეიღნენ, იტყოდენ ეგე ვითარსა გმობასა.

სამს ღიდს ხელმშიფეს პირს აძლევს, სამგან იყეთებს ყმობასა!  
ჟევნის სპასალარია, თავს ირქვამს მის რაყმობასა!

რუსთ ხელმშიდესთან მამაობა, ხევანთქართან ჩემობს ძმობასა<sup>104</sup>.

დ. გურამიშვილის ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის ეს პოეტური შეფასება მოთლად ზუსტი არ იყო. ვახტანგ VI-ს ისეთი დიპლომატია რომ გამოეჩინა და მართლაც ირანის, თურქეთისა და რუსეთისათვის მოჩერენებითი ერთგულება თანაბრად გამოემდევნებინა და ისინი თავის ერთგულებაში დაეიმედებინა, მაშინ, შესაძლებელია, გარდვეული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მოეპოვებინა კიდეც საქართველოსათვის. ჩვენი ვარაუდით, ვახტანგის დიპლომატიური სისურე სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ მან თავისი პოლიტიკური პოზიცია არ დამალა და რუსეთის საიმპერატორო კარისადმი ნდობა ირანისა და თურქეთისათვის სააშკარაო გახადს. თუ იგი საგარეო პოლიტიკას სრულიად გაითვალისწინებდა, დაინახევდა, რომ ამის საბაზი არ ჰქონდა.

დავით გურამიშვილი თავისი პოემის 213 სტროფში პირდაპირ აცხადებს:

მესამე კიდევ მოიშა, ორი საბეჭი თავს ება,  
სამი ვეშაპი ერთ ლომსა აშ, ვითარ მოეთვისება.

პოეტის ეს წინასწარმეტყველება მოთლად უსაფუძვლო არ იყო. ვახტანგი განჯაში იდგა, როდესაც, როგორც ცნობილია, სრულიად მოულოდნელი ამბები დატრიალდა. რუსი ჯარი მცს ვერ შემო-

<sup>102</sup> Очерки истории СССР XVIII в., 1954, с. 608.

<sup>103</sup> გ. პაიკაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 88—89.

<sup>104</sup> დ. გურამიშვილი, დასახ. ნაშრომი, სტ. 214.

ეგება. აგვისტოს ბოლოსათვის რუსეთის ფლოტილია ქარიშხალმა გადა  
ანადგურა. ამ ვითარების მომიზეზებით 1722 წ. სექტემბერში ჩატურის  
მთავრობამ მოშალა „კასპიისპირეთის ლაშქრობა“ და ქარი ასტრახა-  
ნისკენ გაიწვია<sup>105</sup>. ვახტანგის განზრახვა, რომ რუსეთზე დიყრდნო-  
ბით ირანის გასაღური დამოკიდებულებიდან თავი დაეღწია, განუ-  
ხორციელებელი დარჩა.

ო. მარკოვა წერდა: „პეტრე კავკასიიდან წავიდა, რაღან თავს არი-  
დებდა თურქეთის ნაადრევ ომს“<sup>106</sup>.

უფრო ქვევით ო. მარკოვა აღნიშნავს: „რუსეთმა თავი შეივავა  
დამოკიდებელი მოქმედებისაგან იმის გამო, რომ ქართლის მეფე  
მერყეობდა და საქმაო დასაყრდენი ძალა არ გააჩნდა“. გარდა ამისა,  
აგრძელებს ო. მარკოვა: „პეტრე I-ის გაუბედაობა განპირობებული  
იყო საქართველოს რთული ურთიერთობით ირანთან და თურქეთ-  
თან“<sup>107</sup>.

ყველა ეს მიზეზი მართლაც არსებობდა, მაგრამ მაშინ პეტრე  
I-ის ამ ლაშქრობის წამოწყება და დერბენდში ჩასვლა ასევე შეიძ-  
ლება ჩავთვალოთ რუსული საიმპერატორო კარის დიპლომატიის წი-  
ნასწარ გაუთვალისწინებლობად, რასაც მოჰყვა ის, რომ ვახტანგ VI  
შეცდომაში შევიდა. ვახტანგი, როგორც გამოირკვა, რუსეთის პოზი-  
ციაში არ იყო ბოლომდე გარკვეული. მან არ გაითვალისწინა, რომ  
ირანი და რუსეთი შეიძლებოდა უკვე შეთანხმებული ყოფილიყვნენ  
კასპიისპირეთში თავიანთი გავლენის მონაწილეობაზე. ამის შესახებ  
„არც ვახტანგმა და არც მელიქებმა არაფერი იცოდნენ“<sup>108</sup>.

ამჯერად ვახტანგის პოზიცია, ერთი შეხედვით, გამართლებული  
იყო, მაგრამ ამას უფრო ლრმად სჭირდებოდა განკვრეტა, რაც ვერც  
ქართლის მეფემ და ვერც ქართველმა მოწინავე პოლიტიკურმა სა-  
ზოგადოებამ წინასწარ ვერ გაითვალისწინა. ქართლის სამეცო მეტად  
მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა; თუ მან ირანის შაპისაგან თავი  
გაინთავისუფლა, სამავისეროდ, თურქეთის ხონთქრისაგან მიიღო მუ-  
ქარა და კახი ბატონი მამაღყული-ხანი საბოლოოდ აიმხედრა.

ვახტანგ VI და სომეხი პატრიარქი ისაი ორი თვე ელოდნენ შე-  
მახაზე ლაშქრობის ბრძანებას. ვახტანგ VI პეტრე I-ს წერილს წერილ-  
ზე უგზავნიდა და თავის სამსახურს სთავაზობდა, ხოლო შაპის მო-  
წოდებაზე ლაშქრის შეყრის შესახებ უარით პასუხობდა. ვახტანგი  
რუსეთში მყოფ საქართველოს დესპანს ბაადურ თურქესტანიშვილს

105 О. Маркова, Закавказье и международные отношения в XVIII в., М., 1966, с. 27; ვ. პაიჭაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 98—99.

106 О. Маркова, დასახ. ნაშრომი, გვ. 27.

107 იქვე, გვ. 104.

108 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1973, ტ. IV, გვ. 423.



ატყობინებდა, რომ კახეთის გადმოპირება ქრისტიანთა მხარეზე მდგრადი შემთხვევაში განვითარდა შესაძლებელი, თუ რუსეთი რეალურ ზომების მიიღებს.

დაღესტნელების მოძრაობა, როგორც მოსალოდნელი იყო, შე-ქმნილი მძაფრი სიტუაციის გამო, კიდევ უფრო გაძლიერდა, ხოლო რუსეთის ხელისუფლებამ თავისი დიპლომატიის გეზი მთლიანად შეცვალა. რუსეთის საიმპერატორო კარის ინტერესებმა საბოლოოდ სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ გადაინაცვლეს. როგორც აღვნიშნეთ, რუსმა ჯარმა დატოვა დერბენიდან და ატრახანში აღმოჩნდა, ხოლო 1722 წ. დეკემბერს პეტრე I მოსკოვს დაბრუნდა.

ივ. ჯავახიშვილი წერს, რომ პეტრე I-ს სპარსეთსა და კასპიის სანაპიროთა ეკონომიკური დამორჩილების დროს თავისი გეგმების „იდუმალი მიზნის აღსასრულებლად საქართველოდან სამხედრო დახმარება უნდა მიეღო. ეს დიპლომატიური ხერხი ვახტანგმა და ქართლის სამეფოს გავლენიანმა წრებმა სინამდვილედ მიიჩნიეს“<sup>109</sup>. აქ ივ. ჯავახიშვილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ვახტანგ VI-ის პოზიცის ოსმალეთისადმი. მართლაც, ჩვენთვის ცნობილია, რომ სანამ პეტრე I ვახტანგ VI-ს საბედისწერო ნაბიჯს გადაადგმევინებდა, ოსმალეთის ხელისუფლება არზრუმის ფაშას პირით ქართლის მეფეს მფარველობას პირდებოდა<sup>110</sup>. მას რუსეთის ოში ირანის წინა-აღმდეგ მონაწილეობა არ უნდა მიეღო და რუსეთი აშკარად არ უნდა მიმხრობოდა. ივ. ჯავახიშვილი წერს, რომ ვინაიდან ოსმალეთმა დაინახა, რომ რუსეთი ირანის დაპყრობას ლამობდა და ქართველებიც მათი მოკავშირენი იყვნენ, მთელი საქართველო დაიპყრო<sup>111</sup>.

ერთი შეხედვით, მართლაც, ქართლის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოღვაწენი ვახტანგ VI-ს მეთაურობით, კარგად ხედავდნენ, თუ როგორ იყო შეწუხებული და შევიწროებული მათი სამშობლო საუკუნეების მანძილზე მაპმადიანურ სახელმწიფოთა პოლიტიკური და იდეოლოგიური შემოტევისაგან. ამდენად, მათი არჩევანი თითქოს ბუნებრივი იყო, მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რა საშინელი პოლიტიკური და სოციალური უკულმართობა მოჰყევა ამ არჩევანს „ოსმალობისა“ და შემდეგ „ყიზილბაშობის“ სახით, რამაც ქართული სახელმწიფოებრივი წყობა თითქმის კატასტროფის წინაშე დაყენა, მაშინ ვახტანგ VI-ის პოლიტიკა უმართებულოდ უნდა მივიჩნიოთ.

<sup>109</sup> ივ. ჯავახიშვილი, დამოიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII ს., თბ., 1919, გვ. 7.

<sup>110</sup> П. Бутков, Материалы для истории Кавказа, т. I, с. 32.

<sup>111</sup> ივ. ჯავახიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

საინტერესოა, რომ რუსმა ისტორიკოსებმა დაამახინჯეს ისტორიულ ფაქტთა მიმდინარეობა და ოღნიშნეს: „ქართლის მეფევაგონებულენჯ VI-მ, რომელმაც სპარსეთის იძულებით მაპმაღიანობა მიიღო, უშუალოდ დაუკავშირდა პეტრე I-ს და დაპირდა 40-ათასიან ჯარს რუსეთს მიაშევდებიდა. მაგრამ საქართველოსი და სომხეთის დამარცხით სარგებლობა რუსეთს ვერ მოუხერხდათ“<sup>112</sup>.

ისტორიული სინამდევილის ასეთი ინტერპრეტაციის წინააღმდეგ ვერ კიდევ 1940 წ. ს. ჯანაშიამ გაილაშქრა: „მცდარადა წარმოდგენილი პეტრე I-ისა და ვახტანგ VI-ის ურთიერთდამკიდებულების ისტორია. არა ვახტანგმა მიმართა დახმარებისათვის პეტრე I-ს, არა მედ პეტრემ ჩაითრია ვახტანგი სპარსეთის ლაშქრობაში. არ არის სწორი იმის მტკიცება, რომ თითქოს საქართველოს რუსულ ჯარს დახმარების მიღება ვერ მოუხერხდა. პეტრე I-მა უმოწყალოდ დასტოვა თავისი კავკასიელი მოკავშირეები ბეჭის ანაბარა“<sup>113</sup>.

მართალია, პეტრე I-მა, როგორც ფეოდალური სახელმწიფოს მეთაურმა, თავისი სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისად იმოქმედა და თავის ინტერესებს ქართლის სამეფო შესწირა, მაგრამ „ფეოდალურ სამყაროში ასე იქცეოდა ყოველი პოლიტიკისი, ისე რომ მუხანათობა სიწითლეს არ ჰვერიდა“<sup>114</sup> — წერდა ი. ცინცაძე.

მიუხედავად იმისა, რომ „კასპიისპირეთის ლაშქრობა“ განუხორციელებელი შეიქმნა, პეტრე I ქართველ მეფეს იმედის სხივს მაინც უტოვებდა: „წამოწყებულ საქმეს ჩვენ უყურადღებოდ არ დავტოვებთ“<sup>115</sup>, უთვლიდა პეტრე I ვახტანგს.

შექმნილი სიტუაციის გამო თურქეთი კიდევ უფრო აჩქარებდა თავისი ჯარის თავმოყრის ქართლის საზღვრებთან. პეტრე I-მა საბოლოოდ მოშალა „კასპიისპირეთის ლაშქრობა“ და ჯარი მთლიანი გაიყვანა აღმოსავლეთ კავკასიის ტერიტორიიდან. ვახტანგ მეფის ოცნებები ერთიანად დაიმსხვრნენ. მიუხედავად განჯის ალყის მოშლისა, ვახტანგ VI იძულებული იყო გაეგრძელებინა ბრძოლები ყაზახში დარჩენილი ლეკების წინააღმდეგ. ეს შემთხვევითი არ იყო, ვინაიდან რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა კასპიისპირეთში თურქეთის გაბატონება არ დაესვა და ვახტანგის საშუალებით გამართა მოლიარებება ირანის ელჩთან. რუსეთის სამეფო კარი ყოველმხრივ ცდილობდა ირანთან და საქართველოსთან საერთო პოლიტიკური ენა გამოენახა გაძლიერებული თურქეთის წინააღმდეგ. ვახტანგი, თავის მხრივ, ატ-

<sup>112</sup> История СССР, т. I, 1940, с. 621—622.

<sup>113</sup> С. Н. Джанашия, «Историк марксист», 1940, № 12, с. 141—149.

<sup>114</sup> ი. ცინცაძე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, ისტ. ინსტ. მიმომხილველი, ტ. III, 1953, გვ. 95.

<sup>115</sup> Материалы для истории русского флота, ч. V, № 166, с. 932.



ყობინებდა პეტრე I-ს, ირანის ელჩი იმ პირობით წავიდოდა რუსეფერთვაზე  
ში, თუ რუსეთის ჭარი ჩავიდოდა გილანში.

მ. პაპაშვილი შიიჩნევს, რომ რუსეთში გაგზავნილმა ირანის ელ-  
ჩმა გილანში ბრძანება მიიღო უკან დაბრუნებულიყო და არ ეთხოვა  
სამხედრო დამმარება<sup>116</sup>.

ამდენად, ირანის დათანხმება შეუძლებელი გახდა. ვახტანგის ვა-  
რაუდი კი სწორი იყო, ვინაიდან ახალი შაპის თამაზის და რუსეთის  
საიმპერატორო კარის შეთანხმება საქართველოსათვის მოსალოდნელი  
თურქეთის აგრძელის შესასუსტებლა.

ლევ აბრაგებს კი, საუბედუროდ, ისევ და ისევ კახური ჭარი ედგა  
მხარში, მამადყული-ხანი ლევ მოთარეშეებთან ერთად თბილისისკენ  
მოიშევდა. მიუხედავად ყოველივე ამისა, ვახტანგი მაინც ვარაუდობ-  
და, რომ კახეთის საკითხი სასიკეთოდ გადაწყდებოდა. მაგრამ მისი  
ეს მცდელობა უშედეგოდ დარჩა.

1722 წ. დეკემბერში ამიერკავკასიის „საქრისტიანოს“ ჭირისუ-  
ფალნი ერთმანეთს თანაგრძნობას უცხადებდნენ. სომეხი არქიეპი გუ-  
ლისტკივილით, მაგრამ ხატოვნად ახასიათებდა იმ ვითარებას, რო-  
მელშიც ქართველები და სომხები აღმოჩნდნენ: „ჩვენ ამ ლაშქრობის  
შედეგად თურქების, სპარსელებისა და ლევებს შორის მოქცეულნი  
სი ვართ, როგორც დამსხვრეული ნავი შუა ზღვაში“<sup>117</sup>.

ამას ძალიც მოჰყოლია, რომ თბილისის მაკმადიანური მოსახლეო-  
ბის ერთ ნაწილს რუსეთის ელჩის ტოლსტოის ჩავლა დედაქალაქში  
მისდამი მტრულ აქტად მიუჩნევიათ და თბილისში ბრძოლა უწირ-  
ბობიათ ქართლის ჭართან. სომხებს თვეი გაუწირავთ და თბილისის  
დაცვაში დიდი მონაწილეობა მიუღიათ<sup>118</sup>.

ვახტანგ VI-სათვის ცხადი გახდა, რომ ქართლსა და კახეთს შო-  
რის დაზავება გადაუდებელი იყო. ამ აქტში დიდი მონაწილეობა მიი-  
ღო, მამად ყული-ხანისხვან განსხვავებით, კახმა ბატონიშვილმა ოეი-  
ზურაშმა, რომელიც ვახტანგს ეახლა და ერთგულების ფაცი დასდო:  
„თეიმურაზ იფიცა წინაშე მეფისა, ეპისკოპოსთა და მთავართა უკი-  
ლებლობისა და ერთობისათვის“<sup>119</sup>, წერს ვახტანგი.

1722 წლის დასასრულს ისპაპინის აბალ შაპთან, ავღანელ შაპ თა-  
მაზთან ვახტანგმა მაინც გაგზავნა სენია ჩხეიძე. თბილისის ციხეებში  
დარჩენილმა მეციხოვნეებმა დაახშეს ციხის კარები და დაიწყეს თოფ-  
ზარბაზანთა სროლა. მაშინ ვახტანგი გორის ციხეში გამაგრდა და ნა-

<sup>116</sup> გ. ვაკე შვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 135.

<sup>117</sup> გ. მაისურ აძე, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XII—  
XVIII ს. 1982 წ., გვ. 209.

<sup>118</sup> იქვე, გვ. 209.

<sup>119</sup> ვახტანგ ბაგრატიონი, იქვე, გვ. 501.

წილი თავის ჯარისა თბილისისაენ გაგზავნა. კახმა ბატონიშვილი  
 თეიმურაზემა თავისი ფიცი არ შეასრულა, თბილის შემოვიდა ჭაბულება  
 უბანი დაიპყრო. ბაქარი თავისი ლაშქრით შეებრძოლა კახელებს,  
 განდევნა ისინი და თავისი მცველები დააყენა. გასპარსებულმა მამად-  
 ყული-ხანმა კიდევ უფრო მეტი ორგულობა გამოიჩინა. მან დასახმა-  
 რებლად განჯის ხანი მოიწვია და ერევნის ლაშქარი მოიყვანა, თან  
 ლექთა ჯარი მოიშველია<sup>120</sup>. ვახტანგ VI-ც, თავის მხრივ, იმერეთიდან  
 და რაჭიდან იღებდა სამხედრო ძალებს. განსაკუთრებულ თანაგრძნო-  
 ბას აბაშიძეები უწევდნენ. ვახტანგ VI-ს მიმართ მთელ ამ პერიოდში,  
 კახეთისაგან განსხვავებით, იმერეთი ერთგულებას იჩენდა. ვახტანგ  
 VI-ის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა იმერეთის ხელისუფალთათ-  
 ვის მისაღები იყო. ბრძოლამ ქართლისა და კახეთის ჯარს შორის სამი  
 თვე გასტანა. ბაქარს დიდი ბრძოლების გადატანა მოუხდა კახელების  
 მოგვერიებისათვის, რომლებსაც ლექებთან ჰქონდათ პირი შეკრული.  
 ამ ბრძოლებს შეეწირა გივი ამილახორის ვაჟი — ვახტანგი, რომე-  
 ლიც თავგამეტებით იგერიებდა მოძალებულ მტერს<sup>121</sup>. ბრძოლები არ  
 ნელდებოდა. მაჰმადიანი განჯის ხანიც შულავერს იყო მომდგარი.  
 დამარცხების წინაშე მდგომ ქართლის მეფეს, იმერთა და საბარათია-  
 ნოს ჯარის დამარცხებით, ვახუშტი ბატონიშვილი იცავდა. მთელი ბორ-  
 ჩალო თხერებულ იქნა. ვახუშტიმ განჯის ხანი აიძულა უკან დაეხია  
 აღჯაყალისაკენ. მაჰმადყული-ხანი კი განჯის ხანთან იყო შეკრული.  
 იგი შეეცადა ხანისათვის დამხმარე რაზმები მოეშველებინა. საუბე-  
 დუროდ, კახელები ვახტანგ VI-ს მარტო თავისი ჯარით კი არ ებრ-  
 ძოდნენ, მათ ლექებიც მხარს უჭერდნენ და განჯის ხანს წინ მიუძ-  
 ღოდნენ. განსაკუთრებით გამოიჩენდა კამისტანტინე მამად ყული-  
 ხანი. მიუხედავად ამისა, ქართლელებმა ვახუშტი ბატონიშვილის მე-  
 თაურობით დიდი სიმამაცისა და თავგანწირვის ფასად ლექთა და ვახ-  
 თა ჯარის დამარცხება მოახერხეს და ნალაფარნი თბილის დაბრუნ-  
 დნენ. ბაქარმაც, თავის მხრივ, 300 კაცი ჩაიგდო ხელთ. ვახტანგმა ვა-  
 ხუშტი ბატონიშვილი მცხეთის ციხის გასათავისუფლებლად გაგზავ-  
 ნა, რადგანაც შეთანხმებული იყო დემეტრე ყაფლანიშვილთან, რო-  
 მელსაც მათ მოლოდინში მტკვარზე ხიდი მოემზადებინა ჯარის გაღა-  
 სყვანად. კახელებთან დასაპირისპირებლად და მცხეთის ასაღებად  
 იესე ბატონიშვილიც მზად იყო. ქართლის ჯარის მესვეურებმა ოსტა-  
 ტურად მოახერხეს მცხეთის ხელში ჩაგდება იმ დროს, როცა კახე-  
 ლები სვეტიცხოველში ლოცულობდნენ. ქართლის ლაშქარმა უჩინ-  
 რად ხელთ იგდო ვახთა ჯარის მთელი სარდლობა. ტყვედ ჩაგდებული

120 ი. ე. ს. ტ. ლ. ა. შ. ა. ძ. ე. კ. თ. ა. ლ. 953; ე. თ. ა. შ. ე. ს. ტ. ლ. 1895, თბ., სტროფი 56—59. ს. ყ. ბ. ა. ნ. ე. შ. ე. ი. ლ. ი. ბ. ა. ქ. ა. რ. ი. ა. ნ. ა. თ. ა. 1962 წ. 24.

121 ვახუშტი ბატონიშვილი, იქვე, 88. 501.

კახელები თბილისს გაგზავნეს. აღსანიშნავია, რომ ვახტანგ VI-მ და ბაქარმა, რომელნიც მამადყული-ხანს თავის მოქიშპედ თვლიდნენ, მაგრა არ დაიჭირეს და კახეთში გააპარეს<sup>122</sup>. ბრძოლების ამ ეტაპზე ქართლელებმა თავის დაცვა წარმატებით მოახერხეს, ხოლო „თბილისის ვაჟართა ერთმან ნაწილმა ირანთან ყოფნა ამჯობინა და კახეთის მეფის პრინციპულ პოლიტიკის დაუჭირა მხარი“, მას შემდეგ, რაც რუსეთთან აქტიური შემწეობის იმედი დაპკარგა<sup>123</sup>.

ამრიგად, ვახტანგ VI-ის პოლიტიკურ წარმატებებს, გარდა გარედან მოზღვავებული მტრისა, შინაგანი შეუთანხმებლობაც აფერხებდა.

მ დროს ყარსში იბრაჰიმ არაზუმის ფაშა იდგა, რომელსაც მიზნად დასახული ჰქონდა ერევნისა და აზერბაიჯანის დაპყრობა. იგი თანაგრძნობასა და შემწეობას ვახტანგს სთხოვდა. ხონთქარი კვლავ სთავაზობდა ვახტანგ VI-ს დახმარებას. ვახტანგი ყოველივე ამას ეჭვის თვალით უყურებდა და გარკვეულ გზებს ირჩევდა. მისი პოლიტიკური ორიენტაციი მყარად იხრებოდა რუსეთისაკენ. ვახტანგის მდგომარეობა არ უმჯობესდებოდა. კათ მშრალებლს არ ასვენებდა ქართლის ტახტის ხელში ჩაგდების წაილი. მამად ყული-ხანს ლექებთან შეთანხმებით არ უნდღებოდა თბილისზე გალაშქრების სურვილი. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი წერს, ვახტანგს მძიმე მდგომარეობა შეექმნა: „ორგულობა, მტკვარი განდიდებული, ხიდი ვიწრო“<sup>124</sup>.

სიმონ ბატონიშვილმა ვერ მოახერხა ხიდის აყრა და საფარის გამაგრება. თბილისში მყოფ ვახტანგის დასახმარებლად როსტომ ფალავანდიშვილი გაემართა. იგი მცხეთას მივიდა, ხოლო ბაქარმა დუშეთისკენ აიღო გეზი, რათა კახელები შეეჩერებინა. მამად ყული-ხანმა თბილისში შეჭრა მოახერხა. მამად ყული-ხანის მეთაურობით ლექებმა მრავალი ტყვე იგდეს ხელთ. შემოსეულ მტერს სპარსი შეციხოვნენიც შემოეგებნენ. მათ თბილისის სიონის ტაძარი დაწვეს და სიმონ ბატონიშვილის მიერ შემკული ღვთისმშობლის ხატი იგდეს ხელთ. შეძრწუნებული გახუშტი ბატონიშვილი წერდა: „ოი, რაოდენი ქალწულნი განიხრწნენ და ჰეშმარიტნი დედანი და მოწესენი ბოროტითავან და სისხლი ქართლთა დაინთხია ურჯულოთაგან“<sup>125</sup>.

ვახტანგ VI თავის ვაჟთან ბაქართან ერთად იძულებული იყო მცხეთიდან გორს გადასულიყო. თბილისი კონსტანტინე მამად ყული-ხანმა იგდო ხელთ. ქართლელი დიდებული დედაქალაქში შემოსულ გამაჰმადიანებულ კათ ბაგრატიონს ეახლნენ. მათ შორის იყვნენ

122 იესე ტლაშაძე, იქვე, სტროფი, 86.

123 გ. მაისურაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 210.

124 ვახუშტი ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 503.

125 იქვე, გვ. 504.

გიორგი არაგვის ერისთავი, შანუე ქსნის ერისთავი და რმუმნები  
დაცი ციციშვილებისა და საბარათიანოდან. ვახუშტი განსაკუმარებელი  
უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ ზემო ქართლს არ გამოუჩენია  
ქართლის მეფისადმი ორგულობა. ვახტანგ VI-მ რუსულან დედოფა-  
ლი იმერეთს გაგზავნა, თვითონ კი ცხინვალს დადგა. ვახტანგი მაინც  
არ მიიჩნევდა დასაშვებად კახი ბაგრატიონების პოზიციაზე დგომას  
და ისევ რუსეთისავენ იხრებოდა. მან რუსეთში დესპანი ბააღურ  
თურქესტანიშვილი გაგზავნა და რუს ხელმწიფეს ისევ შემწეობა და  
თავშესაფარი სთხოვა. ყარსის მბრძანებელმა ისარგებლა ქართლის  
მძიმე მდგომარეობით, მოითხოვა ქართლის სამეფოს მესვეურთა და-  
მორჩილება და შეპპირდა მათ, რომ მამად ყული-ხანის შემოტევისა  
და ლეკთა თარეშისაგან გაათავისუფლებდა. ვახტანგს შემოთავაზე-  
ბულ წინადადებაზე უარი პირდაპირ არ განუცხადებია. მან ყარსის  
ხანს ბაქარი მიიგება, ხოლო შამბიანს ისევ გაგზავნა. თეიმურაზმა  
ისარგებლა ყარსის ხანის ორგულობით და თბილის კვლავ ჯახთა ჯა-  
რით მიუახლოვდა. ქართლ-კახეთის დინასტიურმა ბრძოლებმა აღმო-  
სავლეთ საქართველო კვლავ საფრთხეში ჩააგდო. ქართლელთა და  
ჯახთა ჯარი კვლავ დაუპირისპირდა ერთმანეთს. ისევ შეიქმნა ბრძო-  
ლის სამზადისი. [ვახტანგ VI მოკავშირეებს კვლავ დასავლეთ საქართვე-  
ლოსა და ზემო ქართლში ეძებდა.] იმერელმა თავდაცებმა, როგორც  
ყოველთვის, თანმიმდევრულად გაძმინინეს ერთგულება და სიმონ  
აბაშიძემ იმერული ჯარით, ხოლო ზემო ქართლის საღროში მთელი  
შემადგენლობით, ქართლის ლაშქარს შეუერთდა. ყველა ესენი თეი-  
მურაზის წინააღმდეგ აპირებდნენ გალაშქრებას, მაგრამ არ დასცალ-  
დათ, ვინაიდან მამად ყული-ხანის შემოშველებული ოსმალები თბი-  
ლისს უახლოვდებოდნენ<sup>126</sup>. თეიმურაზი აგრეთვე იძულებული გახდა  
თბილის გასცლოდა. ქართლის მეფეს და მის მოკავშირებს უმძიმესი  
მდგომარეობა (შეექმნათ. ცსმალ ჯართან გამკლავება სრულიად წარ-  
მოუდგენერლი იყო. ხონთქრის ჯარს თბილისში პირდაპირ მამად ყუ-  
ლი-ხანი შემოხდა, ციხე-ქალაქთა კლიტენი მიაგება, იმის იმედით,  
რომ ქართლის დედაქალაქს, ოსმალები მას ჩააბარებდნენ]. სომხეთი ის-  
ტორიკოსის აბრამ ერევანცის ცნობით, თბილისის აღებაში მამად ყული-  
ხანს დახმარებია ქალაქში მდგომი დომენტი კათალიკოსი, რომელსაც  
ფარული კავშირი ჰქონია კახეთის მბრძანებელთან. დომენტის წყა-  
ლობით ქალაქის მეციხოვენეთ თბილისის კარები არ ჩაეკეტათ და  
მტერს ხელში ჩააგდებინეს დიდძალი ქონება, ოქროსი და ვერცხლის  
ნივთები<sup>127</sup>.

<sup>126</sup> ვახუშტია ბატონიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 305.

<sup>127</sup> А б р а м Е р е р ე в а н ц — История войны 1721—1723 гг., 1959, Ереван, с. 13—14.



მ. პაპაშვილს მოჰყავს 1723 წ. ნ. თეილსის რელაციიდან ამონაშვილთვალი ის: „უკანასკნელი ცნობები იუწყებიან, რომ ვახტანგი და რუსეთშვილები ისპაპანს დახმარებას აღმოუჩენდნენ, რათა თვითონ პორტას შავისათვის არ შეეთავაზებინა“<sup>128</sup>.

ამდენად, ის შესაძლებლობა, რომ თურქეთი ირანის სახელმწიფოს დახმარებას შესთავაზებდა პეტრე — ვახტანგთან დასაპირისპირებლად, თვითონ კონსტანტინოპოლში მყოფი ელჩისათვისაც დასაშვები იყო.

ინაიჩარების დახმარებით ყარსის ხანმა თბილისი ხელთ იგდო. მან ქართლში მუხრანელ ბაგრატიონთა დატოვება მოინდომა და ბაქარის თხოვნით მამად ყული-ხანი დაიჭირა, ქართლის ციხე-ქალაქიდან იქ მიღწეული კახელები და ლექები გამოიძევა, ხოლო დროებით ქართლის მმართველად ბაქარი დანიშნა და თბილისიც მას დაუმტკიდრა. ამით მოხდა ქართლელების მიერ ოსმალთა ქვეშევრდომობის აღიარება. ვახტანგ VI-ის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას, საუბედუროდ, ბოლო ეღებოდა.

თურქეთის მიერ თბილისის დაპყრობამ და ქართლის დამორჩილებამ დიდი სიხარული მოჰყვარა ინგლისს, რომელიც რუსეთის მარცხის მოსურნე იყო და ყოველმხრივ ცდილობდა, თურქეთს ესარგებლა ირანის საბოლოო დაცემით. ინგლისი განსაყუთრებულად იყო დაინტერესებული, რომ სამხრეთის ქვეყნებში რუსეთის გავლენა შემცირებულიყო.

მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქართლელების დაზავებას კახელებთან და დათმობაზე წასვლას, შეიძლება ქართლი „ოსმალთა“ ბატონობისაგან ეხსნა, გარკვეულ დაეჭვებას იწვევს<sup>129</sup>. როგორც არ უნდა მორიგებულიყვნენ ქართლელები და კახელები, ვახტანგი კი ამ შემთხვევაში დათმობაზე წასულიყო და მამად ყული-ხანისათვის ქართლი დაეთმო, საქართველო ოსმალთა ბატონობას თავიდან ვეღარ აიცდენდა. ეს ბრალდება 1725—27 წწ. რუსმა იმპერატორმა ეკატერინე I-მა მთავარ არგუმენტად წაუყენა ვახტანგ VI-ს იმისათვის, რომ პეტრე I-ის ნაბიჯი, ე. წ. „კასპიისპირეთის ლაშქრობის“ მოშლისა, გაემართლებინა, რასაც ჩვენ ქვევით დაწვრილებით შევეხებით.

პოლიტიკურად გაძლიერებული და ინგლისის მხარდაჭერით გათამამებული თურქეთი, რომელიც რუსეთის იმპერიას უპირისპირდებოდა, მთელი ამიერკავკასიის დამპყრობას აპირებდა.

მეორე მხრივ, ვახტანგი ვარაუდობდა, რომ სანამ სტამბულში ქართლიდან ყმობის დასტური მოვიდოდა, რუსეთის ხელმწიფე ამ

128 გ. პაპაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 137.

129 საქ. ისტ. ნარკვევები, ტ. IV, გვ. 421—422.

დროისათვის რამე პრატიფულ ნაბიჯს გადადგამდა, ვინაიდან გადადგამდა თავად დაპირების ბარათები მოსცდიდა ოუზი დიპლომატების შემთხვევაში.

ვახტანგი საიდუმლო მრჩეველს პეტრე ტოლსტიოსაც ატყობინებდა, რომ იგი დროის მოგების მოლოდინში იმყოფებოდა. ვახტანგი პეტრესაგან საქართველოს დაცვის მთელს საქრისტიანოს გამოქომაგების და გადარჩენის დროშით ითხოვდა, მაგრამ ქრისტიანი მეუის თხოვნა დაუკმაყოფილებელი რჩებოდა. არც თურქეთის დიპლომატიისათვის იყო უცხო, ვახტანგი რომ საიდუმლო მოლაპარაკებას აგრძელებდა და არც ვახტანგისათვის არ უნდა ყოფილიყო გასაკვირი რუსეთის უმოქმედობა საქართველოს საკითხის გადაჭრაში. რუსეთი არ ეცდებოდა თურქეთთან ურთიერთობის გამწვავებას. ვახტანგ VI-ს ეს უნდა გაეთვალისწინებინა. „ჩვენ ხომ ორის ხელმწიფის ბრძოლა არ შეგვეძლო, ჩვენ ხონთქარს ყმობა შეეფთვალეთ“<sup>130</sup> — წერდა ვახტანგ VI. ვახტანგისგან ასეთი თავის გამართლება ხელოვნური და არაზუსტიც იყო. ახალი დამპყრობელი რატომ უნდა ყოფილიყო ქირთლისათვის უკეთესი გამოსავალი.

თავის მხრივ, რუსეთის იმპერატორს პირველ რიგში ბაქოს საკითხი იყელვებდა, მას თვლიდა უფრო მნიშვნელოვან პრობლემად. ვინაიდან ბაქოს აღებით, კასპიის ზღვის საკითხი დადგებითად გადაიჭრებოდა, ამიტომ პეტრე იწერებოდა: „როცა ბაქო აღებულ იქნება და ჩვენ კასპიის ზღვაზე მოვმიმლოგრდებით, მაშინ... მათ ჩვენ ჯარს მივაწოდებთ“<sup>131</sup>.

ბაქარი და ვახტანგი იძულებული შეიქნენ პოლიტიკა შეეცვალათ. მათ ოსმალეთს ქრთამი გაუგზავნეს: 12 ოქროვერცხლით „მოოჭვილი“ ჯეარი მიართვეს. ქართლელები დათმობაზე წავიდნენ ორგული ქახელების მიმართაც. ბაქარმა მამად ყული-ხანი გაათავისუფლა და კახეთი გაამგზავრა. ბაქარმა ვახტანგ VI-ისა და ხონთქრის ბრძანებით მზაკვარი გიორგი ერისთავი და თამაზ სახლთუხუცესი შეიძყრო. ლეკებისაგან ლტოლვილი ვახტანგის ასული თამარი თავისი მეუღლით ოეიმურაბით, ანანურს იყო მისული. ვახტანგი არაფერს შეუშინდა და მათთან ჯარით გასწია საშველად, ვინაიდან ლეკები დროდადრო არბევდნენ კახეთის მიწებს და განსაკუთრებით გრემის მიდამოებს<sup>132</sup>.

როგორც ვახუშტი ბაგრატიონი წერს, ამ ხანებში ვახტანგს გაცილებით უფრო უჭირდა ლეკ აბრაგებთან გამკლავება, ვიდრე ოსმალების მოვერიება<sup>133</sup>. სვიმონ აბაშიძემ კვლავ მაშველი ჯარი მიპვარა ვახტანგს. ამდენად, ბაქარმა შეძლო დადევნებოდა ლეკებს მუხრანს

130 გ. პაიჭაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 133—135.

131 გ. ბროსე, იქვე, გვ. 148.

132 გ. პაიჭაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 136.

133 ვახუშტი ბაგრატიონი, იქვე, გვ. 505—506.



და საგურამოსთან და უკუაქცია ისინი. კახეთის მბრძანებელი მამა ყული-ხანი მიხედა, რომ საჭირო იყო ქართლის მბრძანებელთან საფრთხე არი წიგნი დაედო და ასე დაზავებული დაშორდნენ ერთმანეთს. ბა-ქარი უკვე იძულებული გახდა თავისი ბიძა იქსე თბილისში გაეგზავ-ნა ოსმალთა ქარის შესახვედრად. იქსემ ჩევეულებისამებრ, ძალიან ით-ლად იღუთვეა ერთგულება ოსმალებს, მით უმეტეს რომ ახალი რჯუ-ლის მიღება მას არ იღელვებდა. მაშინ ოსმალებმა იქსეს გამოყენება მოინდომეს ქართლელებთან დასაპირისპირებლად და გამოისტუმრეს ბაქარის წინააღმდეგ. ბაქარმა გადაწყვიტა, რომ ლაშქრის დანდობა იყო საჭირო, მტერს გაეცალა და ატენს დაღვა. ოსმალებმა სულ ით-ლად იგდეს ხელთ საბარათიანო. ვახტანგ-ბაქარის ქარმა უკანასკნელი გაბრძოლება მოინდომა, თავისი ნებით ქვეყნის დათმობა მებრძოლ ქართლის მეფეს დიდად უჭირდა. იგი უკანასკნელ ძალებს არ იშუ-რებდა. ბაქარის ქარი თრიალეთისაკენ გაემართა ოსმალებთან შესაბრ-ძოლებლად და თბილის მიმავალი ქარი გაანადგურა. გაგულისებულმა ოსმალეთის ხელისუფლებამ ბაქარის წინააღმდეგ იქსე ალი ყული-ხანს ისაყ ახალციხის ფაშა გამოუგზავნა. მათ მოარბიეს გორის მიდამო-ები და ქალაქში შევიდნენ. თბილისისაკენ მომავალნი შეიქრნენ სამი-ლახოროში, მუხრანში და თბილის მიადგნენ<sup>134</sup>. იქსე ტლაშიძის ცნო-ბით, ოსმალებმა მარტო ერთი დღის განმავლობაში 300 ქართველს გაა-გდებინეს თავი, რომელთა შორის იყვნენ ცნობილი მღივნის გივი თუ-მანიშვილის ვაჟები დავითი და ზურაბი. იგივე იქსე ტლაშიძის ცნო-ბით, მას შემდეგ, რაც ვახტანგ VI-მ და ბაქარმა საბოლოოდ დასტოვეს ბრძოლის ველი, კახთა მეფემ მამად ყული-ხანმა შემოიერთა ქსნისა და არავის ერისთავების ლაშქარი და ატენთან შეებრძოლა ოსმალებს. ამ ბრძოლებს ის მოჰყავა, რომ გამარჯვებულმა ოსმალებმა 5 ურემი დახო-ცილი ქართველი მეომრებით რაჯა ფაშას მიართვეს<sup>135</sup>. ამ ცნობის ავ-ტორი ამტყუნებს მამად ყული-ხანს და თვლის, რომ ამ ნაბიჯის გადაღ-გმა სრულიად აუხსნელი იყო. ამჯერად, ვახტანგ VI-ის უკან დახევა და ბრძოლის ველიდან გაცლა გამართლებული აღმოჩნდა.

ცმდენადვე, ის ბრალდება ქართველ მეფეთა და მით უმეტეს ვახ-ტანგ VI-ს მიმართებით, თითქოს ოსმალებთან შებრძოლებით შეიძლე-ბოდა მათი ქართლში დამკვიდრება თავიდან აეცილებინათ, გაუმარ-თლებელია. „ოსმალობა“ მაინც გაიმარჯვებდა აღმოსავლეთ საქარ-თველოში, საამისო ნიადაგი გარკვეული წლების მანძილზე მზადდე-

<sup>134</sup> იქსე ტლაშაძე, კათალიკოს-ბაქარიანი; ხ. ი. ფ. S, № 953; ე. თ-ყაც შვილი, გამოც. 1895, სტროფი 160; ს. ყუბანეშვილი, იასე ტლა-შაძე, ბაქარიანი, თბ., 1962, გვ. 37.

<sup>135</sup> იქვე, სტრ. 162.

ბოლა. ოსმალთა ამ გამარჯვებაში ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთ/ ეროვნული გამარჯვების უნიტარული მიუძღვობდათ.]

თურქეთის სამხედრო ექსპედიცია ამით არ ამოიწურებოდა. თურქულმა ჯარმა მიაღწია განჯას, შემახას და ბაქოსაკენ გაემართა. მით უმეტეს, რომ მას შემახაში ლეკი დაუდევი ელოდა. თურქებმა ხელი იგდეს ერევნისა და თავრიზის სახანოები. ვახტანგის მეთაურობას ახლო აღმოსავლეთის სახანოთა და მით უმეტეს, საქართველოს სამეფოთა გაერთიანებაში, ბოლო ეღდოდა. ძარცვა-გლეჭა ყველგან თანაბრად მიმდინარეობდა. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ბედის გადაწყვეტა თურქმა დამპყრობლებმა თავს იდეს. ცხადია, რუსეთი არ იქნებოდა კმაყოფილი შექმნილი სიტუაციით. ასტრახანიდან მატიუშკინის მეთაურობით გაზავნილ იქნა კასპიისპირეთში სამი სამხედრო გემი. რუსმა ფლოტილიამ შტურმით აიღო ბაქო. ქართველი პოლიტიკოსები ვახტანგ VI-ის მეთაურობით მაინც განაგრძობდნენ ბრძოლას და იმედს არ კარგავდნენ. ამას თავისი საფუძველი ჰქონდა, ვინაიდან ბოლომდე იმედს არც რუსეთის იმპერატორი უსპობდა.

[1723 წ. მაისში ვახტანგი მატიუშკინს წწერდა, რომ პეტრეს დასტურით უნდა მომხდარიყო ქართლ-კახეთის გაერთიანება. ამჯერად, „კახური ჯარი“ აქტიურად უნდა ჩატეულიყო ქართლის პოლიტიკურ ცხოვრებაში. პეტრე I-მა, ეს ღონისძიება რომ სისრულეში მოეყვანა, სპეციალურად გაგზავნა ელჩი კახეთის. კვლავ დაიმედებული ვახტანგ VI პეტრე I-ს სწერდა: „ჩვენ ამ ჯარს შევყრით და კახეთში მოგეგებებით“<sup>136</sup>.]

სულ რამდენიმე დღის შემდეგ, თავის მხრივ ბაქარი განკარგულებას აძლევდა სიღნაღისა და სომხითის მოლაშქრეთ მზად ყოფილიყვნენ და ქართლის ჯართან გაერთიანებულიყვნენ. თვით პეტრეს ელჩი კი კახელებისაგან დასტურს მოითხოვდა ერთობლივი საქმის წესრიგში მოყვანისათვის<sup>137</sup>. ბაქარი კახელებს ურჩევდა: „რასაც მაგ ელჩის კარგად მოეპყრობით და ემსახურებით, საერთო საქმისათვის ემჯობინება“. ვახტანგ VI-სათვის თანდათან უფრო ცხადი ხდებოდა, რომ ქართლ-კახეთის გაერთიანება და შემდეგ ამიერკავკასიის შემოერთება აუცილებელ პირობას წარმოადგენდა ეროვნული სახელმწიფოს შენარჩუნებისათვის, მაგრამ ვერც ქართლის მუხრანელი ბაგრატიონები და ვერც კახელი ბაგრატიონები პირველობის დაკარგვას ვერ ეგუებოდნენ. მათ მიერ საგარეო პოლიტიკის გარკვევასა და არჩევანში ერთსულოვნება არ არსებობდა.

[კახეთში პეტრე I-ის ელჩის გამოჩენამ ქართველ პოლიტიკოსებს კვლავ იმედები გაულივივა.] რამდენიმე თვის შემდეგ ოთარ არაგვის

<sup>136</sup> M. Б р о с с е, იქვე, გვ. 156.

<sup>137</sup> იქვე.

ერისთავი თერგის გუბერნატორს ატყობინებდა ქართლში შექმნილი  
სიტუაციის ამბავს, თურქების მიერ საქართველოს დამორჩილების მდგრადი და დამორჩილების მდგრადი და უსანიდა, რომ არაგვის საერისთავო გზაა თერგიდან თბილისისაკენ. ეს გზა 3 დღეს მოითხოვს, რუსმა ჯარმა ჩერქეზეთი უნდა გაიაროს, ხოლო ჩერქეზეთის მფლობელი კი ქართველების მოყვარეობა და უმტკივნეულოდ გაატარებს რუს ჯარსო. ოთარ არაგვის ერისთავს იმის ცნობაც ჰქონდა მიღებული, რომ თითქოს 500 რუსი მეომარი დაბრულია 1723 წ. სექტემბრისათვის<sup>138</sup>. ასე რომ, ვახტანგ VI-ს და ქართველ პოლიტიკოსებს ამ ფაქტის გამო მაინც არ ჰქონდათ დაკარგული იმედის უკანასკნელი სხივი. მაგრამ მოხდა ისე, რომ 1723 წ. სექტემბრებში პეტერბურგში დაიდო ხელშეკრულება რუსეთ-ოსმალეთს შორის, რომლის მიხედვით კასპიის ჩრდილოეთი სანაპიროები რუსეთს დარჩა და იჩანის იმპერიის დაშლით კი ისარგებლა თურქეთმა. მან ხელთ იგდო მთელი ამიერკავკასია და მათ შორის საქართველო. რუსეთ-თურქეთის ზავი გაფორმდა 1724 წ. ივნისის კონსტანტინოპოლის ხელშეკრულებით, სადაც მთელი ამიერკავკასია და საქართველო თურქეთის დამორჩილებულ ქვეყნად იქნა აღიარებული. ასე გადაწყდა ამერიკავკასიის და მათ შორის ვახტანგ VI-ის სამშობლოს — საქართველოს ბედიც.

ჩვენ გვინდა ყურადღება მივაჭიოთ იმ აზრს, რომელიც ყველა ამ ვითარებათა საფუძველზე რუსეთის საიმპერატორო კარზე იქნა შემუშავებული. ეკატერინე I-ის (1725—1727 წწ.) წერილის მიხედვით, რომელიც ვახტანგ VI-საღმი იყო გაგზავნილი, კარგად ჩანს, თუ რა დიპლომატიურ ხერხებს მიმართავდა რუსეთის სამეფო კარი, როდესაც 1722 წ. „კასპიისპირეთის ლაშქრობას“ ამზადებდა და როგორ გეგმავდა მის განხორციელებას მომავალში<sup>139</sup>. ეკატერინე I-ის მიერ რუსეთის პოლიტიკის გამართლების ხერხი მეტად ტენდეციური იყო. ეკატერინე I იმართლებდა თავს და ამართლებდა პეტრე I-ის მოქმედებას „კასპიისპირეთის ლაშქრობის“ მოშლის დროს და ერთი სიტყვითაც არ აღნიშნავდა, თუ პეტრეს სამეფო კარი და რუსეთის დიპლომატია რა დიდად იყო დაინტერესებული სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხებით, როდესაც ამ ლაშქრობას გეგმავდა. ეკატერინე I გიორგად აღნიშნავდა, რომ რუსეთს ანლო აღმოსავლეთის პრობლემის გადაწყვეტა, კასპიისპირეთის დაპყრობა, სამხრეთისაკენ გასავალი სავაჭრო გზების ხელში ჩაგდება და ინდოეთთან დაკავშირება სრულიად არ აინტერესებდა. თითქოს ერთადერთი პირდაპირი მიზანი რუსეთს საქართველოს პოლიტიკურ საქმეებში ჩარევისა, მხოლოდ და მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ დაეცვა ქრის-

<sup>138</sup> M. Brocse, დასახ. ნაშრ., გვ. 183.

<sup>139</sup> იქვე, გვ. 184.

ტიანული საქართველოს ბედი და ეხსნა საქართველო მაპმადანული  
გარემოცვისაგან. ეკატერინე I, იგონებდა რა რუსეთის მხარეს მომდევნობაში  
მიერ საქართველოს დაცვის მაგალითებს, წერდა: „ეს დახმარება, რო-  
მელსაც პეტრე I გაიღებდა, ქრისტიანობის სიყვარულით იყო გაპირო-  
ბებული, რათა შეემსუბუქებინა მათთვის ქრისტიანებისათვის. — მ.  
ქ.) მძიმე მაპმადიანული ულელი“.

რაც შეხება კონკრეტულად „კასპიისპირეთის ლაშქრობის“ მიზანს,  
ეკატერინე I ვახტანგ VI-ს ატყობინებდა, რომ რუსეთის იმპერატორმა  
მხოლოდ იმიტომ გადაწყვიტა ამ სამხედრო ღონისძიებების ჩატარება,  
რომ ჯერ ერთი, ქრისტიანობა დაცვა და, მეორე, ვახტანგ VI-ის, რო-  
გორც სახელმწიფოს ხელმძღვანელის პრესტიუ მთელი ოღონისავლე-  
თის ქვეყნების თვალში აეწია.

„საჭიროა, გადაგაქციოთ დამოუკიდებელ ქრისტიანულ მეფედ და  
გავაძლიეროთ თქვენი ძალაუფლებები“<sup>140</sup>.

ეკატერინე ახსენებდა ვახტანგ VI-ს, რომ: „Государь Император  
не шедя своих сил и драгоценного здоровья не оставлял поход“<sup>141</sup>.  
ლაშქრობის მოშლის ერთადერთ მიზეზად ეკატერინე I მიიჩნევდა  
„Приключившийся препятствия“, რაც სტიქიური უბედურებით იყო  
გამოწვეული. ეკატერინე I-ის თავის მართლების დიპლომატიური  
ხერხი მეტად მარტივი იყო. ეკატერინე პეტრე I-ის უკან დახევის მი-  
ზეზად იმასაც სთვლიდა, რომ ვახტანგმა განჯასთან დიდხანს დაჰყო და  
არ დათრგუნა ირანთა მიერ შექმნილი შეფერხებანი, ხოლო რაც შეე-  
ხება იმას, რომ ქართულმა ჯარმა შემახა ვერ აიღო, ეკატერინე ამას  
ვახტანგის შეცდომად თვლიდა<sup>142</sup>. ეს იყო სხვაზე გადაბრალების ოს-  
ტიატური ხერხი და რეალური ვითარების გაუთვალისწინებლობის მა-  
გალითი. ვახტანგ VI-ს და ქართლის სამეფოს პოლიტიკურ მესვეურთ  
რომ შეძლებოდათ თავისი ძალებით ერთსა და იმავე დროს სპარსეთის  
ბატონობიდან თავის დაღწევა, ლეკ აბრაგთა თარეშის შეჩერება და  
თურქეთის მოგერიება, მაშინ ხომ მოკავშირეობას რუსეთს არ სოხოვ-  
დნენ.

ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, თუ რამდენად ეცადა ვახტანგი იელაგმა  
კახელები, რომელნიც ლეკების დახმარებით ქართლს არბევდნენ, რო-  
გორ ცდილობდა ბოლო მოერო ამ ბრძოლებისათვის და თან დაზა-  
ვებით მოეპოვებინა ხაერთო სიმშვიდე. თბილისის კლიტენი ოსმალებს  
ხომ მამად ყული-ხანმა ჩააბარა და ქართლის დედაქალაქში შემოუშვა  
ისინი. ვახტანგ-ბაქარი კი უკანასკნელ წუთამდე იბრძოდნენ და ძა-

<sup>140</sup> М. Б р о с с е, დასახ. ნაშრ., გვ. 184.

<sup>141</sup> იქვე.

<sup>142</sup> იქვე.

ლებს არ იშურებდნენ, მაგრამ ამდენ მტერთან გამჭლავებისათვის მათ ჩარიცხული ძალა არ შესწევდათ.

რუსეთის საიმპერატორო კარი, რომელსაც ეყატერინე I განასახიერებდა, არც ერთი სიტყვით არ აღნიშნავდა, რომ მას საკუთარი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები ამოქმედებდა შავი ზღვისა და კასპიისპირეთში გასვლისა, თუ საერთოდ ახლო აღმოსავლეთის საკითხის გადაწყვეტაში. ქართლის სამეფოს საბოლოო პოლიტიკას მივაწერდით და ვაღიარებდით, რომ ქართლის მეფე საერთაშორისო დიპლომატიის განვითარების იმდროინდელ დონეზე არ მდგარა, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ იმპერატორ ეყატერინე I-ის მთელი წერილის მანძილზე ჩვენ ვერ ვხედავთ ვერც ერთ მოსაზრებას და თუნდაც ერთ ფრაზას, რომელიც ობიექტურად ხსნიდეს იმ რეალურ შინა და გარე პოლიტიკურ ვითარებათა არს, შექმნილი სიტუაციის რაობას, ე. წ. „კასპიისპირეთის ლაშერობის“ წინა და შემდგომ პერიოდში, რომელშიც ქართლის სამეფო მოექცა და გამოააშკარავა ვახტანგ VI-ის პოლიტიკური ორიენტაცია, რასაც მარცხიც მოჰყვა. ] არც ერთ შემთხვევაში რუსეთის სამეფო ხელისუფლება არ იღნიშნავს, რომ მას რაიმე პრაქტიკული ინტერესი ამონრავებდა ამიერკავკასიის მიმართ, რომელიც დაკავშირებული იყო კასპიისპირეთის ხელში ჩაგდების და პოლიტიკურ-ეკონომიკური, სახელმწიფოებრივი უფლებების მოპოვების და გაძლიერების ინტერესებთან. ეყატერინე I დაბეჭიოთებით იმეორებდა, რომ „იმპერატორ პეტრე I-ის განზრახვა იმამდე მდგომარეობდა შეერთებინა თავისი არმია ქართულ ლაშერს... გაენთავისუფლებინა ქრისტიანობა, რომელიც სპარსეთის სახელმწიფოს ზეგავლენაში იმყოფებოდა და დაეფუძნებინა თქვენი (ვახტანგის) უკითილშობილესობა სამეფო ტახტზე“<sup>143</sup>.

ეყატერინე I-ის ეს თავის მართება შედეგი და პასუხია იმ ხავედურის წერილზე, რომელიც ვახტანგს გაუგზავნია რუსეთის იმპერატორის კარზე (რომელიც ჩვენ ამჟამად ხელთ არა გვაქვს). ეყატერინე I დამარცხებულ ვახტანგს პირდებოდა თავშესაფარს და მფარველობას იმ შემთხვევაში, თუ იგი თან გიყოლებდა ჯარის ნაწილებს. ეყატერინე ვახტანგს პირდებოდა რუსეთის ტერიტორიაზე მიღებას და დასახლებას მხოლოდ იმ პირობით, თუ რუსეთი შეძლებდა ირანში ფეხის მოკიდებას და მდ. მტკვრის სანაპიროებზე გამაგრებას; სთავაზობდა ვახტანგს საქართველოს ახლოს რუსეთის მფარველობის ქვეშ ჯარით დასახლებას. საქართველოსთან ახლო დასახლება კი გულისხმობდა რუსეთის სამხრეთი საზღვრის გამაგრებას და თურქეთის მოძალადებისაგან ქვეყნის დაცვას.] ეყატერინე უარს ამბობდა ვახტან-

<sup>143</sup> M. Brocse, დასახ. ნაშრ., გვ. 186.

გის შეთავაზებულ წინადაღებაზე, რომ მას ჩეჩენეთში მდგრადი ციხე-სიმაგრე აეგო, ვინაიდან მიზანშეწონილად არ თვლიდა უკიდურესობას ლი მსხვერპლი გაეღო, ფიქრობდა — ამ შემთხვევაში ეს რუსეთი-სათვის არახელსაყრელი იქნებოდა.

თავის მხრივ, რუსეთის ულტიმატუმები შეუსრულებელ ოცნებას წარმოადგენდა საქართველოსათვის. ასეთი ჭარის გადაყვანა რუსეთში შეუძლებელი იყო.

ამდენად, ვახტანგ VI-ის ყოველმხრივი ბრძოლა, ყველა სასიცოცხლო ძალის დაძაბვა, რათა ახლო აღმოსავლეთის საკითხი მისი სამშობლოსათვის სასიკეთოდ გადაწყვიტა, სამწუხაროდ, მარცხით დამთავრდეს მარცხი, რა თქმა უნდა, შეღეგი იყო იმ მძიმე პოლიტიკური სიტუაციისა, რომელიც ანტითურქული კოალიციის ბრძოლის შეწყვეტამ გამოიწვია ყოველივე ამას ძლიერი ინგლისის სახელმწიფო უწყვობდა ხელს, რომელიც, თავის მხრივ, საფრანგეთ-რუსეთის კავშირს უპირისპირდებოდა. რუსეთის სახელმწიფოს თურქეთთან კომპრომისზე წასვლას შედეგად მოჰყვა რუსეთის მხრივ ყოველგვარი ინტერესის შენელება ახლო აღმოსავლეთისა და მათ შორის საქართველოს მიმართ. ქართლი ახალი დამპყრობლის — თურქეთის ხელში აღმოჩნდა. ამრიგად, ვახტანგს არ გაუმართლდა, მან ვერ შეძლო ახლო აღმოსავლეთის სახანოთა საკითხის მოვარება და საქართველოს გაერთიანება. ვახტანგ VI-მ ვერ გაუწია ანგარიში ყველა იმ სახელმწიფოთა პოლიტიკურ ზრახვებს, რომელნიც დაინტერესებულნი იყვნენ ახლო აღმოსავლეთის საკითხთა და მთაუმეტეს საქართველოს ბედ-იღბლის გადაჭრით. 1724 წ. ივლისში დამარცხებულმა და ოსმალთა მიერ დამორჩილებულმა ქართლის მეფემ ვახტანგ VI-მ გადაწყვიტა სამშობლოს გასცლოდა და რუსეთს გადახვეწილიყო. ვახტანგის ვაჟი ვახტანგი ბაგრატიონი ცდილობდა მამის გადაწყვეტილება აეხსნა: „განუტევა (ვახტანგმა) ყოველნი და აირჩია რუსთ-მეფე, რამეთუ პეტრი განთავისუფლებასა ეკლესიათასა და ძალასა ქრისტიანობისასა“<sup>144</sup>.

ამ აქტით საქართველომ და ქართველმა ერმა დაკარგა თავისი ხალხის ყველაზე მოწინავე საზოგადოების პროგრესული ნაწილი, რომელიც სამშობლოს მოწყდა, სხვის სამსახურში აღმოჩნდა, შეპყრობილი სამშობლოზე ფიქრით და გაუნელებელი დარდით. მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ იმ 1214 კაცს, რომელთაც ვახტანგ VI „მიუძღვოდა“, თვითონაც ეს ნაბიჯი სწორად და სამართლიანად მიაჩნდა<sup>145</sup>. მართალია, ისტორიამ გვიჩვენა, რომ ეს გადაწყვეტილება თითქმის გამოუსწორებელი ნაბიჯი აღმოჩნდა, მაგრამ ლტოლვილები ასე

144 ვახტანგ VI ბაგრატიონი, დასახ. ნაშრომი, გვ. 496.

145 ს. ი. ფ. A, № 1582; ფ. A, № 1767.



არ აფასებდნენ ამ ფაქტს. ვახტანგ VI ბოლომდე ვერ სჭირებდა, რუსეთის რუსეთის საერთაშორისო გეგმები უფრო ფართო ხასიათს იღებდნენ. რუსეთის მთავრობა ვიდრე ქართლის მეფეს პქონდა წარმოდგენილი. რუსეთის მთავრობა თურქეთის წინააღმდეგ ირანს უკავშირდებოდა ახლო აღმოსავლეთის საკითხის მოვარებაში და ევროპის ქვეყნებთან დაპირისპირებაში ირანსა და თურქეთთან ურთიერთობის გარკვევას ცდილობდა.]

თუ ერთი მხრივ, ინგლისი ვერ ურიგდებოდა ახლო აღმოსავლეთში რუსეთის პოლიტიკის გამარჯვებას, მეორე მხრივ, ვერც საფრანგეთი ეგზებოდა რუსეთის სავაჭრო პოზიციების გაძლიერებას შავ ზღვასა და ხმელთაშუა ზღვაში. ყოველივე ამის გამო, პეტრე I-ის დიპლომატია მეტად ფრთხილი იყო. საქართველოს საკითხის საბოლოო გადაჭრა მის მთავარ პრობლემას არ წარმოადგენდა. ყველა ამ გარემოებას, საუბედუროდ, ვერც ვახტანგ VI-მ გაუწია ანგარიში. XVIII ს. 20-იანი წლებიდან მოყოლებული ქართველი პოლიტიკოსები ბოლომდე მაინც იმედს არ კარგავდნენ, რომ პოლიტიკურ მხარდაჭერას და სამხედრო დახმარებას მიიღებდნენ რუსეთის მთავრობისაგან.]

გერ კიდევ 1724 წ. 10/V-ს დომენტი კათალიკოსმა ოფიციალური წერილი გაუგზავნა პეტრე I-ს, სადაც ატყობინებდა, რომ მის სამწყსოს ოსმალნი მოერივნენ, მისი ძმა ვახტანგი იძულებულია დედაქალაქი დატოვოს, ვინაიდან თურქებს ლეკებთან აქვთ პირი შეკრული და არ-ზრუმის ფაშა აპირებს ხელთ იგდოს ქართული სოფლები, ხოლო თბილისი, გორი და სურამი თითქმის ოსმალებითა საგეო.

დომენტი ქრისტიანობის დაცემის საშიშროების თავიდან აცილების მიზნით რუსეთის იმპერატორს სთხოვდა დახმარებას: „ვინ იცის, გზა ვიშვნოთ და მანდ ვიახლოთ, რათა ხელმწიფემ შეგვიწყალოს და შეგვინდოს. მაგის წიგნის მომლოდინე ვართ“<sup>146</sup>.

ამ წერილიდან კარგად ჩანს, რომ ქართლის კათალიკოსის თხოვნა ქვეყანაში დარჩენილი თავკაცების საერთო გადაწყვეტილება იყო. ვერ გაართვეს რა თავი შექმნილ სიტუაციის, ერთი მხრივ, ლეკების შემოსევებს და მეორე მხრივ ოსმალთა დამკეიდრებას, ქართლის თავკაცებმა გადაწყვიტეს რუსეთს შეკედლებოდნენ.

იმავე 1724 წ. ოქტომბერში ოთარ ერისთავი, რომელიც თავის თავს „ქართლის თავადების მეთაურს“ უწოდებდა, თერგის გუბერნატორს ატყობინებდა, „თუ შეველა გინდათ, დრო და გზა ეს არისო“<sup>147</sup> და მეგზურობას პირდებოდა.

ოთარ ერისთავის ძმა რომანზ არქიმანდრიტი უკვე თერგის გუბერნატორთან მისულიყო და გზის გამკვალევად უნდოდა გამოჰყოლოდა რუს ჯარს ქართლისაკენ. ერისთავის ჯარი თერგიდან წამოსულ რუს ჯარს ჩერქეზეთში უნდა შეხვედროდა.

<sup>146</sup> Переписка грузинских царей, с Росс. гос-ми, 1861, с. 152.

<sup>147</sup> იქვე, გვ. 153.

  
ლოვნება დამყარდა, არა მარტო ქართლის ცენტრალური ხელმისუფალებისაგან გამდგარი თავადების, არამედ ქართლისა და კახეთის ბაგრატიონთა შორისაც. მათ დაინახეს, რომ გაერთიანება პოლიტიკურად და პრაქტიკულად გარდაუვალი გახდა. ჯერ კიდევ 1723 წ. ივნისში, სანამ ვახტანგ VI რუსეთის გზის დაადგებოდა, თერგის გუბერნატორს ოთარ ერისთავისაგან მიღებული ჰქონდა ცნობა, რომ ქართლის და კახეთის ფარი უკვე გაერთიანებული იყო. ერთი წლის შემდეგ კი ვახტანგ VI-მ გენერალ მატიუშინს შეატყობინა, რომ ქართველების გეგმა წესრიგში იყო მოყვანილი. რუსეთის მთავრობამაც სპეციალური ელჩი გაგზავნა დახურეთს, რათა ვახტანგთან შეთანხმებით კახეთის მეფისაგან მიეღო დასტური ქართლისა და კახეთის სამხედრო ძალების გაერთიანების შესახებ<sup>148</sup>.

ამავე დროს, სამწუხაროდ, ქართულ სამეფო-სამთავროთა მიღებულ ყველა პოლიტიკურ ღონისძიებას, რომლებსაც თვითონ ვახტანგ VI ხელმძღვანელობდა, შედეგი არ მოჰყოლია. 

#### 6. ვახტანგ VI-ის რუსეთში გადასახლება და მოღვაწეობა

1724 წ. ივლისში ვახტანგ VI თავისი ამალით ქართლის საზღვრებს სტოკებდა იმ იმედით, რომ რუსეთის დახმარებით კვლავ დაუბრუნდებოდა სამშობლოს. რუსეთმა 1724 წ. ივნისში კონსტატინოპოლიში ოსმალეთთან შეჰქრა ზავი და ზავის ერთ-ერთ მუხლში საქართველო თურქეთის დაპყრობილ ქვეყნად აღიარა<sup>149</sup>. ვახტანგს უნდა გაეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ რუსეთის იმპერია საქართველოსათვის თურქეთთან ზავის დარღვევას არ მოინდომებდა. ვახტანგ VI-ს თან გაჰყვნენ საბა-სულხან ორბელიანი, მამუკა ბარათაშვილი, სარდალი ვახტანგ ამილახვარი, ლევან მუხრან-ბაგრატიონი, მამუკა ორბელიანი, იქე ბარათაშვილი, ოთარ არაგვის ერისთავი, ოთარ ჩოლოვაშვილი, ჯავახ ანდრონიკაშვილი, გიორგი მაჩაბელი, ქათოსრო გურული, თურქისტან თურქესტანიშვილი, დიმიტრი ორბელიანი, არქიეპისკოპოსი ქრისტეფორე, მიტროპოლიტი პავლე თბილელი, ეპისკოპოსები: ნიკოლოზ მრთველი. მანგლელი არსენი, იოსებ, საბა და ზოსმე ორბელიანები. ვახტანგის ამალაში შედიოდნენ ქართლის სახლთუხუცესი, მეჭინიბეთუხუცესი. ეშიკალასბაში, მოლარეთუხუცესი, ბოქაულთუხუცესი, ფარეშთუხუცესი და სხვა მოხელენი. სულ 1214 კაცი<sup>150</sup>.

<sup>148</sup> Переписка грузинских царей, с Росс. гос-ми, 1861, с. 156.

<sup>149</sup> Бутков, Матер. для новой ист. Кавк. с. 1722—1802 г., т. I, с. 57.

<sup>150</sup> ხ. ი. აღწ. ფ. A, ტ. V, № 1767; ფავლენიშვილი, „ვახტანგიანი“, ლიტ. ძებებანი, ტ. IV, 1948, გვ. 175—219. ხ. ი. ფ. A, № 1582.

რამდენადაც ჩვენ თვალი მივაღევნეთ პოლიტიკურ სიტუაციებზე გავიზიაროთ მ. პაპაშვილის მოსახრება, რომელიც აღნიშნავს, რომ: „ძნელია დავთანხმოთ ვინმეს, თუ ვახტანგს რუსეთთან კავშირს შეცდომად ჩავუთვლით. ამის საწინააღმდეგო პოლიტიკა საქართველოში ან ირანის სტაბილიზაციას უდრიდა, ან ახალი სუვერენის, თურქეთის უღელში შებმას. რამდენადაც ამას საქართველოს საერთაშორისო სამართლებრივი მდგომარეობა განაპირობებდა, მისი დარღვევა მხოლოდ რუსეთს შეეძლო“<sup>151</sup>.

საქმე ისაა, რომ საქართველოში სწორედ რუსეთთან დაუკავშირებლობას ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოჰყვებოდა ირანის ბატონობის სტაბილიზაცია იმ მიზეზით, რომ ირანის იმპერია პოლიტიკური კატასტროფის წინაშე იღვა და ეს ფაქტი ოყიოთნ ვახტანგ VI-სათვის ირანში ტყვეობის დროსაც განდა ცნობილი. რაც შეეხება თურქეთის უღელში შებმას, ესეც წინასწარ უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული, ერთი მხრივ ირანის დასუსტებით გამოწვეული თურქეთის გაძლიერებით და მეორე მხრივ, რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ თურქეთისადმი გარკვეული ანგარიშის გაწევით, რასაც რუსეთ-თურქეთის პოლიტიკური სტატუსის გაუთვალისწინებლობა გულისხმობდა. რაც შეეხება იმას, თითქოს საქართველოს საერთაშორისო სამართლებრივი მდგომარეობის დარღვევა მხოლოდ რუსეთს შეეძლო, ესეც არ არის ფაქტიური საერთაშორისო ვითარების სწორი შეფასება. განა რუსეთის საიმპერატორო კარს ხელეწიფებოდა და აწყობდა საქართველოს დაცვისა და კასპიისპირეთის საკითხის გადაჭრის გამო თურქეთთან საომარი მოქმედების დაწყება? პეტრე პირველმა თუ წინასწარ არ გაითვალისწინა ეს მომენტი, დროულად მაინც შეწყვიტა საომარი მოქმედება და უკან დაიხია. ვფიქრობთ, რუსეთ-საქართველოს კავშირმა მარცხი განიცადა სწორედ იმიტომ, რომ მას საომარი ძალები არ გააჩნდა და ეს წინასწარ გათვალისწინებული არ იქნა, არც რუსეთის საიმპერატორო დიპლომატებისა და არც ვახტანგ VI-ის მიერ. და ბოლოს, ამ კავშირმა განა იხსნა საქართველო „თურქეთის კიდევ უფრო მძიმე უღელში შებმისაგან“?

რაც შეეხება საქართველოს საერთაშორისო სამართლებრივი მდგომარეობის გათვალისწინებას, რომლის შესახებ ა. ბაქრაძე წერს და მ. პაპაშვილი იზიარებს, რომ თითქოს „როცა პეტრე I-მა მოტულებუ-

151 გ. ვაკაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 141.

ლი ვახტანგ VI იძულებული გახდა სამშობლო და ტოვებინა და მათ შე  
 სეთში გადახვეწილიყო, ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ ჭირობულ  
 მეფის საქციელი ირანში, სამართლებრივი თვალსაზრისით, ღალატად  
 შეფასდა<sup>152</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგის რუსეთში გადასახლე-  
 ბის დროს, საერთაშორისო სიტუაცია მთლიანად შეცვლილი იყო.  
 რაკი ირანის იმპერია პოლიტიკურად განადგურებული და დაშლილი  
 აღმოჩნდა, ერთი მხრივ, ირანის სამეფო კარის ანარქიისა და ივლინთა შე-  
 მოსევების გამო, ხოლო, მეორე მხრივ, თურქეთის მომძლავრებით, ირა-  
 ნი თავის სუვერენულ უფლებებს ვახტანგ VI-ის მიმართ ვერ გამოიგ-  
 ლენდა. ამდენად, ვახტანგის ამ ნაბიჯს სამართლებრივი თვალსაზრი-  
 სით ღალატად შეფასებას მნიშვნელობა სრულიად ეკარგებოდა. რაც  
 შეეხება ა. ბაქრაძის იქვე მოტანილ ზოგად დებულებას, თითქოს  
 „პევიანი სახელმწიფო მოღვაწენი სულიერ მორჩილებას უფრო მეტ  
 ყურადღებას აქცევდნენ, ვიდრე პოლიტიკურს“<sup>153</sup>, აქ უკვე მათ პოლი-  
 ტიკურ გონიერებაზე საუბარი, ვფიქრობთ, საეჭვოა. მართალია, სუ-  
 ლიერ მორჩილებას და რელიგიურ ურთიერთდამკიდებულებას ძალიან  
 დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველოს ფეოდალურ ხანაში და  
 სწორედ ამით ხელმძღვანელობდა ვახტანგ VI, როცა ეკრობასა და რუ-  
 სეთში ამ სარჩულით ეძიებდა პოლიტიკურ მოკავშირეობას, რათა  
 თავისი სახელმწიფოს პოლიტიკური წყობა, ფიზიკური და იდეოლო-  
 გიურ-რელიგიური ორსებობა შეენარჩუნებინა. მაგრამ ჩეენ ხომ კარ-  
 გად გვახსოვს, XVII საუკუნიდან მოკიდებული XVIII ს. I მეოთხე-  
 დის მიწურულამდე რა ხრისტებს მიმართავდნენ ვახტანგ VI-ის წინა-  
 მორჩედნი, როგორ იღებდნენ ფორმალურად მაქმადიანობას, რომ თა-  
 ვისი სამშობლოსათვის სწორედ ეროვნული სახელმწიფოს ფორმა და  
 უფრო მეტიც, საერთოდ ორსებობა შეენარჩუნებინათ. მარტო „სუ-  
 ლიერი მორჩილება“ ერასოდეს ვერ შექმნიდა სახელმწიფოებრივი  
 წყობის პოლიტიკურად და ფიზიკურად გადარჩენის საშუალებას. სა-  
 კითხი კი სწორედ ასე იდგა ვახტანგ VI-ის წინაშე, როცა იგი რუსეთ-  
 ში გაემგზავრა. მართალია, ვახტანგი თავისი გარაუდით საბოლოოდ  
 სამშობლოს არ ტოვებდა, მას უკან დაბრუნების იმედი კიდევ ჰქონდა,  
 მაგრამ საქართველო იმ მომენტში სახელმწიფოებრივი გადარჩენის აუ-  
 ცილებლობის წინაშე იდგა და მხოლოდ შემდეგ, როცა იგი პოლიტიკურ  
 სიმშვიდეს და საერთოდ ორსებობას შეინარჩუნებდა, მაშინ იქნებოდა  
 შესაძლებელი მისი „რელიგიურ-სულიერ“ ორსებობაზე ფიქრი. ვახ-  
 ტანგ VI-მ აღუნუსხავი და ურაცხელი შრომა გასწია თავისი ერის და  
 თავისი ქვეყნის სულიერი ცხოვრებისა და კულტურის განვითარები-

152 ა. ბაქრაძე, „წინასწარმეტყველება“, „ეროტიკა“, 1984, № 3,  
83. 30.

153 იქვე, გვ. 32.



სათვის, მისი აღმატებისა და აღორძინებისათვის. ამ მხრივ მას და-  
დროინდელ პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის ტოლი არა ჰყავს. მაგ-  
ნომ კულტურის სფეროში აქტიურ, რეალურ მოღვაწეობას ეწეოდა,  
ჯერ ქართლში, შემდევ ირანში ტყვეობის დროს და ბოლოს, რუსეთში  
გადასახლების პერიოდში, მაგრამ მან, როგორც პოლიტიკურმა სახელ-  
მწიფო მოღვაწემ, ვფიქრობთ, გარკვეულად არასწორი გზა აირჩია,  
რამაც მას და ქართლის მოწინავე საზოგადოების წარმომადგენელთ სამ-  
შობლო დაატოვებინა და რუსეთში გადასახლება გადააწყვეტინა. ჯერ  
„ოსმალობის“ და მერე „ყიზილბაშობის“ დამკვიდრებამ ქართლის სა-  
მეფო უკიდურესი კატასტროფის წინაშე დააყენა, რაც, ვფიქრობთ,  
დიპლომატიის სფეროში ქართლის პოლიტიკურ მესვეურთა არაელის-  
ტიური პოლიტიკის შედეგი იყო და რამაც თავისდა უნებურად ეროვ-  
ნულ-სახელმწიფოებრივი წყობის არსებობას საფუძველი შეურყია.

ვახტანგ VI-ის წინამდოლობით ქართველი კოლონისტები რაჭის  
გზით დიგორს მისულან, იქიდან მათ ქსნის ერისთავის საშუალებით  
ჩერქეზეთს მიუღწევიათ. ჩერქეზი ბატონი ბაყიშვილი ჯარით შეეგბე-  
ბია. თერგზე კიდევ დამატებითი რაზმები დახვედრია. ვახტანგს პეტ-  
რესათვის ფრანგისტან თურქესტანიშვილი და ვახტანგ ამილახორი  
გაუგზავნია და რუსეთის სამეფო კარისათვის უცნობებია, რომ ქართლ-  
კახელ კოლონისტებთან ერთად თავშესაფარს თხოულობდა რაჭის  
ერისთავი და ჩერქეზი ბატონი — ვახტანგის ცოლის ძმა<sup>154</sup>. გამაპმა-  
დიანებული კონსტანტინე მამად ყული-ხანი პეტრეს ატყობინებდა ოს-  
მალთა დამკვიდრებით კახეთში დამყარებულ მძიმე ვითარებას და აღ-  
ნიშნავდა, „ჩემი და ქართლის ბატონის რჩევითა და ერთმანეთის ძა-  
ლით ვცდილობთ, რომ საქართველო სრულ იმათ (ოსმალთ) ხელში  
ვერ ჩაიგდონო“.<sup>155</sup> ყოველივე ეს უკვე დაგვიანებული იყო.

ვახტანგმა ქართველ კოლონისტებთან ერთად დაღესტანი გაიარა.  
ციხე სოლალთან მათ შემოეგებათ სარდალი გაბრიელ კროპოტკივი<sup>155</sup>.  
აქ მოხდა ვახტანგისა და რუსი სარდლის შეხვედრა. გაბრიელ გელო-  
ვანი თავის მემუარებში მოგვითხრობს, თუ როგორ მიავლინა ვახტან-  
გმა თავისი ელჩი სარდარი ვახტანგ ამილახორი პეტერბურგს და რა  
დიდი პატივით მიიღო ქართველი დესპანი პეტრე I-მა, დაასახუქრა და  
აღუთქვა დახმარება. საინტერესო და სრულიად უცნობ ცნობას გვა-  
წვდის ჩევნი მემუარისტი იმის შესახებ, თუ როგორი რეაქცია მის-  
ცა გელათის მონატერში მყოფმა იმერეთის მეფის ბაგრატის ასულმა  
ნინომ ვახტანგის რუსეთში გადასულის ფაქტზე. ბატონიშვილი ნინო

<sup>154</sup> ვახტანგ ბატონიშვილი, ცხოვრება და ქმნულება მეფეთა ქარ-  
თლისათა, ტ. IV, გვ. 507.

<sup>155</sup> M. Brocse, იქვე, გვ. 168; გაბრიელ გელოვანი, [მცირე ანდეზძე,  
ხ. ი. ფ. H, № 1743, გვ. 118.]

ფარულად გამოვიდა მონასტრიდან, მივიდა ალექსანდრე იმერთ მეფესთან და ითხოვა დასტური, რომ ვახტანგს გაპყოლოდა. ალექსანდრე ვახტანგის მ პოლიტიკური ნაბიჯის წინააღმდეგი იყო და ნინომ დასტური ვერ მიიღო. მაშინ ნინომ ფორმალურად ვახტანგისაგან მოვლინებულ თავიდ ჩეციძეს „საბოძვარი“ მიართვა, ამავე დროს შეკრა მაფრაშები და მოახსენა ალექსანდრე იმერთ მეფეს, რომ მთელ თავის საქონებელს სტოვებდა, ხოლო თვითონ მიემგზავრებოდა ვახტანგთან ერთად რუსეთს. ნინომ ეშმაკობა იხმარა, დატოვებული მაფრაშები ბაშბით გაავსო, ხოლო თავისი წილი განძი თან წაიღო.

ვახტანგ VI თავისი ლტოლვილებით ასტრახანს მივიდა, სადაც ასტრახანის გუბერნატორმა ასევე უმასპინძლა სტუმრებს. ბოლოს, გაბრიელ გელოვანი იგრძელებს თხრობას, თუ ხმელეთითა და ზღვის გადალახვით, როგორი სიძნელებით ჩავიდა ქართლის მეფე პეტერბურგს და იქ პეტრეს გარდაცვალების თავითარდამცემი ამბავი გაიგო.

ცხადია, ერთიანი საქართველო და მახლობელ სახანოთა ერთსულოვნება თურქეთის სამხედრო ძალთა ვასანეიტრალებლად რუსეთის იმპერიისათვის ხელსაყრელი იქნებოდა. კონსტანტინე კახთა მეფე ბელადობას ვახტანგს აყისრებდა და პეტრეს უთვლიდა, რომ მას, თავის მხრივ, აემოქმედებინა ერევნის, ვანჯისა და ყარაბაღის ხელისუფალნი, რათა თურქეთთან შებრძოლებას ნაყოფი გამოელო: „ამის გარდა, სხვა ყიზილბაშის ქვეყნებიც თქვენის ჭარის მობრძანების მდომნი არიან და სამსახურიც უნდათ“<sup>156</sup>. ქართლში დარჩენილი მოწინავე თავადაზნაურობა პეტრე I-ს აგონებდა: „საქართველოს ერთადერთი მომვლელი ვახტანგია და ისიც მანდ დაგებარებინათ“<sup>157</sup>.

ვახტანგის რუსეთში გადაიზინის ერთ-ერთ მიზეზად თვითონ ქართული თავადაზნაურობა რუსეთის მთავრობასაც თვლიდა, რომელმაც ყოველმხრივი დაპირებებით ხელი შეუშეყო ქართველების გადასახლებას რუსეთში. გარკვეული ჭგუფი თავადაზნაურობისა მაინც მიიჩნევდა, რომ ქვეყნის დატოვება უმეთაუროდ დიდი შეცდომა იყო. მათი აზრით, მტერთან შეურიგებლობას არ უნდა გამოეწვია მთლიანად სამშობლოსგან გაცლა და მისი მიტოვება. ისიც ნათელი იყო მათვის, რომ ვახტანგი ასე იოლად ვერ დაბრუნდებოდა და ამიტომ ითხოვდა საქართველოში ბაქარის გამოწვევას, რათა მას სახელმწიფო საქმეები ეწარმოებინა.

1724 წლის დეკემბრისათვის ერთიანი საქართველოსათვის გარეპოლიტიკური ვითარება ისე იყო გართულებული, რომ ვახტანგ VI არც დარეგან არჩილის ასულის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას

156 მ. ბრიცე, დასახ. ნაშრ., გვ. 173.

157 იქვე.

იღებდა მხედველობაში. დარეჯანი ფიქრობდა, რომ ოსმალეთისაგან  
შევიწროებულ ვახტანგ VI-ს გილანში მოსალაპარაკებლად თავისი წარმატება  
მომადგენელი უნდა გაეგზავნა. ვახტანგი ამ წინადაღებს უმარ-  
თებულოდ მიიჩნევდა, ვინაიდან თვლიდა, რომ ირანის შაპთან ურ-  
თიერთობის გაბმა მხოლოდ და მხოლოდ თურქეთთან დამოკიდე-  
ბულებას გაუმჯვავებდა მის სამშობლოს. მაგრამ აღსანიშნავია, რომ  
ვახტანგი არც ოსმალეთთან მიიჩნევდა რაიმე დიპლომატიური მო-  
ლაპარაკების წარმოებას მიზანშეწონილად და ყველა იმედს სამშობ-  
ლოს ხსნისათვის რუსეთზე ამყარებდა<sup>158</sup>. ვახტანგ VI-ს უნდა განე-  
ჭვრიტა, რომ რუსეთს საქართველოს ბელ-ილბლის გადაწყვეტა ამ  
პირობებში არ შეეძლო და არც ესაჭიროებოდა. ამ მომენტში ვახტან-  
გის ასეთ განწყობილებას თითქოს და მართლაც გარკვეული სარჩული  
ედო საფუძვლად.

ოთარ და რომანზე ერისთავები პეტრე I-ს სწერდნენ, რომ თერ-  
ვზე მისული არავის ერისთავის სამშობლოში დაბრუნება შეუძლებე-  
ლია, ვინაიდან „ქართველ კაცს საქართველოში არ ედგომება“<sup>159</sup>.

ეს პერიოდი — 1724 წლის ბოლო და 1725 წლის დასწყისი, მარ-  
თლაც ქართლ-კახეთის რბევისა და უკიდურესი დაცუმის ხანა იყო.

1725 წ. იანვარში, პეტრე I-ის გარდაცვალების შემდეგ, თურქეთ-  
მა კონსტანტინოპოლის ზავის მუხლები დაარღვია და სპარსეთის, კავ-  
კასიისა და კასპიისპირეთის წინააღმდეგ აგრესია დაწყო, მაშინ, როცა  
ეკატერინე I-ს მთელი ყურადღება გადატანილი ჰქონდა ბალტიისპი-  
რეთზე. ერთი პირობა, თითქოს შვედეთ-თურქეთის სახელმწიფოებს  
ერთობლივი ომი უნდა დაეწყოთ რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ ესეც  
არ მოხდა, ვინაიდან თურქულმა ჭარებმა ირანში მარცხი განიცა-  
დეს და შეშინებული თურქეთი რუსეთთან ურთიერთობის გამშვავებას  
მოერიდა. თურქეთის დაზვერებამ კი ძალიან კარგად იცოდა, რომ რო-  
გორც კი ქართლის მეფე რუსეთთან ურთიერთობას განიმტკიცებდა,  
ყველა ღონეს იხმარდა, თავი დაეღწია თურქი მოძალადისაგან.

1725 წ. ზაფხულში დომენტი კათალიკოსი, რომელიც ჭერ ქსნის  
ხეობაში იმალებოდა, შემდეგ იძულებული შეიქნა კონსტანტინოპო-  
ლისათვის შეეფარებინა თავი<sup>160</sup>.

რუსეთის მთავრობას მაინც შიში ჰქონდა, რომ ვახტანგს და დო-  
მენტის რაიმე საიდუმლო კავშირი არ გაებათ ერთმანეთთან და ამით  
თურქეთი არ გაეღიზიანებინათ რუსეთის წინააღმდეგ. „ადვილი წარ-  
მოსადგენია, რომ თავისი ძმა გაგდანი მთელი საქართველოს სახით

158 მ. ბრისე, დასახ. ნაშრ., გვ. 176.

159 იქვე.

160 ი. ტლაშაძე, ბაქარიანი, ს. ყუბანეიშეილის გამოც. 1962, სტროფი  
210—237.

პორტის წინააღმდეგ იქნება გამოყვანილი<sup>161</sup>, წერდა კონსტანტინოპოლის მოლში მყოფი რუსი ელჩი ნეპლუევი პეტერბურგს.

ვიზუალური

1726 წ. თურქეთმა ისევ გაძლიერა აგრძესია სპარსეთის, კავკასიისა და კასპიისპირეთის წინააღმდეგ, მაგრამ ერთ წელიწადში სიტუაცია შეიცვალა, ვინაიდან თურქეთმა ირანში კვლავ მარცხი განიცადა და რუსეთთან ურთიერთობის გამწვავებას მოერიდა. არც ამ შემთხვევაში მიიღო ვახტანგმა რუსეთისგან მხარდაჭერა. რუსეთმა ისევ ფრთხილი პოლიტიკის წარმოება ამჯობინა. საქართველოს საკითხი მისი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების ჩარჩოებში აღარ მოთავსდა. ვახტანგი ისევ დაბეჭითებით ითხოვდა რუსეთის მთავრობისაგან თერგზე ციხის აგებას და იქ რუსული სამხედრო მეომრების ჩაყენებას. ვახტანგის მოთხოვნა კვლავ დაუქმაყოფილებელი დარჩა. მაგრამ არც უმაგისობა იყო, რომ რუსეთის მთავრობა ცდილობდა გაერკვია საბოლოოდ ირანის შაპისა და საქართველოს დამოკიდებულების ხსიათი. ამ მოსაზრებით გადაწყდა 1726 წ. ვახტანგ ამილახორის გილანში გაგზავნა, რომელსაც ევალებოდა გარკვეული შეთანხმებისათვის მიეღწია. ბოლოს ეს მისია თვითონ ვახტანგ VI-მ იყიდა, ვინაიდან, სპარსეთში მრავალგზის ნამყოფს და შაპითან ხშირ დიპლომატიურ ურთიერთობაში შებმულს, ამჯერადაც იმედი ჰქონდა, რომ გარკვეულ მიზანს მიაღწევდა. ცხადია, ყოველივე ეს თურქეთის სახელმწიფოებისათვის საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო. რუსეთი კასპიისპირეთის საკითხის გადაჭრაში თავის საქმეებს ავგარებდა, ხოლო თურქეთი, თავის მხრივ, რუსეთ-ავსტრიის და რუსეთ-პრუსიის დაზავებით შეშინებული, ყურს იყრუებდა შექმნილი სიტუაციის მიმართ. ყოველივე ამის გამო ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ ვახტანგი იძულებული იყო გილანში გამგზავრებულიყო. ამის ინიციატორი აღმოჩნდა რუსეთი. მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგს მიუთითეს, მარტო რუსეთის ინტერესები დაეცა, რუსეთის ხელისუფლება მანიც შიშობდა, ვახტანგი საქართველოს საკითხის დასმას არ მოერიდებოდა, „იგი უწინარეს ყოვლისა, შეეცდებოდა მიიღოს თავისთვის საქართველო“<sup>162</sup>. ასეთ შეფასებას აძლევდნენ ვახტანგის განწყობილებას რუსი დიპლომატები. ეს ნიშანდობლივი განცხადება იყო და დამახასიათებელი რუსეთის პოლიტიკისათვის — კერძოდ საქართველოს მიმართ. ცხადია, ვახტანგს თავისი გეგმა ჰქონდა შემუშავებული, რომლის მიხედვით, იგი ჯერ შემახაში უნდა შესულიყო, შემდეგ შირვანში, ხოლო ბოლოს მას კახეთის, ქართლისა და სომხეთის ჯარი უნდა შეეერთებინა. ყოველივე ამის განხორციელებას ვახტანგი შეიარაღებული რუსული

<sup>161</sup> გ. პაიჭაძე, რусско-грузинские отношения в 1726-35 гг. 1965,

გვ. 78; ივ სე ტლაშვაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 265.

<sup>162</sup> გ. პაიჭაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 80.



ჯარის მეშვეობით აპირებდა. ამის იმედს რუსეთის სამეფო კარი აქციური მუნიციპალიტეტი ლევდა. ვახტანგი რუსეთის შთავრობას იმასაც სთხოვდა, რომ ამ დროისათვის რუსეთიდან საქართველოში სიმონ ბატონიშვილი და ბაქარი გაეგზავნა, რომელთაც რაჭის ერისთავი და დადიანი შეუერთდებოდნენ<sup>163</sup>. ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ ეს გეგმა რუსეთის მთავრობამ არ მიიღო, ვახტანგი მაინც, გილანს გაიგზავნა. ეკატერინე I-მა ვახტანგი 1726 წ. ივნისში წინასწარ დააჯილდოვა ანდრია პირველწოდებულის ორდენით.

გილანში მყოფ ვახტანგს საშუალება არ მიეცა საქართველოს და სომხეთის ჯარის შეერთების საკითხი როგორმე მოეგვარებინა. რუსეთისათვის აღმოსავლეთის საკითხი ფრიად შორეული გეგმის ერთ-ერთ პუნქტი იყო. მიუხედავად ყოველივესი კი, რუსეთის საიმპერატორო კარი თურქეთის წინააღმდეგ ვახტანგს სპარსეთში გზავნიდა, ვარაუდობდა, რომ დრო ხელსაყრელი იყო სამოქმედოდ; თურქეთი ძლიერების ზენიტში აღარ იყო და სპარსეთიც ჯერ არ მომდლავრებულიყო. ვახტანგმა გაუგზავნა შაპ თამაზს ელჩებად თურქისტანი თურქესტანიშვალი და დავით ნაზარიშვილი, რათა ოფიციალურ შეხვედრაზე თანხმობა მიეღო<sup>164</sup>.

1727 წ. მარტში გენ. ლევაშოვი და სპარსეთის წარმომადგენელი მუპამედ რეზა ერთმანეთს შეხვდნენ, შუამავლად კი ვახტაგ VI იქნა წარდგენილი. ცხადია, სამივე მხარეს თავისი პრეტენზიები ჰქონდა. შაპ-თამაზი და ვახტანგი სამეფო ტახტის მოპოვებას ეძიებდნენ, რუსეთი კი კასპიისპირეთის ხელში ჩაგდებას ლამობდა.

გენ. ლევაშოვი, როგორც გ. პატარე აღნიშნავს, რუსეთის მთავრობას აეჭვებდა ვახტანგის ერთგულებაში და ისე ეჭირა თავი, რომ რუსეთი არავითარ ტერიტორიულ დაომობაზე არ წავიდოდა<sup>165</sup>. გ. პატარე მოჰყავს დოკუმენტი, საიდანაც ძალიან კარგად ჩანს, თუ რა პოზიციაზე იდგა რუსეთის მმართველობა, საომარი მოქმედების წამოწყებისათვის. ნეპლუვეი ატყობინებდა რუსეთის მთავრობას, რომ თითქოს თურქები ირანთან სეპარატიული ზავისათვის ემზადებოდნენ და აერცელებდნენ ხმებს, რუსეთის მთავრობა აპირებს ვახტანგ VI გამოცხადოს ირანის შაპალო<sup>166</sup>. რუსეთის მიერ ხელოვნურად ამ სიტუაციის შექმნამ ვახტანგისათვის სრულიად ცხადი გახადა არსებული ვითარება და მან უკვე თვითონ მოინდომა უშუალოდ ეწარმოებინა სპარსეთთან მოლაპარაკება, მაგრამ დასტურის მისაღებად რუსეთს მიმართა. რუსეთის მთავრობამ არ შეუწყო ხელი ვახტანგს, მოითხო-

<sup>163</sup> გ. პატარე, დასახ. ნაშრ., გვ. 91.

<sup>164</sup> ძევე, გვ. 101.

<sup>165</sup> ძევე, გვ. 109—111.

<sup>166</sup> ძევე, გვ. 116; ხ. ი. აღწერ. ფ. H, ტ. III, 1963.

ვა 1728 წ. მას გილანი დაეტოვებინა და უკან დაბრუნებულიყო. სანაბიჯი რუსეთს თითქოს წინასწარ უნდა ჰქონოდა, ამრიგადულიყოთ ტანგის მისიამ გილანში კვლავ უშედეგოდ ჩაიარა. ვახტანგის ამდენი წვალება, მისი იმედები სამშობლოში დაბრუნებისა და მისი სახელმწიფოს ხსნისა, უშედეგოდ დამთავრდა. ვახტანგმა ვერ გაითვალისწინა და ვერ განსაზღვრა რუსეთის დიპლომატიის ინტერესების არსა.

შემდეგში ვახტანგმა 1729 წ. საზაფრულო სასახლე მიიღო პრესნიაზე, რომელსაც რიაზანის მიტროპოლიტი სტეფანე ფლობდა. ამით რუსეთს უნდოდა ვახტანგი ბოლომდე ერთგულ მოკავშირედ ჰყოლოდა<sup>167</sup>.

1729 წ. მოსკოვის მთავრობამ ისევ გააუმჯობესა ვახტანგის მდგომარეობა და საზამთრო შენობა მისცა არბატზე, ნიკიტის ქუჩაზე, რომლის მფლობელი ადრე ვასილი დოლგორუქი იყო<sup>168</sup>. ხოლო 1729 წ. დეკემბერს ვახტანგის მოთხოვნით, მისი ამაღლის საცხოვრებელი პარობების გასაუმჯობესებლად მთავრობამ გაიღო საშენი მასალა და 10 000 მან. ფულად<sup>169</sup>.

ამ დროს კი საქართველოში მდგომარეობა უფრო მძიმდებოდა. ერთი დამპყრობელი მეორეს უნდა შეეცვალა. გ. პაიჭაძეს შობუავეს დოკუმენტები, საიდანაც კარგად ჩანს, თუ როგორ ცდილობდა ვახტანგ VI რუსეთის მეშვეობით და აქტიური ჩარევით საქართველოში ლეპ აბრაგთა თარეში შეენელებინა და ხელი შეეშალა ყირიმსა და თურქეთში ტყვეთა სყიდვისათვის<sup>170</sup>. ასევე ვახტანგი რუსეთს სთხოვდა 1731 წ. ეხსნა დომენტი კათალიკოსი თურქთა ტყვეობისაგან. მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რა ხდებოდა ვახტანგის პოლიტიკური პოზიციის გამო საქართველოში. 1731 წ. ბარძიმ არავის ერისთავიც რუსეთის ხელისუფლებას ატყობინებდა, იმის შიშით, რომ ვახტანგი რუსული ჭარით საქართველოში დაბრუნებას აპირებდა, ირანის შაპის წახალისებით ლეპი აბრაგები ჭართლის სოფლებს აწიოკებდნენ და ჭართლის მოსახლეობას ანადგურებდნენ. ამავე დროს ირანის შაპს მთელი სამხრეთი რეგიონები ხელთ ჩაეგდო და ერევანამდე მოსულიყო. ფაშა იძულებული გამხდარა ვახტანგის მომხრე ჭართველი ერისთავები გაეთავისუფლებინა. შაპს ბალდადი დაერბია. ლეპებს კი ჭართლის, ხევსურეთის და ოსეთის სოფლები აეწიოკებინათ. ამის გამო იყო, რომ ბარძიმ ქსნის ერისთავი თხოულობდა ჭართლში რუსეთიდან ბაგრატიონების დაბრუნებას, „ურუმი დასუსტდა, ბალდადი. წაართვეს,

167 გ. პაიჭაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 116.

168 АВПР, сп. Сношение Рос. с Груз. 1736, г., д. № 3, л. 2.

169 იქვე, 9, № 2, № 6, 8.

170 გ. პაიჭაძე, იქვე, გვ. 116.

ნულარ ანდობ, რომ გაძალიანდეს. ურუმი 200 კაცი არის ქართლში. ხონთქარი და ყევენი ოქვენ შემოგეხვიწებათ. ეს ქვეყანაც მუქთა და თქვენ დაგრჩებათ. თუ ეხლა არ ეცადეთ, დაიკარგა“<sup>171</sup>.

ამ წერილის მიღების შემდეგ ვახტანგი გააქტიურდა და რუსეთის მთავრობას სთხოვდა, რაიმე პრაქტიკული ღონისძიება მიეღო. ვახტანგმა იმპერატორ ანას გამოსძალა ბაქარის საქართველოში დაბრუნების დასტური, რომლის მიხედვით მას 297 კაცი უნდა გაჰყოლოდა, ძაგრამ დასტური მხოლოდ ფორმალური აღმოჩნდა. ვახტანგ VI-ის რუსეთიან ურთიერთობის ისტორია ამ სიტუაციაშიც მხოლოდ დაპირებით და დაიმედებით დამთავრდა.

მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ მიუხედავად ყოველივე-სი, მთელი იმერეთი, ოდიში და გურია მაინც თავის მფარველად რუსეთს მიიჩნევდა. ამრიგად, ვახტანგის პოლიტიკური პოზიცია საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროებსაც ისე ესმოდათ, როგორც თვითონ ვახტანგს. ყველანი გამოსავალს რუსეთან მოკიგშირეობაში ხედავდნენ. მაჰმადიანურ რეალში მოქცეული მთელი საქართველო რუსეთის გარდა. სხვა, უფრო საიმედო გზას ვერ პოულობდა. 1733 წ. რუსეთის საიმპერატორო კარზე ვახტანგ VI-მ გეგმა წარადგინა, რომლის მიხედვით რუსეთის გარი ქართველთა მეთაურობით საქართველოში უნდა წამოსულიყო. ვახტანგი ორ გზას ვარაუდობდა: ერთს — შემანის გავლით, მეორეს კი — თერგის შესართავით<sup>172</sup>. ამის შემდეგ გზა გადვალული იქნებოდა. ქსნისა და არაგვის ერისთავები ისებოთან ერთად, რომელთა ერთგულებაში ვახტანგს უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდა, ყოველნაირად შეეცდებოდნენ ამიერილან რუსეთისადმი ერთგულება გამოეჩინათ. 1733 წ. ბესარიონ კათალიკოსი უთვლიდა ვახტანგს, მარტო სამი-ოთხი პოლკი გეყოფა, რომ საქართველოდან უკანასკნელი დამშერობელნი განდევნონ. ბესარიონი ატყობინებდა, სანამ ყავნი გაძლიერდება, საჭიროა ყოველნაირი ღონის ხმარება, თორემ წართმეულის დაბრუნება გაჭირდებაო<sup>173</sup>. ვახტანგ VI იმასაც უხსნიდა საქართველოში დარჩენილ პატრიოტებს, რომ მან დიდი ზნეობრივი და ფიზიკური მსხვერპლი გაიღო იმის გამო, რათა ირანიდან რაიმე შეთანხმება მოეპოვებინა, მაგრამ ამ შეთანხმების უშედეგობას რუსეთს აბრალებდა. იგი საბოლოოდ დაეჭვებული იყო რუსეთის „ერთგულებაში“ და თავისი „მფარველის“ მთავრობას წერდა: „სპარსეთის შაპი და მისი მინისტრები კიცხადენ, რასაც თქვენ წერდით და რასაც თქვენამდე იწერებოდა ჩევნი სარგებლობის შესახებ, თქვენ კი არაფერს აკეთებდით. თუ ისევ ისე გაგრძელდება, მაშინ ჩემი სახელ-

171 მ. ბ რ ს ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 197.

172 გ. პ ა ი ჩ ა ძ ე, გვ. 143.

173 პერეპისკა..., გვ. 198—199.

მწიფო და სომხეთი სრულად განიავდება და ცოდვა კი ჩემ სულხან  
დარჩება<sup>174</sup>. ამ წერილიდან კარგად ჩანს, თუ როგორ ხდა ფრანგულის მისამართი არასაიმედო დამკიდებულებას, მაგრამ გამოსავალს  
ვერ პოულობდა. მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ საქართვე-  
ლოდან გაგზავნილი ყველა წერილიდან, რომლის აღრესატი ვახტანგი  
იყო, ირკვევა, რომ კახეთის მეფეს, ქსნისა და არაგვის ერისთავს, გვივ  
იმილახვარს და შოშიტა არაგვის ერისთავს თავის მართლება სჭირ-  
დებოდათ და ფიცის დადებაც კი, რომ ისინი ამიერიდან ვახტანგის  
ერთგულნი იქნებოდნენ<sup>175</sup>.

ამიტომ, ჩვენ მიგვაჩინა, რომ ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის სა-  
ქართველოდან რუსეთში გადასვლას, არა მარტო ლეკოთ თარეშმა და  
ოსმალ დამპყრობელთა შემოსევამ და რუსეთის სამპერატორო კარის  
დაპირებებმა შეუწყო ხელი, არამედ კახეთის მეფისა და დიდგვარო-  
ვანი, გავლენიანი ქართლის თავადების ორგულობამაც. მათ ხელოვ-  
ნურად გაამძაფრეს ყველა პირობა, რომ ქართლის მეფეს ისევ გარეთ  
ეძია დახმარება და შველა.

ამით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ ამ მძიმე სიტუაციაში  
ვახტანგმა ერთმორწმუნე რუსეთი იგულვა მფარველად, რათა მაპმა-  
დიანური სახელმწიფოებისათვის დაეპირისპირებინა იგი. ყველანაირად  
ეცადა, ყველა ხერხი იხმარა, ყველა შემოთავაზებულ წინადაღებაზე  
უარი არ თქვა, რომ როგორმე ქართლის სამეფო ბაგრატიონებს და-  
ბრუნებოდა. ამიტომ, ჩვენ მიგვაჩინა, რომ ის მარცხი, რომელიც  
ვახტანგის პოლიტიკამ რუსეთის მოკავშირეობის არჩევაში განიცადა,  
გამოწვეული იყო საერთაშორისო ვითარებათა გართულებითა და შეუ-  
ფასებლობით, იმ შიდა ფეოდალურ-სოციალური წყობის შედეგადაც,  
რომელიც იმ დროს საქართველოში არსებობდა. ფეოდალური სახ-  
ლების მუდმივი ბრძოლა ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების  
წინააღმდეგ ქვეყნის პოლიტიკურ დასუსტებას და დაუძლურებას იწ-  
ვივდა და პოლიტიკურად დაშლილი ქვეყანა გარეშე მტერს ადვილად  
ვირ უმქლავდებოდა.

1733 წ., როდესაც სრულიად ცხადი გახდა, რომ რუსეთის მთავ-  
რობა თავს არ იწუხებდა საქართველოს ბედ-ილბლის გადაჭრით, ქარ-  
თლში დარჩენილი დიდგვაროვანი თავადები კვლავ იწვევდნენ ვახტანგს  
სამშობლოში და თავიანთ ორგულობას ასე ხსნიდნენ: „სამდურავი  
მამაშვილთა შორისაც დასაშვებია, მაგრამ მამაშვილობა მაინც ძალაში  
რჩებაო“<sup>176</sup>.

<sup>174</sup> Г. Пайчадзе, გვ. 144.

<sup>175</sup> Перешиска..., გვ. 206—208.

<sup>176</sup> М. Броссе, დასახ. ნაშრომი, გვ. 206.

შანშე ქსნის ერისთავი, რომელიც თავის დროზე ვახტანგს თავისი არგულობით ავიწროებდა და ხან შემოსეული მტრის მხარეზე აყდომდება და ხან არაგვის ერისთავის ქიშპობას ალეკდა სამხედრო ძალებს, ახლა ვახტანგს იმის საშიშროებას ატყობინებდა, რომ „თუ შენ არ ჩამოდი რუსეთიდან და არ დაიპყარი ქართლი, თეიმურაზ II დაიპყრობს შენს ქვეყანას“<sup>177</sup>.

თავადური ფსიქოლოგია თითქოსდა ერთ სიბრტყეზე აყენებდა და ამ შემთხვევაშიც ვერ ასხვავებდა იმ საშიშროებას, რომელიც მას ელოდა ირან-ოსმალთა დამპყრობლებისაგან და კახთ ბატონის ქართლ-ში გამეფებისაგან. ამდენად, ჩვენი აზრით, დიდი ბრალი მიუძღვის ქართველ თავადებს, რომ ვახტანგმა ასეთი რადიკალური გადაწყვეტილება მიიღო და რუსეთში გადაიხვაწა.

საერთაშორისო ვითარება იცვლებოდა. ჯერ კიდევ 1732 წ. 21 იანვარს რეშტში ირან-რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულების მერვე პარაგრაფი საქართველოს ეხებოდა. იმის მიხედვით, საქართველო ირანის პროტექტორატის ქვეშ შედიოდა, ხოლო მეფობა ქართლის ხელისუფალს ვახტანგს ეძლეოდა. რუსეთმა კი, თავის მხრივ, რეშტის ტრაქტატით მოიპოვა ირანში უბაურ ვაჭრობის უფლება და ტრაქტი ინდოეთში<sup>178</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ 1733 წ. ნოემბერში ვახტანგმა და ბაქირმა რეშტის ხელშეკრულების განხორციელების წერილობითი თანხმობა მიიღეს, რეალური დახმარების ნიშნები მაინც არ ჩანდა.

ნადირ შაპის გაძლიერება თურქეთის სახელმწიფოს საფრთხეში აყენებდა და რუსეთსაც შეში უჩნდებოდა, რომ რეშტის ხელშეკრულებით მოპოვებული პრივილეგიები შეიძლებოდა დაპყაროდა. ამ რთულ სიტუაციაში საქართველო კვლავ მარტო რჩებოდა. ამიტომ 1734 წ. პრილში ქართლის თავკაცებმა ვახტანგის დასტურით, რუსეთში ვახტანგ ორბელიანი გაგზავნეს, რომელიც მას ატყობინებდა მთელ შექმნილ სიტუაციას, თურქეთის დასუსტებას და მომძლავრებული სპარსეთის მოსალოდნელ იერიშს. როგორც თვითონ ვახტანგ VI, ისე ქართველები არ ერიდებოდნენ თამამად და ამაყად პირდაპირ ეთქვათ რუსი „მფარველისათვის“ ის, რასაც ისინი რუსეთის დიპლომატიასა და პოლიტიკაში მათვის მიუღებელს ხედავდნენ: „მეფეს თხოვნით უგზავნიდნენ წარმომადგენლებს, ხოლო მათგან კი ვერავითარ დაცეს ვერ იღებდნენ“<sup>179</sup>.

მაგრამ ვახტანგ ორბელიანის უშედეგო ელჩობა არ გამორიცხავდა იმ გარემოებას, რომ იმავე 1734 წ. ნოემბერს ოტია დადიანმაც, რო-

<sup>177</sup> М. Б р о с с е, დასახ. ნაშრ., გვ. 206.

<sup>178</sup> Очерки..., დასახელებული ნაშრომი, გვ. 606.

<sup>179</sup> Г. П а й ч а ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 145.

მელიც ოსმალეთისაგან იყო შევიწროებული, ერთ-ერთ მხსნელიდ  
რუსეთი იგულვა. აღსანიშვანია, რომ სწორედ 1734 წ. მოსკოვის მეფის მიერ მართველობაში 61 კაცი ჩასულა, რაც, ცხადია, უმძიმესი „ოსმალობი-  
სა“ და მისი „ყიზილბაშობით“ შენაცვლების საშიშროებასთან იყო და-  
კავშირებული, მაგრამ არა ნაკლებ იმასთანაც, რომ მათ მოსკოვში  
ეგულებოდათ ვახტანგ VI და მისი დასი<sup>180</sup>. ამრიგად, ასეთი ნდობა  
რუსეთისადმი გამოწვეული იყო იმ მძიმე გარე პოლიტიკური სიტუაცი-  
ოთ, რომელიც კვლავ იკვანძებოდა ირანსა და ოსმალეთს შორის ამიერ-  
და იმიერკავკასიის ქვეყნების დანაწილებაში. რუსეთის შედარებით  
უფრო ელასტიური პოლიტიკა კი ცდილობდა შექმნილი სიტუაცია თა-  
ვის სასარგებლოდ გამოყენებინა. მას შესაძლებლობა ეძლეოდა ამი-  
ერკავკასიაში თავისი პოლიტიკური ძალა განვირცო ისევ თავის ღო-  
ნისძიებათა შესასრულებლოდ. ვახტანგ VI-ს კი მიიჩნევდნენ ამ ღო-  
ნისძიების შესრულების იარაღად. 1734 წ. მაისს ვახტანგი და ბაქა-  
რი კასპიისპირეთში იყვნენ გაგზავნილნი<sup>181</sup>. ვახტანგი შემახაში მიავ-  
ლინეს, როგორც სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც კარგად იყო გათ-  
ვითცნობიერებული არსებულ ვითარებაში; მას საომარი მოქმედება  
უნდა ეწარმოებინა კასპიის ზღვის სანაპიროზე. შემახაში იმხანად ოს-  
მალური გარნიზონი აღარ იდგა. რუსეთის მთავრობამ ასეთი  
დავალება დააკისრა ვახტანგ VI-ს: პირველ რიგში, მას უნდა გა-  
ერკვია ირან-ოსმალეთის ურთიერთობის ხასიათი, შემდეგ უნდა შეეს-  
წავლა ირანის სახელმწიფოს პოლიტიკური მდგომარეობა, ირანის დამო-  
კიდებულება შავ თამაზ ხანთან და ამავე დროს უნდა დაედგინა, მტკი-  
ცე იყო თუ არა ნადირშაპის კანდიდატურა. აგრეთვე ვახტანგს ევა-  
ლებოდა გამოერკვია, რა რაოდენობის ჭარის გამოყვანა შეეძლო აღ-  
გილობრივ მოსახლეობას<sup>182</sup>.

საინტერესო დოკუმენტი მოჰყავს გ. პატარძეს, სადაც აღნიშნუ-  
ლია, რომ რუსეთის მთავრობას განსაზღვრული ჰქონდა გამოეყენე-  
ბინა ისინი (ვახტანგი და ბაქარი), როგორც ამიერკავკასიის ხალხთა  
გამოსვლების ორგანიზატორები რუსეთის მხარეზე, რუსეთ-თურქეთის  
ურთიერთობათა გამწვავების შემთხვევაში. ამავე დროს ითვალისწინებ-  
და იმ შესაძლებლობებს, რომელიც უნდა გამოეყენებინა ირანთან  
ურთიერთობათა რეგულირებისათვის<sup>183</sup>.

მართალია, რუსეთის ხელისუფლება თვლიდა, რომ ამიერკავკა-  
სიის ხალხთა მხარდაჭერა ვახტანგის მეშვეობით უნდა მომხდარიყო,  
არა მარტო იმის გამო, რომ რუსეთის სამეფო კარი რუსეთში მყოფ  
პოლიტიკოსებზე ამყარებდა იმედებს, არამედ იმიტომაც, რომ ვახ-

<sup>180</sup> ბ. ი. ფ. Ros, № 316.

<sup>181</sup> Г. Пайчадзе, იქვე, გვ. 148—149.

<sup>182</sup> АВПР. Сношение Рос. с Перс., 1734 г. № 20, Л. 8—14.

<sup>183</sup> Г. Пайчадзе, იქვე, გვ. 149.



ტანგ VI-ს და მისი ამალის წევრებს რუსეთის დიპლომატიის მესკეურ-  
ნი მხოლოდ და მხოლოდ ერთგვარ იარაღად თვლიდნენ, სარგებლობის და  
დნენ რა მათი თითქმის გამოუვალი მდგრამარეობით. 1734 წ. სექ-  
ტემბერში ვახტანგი დერბენდში უნდა ჩასულიყო ბაქართან ერ-  
თად, როცა რუსეთის მთავრობამ, განკარგულება გასცა, მათი ჩა-  
სვლა შეეჩერებინა. რუსეთის მთავრობამ ჩათვალა, რომ იზანის კარ-  
ზე შექმნილი სიტუაცია მათ გადაწყვეტილებას არ შეესატყვისებოდა.  
ვახტანგმა კვლავ გაიბრძოლა, უყრად არ იღო რუს დიპლომატთა  
უკან დახვევის გადაწყვეტილება და დერბენდისაკენ გააგრძელა გზა.  
ნადირშაპის გაძლიერებით შეშინებული რუსი დიპლომატები კატე-  
გორიულად ითხოვდნენ ვახტანგის უკან დაბრუნებას; აგრეთვე უკრ-  
ძლავდნენ სომხებთან კავშირის დამყარებას. შემახა ნადირს ჰქონ-  
და დაპყრობილი. ვახტანგი რუსეთისაგან დახმარების მიღების იმედს  
არ კარგავდა, დედოფალს ატყობინებდა: კახთა მმართველის თეიმუ-  
რაზის ელჩი მომივიდა, რომელმაც სამშობლოში დაბრუნება მთხოვა და  
თავის ერთგულებას მთავაზობსო. ვახტანგი რუსეთის დედოფლისაგან  
ელოდა პასუხს, თუ რანაირად ემოქმედა და თეიმურაზისათვის რა  
შეეთვალა<sup>184</sup>. გაძლიერებულმა ნადირმა ოსმალეთთან საომარი მოქ-  
მედება დაიწყო ამიერკავკასიის ტერიტორიაზე. ვფიქრობთ, რომ  
ვახტანგს უნდა ესარგებლა ამ შემთხვევით. მას თავისი იქტიური  
მოქმედებით, ქართველების მხარდაჭერით და სომხების თანადგო-  
მით ოსმალები უნდა განედევნა, ხოლო ირანელი დამპყრობელი უფრო  
მეტად ელასტიური, მოქნილი ურთიერთობით საქუთარ მიწაწყალზე  
და საქუთარ სამეფოში მიეღო. ხომ ცნობილი იყო, რომ ქართლის მე-  
ფეებს სპარსეთთან დიპლომატიური ურთიერთობისა და ხანგრძლივი  
დამოკიდებულების დიდი გამოცდილება და ტრადიცია ჰქონდათ.  
როსტომ ხანიდან მოყოლებული, ვახტანგ VI-ით დამთავრებული,  
სპარსეთის ხელისუფალნიც გარკვეულ ანგარიშს უწევდნენ ქართველ  
ბაგრატიონებს, როდესაც თავის კარზე დიდ და სახელოვან სამოქალა-  
ქო და სამხედრო თანამდებობებს აძლევდნენ. შესაძლებელია, ვახტანგის  
პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლას, აღმოსავლეთის ქვეყნებისად-  
მი მეტი გულისყურის გამახვილებას და ნდობს ერთგვარი მოქნილი  
პოლიტიკით, უფრო უკეთესი შედეგების მოტანა შეეძლო მისი სახელ-  
მწიფოსათვის, ვიდრე უცხო კარზე სულ დაეჭვებულად ყოფნას და  
იმ იმედით არსებობას, რომ ერთმორწმუნე სამეფო იმპერია სამხედ-  
რო დახმარებას გაუწევდა და ამიერკავკასიას გაათავისუფლებდა.

184 გ. პაიხაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 150.

შესაძლებელია, სწორედ გერ ოსმალეთის და შემდეგ ირანის დაუნდობელმა დაპყრობითმა ზრდოლებმა, „ოსმალობისა“ აღმდეგად ზილბაშობის“ დამკვიდრებამ იმიტომ მიიღეს ისეთი მახინჯი ფორმა, რომ ვახტანგი დაუფარავად და აშკარად რუსეთს უკავშირებდა თავისი ქვეყნის ბედ-იღბალს მაშინ, როცა რუსეთი თურქეთისა და ირანისათვის ყველაზე დიდ მეტოქედ ითვლებოდა კასპიისპირეთისა და ამიერკავკასიის ქვეყნების გავლენის გავრცელების სფეროში. მეფის რუსეთს საქართველოს საკითხის გადაწყვეტა, ცხადია, საკუთარი მიზნების განხორციელებისათვის სჭირდებოდა. საგარეო პოლიტიკის ვითარება კი ისე იხლართებოდა, რომ ვახტანგი დაშვებული შეცდომის გამოსწორებას თითქმის ეღლარ ახერხებდა.

1734 წ. დეკემბერს ნადირთან გაგზავნილმა რუსმა ელჩმა საქართველოს საკითხი სრულიად არ იღო ყურად და მთელი კასპიისპირეთი რუსეთმა ირანს უმტკივნეულოდ დაუთმო. რეშტის ზავის შედეგები აღიარებულ იქნა. საქართველო და სომხეთი სპარსეთის დაპყრობილ ქვეყანათა სფეროში მოექცა. ნადირსა და ვახტანგს შორის უშუალო მოლაპარაკება, რომელიც, ვახტანგის ვარაუდით, გულისხმობდა შეთანხმებას, რომ ქართლში ბაგრატიონები აღდგენილიყვნენ, არ შედგა. გ. პაიჭაძე ხსნის რუსულ პოლიტიკას ამ შემთხვევაში და წერს, „რომ რუსეთის პოლიტიკა მთლიანად ეყრდნობოდა იმ თვალსაზრისს, რომ არ გაემშვავებინა ურთიერთობა თურქეთსა და ირანთან და მიდიოდა რა ნადირთან ყველა დათმობაზე, ცდილობდა ჰყოლოდა იგი თურქეთის მიმართ საომარ მდგომარეობაში“<sup>185</sup>. მაგრამ გ. პაიჭაძეს იქვე მოპყავს დოკუმენტი, საიდანაც კარგად ჩანს, თუ რა პოლიტიკას ატარებდა რუსეთის მთავრობა საქართველოს მიმართ, როცა აფერხებდა ნადირისა და ვახტანგის პირად შეხვედრას და ამას იმით ხსნიდა, თითქოს ვახტანგს თავისი მოხუცებულობის გამო ძალა იღარ შესწევდა შეესრულებინა ეს დიპლომატიური მისია, ხოლო ბაქარი კი ავადმყოფობის გამო პირადად ვერ ეახლებოდა ნადირს. რამდენად გულწრიფელად იწვევდა ნადირი ვახტანგს, ამის თქმა ძნელია, მაგრამ პირდებოდა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ვახტანგი თვითონ ეახლებოდა მას, ქართლის ტახტს დაუმტკიცებდა, თან უკნებლობაში არწმუნებდა, კოიქრობთ, ვახტანგი არაუკრს კარგავდა ესეც რომ ეცადა.

რუსეთიდან ვახტანგს რეალური დახმარების არავითარი იმედი აღარ ჰქონდა, მაგრამ მან ნადირის შემთავაზებული წინადადება მაინც არ მიიღო. მან ისევ რუსეთის პოლიტიკურ მესვეურთ დაუჭერა. რუსეთს თურქეთთან ურთიერთობის გამშვავების შიში აჩერებ-

<sup>185</sup> Г. Пайчадзе, იქვე, ვ. 154, 158.

და, ამდენად, ფერხდებოდა ვახტანგის დიპლომატიური მოღაბარაცე-  
ბა ირანთან. ძნელია იმის თქმა, თუ რა მოპყვებოდა ვახტანგ-ბაქე\* ჩა-  
ჩასვლის ნადირთან და ოლდგებოდა თუ არა ქართლის ბაგრატიონთა  
დინასტია საქართველოში, მაგრამ ერთი კი ცხადი გახდა, რომ მოხუ-  
ცებული ვახტანგის მრავალგზის მდელობამ თითქმის უქმად ჩაიარა.  
ზოლოს კი, მისმა კვლავ ნდობამ რუსეთისადმი, სპარსელებისგან სა-  
ქართველოს სრული დამორჩილება გამოიწვია. ვახტანგისათვის ცხადი  
უნდა გამხდარიყო, რომ რუსეთის დაპირებები ან მისი მატერიალურ-  
მორალური დახმარება მხოლოდ და მხოლოდ იმ გარემოებით განი-  
საზღვრებოდა, თუ რა აწყობდა იმ მომენტში მეფის რუსეთს. მას კი  
ის აძლევდა ხელს, რომ ყოველთვის მცირე მსხვერპლის გაუღებლად,  
მოქნილი დიპლომატიით ჯერ თურქეთი და შემდეგ ირანი ჰყოლოდა  
გარკვეულ დისტანციურ ურთიერთობაში.

1735 წ. აპრილში განხაში დაიდო საზავო ხელშეკრულება რუ-  
სეთსა და ირანს შორის. რესპუბლიკის მერვე პარაგრაფი საქარ-  
თველოს შეეხო. კერძოდ იმ საკითხს, რომ სპარსეთი ცნობდა ვახტანგს  
ქართლის ტახტის მპყრობელად, მაგრამ ისევ იმ პირობით, თუ ვახ-  
ტანგი ირანში გახლებოდა ნადირს. ვიმეორებთ, რომ შაპისადმი ხლე-  
ბა იმ არსებული ტრადიციის გაგრძელება იქნებოდა, რაც წინა საუ-  
კუნეებში ჩდებოდა. ირანის სამეფო კარისადმი ელასტიურმა ვასალურ-  
მა დამოკიდებულებამ საქართველოს გარკვეული და შედარებითი მშვი-  
ლობიანი ცხოვრება მოუტანა. განა გახტანგის ამ ხასიათის პოლიტიკის  
შედევი არ იყო, რომ საქართველო ეკონომიკური, სოციალური და  
კულტურული აღმავლობის გზას დაადგა. ვახტანგის ლოიალური პო-  
ლიტიკის გამოყენებამ ირანის მიმართ შესაძლებელი გახდა ქარ-  
თლის აღორძინება, მოშენება, ქართული სამეურნეო ცხოვრების წინ-  
სვლა. განა მაშინ არ მოხდა სააღმშენებლო სამუშაოთა გამოცოც-  
ხლება, სარეწაოთა დაარსება, ქართული კულტურის აღორძინება, სო-  
ციალური ხსიათის ღონისძიებათა ჩატარება? ყოველივე ეს კი იყო  
ქართლის სახელმწიფო მოღვაწის ირანთან მშეიღობიანი ვასა-  
ლურ ურთიერთობათა დამყარების და მოქნილი პოლიტიკის შედე-  
გი. ვახტანგი დაადგა იმ პოზიციას, რომ ისევ რუსეთში დარჩენილიყო  
და 1735 წ. მაისში, როდესაც განხის ზავი უკვე დადებული იყო, მა-  
შინვე ასტრახანში ჩავიდა და ოფიციალური წერილი გაუგზავნა დედო-  
ფალ ანას, სადაც ატყობინებდა, რომ არც თვითონ აპირებდა ნადირ-  
თან ხლებას და არც ბაქარს გზავნიდა<sup>186</sup>.

<sup>186</sup> Г. Пайчадзе, იქნ, გვ. 162.



1736 წ. ირანსა და თურქეთს შორის სეპარატული ზავი დაიწყო. გამარჯვებულმა ირანმა ხელთ იგდო ბაქო, დერბენდი, დაღუატისული მიწები და თერგის მარცხენა სანაპირო. რუსეთმა, როგორც ვნახეთ, ჯერ თურქეთს და შემდეგ სპარსეთს თითქმის უმტკიფნეულოდ, ყოველგვარი პრეტენზიების გარეშე, დაუთმო მთელი ამიერკავკასია და მათ შორის საქართველოც. ამრიგად, ვახტანგის იმდები, რომ რუსეთის მეშვეობით სამშობლოს დაიბრუნებდა და საქართველოს აღორძინებდა, სოციალურ-კონომიკური და პოლიტიკურ-კულტურული განვითარებისათვის ბრძოლას გააგრძელებდა, საბოლოოდ განიფანტა.

საქართველოს პოლიტიკოსთა უმრავლესობამ და მათ შორის ვახტანგ VI-მ ოლო ვერ აუღო შექმნილ ვითარებას და ვერ გაითვალისწინა ბოლომდე ის, რომ კასპიისპირეთი და ამიერკავკასია, მათ შორის საქართველო, რომლის მეფე ვახტანგ VI რუსეთის ხელისუფლებას თუმცა ყველაზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოღვაწედ მიაჩნდა, მხოლოდ დამატება იყო იმ დიპლომატიისა და პოლიტიკისა, რომელსაც რუსები აწარმოებდნენ მახლობელ და შუა აზიაში.

გ. პაიჭაძე წერს: „ქართლის მეფე ცდილობდა „ქართული საკითხი“ დაეკავშირებინა რუსული პოლიტიკისათვის ირანსა და თურქეთთან მიმართებაში ისე, რომ მისგან სარგებლობა მიეღო საქართველოსათვის“<sup>187</sup>. მართალია, ეს ასეც იყო. მაგრამ, როგორც ვნახეთ, საუბედუროდ, ვახტანგის დიპლომატიის ძირითადი შეცდომა რუსეთზე ორიენტაციის აღება და რუსეთთან დაკავშირება კი არ იყო, არამედ ამ ურთიერთობის აშკარა გამოვლენა და პირდაპირი პროტესტული დამოკიდებულება, ჯერ თურქეთისა და შემდეგ ირანის სახელმწიფოებთან, რომელიც მათ გააქტიურებულ აგრესიაში გადაიზარდა და რომელიც ე. წ. „ოსმალობაში“ და „ყიზილბაშობაში“ გამოვლინდა. მართალია, ვახტანგი ყველა ლონეს ხმარობდა, ყველა საშუალებას მიმართავდა, რომ როგორმე საზავო ურთიერთობაში აღმოჩენილიყო ამ სახელმწიფოებთან, მაგრამ მისი დაუფარავი დამოკიდებულება და ერთგულება რუსეთისადმი, ყოველთვის არა მარტო ყურადღებას აძავინებდა ოსმალეთს და ირანს, არამედ აქტიური ბრძოლისაკენ უბიძგებდა აღმოსავლელ დამპყრობელთ.

ქართველების რუსეთიდან სამშობლოში ჩამოსვლა, უკან დაბრუნება, შეუწელებელი პროცესი იყო და იგი დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორ წარიმართებოდა საერთაშორისო ვითარება. მარტო ვახ-

<sup>187</sup> Г. Пайчадзе, დასახ. ნაშრ., გვ. 166.

ტანგის პირადი ამალიდან 1726—34 წწ. 177 კაცმა მიაშურა სამშობლო რევიზიას. XVIII ს. 20-იანი წლებიდან კი, როდესაც თურქეთის სახელმწიფო პოლიტიკურ კრიზისს განიცდიდა და ოლორძინებული სპარსეთის სახელმწიფო ახალ გაძლიერებულ პრეტენდეტს ელოდა, მაშინ საქართველოდან რუსეთს 392 კაცმა შეაფარა თავი<sup>188</sup>.

როგორც ცნობილია, ქართველები ფულად დაბმრებას იღებდნენ რუსეთის კარისაგან. რუსულან დედოფლის ოჯახს ცალკე ეძლეოდა 2713 გ. ოქროთი და 1728—34 წწ. მისთვის თავი შეუფარებია 36 კაცს, ხოლო სამშობლოში დაბრუნებულა 34 კაცი. რაც შეეხება ბაქარ ბატონიშვილს, იგი 5243 მან. იღებდა და ვახტანგთან შედარებისა უფრო დიდი გასამრჩელო ჰქონდა დანიშნული იმის გამო, რომ მას სამხედრო თანამდებობა ეჭირა რუსეთის კარზე — არტილერიის გენერალ-ლეიტენანტი იყო. გენერლებს — ვახტანგ და ელიზბარ ამილახორებს, ოთარ ჩოლოყაშვილს, ვახტანგ ორბელიანს და გავარ ანდრონიკაშვილს ერთად სულ 3826 მან. ეძლეოდა ოქროთი.

როგორც აღვნიშნეთ, 1726—34 წწ. რუსეთში სულ 392 კაცი გადასულა, ხოლო უკან 177 კაცი დაბრუნებულა, სამწუხაროდ, ეს უკანასკნელი რიცხვი თითქმის ნახევარია იმ ლტოლვილთა, რომელნიც უცხო მიწას აფარებდა თავს, იმის იმედით, რომ იქ მფარველი ეყოლებოდა ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის და იმ მოწინავე ადამიანების სახით, რომელნიც წლების გამავლობაში უცხო ქვეყანას იყვნენ შეხიზნობი და სამშობლოში დაბრუნებას ვერ ახერხებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულმა კოლონიამ ვახტანგ VI-ის მეთაურობით რუსეთში მასზე დაკისრებული პოლიტიკური მისია ბოლომდე ვერ შეასრულა, მან მაინც გასწია დიდი კულტურული მოღვაწეობა უცხო მიწა-წყალზე, მაგრამ, როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, საქმე ის იყო, რომ „საქართველოს ნიადაგს მოწყვეტილი მოსკოვის კოლონია მშობლიურ კულტურულ მოღვაწეთა ახალ თაობასაც არ ქმნიდა“<sup>189</sup>.

ვახტანგ VI ასტრახანში დარჩა, რუსული ქვეშევრდომობა არ მიიღო, როცა 1735 წ. „ოსმალობა“ უფრო მძიმე „ყიზილბაშობამ“ შეცვალა. 1737 წ. ასტრახანში სული დალია ქართლის მეფემ და თავისი განუხორციელებელი ოცნებები თან გაიყოლა.

1. ამრიგად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვახტანგ VI-ის მიერ კომპრომისული პოლიტიკის პირობების დარღვევამ ირანის იმპერიის მიმართ, ფორმალურად გაპრადიანობის მიუღებლობამ და 1712—1719 წლებში

<sup>188</sup> ხ. ი. ფ. H, № 3078, გვ. 29—35.

<sup>189</sup> ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, საქ. ისტ. საქონები, ტ. II, 1965, გვ. 195.

ირანის ტყეეობაში დარჩენამ მძიმე შედეგები მოუტანა საქართველოს. ის დიდი ეკონომიკური, კულტურული და სოციალური ძვრების უზრუნველყოფა დაც უდიდესი გავლენა მოახდინეს 1703—1712 წლებში ვახტანგ VI-ის მიერ ჩატარებულმა ღონისძიებებმა, შეფერხდა. ოლორძინების გზაზე დამდგარმა ქვეყანამ უკან დაიხია.

(2) საფრანგეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობა თავიდანვე განწირული იყო, იმ საერთაშორისო ვითარებათა გამო, რომელიც იქმნებოდა. საფრანგეთისათვის, ერთი მხრივ, ირან-თურქეთის დამკიდებულებაში და, მეორე მხრივ, ინგლის-პოლანდია-პორტუგალიისთან მიმართებაში. ქართველმა პოლიტიკოსებმა ვახტანგ VI-ის მეთაურობით ეს მომენტი ბოლომდე ვერ გაითვალისწინეს.

3. ვახტანგ VI-ის ირანში ყოფნის დროს (1712—1719 წწ.), მას მიერ რუსეთთან ურთიერთობის დამყარების ცდები ირან-თურქეთის დიპლომატიისათვის უცნობი არ იყო. 1719 წ. გამამადიინებული ვახტანგ VI ოფიციალურად ამიერკავკასიის ხალხთა გაყრთიანების საქმეს სათავეში ჩაუდგა და ლეკი აბრაგების წინააღმდეგ ბრძოლების მეთაურობაც იყისრა. მაგრამ ვახტანგმა სწორად დასახული მიზანი ბოლომდე ვერ მიიყვანა. მან მაკმადიან სახანოებზე დაყრდნობით, ვერც ლეკ აბრაგთა შემოსევები იცდინა თავიდან და ვერც ირანის ვასალური დამკიდებულებისაგან განთავისუფლდა. ვახტანგ VI-მ რუსეთს საიმპერატორო კარის დახმარების იმედით მოშალა ეს ღონისძიება. რუსეთის ხელისუფლება, რამდენადაც თვითონ იყო დაინტერესებული თავისი ქვეყნის სამხრეთის სამხედრო ხაზის გამაგრებითა და საგაჭრო პუნქტების ხელში ჩაგდებით, საქართველო-საც სამხედრო დახმარებას ჰქირდებოდა.

ვფიქრობთ, ვახტანგ VI-ის გამოშეარავებულმა დიპლომატიურში რუსულმა ორიენტაციამ და ლეკთა თარეშის გაძლიერებამ, შინაფეოდალურმა შეუნელებელმა ბრძოლებმა შექმნა წინაპირობა იმისათვის, რომ აღმოსავლეთ საქართველოში იმდროინდელი სახელმწიფოებრივი (ეკონომიკური, კულტურული და სოციალური) წყობა ორი ათეული წლით მოშლილიყო. საქართველოში ჯერ „ოსმალობა“ და მერე „ყიზილბაშობა“ დამკვიდრდა. ამ დროს კი თურქეთიც და ირანიც, თავის მხრივ, ვახტანგ VI-თან შეთანხმებაზე მიღიოდნენ.

4. გაწბილებულმა ვახტანგ VI-მ 1724 წ. ივლისში სამშობლო დატოვა და 1200 კაცით რუსეთს გადავიდა. მთელმა ქართულმა მოწინავე, პროგრესული საზოგადოების ნაწილმა დასტოვა სამშობლო იმ იმედით, რომ მეფის რუსეთი დაგხმარებოდა ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენაში. ვახტანგ VI-ის თაობამ ქართული სახელმწიფოებრიობა ვერ აღადგინა და ქვეყანა გავერანდა. რუსეთის ხელისუფ-



ლებამ ხელი არ შეუწყო მასთან მყოფ ვახტანგ VI-ს, რათა 1726, 1728 და 1734 წლებში ირანთან მოლაპარაკება ეწარმოებინა. ვახტანგ VI-ს არ მიიღო რუსული ქვეშეგრდომობა და რუსეთის იმპერიის ცენტრიდან ასტრახანში გადავიდა.

1737 წ. გარდაცვლილი ქართლის მეფის ნეშტი ასტრახანის ცივმა მიწამ მიიბარა.

ვახტანგ VI-ს პოლიტიკური ჩანაფიქრი აუხდენელი დარჩა.

ეს მართველი თავის მიერ დამკავშირებულ მენეჯმენტის და ინიციატივების ფარგლენის განვითარების დროისას მდგრადი და ეფექტური დანართის მიზანთავა გადა გამოიყენებოდა. ეს მართველი იყო დანართის მიზანთავა და მდგრადი დანართის მიზანთავა.

თავისი თავი

## ვახტანგ VI-ის დროიდელი გართლის მოხალითა საპითხისათვის

„დასტურლამალის“, ვახტანგის კანონების კოდექსისა და დოკუმენტური მასალის შესწავლის საფუძველზე სრულიად ნათლად გამოჩარიდა, რომ ვახტანგ VI-ის თაოსნობით 1704—8 წ. ქართლში ჩატარდა უზარმაზარი საყოდიფიკაციო სამუშაო, რომელსაც სახელმწიფო მექანიზმი წესრიგში უნდა მოეყვანა! უნდა მომხდარიყო თანამდებობრივი რეგლამენტაცია, დაღვენილიყო ცველა მოხელის უფლება-მოვალეობანი, მოწესრიგებულიყო საგადასახადო-ფისკალური სისტემა, დარგობრივი განაწილებულიყო სახელმწიფო უწყებანი და დანაწილებულიყო ეს დარგები სამოხელეო ფუნქციების განსაზღვრით. ამ საყოდიფიკაციო სამუშაოთა შედეგად ყველა თანამდებობას თავისი მოქმედების კანონი და წესდება დაუმკვიდრდა. რაც შეეხება იმ ფაქტს, თუ რა მიმართებაში იყო ვახტანგის მეთაურობით შედგენილი „დასტურლამალი“ და ვახტანგის კანონების კოდექსი პრაქტიკულად რეალურ ვითარებასთან და როგორი ხასიათის შედეგი გამოიიღო ამ კანონმდებლობამ, ამაზე ერთგვარად პასუხს გვაძლევს დოკუმენტური მასალა, ქრისტიანი მოქმედი სამართლის ძეგლები, რომელნიც ბრძანებების, არქების, ბიძების, ნასყიდობის თუ წყალობის წიგნების სახითაა ჩვენამდე მოღწეული. მაინც დგება საყითხი, იყო თუ არა ზედმიწევნით და გარკვეული სიზუსტით განხორციელებული „დასტურლამალი“ და ვახტანგის კანონების კოდექსის მიხედვით სახელმწიფო წყობის დაგენილი ნორმები. ჩვენ შევეცადეთ ამ კუთხითაც გვეწარმოებინა დაკვირვებანი, წარმოგვეჩინა XVIII ს. I მეოთხედის მოხელეთა, თანამდებობის პირთა თუ პერსონაჟთა სახელები, რომელ-

1 ივ. ჭავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ტ. I; ივ. სურაბაძე, ნარკვევები სახელმწ. და სამართ. ისტ., 1952 წ.; ვ. გაბაშვილი, „დარბაზის რიგის მოხელეები“ „დასტურლამალის“ მიხ., ენიბ-ების ვ-ებ, XIII, 1943 წ.; მისივე, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII ს. თბ., 1958, გვ. 366—375; III. მესხია, მდგრადი დანართის მიზანთავა და მდგრადი დანართის განვითარებანი, დაკვირვებანი, წარმოგვეჩინა XVIII ს. I მეოთხედის მოხელეთა, თანამდებობის პირთა თუ პერსონაჟთა სახელები, რომელ-

თა არსებობა სპეციალურ ლიტერატურაში აქამდე ცნობილი არ ყოფილი. ვახტანგ VI-მ როდესაც სახელმწიფო სამართლის წიგნის „შემოქმედება დღენა და სახელმწიფო კოდექსის ჩამოყალიბება მოინდომა, მან პეტერბურგის კარისკაცნი და სახელმწიფო თანამდებობის პირი, ან სახელმწიფო მოხელენი კი არ მოიწვია, არამედ გავლენიანი ფეოდალები, სათავადო სახლის მეთაურნი და მაღალი სასულიერო პირი: დომენტი კათალიკოსი, არავის ერისთავის შეილი მთავარეპისკოპოსი გრიგოლ, მიტროპოლიტ-ეპისკოპოს-წინამდღვრები, მუხრანის ბატონი ერეკლე, არავის ერისთავი გიორგი, ქსნის ერისთავი დავით, სარდალი ლუარსაბ ორბელიშვილი, ავთანდილ ამილახორი, ერასტი ორბელიშვილი და სხვები<sup>2</sup>.

ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ XVIII ს. დასაწყისისათვის ქართლის სამეფოს ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნისათვის, კერძოდ სამოხელეო პარატის გაძლიერებისათვის, ეს მხოლოდ წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, რომ ფაქტიურად სახელმწიფოს მართვა ხდებოდა არა სამეფო კარის მიერ დანიშნულ მოხელეთაგან, არამედ იმ თავადების ანუ, „დარბაზ-ბატონების“ საშუალებით, რომლებმაც ფეოდალური სახელმწიფო XVIII საუკუნეში მოიტანეს. „დამტურალმალისა“ და ვახტანგის სამართლის კანონების შედეგენა ამ გადადგმული ნაბიჯის რეალიზაცია იყო. როგორც ცნობილია, ყველა დიდი და მნიშვნელოვანი სახელო მაინც ისევ და ისევ საფეოდალო სახლების ხელთ მოექცა. სახელმწიფო თანამდებობანი მეკვეიდრეობით კვლავ საფეოდალო სახლებმა დაიმტკიცეს და მთელი სამოხელეო პარატი გავლენიან თავადთა სამმართველო ასპარეზად იქცა. ამიტომაც საქართველო XVIII ს. პირველ მეოთხედში რჩებოდა ბატონურ-თავადური დაქსაქსულობის ნიადაგზე დამკვიდრებულ სახელმწიფოდ და ვერ მოხერხდა ხელისუფლების სრული ცენტრალიზაცია.

როგორც ცნობილია, XVIII საუკუნის დასაწყისში, ვახტანგ VI-ის მოლვაშვილის ხანაში, ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლას წინ ეღობებოდა საგარეო პოლიტიკური ფაქტორი — ირან-თურქეთისადმი მორჩილება და ლეკთა თარეში, აგრეთვე გაძლიერებულ სათავადო სახლთა მუდმივი ქიშპი და მათი სამეფო კარისადმი დაპირისპირება. ორივე ეს ფაქტორი უწყობდა ხელს ქვეყნის მეურნეობის დაქვეითებას, სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა განუვითარებლობას და აძლიერებდა კლასობრივ წინამდებრებათა გამწვავებას თავადებსა და ყმა-გლეხებს შორის. თავის მხრივ კი, ყოველივე ეს აძნელებდა ძველი ფეოდალური სამოხელეო პარატის, ახალი ბიორკრატიული პარატით შეცვლას.

2 „სამართალი ვახტანგ VI-ისა“, ი. დოლიძის გამოცემა, 1981, გვ. 175.

XVIII в. პირველი მეოთხედისათვის ქართლის სამეფო ხელისუფლებას ვერ მიეცა საშუალება, აზნაურობას დაყრდნობა<sup>3</sup> ვადო-საფეოდალო სახლები დაემცრო და მათი გავლენა ქვეყნის მართვის საქმეში შეენელებინა. სათავადო სახლებმა კვლავ შეინარჩუნეს მეკვიდრეობით მიღებული მსხვილი თანამდებობანი და ქვეყნის მართვაში კვლავ აქტიური როლი დაიმკვიდრეს.

მართალია, „დასტურლამალის“ მიხედვით საკოდიფიკაციო საქმიანობა ნიშნავდა ცენტრალური ხელისუფლების კონტროლის გაძლიერებას, ცენტრალური სამოხელეო აპარატის გაზრდას, სამოხელეო ფუნქციათა განსაზღვრასა და თანამდებობათა გარკვეულ რიცხობრივ ზრდას, განსაკუთრებით დაბალი რანგის მოხელეთა (მოურავების, მამასახლისების, მდიღნების) ფუნქციათა გაფართოებას, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ არ ხერხდებოდა არამეტყვიდრეობით მოხელეთა დაწინაურება და მათი რიცხობრივი ზრდა, რომელთაც თავისი პირადი ღირსებებით უნდა მიეღწიათ გარკვეული თანამდებობრივი აღზევებისათვის (თუ არ გავითვალისწინებთ გამონაჯლისებს).

ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის ხანაში სრულიად ცხადად ჩანს, რომ სამოხელეო დაწინაურება ხდებოდა მხოლოდ და მხოლოდ სოციალურ საფუძვლებზე. ამა თუ იმ სათავადო სახლის მეთაურები (ერისთავები, ორბელიანები, ყაფლანიშვილები, ბარათაშვილები, ამილახვრები) სამემკვიდრეოდ იტოვებდნენ ქვეყნის მაღალი თანამდებობის მოპოვების უფლებას. იგივე მომენტი შეინიშნება აზნაურთა ფენაში. მეკვიდრეობით მიღებულ მოხელეობას მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია ჰქონდა. ამრიგად, XVIII ს. პირველ მეოთხედში არ გახდა შესაძლებელი თანამდებობათა დანაწილება პირადი ღირსებისა და ნიჭის მიხედვით, რაც ნაწილობრივ, პეტრე I-ის დროინდელი რუსეთის და მით უმეტეს, ევროპის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ფაქტი იყო<sup>3</sup>.

აღსანიშნავია ისიც, რომ XVIII ს. I მეოთხედისათვის ქართლის ცენტრალურმა ხელისუფლებამ ვერ მოახერხა. სამოხელეო აპარატის დაქვემდებარება იმის გამოც, რომ ვერ გახდა შესაძლებელი მოხელეთა მუდმივი ფულადი ჯამაგირის დანიშვნა. ვერ მოხდა მოხელეთა ფეოდალურ-ნატურალური გამოსაღების მთლიანად ფულადი ჯამაგირით შეცვლა, რამაც, ცხადია, ხელი შეუშალა მოხელეთა სრულ დამორჩილებას ცენტრალური ხელისუფლებისადმი. ეს ფაქტი ისევ და ისევ აიხსნება სასაქონლო მეურნეობის განუვითარებლობით და ფინალური ნატურალური რენტის ბატონობით ქვეყნის შიგნით, რაც, როგორც აღვნიშნეთ, განპირობებული იყო საგარეო ფაქტორით.

<sup>3</sup> М. Богословский, Абсолютная реформа Петра Великого, 1902 г.; И. Кореев, Западно-Европейская монархия XVI—XVIII вв.; С. Троицкий, Русский абсолютизм и дворянство в XVIII в.

ქართლი ამ დროს ირანის „ვალად“, მის ვასალურ ქვეყნად ითვლიბულ ქართველი არის კალაში რჩებოდა ჭარბი ქვეყნა ისევ ფეოდალურ-თავადურ ნიადაგზე განაგრძობდა არსებობას, ქართლში ვერ მოიკიდა ფეხი აღვილობრივმა ბიუროკრატიამ.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ქართლი ირანის დაქვემდებარებულ ე.წ. „ვალის“ ქვეყნას წარმოადგენდა და, ამდენად, არსებულ სახელმწიფო პოლიტიკურ ინსტიტუტებს უცხო გავლენა უნდა განეცადა, ისინი მაინც ქართულ, ეროვნულ, ფეოდალურ-სახოვადოებრივ და ეკონომიკურ პირობებში იყვნენ წარმოშობილი და ქართულ სახელმწიფოებრივ წყობას განასახიერებდნენ<sup>4</sup>. ეს ისახა ვახტანგ VI-ის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის სხვა საკოდიფიკაციო ხსიათის სამუშაოების განხორციელებაშიც. მაშინ, როდესაც დაისვა საკითხი სამართლის წიგნის შედგენისა, ვახტანგ VI ძირითადად აღვილობრივ, ეროვნულ ნიადაგზე წარმოშობილ სამართლის ძეგლებს დაეყრდნო. მან მის მიერ შემუშავებული „სამართლი ბატონიშვილისა“ ააგო ქართული, ჩვეულებით-აღათობრივი სამართლის და მართლმსაჯულების საფუძველზე, იმ პროცესუალური სამართლის ამსახველი მასალის გამოყენებით, რომელიც განჩინებებისა და გარიგების წიგნების ხაზით იყო შემორჩენილი. ვახტანგის სამართლის ნორმებმა კანონის სავალებულო ძალა მოიპოვეს და მოქმედნი გახდნენ, როგორც მთელ აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოშიც. უფრო მეტიც, ამ კანონებმა ერეკლე II-ის მოღვაწეობის ხანაშიც იარსებეს და ოთვემის მთელი პროცესუალური სამართლის წარმოება ვახტანგის კანონების საფუძველზე წარიმართა<sup>5</sup>.

ქართულ ისტორიულ წყაროებსა და სპეციალურ ლიტერატურა-ში აღიარებულია, რომ „დასტურლამალის“ მიხედვით გამოიკვეთა ორი ტიპის მოხელეები: ცენტრალური ხელისუფლების მოხელენი, ანუ „დარბაზის რიგის გამრიგენი“ და აღვილობრივი მმართველობის თანამდებობის პირი — „საქვეყნო გამრიგენი“<sup>6</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგ VI-ის თაოსნობით შედგენილი „დასტურლამალი“ ხელჯონიანი, ე. ი. საპოლიციო პარატის მოხელე-

<sup>4</sup> ვ. გაბაშვილი, სპარსული დატურლამალი, თსუ შრომები, XXXV, გვ. 191—192; მისივე, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII სს., თბ., 1958, გვ. 370.

<sup>5</sup> ი. დოლიძე, სამართლის ვახტანგ VI-ისა, 1981, გვ. 40, 41; მ. სოსელია, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 115—118.

<sup>6</sup> ვ. ქიქოძე, დამამტკიცებელ საბუთთა ისტორიისათვის გვიანდეოდალურ საქართველოში. საქ. სახ. მუშევრების მ-ბე, ტ. XX, 1959.

<sup>7</sup> ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII სს.; ე. სურგულაძე, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII ს.; სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1952, გვ. 155, 384.

ებთა მოვალეობათა დადგენით იწყება, თავისი მნიშვნელობით და თანამდებობის რეალური უფლებებით მას წინ უსწრებს მმართველობის აღმინისტრაციულ-სამეურნეო-საფინანსო უწყება, რომელსაც სახლთუხუცესი განაგებდა. ეს ანგარიშგასაწევი ფაქტია დეცენტრალიზებული სახელმწიფოს დახასიათებისათვის.

ამრიგად, „დარბაზის რიგის“ მოხელეთა შორის XVIII ს. I შეოთხედში, ვახტანგ VI-ის მეფობის დროს უპირველესი მოხელე სახლთუხუცესი იყო. ვახტანგის განიშინობის დროს სამეფო სახლთუხუცესები არიან არავის ერისთავი გიორგი და ლუარსაბ ორბელიანები. ლუარსაბ ორბელიანს სამეფო სახლთუხუცესობასთან ერთად ქართლის ადგილობრივი მოხელის სარდლობაც ეკისრა<sup>8</sup>.

ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის პერიოდში სადედოფლო სახლთუხუცესთაგან ცნობილია არავის ერისთავი თეიმურაზი<sup>9</sup>, ხოლო ევდემოზ კათალიკოსის ჰყავს თავისი სახლთუხუცესი ქაიხოსრო. დომენტი კათალიკოსის დროს კი ჩანან ცნობილი გვარის წარმომადგენლები, პოლიტიკური მოღვაწენი პაპუა, რევაზ და ამილბარ მაღალაძენი<sup>10</sup>. მაღალაძენი თავისი დადი ქონებრივი, მატერიალური და სწორედ მოხელეობრივი ძლიერების საფუძველზე ახერხებენ თავადიშვილებისაგანაც ყმა-მამულის შეძენას<sup>11</sup>. მაგ., ამილბარ მაღალაძე მცხეთის საკათალიკოსო კათედრის სახლთუხუცესობასთან ერთად თრიალეთის სოფლების მოურავებას მოიპოვებს, ხოლო მოგვიანებით ზერტის მოურავობას იმტკიცებს<sup>12</sup>. აღსანიშნავია, რომ ამილბარ მაღალაძე საუფროსოდ იმკვიდრებს მდივან-მორდლობასაც: „უკეთუ ერთმანეთში (სახლისკაცებში) ყმისა თუ სახლობის ბარათი შემორჩენოდათ, წიგნით ამით გავვიცუდებიაო“<sup>13</sup>, — დებს შეთანხმებას თავის სახლისკაცებთან ამილბარ მაღალაძე. აქედან კარგად ჩანს, თუ რამდენად სოციალურიად ყმა-მამულის ფლობის იღენტურია მოხელეობა გვიანფერალურ საქართველოში.

ამ პერიოდში ეხვდებით, აგრეთვე, მთავარეპისკოპოსის სახლთუხუცესს ითბას. ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ ფეოდალური ქართლისათვის და აგრეთვე ვახტანგ VI-ის მოღვაწეობისათვის დამახასიათებელი იყო სათავადოთა სახლთუხუცესობის არსებობა; ციცი-

<sup>8</sup> ქ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, № 1813; ფ. Sd, № 772; ფ. Hd, № 2678.

<sup>9</sup> იქვე, ფ. Hd, № 772; ფ. Hd, № 9745; ფ. Sd, № 680.

<sup>10</sup> საქ. სოც. ისტ. ტ. I, № 259 262, 264; ხ. ი. ფ. Hd, № 9681; ფ. Ad. № 1843; 1815; ფ. Hd, № 968; სამართ. ქვ. ტ. IV, № 164.

<sup>11</sup> ხ. ი. ფ. Hd, № 9687.

<sup>12</sup> იქვე, ფ. Hd, № 1774, № 1670.

<sup>13</sup> ცანა, ფ. 1448, № 5577.

შვილების — კობიაშვილების, ჯავახიშვილების — კარიჭაშვილების, ამილახვრიშვილების — ქარუმიძეების და ნახუცრიშვილების, მუხრანბატონების, რანბატონების, ზედგენიძეების და სხვა<sup>14</sup>. მუხრანბატონების სახლთუხუცესი დემეტრე ზედგენიძე იღებს დამატებით ციხისძირის, შიოსუბნის და მისაქციელის მოურავობას<sup>15</sup>. დემეტრე თავის სამოხელეო უფლებებს იმტკიცებს „სახელოების დამკვიდრების წიგნით“, სადაც ვკითხულობთ: „ეგ (სახელო) შენ გქონებოდა და შენის სახლისკაცების გაყრაშიც შენ გამოგყოლებოდა და იმ სახელოებთან ხელი არა ვისა აქვსო“<sup>16</sup>.

ამრიგად, „დასტურლამალის“ მიხელვით დაკანონებული სახლთუხუცესის თანამდებობრივი რეგლამენტაცია პრაქტიკულად ზედმიწევნით და სიზუსტით არ ხორციელდება. ერთი მოხელეობრივი უფლება იძლეოდა საშუალებას მეორე თანამდებობრივი ფუნქცია განეხორციელებინა.

ამრიგად, ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის ხანაში, როდესაც „დასტურლამალი“ დგებოდა, სახლთუხუცესობა მემკვიდრეობითი თანამდებობა იყო, ხოლო ზოგადად მაიც არ იფარგლებოდა ერთი გარკვეული რეგლამენტაციით. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ „დარბაზის რიგის გამრიგე“ — უპირველესი მოხელე — სახლთუხუცესი სხვა სახელოს, ადგილობრივი მმართველობის მოხელის ე.წ. „საქვეყნო გამრიგის“ ფუნქციას იერთებს.

როგორც ვნახეთ, XVIII ს. I ათეულის მოღვაწე სამეფო სახლთუხუცესი ლუარსაბ ობელიანი ერთდროულად ქართლში სარდლობას ეწევა, ასევე დომენტი კათალიკოსის სახლთუხუცესები — მაღალაძენიც სარდლობას კისრულობენ, ხოლო მუხრან-ბატონის სახლთუხუცესი დემეტრე ზედგენიძე ქართლის სოფლების მოურავობასაც ასრულებს.

ამრიგად, „დასტურლამალში“ დაცულ, გამოკვეთილ სამოხელეო ნორმებში და დღევანდელ ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში აღიარებული ორი განსხვავებული მმართველობის — ცენტრალურ პარატსა და მმართველობის ადგილობრივ პარატს შორის სამოხელეო მკვეთრი ზღვარი შერყეულია.

სახლთუხუცესის უპირველეს დაქვემდებარებულ მოხელედ, მიჩნეულია ნაზირი, რომელიც ლიტერატურაში სამ სახელწოდებას ატარებს: სალაროს, ქარხნის და ჩირფა ნაზირის<sup>17</sup>. ნაზირებს უშუალოდ

<sup>14</sup> საქ. სიდ. ტ. II, № 401; ხ. ი. ფ. Qd, № 2196; საქ. სიდ. ტ. II, № 247; ხ. ი. ფ. Hd, № 2175; ფ. Qd, № 334.

<sup>15</sup> ხ. ი. ფ. Hd, № 214.

<sup>16</sup> იქვე, ფ. Qd, № 1457, ცსრა, ფ. 1448, № 829.

<sup>17</sup> ც ვ. სურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 183.

სახელმწიფო გადასახადების დროული აკრეფა ევალებოდათ, ხოლო  
ნაზირთა ასეთი დანაწევრება XVIII ს. I მეოთხედის დოკუმენტუში  
მასალაში არ გვხვდება. ჩვენ ვხვდებით ოთარ და ედიშერ ნაზირებს<sup>18</sup>.  
ედიშერ ნაზირი შალიკაშვილია<sup>19</sup>, რომელიც ნაზირობასთან ერთად  
„ტაშირის პაიდარბეგის მემალობას და გულთაფის სოფლების“ მო-  
ურავობას ეწევა<sup>20</sup>. ასევე ოთარ ნაზირი მდიღნობას კისრულობს<sup>21</sup>. სა-  
მეფო ნაზირების გარდა, ვახტანგის მოღვაწეობის დროს ჩანან თავა-  
დიშვილთა — ორბელიანთა ნაზირები — ფარემუზა და დიმიტრი<sup>22</sup> და  
სარდლის ნაზირი თაყა<sup>23</sup>. ნაზირები, გარდა თავისი ძირითადი ვალ-  
დებულებებისა, მოსამართლეობასაც ეწეოდნენ<sup>24</sup>.

ამრიგად, ნაზირობა მოქმედი იურიდიული დოკუმენტების მი-  
ხედვით სამეფო, სათავადო სახლის და ზოგჯერ სასარდლოს თანამდე-  
ბობაა და გარკვეულ შემთხვევაში, დამატებით სხვა სამეურნეო ფუნ-  
ქციის მატარებელიცაა. მას მემალობა, მეღალობა, მოურავობა, მდიღ-  
ნობა და ერბოსმკრეფელობა აკისრია, რაც გვაფიქრებინებს, რომ  
„დარბაზის რიგის მოხელეთა“ და „საქვეყნო გამრიგე“ მოხელეთა  
ფუნქციების თანხელომა შესაძლებელი ხდება.

ცნობილია, რომ სახლთუხუცესის საუწყებოში შემაგალი მოლა-  
რეთუხუცესები სამეფო კარზე მოღვაწეობდნენ, მათგან ცნობილია  
მანუჩარ ორბელიძე, ასლანბეგიშვილი, სენია ჩხეიძე და მზეჭაბუქ  
ორბელიანი.

ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის პერიოდს ემთხვევა კათალიკოსის  
ცნობილი მოლარეთუხუცესი პაპუნა ღოქიძე, რომლის ბედის გადა-  
წყვეტაში თვითონ ვახტანგ VI-ს დიდი მონაწილეობა მიუღია და იგი  
დომენტი კათალიკოსისათვის უახლებია, რომლის კარზე გაზრდილა და  
დიდძალი ქონება დაუგროვებია<sup>25</sup>. მას საკათალიკოსო მოლარეთუხუ-  
ცესობის გარდა სოფ. აშენდის ნაცვლობა და მეღალეობაც მოუპოვე-  
ბია<sup>26</sup>.

ანალოგიურად ზემოხამოთვლილი მოხელეებისა, ვახტანგ VI-ის  
დროს მოლარეთუხუცესობა სათავადო სახლის მეთაურებსაც ჰქო-

<sup>18</sup> ხ. ი. ფ. Sd, № 58, 769; ფ. Hd, № 201, 549; სოც. ისტ. I. 151.

<sup>19</sup> ცსია. ფ. 1450, დ. 37,22.

<sup>20</sup> ხ. ი. ფ. Hd, № 2143.

<sup>21</sup> დოკ. სოც. ისტ. I, № 158; ხ. ი. ფ. Hd, № 8541.

<sup>22</sup> ხ. ი. ფ. Hd, № 457; საქ. სიც. II, № 200; სოც. ისტ. I, № 151.

<sup>23</sup> ცსია. ფ. 1448, № 2840.

<sup>24</sup> ხ. ი. ფ. Ad, № 1647; ფ. Hd, № 465, ფ. Sd, № 777, 619, 797.

<sup>25</sup> ხ. ი. ფ. Ad, № 1575, 1589, 1603, 1698, 1699, 1731.

<sup>26</sup> იქვე, ფ. Ad, № 1652.

ნიათ — არაგვის ერისთავებს, ორბელიანებს, ჭავახიშვილებს და ავა-  
ლიშვილებს<sup>27</sup>.

სახლთუხუცესის სახელოში შემავალი მუშრიბები და თავლიდა-  
რები, რომელიც სალაროს აღმწერლობას და ანგარიშის მწარმოებ-  
ლობას ეწეოდნენ, სინამდვილეში დამატებით ხევა ფუნქციასაც ასრუ-  
ლებდნენ<sup>28</sup>. მათ ზოგჯერ თარხან გლეხთა რაოდენობის განსაზღვრა ეკი-  
სრებოდა და საპოლიციო მსახურის ფუნქციის შესრულებას ავალებ-  
დნენ<sup>29</sup>.

არც „დასტურლამალში“ და არც სპეციალურ ლიტერატურაში  
ცნობილი არ არის ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის პერიოდში მეითარ-  
თა-მეფის პირად ხელშინაურთა სახელები. საბუთებში კი ამ  
დროისათვის გვხვდება მანუჩარ ანდრონიკაშვილი და უფრო მოგვია-  
ნებით მისი ვაჟი ზაზა<sup>30</sup>.

სახლთუხუცესის სახელოში შემავალი თუშმალი — სასახლის  
სამზარეულოს მოსამსახურე, ამ დროისათვის ზალინა დონდორაშვი-  
ლია, რომელსაც თავის ძირითად ვალდებულებასთან ერთად ტაშირის  
ჰაიდარბეგის ხეობის მეღალობა და ხასაღრობა ჰქონდა ბოძებული<sup>31</sup>.

„დასტურლამალის“ მიხედვით, სახლთუხუცესის დაქვემდებარებუ-  
ლი მოხელე ფარეშთუხუცესი და ფარეშები სამეფო კარის შინაგანი  
ცხოვრების თანაზიარნი იყვნენ და ისინი ისტორიულ დოკუმენტებში  
გვხვდებიან<sup>32</sup>. ანალოგიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე ყალიონყორჩე-  
ბის, აუშტრებისა (სანოგაგის მეურვე) და მეღვინეოთუხუცესის შემ-  
ოხვევაშიც. ისინი მოქმედ მოხელეებად ჩანან<sup>33</sup>.

აღსანიშნავია, რომ „დასტურლამალში“ ჩამოთვლილ სამეფო მე-  
რიქიფებს შორის, დოკუმენტებში გვხვდებით მერიქიფე ბეჟან ნახუც-  
რიშვილს, სავანელ ამირხანას და გიორგი რუსიშვილს, რომელიც  
ვახტანგ VI-ის დას ანუკას რეგებია მზითვად<sup>34</sup>. რაც შეეხება ზურაბ  
მერიქიფეს, იგი გერმანოზიშვილების მოხელედ ჩანს<sup>35</sup>. იყო შემთხვე-  
ვები, რომ მერიქიფენი, გარდა ღვინის ჩამოსხმისა, იურიდიულ დო-  
კუმენტებსაც აფორმებდნენ<sup>36</sup>. ამ შემთხვევაშიც მოხელის ერთი სახის

<sup>27</sup> ხ. ი. ფ. Hd. № 1833; ფ. Sd, 772; საქ. სიდ. II, 228, 248.

<sup>28</sup> ივ. სურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 193.

<sup>29</sup> ხ. ი. ფ. Hd, 1992, 49; ფ. Qd, № 963.

<sup>30</sup> იქვე, ფ. Hd, № 14387; ფ. Sd, № 636.

<sup>31</sup> ცია, ფ. 1450, ლ. 37, № 229.

<sup>32</sup> ხ. ი. ფ. Sd, № 670; ცია, ფ. 1448, № 5455.

<sup>33</sup> იქვე, ფ. Hd, № 2013, № 6363; ცია, ფ. 1450, ლ. 18, № 106, 698.

<sup>34</sup> იქვე, ფ. Ad, № 145.

<sup>35</sup> იქვე, ფ. Hd, № 2448; საქ. სიდ. ტ. III, № 518.

<sup>36</sup> იქვე, ფ. Hd, № 2493.



თანამდებობის ფლობა აძლევდა საშუალებას მეორე სახის შემავალი  
ბა ეკისრა. ასევე სახლთუხუცესის სახელოს დაქვემდებარებული მე-  
ჯინიბეთუხუცესნი რატიშვილები ყაიყულის შანაზარასოფლის და ვე-  
ლისსოფლის მოურავობას იღებდნენ.

საინტერესოა, რომ სახლთუხუცესის სახელში შემავალი ბაზი-  
ერთუხუცესნი ჩეენგან მოძიებულ დოკუმენტებში ძირითადად თავა-  
დიშვილთა წარმომავლობისა იყვნენ — მაგ.: ოთარ თრბელიშვილი, ავ-  
თანდილ ერისთავი და ზაზა ციციშვილი. ვატრანგ IV-ის მოღვაწეობის  
პერიოდში ისინი ბაზიერთუხუცესის თანამდებობას ასრულებდნენ<sup>37</sup>.

სახლთუხუცესის უწყებაში შემავალი მოხელე ფეშვაშნივისი,  
რომელიც საქართველოდან გაგზავნილი საქონლის თაღარიგს აწარ-  
მოებდა და აგრეთვე სპარსულ ძლვენებს ანაწილებდა დანიშნულები-  
სამებრ, ძირითადად საგარეო საქმეთა პრაქტიკული მომწესრიგებე-  
ლი იყო<sup>38</sup>. ფეშვაშნივისი ჩილდაშვილი ვახტანგის ჯანიშნინბის დროს  
ქართლში შემოსული ფეშვაშიდან გასამრჯელოს ერთ მესამედს იღებ-  
და<sup>39</sup>. ვხედებით ამავე პერიოდში ფეშვაშნივის ქაიხოსროს, რომე-  
ლიც „საქართველოს ხელმწიფის მეითობიშვილადა“ მოხსენიებუ-  
ლი<sup>40</sup>. „დასტურლამალის“ ფეშვაშნივისის ფულად გასამრჯელოს სა-  
მართლის ამ მუხლის შემდგენელნი პირდაპირ „ჯამაგირს“ უწოდებენ,  
მაგრამ არ საზღვრავენ მის ოდენობას.

დარბაზის რიგის მოხელე გამრიგეთა შორის სპეციალურ ლიტე-  
რატურაში ერთ-ერთ მთავარ სახელოდ აღიარებულია ეშიკალაბაში. როგორც ვ. გაბაშვილი აღნიშნავს, „ეშიკალაბაში იმოდენა მნიშვნე-  
ლობის მოხელე იყო, რომ „დასტურლამალი“, „ხელჭოხიანთა“, ე. ი.  
საპოლიციო მოხელეთა „კარით“ და მათი დახასიათებით იხსენე-  
ბა“<sup>41</sup>.

მართალია, „დასტურლამალი“, როგორც სახელმწიფო საქანონ-  
მდებლო ძეგლი, საპოლიციო დარგის — ეშიკალაბაშის სამოხელეო  
ნორმათა დადგენით და აღწერით დაიწყო<sup>42</sup> და ეშიკალაბაში უპირ-  
ველესი მოხელე უნდა ყოფილიყო, მაგრამ ყველა ფუნქციათა რეა-  
ლური გათვალისწინებით, მასზე მაღლა მაინც სახლთუხუცესი ჩანს.  
თვითონ „დასტურლამალშივე“ თანამდებობის პირთა ჩამოთვლისას  
პირველად სახლთუხუცესები, შემდეგ მდივანბეგი და მერე ეშიკალას-

<sup>37</sup> საქ. სიდ. III, № 401; დოკ. საქ. სრც. I, 270; ხ. ი. ფ. სდ, № 117.

<sup>38</sup> ი. ვ. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 208.

<sup>39</sup> ცისა. ფ. 14448, № 100.

<sup>40</sup> საქ. სრც. I, № 186.

<sup>41</sup> ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 85.

<sup>42</sup> დასტურლამალი, გვ. 477.

ბაში მოჰყვება. იგივე სურათია ისტორიულ დოკუმენტებში<sup>43</sup>. ეშიკალას კალასბაში წინ უსწრებს სახლუხუცესი და მდივანბეგიც კი.

ეს ეგრეთწოდებული „ხელჯონიანი“ მოხელე საპოლიციო ფუნქციებს ასრულებდა და ითვლებოდა ცენტრალური ხელისუფლების აღმასრულებელი თანამდებობის პირია. „დასტურლამალის“ პირველ-სავე სტრიქონებში ვკითხულობთ, რომ ვახტანგის განმგებლობის დროს ორი ეშიკალასბაში არსებულა: ზურაბ არაგვის ერისთავი და ზურაბ ამილახორიშვილი<sup>44</sup>.

„დასტურლამალისავე“ მონაცემების მიხედვით, ეშიკალასბაშის კომპეტენციაში შედიოდა ფართო უფლებრივ-სამსახურებრივი ვალდებულებანი, ფართო, ე. ი. საერთო სახელმწიფოებრივი უფლებების განხორციელება მთელ სამეფოში და ვიწრო ე. წ. სამეფო სახლის — სასახლის მოვლა-პატრიონობა. ეშიკალასბაში ებარა აგრეთვე საისაულო-საგამძმიებლო საქმის წარმოებაც. მაგრამ ანგარიშგასაჭევია, რომ ცენტრალური ხელისუფლების მიერ შედგენილი „დასტურლამალი“ აღგენდა, რომ საქმის ძიება და სამართლის წარმოება ეშიკალასბაშის და მისი ხელქვეითი მოხელეების გარეშეც შესაძლებელი იყო<sup>45</sup>.

ვფიქრობთ, რომ ეს მომენტი თითქოს და ცენტრალური ხელისუფლების ძალაუფლების სისუსტის მაგალითი უნდა იყოს, როცა მემკვიდრეობით მიღებული დიდი სახელოს მეთაურს უპირისპირდება ადგილობრივი დამოუკიდებელი სამოქმედო ორგანო. ამავე ღროს ცენტრალური ხელისუფლება, ვახტანგ VI-ის მეთაურობით, ცდილობს თავისი კომპეტენცია არ შელახოს და ითხოვს, რომ მის მიერ ბოქაულთუხუცესის გარეშე გაგზავნილ გამოსაძიებელ საქმეში აღებულ საისაულოდან, ერთი მეოთხედი მაინც ეშიკალასბაშს მიეცეს<sup>46</sup>. ასევე კანონმდებლობით გამოძიების გარეშე მოპოვებული თანხიდან ნახევარი ეშიკალასბაშს და ბოქაულთუხუცესს შორის იყოფილი, დანარჩენს კი ყაფიჩები და იასაულები ინაწილებდნენ ერთმანეთში<sup>47</sup>. ამ შემთხვევაშიც ეშიკალასბაშს თავისი უფლებები ჰქონდა მოპოვებული ფეოდალურ-თანამდებობრივი უფლებრივი მდგომარეობის უპირატესობის გამო.

ვახტანგ VI-ის ღროინდელი იურიდიული დოკუმენტების მიხედვით, ეშიკალასბაში ზურაბ არაგვის ერისთავი ყველაზე მოქმედი პოლიტიკური მოღვაწე იყო, რომელსაც თავისი ბეჭედი ჰქონდა სა-

43 ბ. ც. ფ. Qd, № 2826, 1040.

44 დასტურლამალი, გვ. 638.

45 იქვე, გვ. 670.

46 იქვე, გვ. 640.

47 იქვე.



კუთარი უფლებების დასამტკიცებლად<sup>48</sup>. ეშიკალასბაში გიორგი გვირჩევაში ლაპარაკიშვილი კი, რომელიც გამოსაძიებელ საქმეს აწარმოებდა, პირდაპირ მიუთითებდა, რომ ეყრდნობოდა „სამართლის“ კოდექსის „ლ“ კარს<sup>49</sup>.

სამეფო ეშიკალასბაშის ზურაბ ერისთავს თავისი მოლარეთუხუცესი ში ჰყავდა, გვარად კობიაშვილი<sup>50</sup>, ხოლო რაც შეეხება სადედოფლო ეშიკალასბაშის ასლაგ სოლოდაშვილს, ვახტანგ VI-მ მას გომარეთის მოურავობა უბოძა<sup>51</sup>. ეშიკალასბაშად, ჩანს, ამ ხანებში აზნურიშვილი დოლენგი ბედინაშვილი<sup>52</sup>, ამილახორიშვილების ეშიკალასბაშობას ასრულებენ დემეტრე გარაუნიძე, ქაიხოსრო და როსებ ეშიკალასბაშები<sup>53</sup>.

ამრიგად, ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის პერიოდში ეშიკალასბაშებს, როგორც ზემოჩამოთვლილ მოხელეებს, გარკვეულ შემთხვევებში, სახლთუხუცესობა, ბოქაულთუხუცესობა და მოურავობაც ეკისრებათ.

ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის 20-იანი წლებისათვის გვხვდება ეშიკალაშის სხვადასხვა სახეობანი — ნაიბეშიკალასბაში და ჰარმის ეშიკალასბაში, რომელნიც „დასტურლამალში“ საერთოდ არ არის მოხსენიებული. ესენი ცხადია, ეშიკალასბაშის ნაირსახეობებს წარმოადგენდნენ და სახელწოდების მიხედვით განსხვავებულ ფუნქციებსაც ატარებდნენ. ნაიბ ეშიკალასბაშის ზაზას ყორისასულობაც ჰქონია დამატებით მიღებული და ჯარდან ჰარმის (ე. ი. სამახლის) ეშიკალასბაშთან სადაცო საქმე გაურჩევია<sup>54</sup>.

ჩვენთვისაც გადაჭრით ძნელი სათქმელია, კერძოდ, ნაიბეშიკალასბაშებს, განსხვავებით ეშიკალასბაშისაგან, რა საქმიანობა უნდა ჰქისრებოდა, მაგრამ ვეარაუდობთ, რომ მას საბოლიციო დარგის მეთაურობა ჰქონდა დაკისრებული.

მ. კეკელია ოღნიშნავს, რომ მოგვიანებით, XVIII ს. II ნახევარში ნაიბ ეშიკალასბაში ცალკე სამოქმედო უბანი გააჩნდა და არ ჩანს რა დამოკიდებულებაში იყო საერთოდ მთავარ ეშიკალასბაშთან<sup>55</sup>.

რაც შეეხება ჰარმის ეშიკალასბაშს, ივ. სურგულაძე ფიქრობს, რომ ვინაიდან „დასტურლამალი“ მას იცნობს, მისი წარმოშობაც XVIII ს.

48 ბ. ი. ფ. Ad, № 1040; ფ. Qd, № 9037.

49 იქვე, ფ. Hd, № 208, № 2367.

50 საქ. სოც. ისტ. ტ. I, 197, 222; ბ. ი. ფ. Hd, № 1813.

51 საქ. სოც. ტ. III, № 216.

52 ბ. ი. ფ. Hd, № 1813; სოც. ისტ. I, 197.222.

53 იქვე, ფ. Qd, № 12315; სოც. ისტ. I, 151.

54 იქვე, ფ. Qd, № 1300.

55 მ. კეკელია, სასამართლო თრგანიზაცია და პროცესი, 1970, გვ. 309.

II ნახევრით უნდა იყოს განსაზღვრული<sup>56</sup>. დოკუმენტებში კი ეს განკუთხვები სხვაგვება ეშიკალასბაშისა ვახტანგ VI-ის დროს გვხვდება.

ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის ხანაში ეშიკალასბაშის მთავარ სა-შტატო მესცეურთ ბოქაულთუხუცესები ქმნიდნენ. ამათ ვახტანგ VI „დარბაზ ბატონებად“ მოიხსენიებს. ესენი იყვნენ ციციშვილები, ამი-ლახორიშვილები, ორბელიშვილები<sup>57</sup>. რაც შეეხება ბოქაულთუხუცეს ბეჭან ამილახორიშვილს, ვახტანგ VI მებალახობის სახელოს უმა-ტებს<sup>58</sup>. ბოქაულთუხუცეს დურმიშხან საგინმევილს კი თავისი უფ-ლებების დასადამტურებლად პირადი ბეჭედი აქვს ზედწერილით: „მონა ღვთისა ბოქაულთუხუცესი დურმიშხან“<sup>59</sup>. ვახტანგ VI-ის დროს ჩანს საცათალიკოსოს ბოქაულთუხუცესი მანუჩარ გარაყანიძე<sup>60</sup>, ხოლო მუხრანბატონთა სათავადო სახლის ბოქაულთუხუცესობას ზედგინ ზედგინიძე ეწევა<sup>61</sup>.

მსგავსად სხვა მოხელეებისა ბოქაულთუხუცესები დამატებით თანამდებობასაც იერთებდნენ. დემეტრე ორბელიშვილი ტაშირის სა-მეფო სახასო სოფლების მოურავობას კისრულობს ბოქაულთუხუცე-სობასთან ერთად<sup>62</sup>. საინტერესოა, რომ ცენტრალური ხელისუფლება ცდილობს კონტროლი გააძლიეროს საბოქაულთუხუცესო და საიასაუ-ლო სარგოს აღების შემთხვევაში და თავლიდაზ თუმანიშვილს ივა-ლებს საბოქაულო გამოსაღების აკრეფას, წინააღმდეგ შემთხვევაში ჯარიმას აწესებს 20 მარჩილის ოდენობით<sup>63</sup>.

ბოქაულთუხუცესს რანგით სოიაბათიასაული მოსდევდა. ვახტანგ VI-ის დროინდელ დოკუმენტებში ვხვდებით ბეჟან დოლმაზაშვილს სოიაბათიასაულს, რომელიც მოწმედ ესწრება ყმა-მამულის ნასყიდო-ბას და გიორგი შანშიაშვილს, რომელიც ადგენს ნასყიდობას და თამა-სუქის წიგნს<sup>64</sup>.

ისტორიული დოკუმენტების მიხედვით, ფართო ფუნქცია ეკის-რება მესტუმრეთ, რომელნიც საპოლიციო უწყების მოხელეები არიან.

<sup>56</sup> ი. ვ. სურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 258.

<sup>57</sup> ხ. ი. ფ. Sd, № 713, 313; ცსია, ფ. 1450, დ. II, № 166; ხ. ი. ფ. Ad № 147, 1846; ფ. Hd, 14064; ცსია, ფ. 145, დ. 18, № 106.

<sup>58</sup> ექვე, ფ. Ad, № 1368.

<sup>59</sup> ნ. ბაქრაძე, მასალები ქართული ფრაგისტიის ისტორიიდან, 1978, გვ. 54; ხ. ი. ფ. Hd, № 664, 5245, 9423.

<sup>60</sup> სამართ. ძეგ. III, № 214.

<sup>61</sup> ხ. ი. ფ. Hd, № 9385.

<sup>62</sup> საქ. სი. ტ. III, № 22; ხ. ი. ფ. Hd, № 44.

<sup>63</sup> ხ. ი. ფ. Ad, № 952; დოკ. სოც. I, № 255; ხ. ი. ფ. Sd, № 102; ფ. Hd, № 1782.

<sup>64</sup> საქ. სოც. ისტ. I, გვ. 255; მის. ვ. ისტ. II, №; ხ. ი. ფ. Ad, № 952; ფ. Hd, № 102, ფ. Hd, № 1782.



ივ. სურგულაძე მესტუმრის ფუნქციის განსაზღვრისას წერილი იყო „სტუმრის მიღების მოხელე“ იყო<sup>65</sup>. მაგრამ ჩვენ ვთვლით, რომ მესტუმრის ფუნქციები მაინც უფრო გაფართოებული იყო ვახტანგ VI-ის დროს და ცენტრალური ხელისუფლების სხვადასხვა ხასიათის ბრძანებების აღმსრულებელ მოხელედ ითვლებოდა. მას გარდა სტუმრების მიღება-გასტუმრებისა, ქვეყანაში გარკვეული რეჟიმისა და წესრიგის დამყარებაც ევალებოდა. 1703 წ. ვახტანგ ჭანიშვილი მესტუმრის საშუალებით და თანადგომით ბოჭალთუხუცესს იბაშერს გზავნის თათრული მოსახლეობის დასარბევად<sup>66</sup>. აგრეთვე მესტუმრის საშუალებით ვახტანგ VI ახერხებს ციციშვილებისა და ჭავახიშვილების მოლაშქრეთა სიების შედგენას<sup>67</sup>. ვახტანგ VI არიგებს მესტუმრის მეშვეობით სასამართლო საქმის წარმოებას და იურიდიული განახენის ადგილზე შესრულებას<sup>68</sup>. ასევე ვახტანგ ჭანიშვილი მესტუმრის საშუალებით ახერხებს სამეფო ხოდაბუნდებიდან მოწეული ჭირნახულის თადარიგის გაწევას და სომხითის სამოურავო ტკბილის ადგილზე მოტანას<sup>69</sup>. იყო შემთხვევები, როცა მესტუმრენი მონაწილეობას იღებდნენ უკაცრიელი მამულების მოშენებაში<sup>70</sup>. ამრიგად, ყველა ზემოჩამოთვლილ შემთხვევაში მესტუმრის ფუნქცია განსაზღვრული არ იყო. ამდენად, ვთქვამო, რომ ზოგჯერ „დასტურლამალის“ მიხედვით გამოკვეთილი სამოხელეო ვალდებულებანი რეალურ ვთანარებას ბოლომდე არ ეთანხმებოდა.

მსგავს ვთარებასთან გვაქვს საქმე, როდესაც იასაულების ფუნქციებს ვსაზღვრავთ. იასაულებს, ცნობილია, არც საქმის გამოძიება ეკითხებოდათ და არც წარმოება. ისინი მარტო დადგენილი ბრძანებების სისრულეში მოყვანის ფუნქციებს ასრულებდნენ. იასაულები ემსახურებოდნენ ყველა დარგს, იქნებოდა ეს სამეფო კარის დაცვის უწყებანი<sup>71</sup>.

ვახტანგ VI-ის იასაული ბედინაშვილი აწესრიგებს ელიზბარ და ვთარებილისა და ზალინა უმიკაშვილის ფულზე დავის საქმეს, აგრეთვე ვახტანგ VI უკანონოდ გაყიდული მამულების დაბრუნებას იასაულის საშუალებით ახერხებს<sup>72</sup>. იასაულების საშუალებით ხდება „მყრელობის“ შესრულება, რომელსაც ფართო ხასიათი ჰქონდა ვახ-

65 ივ. სურგულაძე, ქართული სამართლის ძეგლები, 1970, გვ. 799.

66 ბ. ი. ფ. Ad, № 1476.

67 იქვე, ფ. Hd, № 14064.

68 საქ. სიძვ. ტ. II, № 319.

69 ბ. ი. ფ. Hd, № 6630, № 6423.

70 ცსია, ფ. 1450, დ. 29, № 117.

71 დასტურლამალი, გვ. 384.

72 ბ. ი. ფ. Hd, № 9312, 14316.

იყო შემთხვევაც, რომ იასაული ადგილზე სადავო საქმეს არჩევ-  
და. ვახტანგ VI იასაულს აბარებდა — „თუმანიშვილებს სამართალი  
უყავი“<sup>74</sup>.

ამრიგად, მესტუმრეებს და იასაულებს მკაცრად გამოკვეთილი,  
დაკონკრეტებული ვალდებულებანი არ ჰქონდათ განსაზღვრული.  
მათი უფლება-მოვალეობანი უფრო ფართო ხასიათს ატარებდა და  
ძირითადად ცენტრალური ხელისუფლების ნაბრძანები განკარგულე-  
ბის შემსრულებლის როლი ეკისრათ.

გარდა საპოლიციო მოხელეებისა, მეფის დაცვის ორგანიზაციის  
წარმომადგენლებიც არსებობდნენ, რომელთა შემადგენლობაში შედი-  
ოდნენ ყურალასი, ყორჩიბაში, უზბაში და მინბაში.

ვახტანგ VI-ის მიერ ჩამოყალიბებულ „მცველთა ჯარს“ ყულა-  
რალასი მეთაურობდა. ამ დროისათვის ცნობილია ქაიხოსრო ამირეჭი-  
ბი, რომლის ჯამაგირი 12 თუმანს უდრიდა<sup>75</sup>. ყულარალასი ქაიხოსრო  
ჯავახიშვილი, გარდა სამხედრო ვალდებულების შესრულებისა, არი-  
გებდა ბარათაშვილების, ივალიშვილების და თურქესტანიშვილების  
სადავო საქმეს<sup>76</sup>. ვახტანგ VI-ის დროს მოღვაწეობს ყორჩიბაში ამი-  
ლიახორიშვილი ბარძიმე<sup>77</sup> და ზურაბ ამილახორიშვილი, რომელიც  
ერთდროულად მარტყოფის მოურავობას ასრულებდა<sup>78</sup>.

„დარბაზის რიგის მოხელეთა“ შორის თავისი მნიშვნელობით  
მდივანბეგს დიდი როლი ეკისრა. რამდენადაც ცენტრალური ხელი-  
სუფლება თავის უფლებებს ზრდიდა, იმდენად ცდილობდა იგი მდი-  
ვანბეგის უფლებების გაფართოებას, რათა სათავადო სახლების სა-  
სამართლო ფუნქციები შეეკვეცა. ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის ხა-  
ნაში ცნობილი იყო ერასტი ორბელიანი, ვახტანგ მდივანბეგ ორბე-  
ლიანის ვაჟი, საბა-სულხან ორბელიანის ძმა<sup>79</sup>.

თ. ენუქიძეს მითითებული ქვეს დოკუმენტი, სადაც აღნიშნულია,  
რომ ერასტი ორბელიანი უშვილებდა მის ბიძას პაპუნას, საგანგებო  
ცოდნა მიუცია მისთვის და მას მდივანბეგობა გაუწევია ქართლის სა-  
მეფოს კარზე 1703—31 წლებში<sup>80</sup>. ერასტი ორბელიანს თავისი საკუთარი

73 ცისა, ფ. 1450, დ. 1231; ფ. 1448, № 5337; ხ. ი. ფ. Sd, № 518, 618;  
ფ. Hd, № 401, 845, 12299, 14086, 14976.

74 ხ. ი. ფ. Qd, № 491.

75 დასტურლამალი, გვ. 384.

76 ცისა, ფ. 1450, დ. 10, № 114; დ. 5, № 108; ხ. ი. ფ. Hd, № 14917.

77 დასტურლამალი, გვ. 384.

78 ხ. ი. ფ. Ad, № 913; ფ. Ad, № 1085; სიძვ. II, 228.

79 ხ. ი. ფ. Ad 1041; ცისა, ფ. 1448, № 1070; დასტურ. გვ. 635.

80 თ. ენუ ქიძე, აღმოს. საქ. მდივანბეგთა ქრონილოგ. რიგი, „მრავალთა-  
ვი“, 1971, გვ. 206—307.

სამი ბეჭედი ჰქონია განსხვავებული ზეღურილით<sup>81</sup> და მდივანბეგო-  
ბასთან ერთად ერასტის სარდლის სახელოც უტარებია<sup>82</sup>. აღსაჩინობა  
ვია, რომ ერასტი ორბელიანის მოღვაწეობის დროს 1706—07 წ.  
მდივანბეგად მოხსენიებულია ვახტანგ ყაფლანიშვილი<sup>83</sup>, ხოლო  
XVIII ს. 10-იან წლებში კი მოღვაწეობს მდივანბეგი ავთანდილი,  
რომელიც არაერთ სასამართლო გადაწყვეტილების აქტს ესწრებო-  
და<sup>84</sup>.

ამრიგად, ქართლში რამდენიმე მდივანბეგი მოღვაწეობდა. მაგ.  
მდივანბეგი ბანგუა და ბარძიმ ვახუშტი ორბელიანის ობლების გა-  
დამბურავ პირთა შორის არიან მოხსენიებული<sup>85</sup>.

დოკუმენტებშიც ვხვდებიან თითქმის ერთდროულად ავთანდილ  
ორბელიშვილი, ორბელ ორბელიშვილი, ვახტანგ ყაფლანიშვილი,  
პატა (ერისთავის შვილი), დიმიტრი და სოლომონ მდივანბეგები<sup>86</sup>.

მდივანბეგს, სასამართლო წარმოების უზენაეს ხელისუფალს,  
გარდა გართლმსაჯულებისა, „დასტურლამალის“ მიხედვით<sup>87</sup> სხვა ხა-  
სიათის ვალდებულებანიც ეკისრა, რის გამოც მას სარგო ჰქონდა კუთ-  
ვნილი. „მალის“ განსაზღვრიდან მასვე ევალებოდა წილის მიღება,  
ღალის, პირისთავის, ნახირისთავის და კულუხის დაღვენაში გარკვეუ-  
ლი სარგოსა და იჯარის აკრეფა, ვაჭრობის წარმოება, ტყავის ყიდვის.  
შემთხვევაში ბაჟის აღება, მყრელობაში მონაწილეობის მიღება, ზა-  
რატხანისა და ყასაბხანის ბაჟის შეკრება, სამოურავო საგადასახადო  
წიგნების შედგენა, სასახლისყაცი წილის ბართების მოწესრიგება, მო-  
სახლეობის აღწერა და თამასუქების გაფორმება. რამდენად ხორ-  
ციელდებოდა მდივანბეგის ყველა ეს ფუნქცია, ჩვენთვის ძნელი სათ-  
ქმელია, ვინაიდან დოკუმენტური მასალა არ იძლევა ამის საშუა-  
ლებას, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ არც მდივანბეგის ვალდებუ-  
ლებანი ატარებდნენ მკვეთრად გამოხატულ ხსიათს.

მდივანბეგს მორდალი ექვემდებარებოდა, იგი ბეჭდის მცელი-  
ოყო. „დასტურლამალის“ 190-ე მუხლი საზღვრავს მორდლის ფუნ-  
ქციებს და მას გარკვეულ უფლებებს ანიჭებს. ჩვენ დოკუმენტურ მა-  
სალაში ეს ვალდებულებანი ჩამოყალიბებული არ არის. მაგრამ 1712 წ.

81 ნ. ბაჟრაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 63; თ. უორდანია, ქრონიკები, ტ. II.,  
83. 501.

82 საქ. საძვ. ტ. II, გვ. 70.

83 ცინა, 1450, დ; 16; ხ. ი. ფ. Hd, № 2543.

84 ხ. ი. ფ. Hd, № 2081, 2367; ფ. Ad, № 1040; ფ. Qd, № 1997; ხ. ბაჟ-  
რაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

85 ი. ვ. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 330.

86 ხ. ი. ფ. Hd, № 2534, 373, 10044; ფ. Sd, № 582; ფ. Qd, № 1731.

87 დასტურლამალი. გვ. 646—647.

მამულის ნასყიდობის წიგნით ოთარ მორდალი ნასყიდობის ქტეს  
ესწრებოდა<sup>88</sup> და სოლომონ მაღალაძეც საკითალიკოსო სახლთუშებულების  
ცესობამთან ერთად მორდლობასაც იღებდა საუფროსოდ, რდესაც  
ხდებოდა სასახლისკაცო გაყრა, რაც ფეოდალური წყობილების ბუ-  
ნებისათვის იყო დამახსიათებელი<sup>89</sup>. მოვაიანებით გვხვდება მორდა-  
ლი ავთანდილი, რომლის ბეჭედს თავისი ზედწერილი აქვს: „მონა  
ღვთისა მორდარი ავთანდილი“<sup>90</sup>. ვახტანგის მეფობის ხანაში ვხვდე-  
ბით აგრეთვე სადედოფლო მორდალს ბეგთაბეგს<sup>91</sup>. „დასტურლამა-  
ლის“ მიხედვით, მორდალი მონაწილეობას იღებდა ვაჭრობის, გლე-  
ხის გაცემის, ბაჟების დადგენის დროს, იჯარის, ზარაფხანაში მუშაო-  
ბის და სხვათა შემთხვევაში<sup>92</sup>. ამდენად, მორდალი ჩართული იყო  
ქართლის ეკონომიკურ და პრაქტიკულ ცხოვრებაში. ჩვენ ხელთ არ-  
სებული დოკუმენტები კი ამ დასკვნის გამორთანის საშუალებას არ იძ-  
ლება, ვინაიდან მორდალი, როგორც სხვა აქტიური თანამდებობის  
პირი, ამ პერიოდში არ ჩანს.

ძლიერი და გავლენიანი სამოხელეო ინსტიტუტი ვახტანგ VI-ის  
დროს სამდივნო იყო. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშვნულია, რომ  
ქართლის სამეფოში ერთი ან სამი მოხელე მდივანმწიგნობრობდა.  
ძირითადად ამ ხანებისათვის ეს სახელო ხელთ ეყრა თუმანიშვილთა  
საგვარეულოს. ყველაზე აქტიური საქმიანობით გამოიჩინდა გვივი  
თუმანიშვილი, რომლის მოღვაწეობის ფარგლები 1700—1720 წწ.  
მოიცავდა. იგი ყველაზე მოქმედ პერსონაჟად ვახტანგ VI-ის დროს  
ჩანს<sup>93</sup>. ამავე დროს მდივანმწიგნობრობს ოთარ თუმანიშვილი, რო-  
მელიც აღგენს ციციშვილების, ჯავახიშვილებისა და ორბელიანთა იუ-  
რიდიულ დოკუმენტებს<sup>94</sup>. ოთარ და გივი თუმანიშვილების პარალე-  
ლურად მოღვაწეობენ ავთანდილ, გიორგი და დავით თუმანიშვილე-  
ბი<sup>95</sup>. შდივნობა თუმანიშვილთა მკვიდრ საგვარეულო სახელოს წარ-  
მოადგენდა. დგებოდა მათი სპეციალური ყმა-მამულთა ნუსხები და

88 ბ. ი. ფ. Hd, № 1457.

89 იქვე, ფ. Ad, № 763.

90 საქ. სიძვ. II, 258, 256, 25; ბ. ი. ფ. Sd, № 90, № 664.

91 საქ. სიძვ. II, 258, 256.

92 დასტურლამალი, გვ. 719.

93 ბ. ი. ფ. Ad, № 1045, 1741; ფ. Ad, № 2312, 5719; ფ. Hd, № 14077;  
ცსია, ფ. 1450, დ. 17, № 10.

94 სოც. ისტ. ტ. I, 166; საქ. სიძვ. II, № 11,248, 250; ბ. ი. ფ. Hd, № 758,  
820, 14077.

95 საქ. სიძვ. ტ. II, № 246, 248, 250; ბ. ი. ფ. Hd, № 1822; ფ. Qd, № 263;  
ფ. Ad, № 977; ბ. ი. ფ. Hd, № 1699, 4472, 9385, 14102; ფ. Sd, № 99; ფ. Ad,  
№ 1279.

სასახლისკაცო ქონებათა დამდგენი წიგნები<sup>96</sup>. ვახტანგ VI-ის დროის/ ვეგდებით მდივანშიგნობარს როსტომ ჭულაბაშვილს, რომელიც კახეთის ტანგს ირანშიც კი გაჰყვა<sup>97</sup>. მდივანშიგნობრობა საკათალიკოს კათედრაზე, ვახტანგ VI-ის დროს ევალი სოლომონ მალალაძეს, რომელმაც ვახტანგისავე შეკვეთით მხედრული შრიფტის შექმნაზე იმუშავა<sup>98</sup>. საინტერესოა, რომ სოლომონ მალალაძეს, როგორც ზევით ოლვინშეთ, კათალიკოსის სახლოუჩუცესობასთან ერთად მდივნობაც ჰქონდა დაკისრებული და თან მორდალისა და ქადაგის ვალდებულებებს ასრულებდა<sup>99</sup>.

მდივნები, არსებული ღოკუმენტების მიხედვით, გარდა იურიდიული ღოკუმენტების შედგენისა, ადმინისტრაციული უფლებებითაც სარგებლობდნენ. მათი ხელრთვა ან დასტური ბეჭდის სახით, ამათუ იმ იურიდიულ ღოკუმენტს გარკვეულ უფლებას მატებდა.

იყო შემთხვევები, როდესაც მდივნობა პირდაპირ მსაჯულობასთან იყო დაკავშირებული. მდივნები ადგილზე იგზავნებოდნენ სადავო საქმის გასარჩევად. 1706 წ. ვახტანგ განიშინი გივი მდივანს გზავნიდა გოსტაშაბიშვილებისა და მარნეულელთა რუების ხმარების წესის დასაცავად<sup>100</sup>. ასევე საინტერესოა ის ფაქტი, რომ ვახტანგ VI 1720 წ. მდივან სულხან თუმანიშვილს ანდობს სამხედრო პირთა სიების შედგენას ყოველგვარი სარდლის გარეშე<sup>101</sup>.

„დასტურლამალის“ მიხედვით, მდივნებს სამოხელეო ფუნქციები მეტად მრავალფეროვანი ქონდათ: სამხედრო სიების დადგენა საბოქაულო საქმიანობაში გარევა, ზარაფხანის მომსახურება, აბანისა და არაყხანის იჯარების განსაზღვრა, „ბეითალმანი“ — უძროდ გადასული მამულის აღნუსხვა, ტყვეთა სყიდვის თადარიგი, მალის აკრეფა მდივნის ძირეულ ვალდებულებაში შედიოდა. ასეთსავე მონაწილეობას იღებენ მდივნები კოდისპურის, საბალახოს, პირისთავის, ნახირისთავის, კულუხის და ლალის აკრეფაში<sup>102</sup>.

„დასტურლამალის“ და არსებული ღოკუმენტური მასალის შეჯერების საფუძველზე ნათელი გახდა, რომ სახელმწიფო უწყებათოორი საფეხური „დარბაზის რიგის მოხელენი“ (ე. ი. ცენტრალური ხელისუფლების მმართველი უწყებანი) და „საქვეყნო გამრიგე მოხელენი“ (აღვილობრივი სამმართველო მოხელენი) დადასტურებული

96 ხ. ი. ფ. Qv, № 9037; საქ. სიძვ. ტ. I, № 132.

97 იქვე, ფ. Hd, № 9536.

98 ქ. რ. შარაშიძე, ქართული სტამბა, თბ., 1955, გვ. 114.

99 ქართული სამართ. ძეგლები, ტ. III, № 187, 200; სიძვ. III, 62; ხ. ი. ფ. Ad, № 1652.

100 ხ. ი. ფ. Hd, № 2392; საქ. სიძვ. III, № 23.

101 იქვე, ფ. Qd, № 255.

102 დასტურლამალი, გვ. 642, 516, 536, 539, 646—47.



და მოცემულია სამართლის ძეგლებსა და იურიდიულ დოკუმენტების შემსრულებელი მინისტრის მიერთების შესახებ.

ამრიგად, ვახტანგ VI-ის ხელმწიფის რიგის მოხელეთაგან, მისი ჯანიშინობისა თუ მეფობის პერიოდში, ყველა სამეფო კარს საკუთარი სახლთუხუცესი ჰყავდა და ისინი სათავადო სახლის მეთაურთა წარმომავლობის იყვნენ. ისინი ამ სახელოს მექვიდრეობით იღებდნენ. ჩანს, ასევე ორსებულან სადედოფლო, საფათალიკოსი, სამთავრებისკოპოსო და სათავადო სახლების სახლთუხუცესები. მაგრამ აღსანიშნავია, რომ „დარბაზის რიგის მოხელენი“ მსხვილ სახელმწიფო მინისტრი სახელოსთან ერთად იერთებენ სხვა თანამდებობასაც. მაგალითად, სამეფო სახლთუხუცეს ლურსაბ ორბელიანს ყულარილასობა და სარდლობაც ეკისრა: დავით ორბელიანი სახლთუხუცესობასთან ერთად სარდლობას ეწევა. ასევე სარდლობს სახლთუხუცესი ზაზია ციციშვილი. კათალიკოსის სახლთუხუცესი სოლომონ მოღალაძეს მოურავობა და მორდლობა ევალება.

პაპუნა მაღალაძე კათალიკოსის სახლთუხუცესია და მავე დროს, საკულტო-სახსოვ-სოფლების ხასადრობას და მოურავობას ეწევა. სახლთუხუცესის დაქვემდებარებული მოხელენიც მექვიდრეობით იღებენ თანამდებობებს. ისინიც ხშირად არ იფარგლებიან დადგენილი სამოხელეო რეგლამენტიცით და სხვა თანამდებობრივ ფუნქციასაც ასრულებენ. მაგ., ნაზირ ედიშერ შალიკაშვილს ტაშირის ჰაიდარბეგის მემალობა და საბალახის ფურის ერბოსმერეფელობა ჰქონდა მინდობილი. მას აგრეთვე გულთაფის სოფლების მოურავობა ევალა.

ანალოგიური მდგომარეობაა მოლარეთუხუცესობის უწყებაშიც. საკათალიკოსო მოლარეთუხუცესს პაპუნა დოქიძეს სოფელ აშენდის ნაცელობა და მეღალობა და, იგრეთვე, სოფ. ციხედიდის მოურავობა ჰბოძებია, ხოლო სარიდან მაღალაძეს კი — სოფ. ზერტის მოურავობა.

ამავე უწყების მოხელე მუშრიბები დამატებით მდივანმწიგნობრად გვევლინებიან. რაც შეეხება სალაროს თავლიდარებს, ისინი საპოლიციო ფუნქციებს ასრულებენ და იურიდიული ქეტების შედგენას ესწრებიან.

სახლთუხუცესის სახელოში შემავალი თუშმალებიც დამატებით სხვა სახელოს ფუნქციას ატარებდნენ. დონდარაშვილი ზალინა ტაშირის აირდაბეგის ხეობის მეღალობას და ხასადარობას ასრულებდა. მას მეჭინიბეთუხუცესის სახსოვ სოფლების შანაზარასოფლის და ველის სოფლის მოურავობა ევალებოდა.

ანალოგიური სიტუაციაა ეშიკალასბაშის სახელოში. ეშიკალასბა-



ში ამან მოურავისშეიღლი სახლთუხუცესის სახელოს მატარებელი შეიძლოს გადასახლით თავყელიშვილი ხელით ბოქაულთუხუცესობას, ასორულობს, ბოქაულთუხუცესი ზაზა გედევანიშვილი კი სარდლობას ეწევა, ხოლო დემეტრე ორბელიშვილი, რომელიც ბოქაულთუხუცესობის სახელოს მატარებელია, ტაშირის სახასო სოფლების ყათილლუს და ბოცხორის მოურავიცაა. ბოქაულთუხუცესი ბეჭან ამილახორიშვილი მებალახობის სახელოს ატარებს. ჩაც შეეხება მეფის დაცვის ორგანიზაციის მეთაურს ყორჩიბაშ ზურაბ ამილახორიშვილს, მას მარტყოფის მოურავობა აკისრია.

მსგავს მოვლენებს ვხვდებით სამდივანბეგო სახელოშიც, ცენტრალური ხელისუფლების მოხელე მდივანბეგი ერასტი ორბელიანი ადგილობრივი მოხელის სარდლის ფუნქციას ასრულებს. სამდივანბეგოს მოხელეს მდივანს კი დადგენილი მისი ვალდებულებების გარდა, აკისრია ზოგჯერ სოფლების მეთაურობა, ეგრეთ წოდებული „ყაირსახობა“.

*Г*ამრიგად, ალსანიშნავია ის ფაქტი, რომ „დასტურლამალის“ მიხედვით მოცემულ მოხელეთა ნაირსახეობას იცნობს ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტური მასალა; ე. ი. ცოცხალი მოქმედი სამირთალი. უფრო მეტიც, სახელმწიფოს მართვა ვახტანგ VI-ის თაოსნობით, ამ მოხელეთა მეშვეობით წარმოებს. ამ თანამდებობათა ფუნქციების შესრულების თვალსაზრისით, თითქმის ზედმიწევნით დაღსტურებულია ქართულ სახელმწიფოებრივ ყოფაში ყოველი მათი უფლება-მოვალეობის რეალიზაციის ფაქტი. მაგრამ ალსანიშნავია ის მოქნეტი, რომ რეგლამენტაცია სამოხელეო ფუნქციათა შორის ერთვარიად დარღვეულია. ერთი და იგივე მოხელე სხვადასხვა თანამდებობის სხვადასხვა მოხელეების უწყების წარმომადგენელია და სხვადასხვა ვალდებულებას ასრულებს.

*С* საინტერესოა, რომ ხეგება „დარბაზის რიგის მოხელეთა“, ე. ი. ცენტრალური ჟელისუფლების მოხელეთაგან ადგილობრივ მოხელეთა ვალდებულებების კისრება და შესრულება, მათი ფუნქციების შერწყმა და ამის ნიადაგზე მათ შორის ერთვარიად ზღვარის წაშლა. ეს ფაქტი ასნილი უნდა იქნას ფეოდალური სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი სისუსტით. ფეოდალური დაქსაქსულობის, ფეხმოკიდებული, ძირგამგდარი ბატონებისა და ფეოდალური „დაჩისტულობის“ საფუძველზე დიდგვარიანი სათავეადო სახლები, ერთი მხრივ, იერთებდნენ რამდენიმე სამოხელეო თანამდებობას, მეორე მხრივ, ერთვარიად შლიდნენ „დასტურლამალის“ მიხედვით გამოყოფილ დადგინდნებულ ორი დიდი უწყების — ცენტრალური ხელისუფლების და ადგილობრივი შმართველობის გათვალისწინებულ და დადგენილ ზღვარს.

ნიშანდობლივია აგრეთვე ის ფაქტი, რომ მოქმედი სამართლებრივი დოკუმენტის მიხედვით, დაბალი რანგის მოხელეთა ფუნქციები და ვალიურულებანი ისე ჰქვეთრად გამოკვეთილ მონახაშის არ იძლევა, როგორც ეს საკანონმდებლო ძეგლში — „დასტურლამალშია“ წაზმოდევნილი. მაგალითად, მესტუმრე საპოლიციო აპარატის მუშავია, მას სასამართლო გადაწყვეტილების შესრულება ევალება აღგილზე, იგი თათართა მოსახლეობის დარბევის მონაწილეა, ერევა თავადიშვილთა სასახლივაცო დავის მოწესრიგების საქმეში აღგილზე და თავადიშვილთა დარაზმევის აღმსრულებელია, მაშინ როდესაც „დასტურლამალის“ მიხედვით, მას მხოლოდ სტუმრების მიღება და მათი განლაგება ეკისრა.

ასევე ყაფიჩები და იასაულები, გარდა საპოლიციო განკარგულების სისრულეში მოყვანისა, სხვადასხვა დარგს ემსახურებოდნენ: სამეურნეო, აღმინისტრაციული, საფინანსო და სასამართლო.

მრავალფეროვანი საქმიანობით იყვნენ ცნობილნი მდივნები, რომელთაც მრავალი ფუნქციის შესრულება ეკისრიებოდათ. მდივნებს ევალებოდათ სამხედრო სიების დადგენა, საბოქაულო საქმიანობა, ზარაფხანის მომსახურება, თბილისის აბანოს, არაყანის იჯარების თადარიგი, ბეითალმანი მამულის, ვაჭრობის, ტყვეთა სყიდვის, „მალის“ აკრეფის მოწესრიგება და სხვ.

ამრიგად, გარკვეული რეგლამენტაცია, დაწესებული იურიდიული სტატუსი დაბალი რანგის მოხელეთა შორისაც ერთგვარად დარღვეულია.

როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღიარებული, ვახტანგ VI-ის საკუთრივაციო საქმიანობა დიდი სახელმწიფო ორგანიზაციის მნიშვნელობის მქონე ღონისძიება იყო ქართულ სამოხელეო წყობილების განსაზღვრის საქმეში. მაგრამ სინამდებობის მოხელეთა ფუნქციების განცალკევება, თანამდებობათა დანაწილება ძირფესვიანად ვერ მოხერხდა, ვინაიდან ზოგჯერ, გარკვეულ შემთხვევაში, საპოლიციო აღმინისტრაციული და სამეურნეო ვალდებულებათა შერწყმა გახდა აუცილებელი. მოხელეების ფუნქციათა გაერთიანება კი იმის დადასტურებაა, რომ ცენტრალური ხელისუფლება შედარებით სუსტია და ფეოდალური ურთიერთობა გახანგრძლივებულია. სახელმწიფოს ბრძოლა ცენტრალიზაციისათვის გამარჯვებას ვერ იღწევს. დიდმა ცდებმა ამ მიმართულებით ჭერ კიდევ შედეგი ვერ მიიღო. საგარეო ვითარების სირთულე, ლეკიანობა, ქვეყანაში საშინაო ფეოდალური დაქასებულობა ქმნიდა საიმისო პირობას, რომ ქართლის პოლიტიკური მეთაურის ვახტანგ VI-ის მიერ შემუშავებული სამოხელეო აპა-



რატის პიურკუატიზაციი ჯერ ვიდევ განუხორციელებული არქეოლოგიური  
მართალია, ვახტანგ VI-ის მიერ შემუშავებული „დასტურლამალი“  
ქართული მოხელეობრივი ცხოვრების ანარეკლი იყო, მაგრამ რთულ  
სოციალურ ვითარებათა საფუძველზე შექმნილი რეალურად არსებუ-  
ლი მდგომარეობა სახელმწიფო სამართლის ჩამოყალიბებულ პუნქ-  
ტებს ბოლომდე და ზედმიშვენით არ შეესატყვისებოდა.

გასამი თავი

## ვახტანგ VI-ის სახელმწიფო მოღვაწობა სამაურნიო ცენტრი

### 1. ცოცლის მუზეუმის დარგთა განვითარება

XVIII ს. I მეოთხედის ქართლის ეკონომიკური ცხოვრების უმ-  
თავრესი სიმძიმე სოფლის მეურნეობას აწეა, სოფლის მეურნეობის  
განვითარება კი მარცვლეული კულტურის ხარჯზე ხდებოდა.

ვახტანგ VI-ის დროიდელი ქართლი ცნობილი იყო თავისი ხორ-  
ბლით, ქერით, შვრით, ფეტვით, ქრთილით და ისლით. ცხადია, გან-  
საკუთრებით ნაყოფიერი იყო ის ზონები, რომელიც მდინარეებსა  
და რუებს ემიგრირებოდნენ. მტკვრის, არაგვის, მეჯუდის, ლიახვის, ძა-  
მის, რეხას და მაშავერის ხეობები განვქმული იყვნენ თავიანთი მარ-  
ცვლეული კულტურით<sup>1</sup>.

ქართულ პურს აღტაცებაში მოუყვანია უცხო ნეგოციანტი  
შ. შარდენი: „ქართლში... მშვენიერი პური მოდის. სხვაგან არსად  
იცის ასეთი პური“<sup>2</sup> — წერდა იგი.

საინტერესოა, რომ ქართლის სამეფო კარს მარტო მსხვილ სა-  
თავადოთაგან, როგორიც იყო ქსნისა და არაგვის საერისთაო, საამი-  
ლახორო, საყაფლანიშვილო, საციციშვილო და სხვათა სახელმწიფო  
გადასახალის სახით (კოდის პური) გათარხნებული და ბოგანო გლე-  
ხების გარდა, 2621 კომლიდან დაახლოებით 1048 კოდი ხორბალი და  
ქერი მოსდიოდა<sup>3</sup>. სამეფო-სახასო საყმო მამულიდან შოწეული მარ-  
ცვლეული კი ისაზლერებოდა მოსავლის ვარგისიანობის გათვალისწი-  
ნებით<sup>4</sup>.

<sup>1</sup> ვახტანგ VI-ის ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 243.  
23. 37, 38, 40, 68.

<sup>2</sup> შ. შარდენი, მოგზაურობა საქართველოში, თბ., 1975, გვ. 243.

<sup>3</sup> დასტურლამალი, ქართ. სამართ. ძეგ., ი. სურგულაძის გამოც. 1970, გვ. 522.  
521 (კოდი XVIII საუკუნისთვის 10 ლიტ. ან 12 ლიტრას შეიცავდა, „დასტურ-  
ლამალის“ მიხედვით). გვ. 520, 602.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 511.

7 ვახტანგ VI-ის ქართლში მოღვაწეობის ხანაში სოფლის მოღვაწეობის უკანასკნელი წერტილი და რეგისტრი განვითარებულ დარგთაგან მეტყველებული იყო. ვახტის კულტურის საუკეთესო ჯიშები ხარობდა ატენის, მუხრანის, არაგვის, ქსნის, მტკვრისა და მაშავერის სანაპიროებზე. ვახტის მოვლა დიდ, რთულ, მძიმე და სათუთ სამუშაოებთან იყო უაკავშირებული და „ყოვლისფერი ზურის მუშაობას“ გულისხმობა. ამ მუშაობაში შედიოდა ბარვა, მიწის სასუქით გაპოხიერება, დაწინდუნა, გასხვლა და ასარეან. ეს ყოველივე ასახული იყო ვახტანგ VI-ის მიერ შემუშავებულ სამართლის ძეგლში — „დასტურლამალში“.

ვინაიდან ვენახის მოვლისა და ნაყოფიერებისათვის რთული პროცედურის ჩატარება იყო სპეირო, ზვარსა და ვენახს თავისი სპეციალური, დამხმარე მეურნეობა გასჩენია, რომელიც „სასარესა და საწყლისპიროს“ სახელს ატარებდა.

ვენახს, რომელსაც სასარე ერთვოდა, „ხარდანი“ ეწოდებოდა<sup>8</sup>. ვახტის გარდა ასარვისა სჭირდებოდა გასხვლა, რომელიც გულისხმობდა ვახტის უვარებისი „რქებისაგან“ განთავისუფლებას. ვახტის მოვლის ერთ-ერთ სახეობას „წიდნა“ წარმოადგენდა, რომელიც თხლად გაშენებული და დაბერებული ვენახის შევსებაში მდგომარეობდა. ვახელება ხდებოდა ვახტის ე. წ. სამეკვიდრეო რტოს გადაწყვენისა, ახალი, სალი და ლონიერი რტოს გაჩენის ხარჯზე.

როგორც ცნობილია, ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის დროს, ლვინის მოყვანა ორი სახის მამულის დამუშავებაში მდგომარეობდა. „ზვარი“<sup>9</sup> იყო, როგორც სამეფო-სახასო საკუთრების, ისე საბატონო სათავადო, საერთო საკუთრების სახეობა, რომელშიაც ყმა-გლეხს მხოლოდ „მუშაობა“ ევალებოდა. ხოლო რაც შეეხება, საკუთრივ „ვენახს“, იგი გლეხის მეურნეობის ისეთი სახეობა იყო, რომლის დამუშავებისაგან მიღებული პროდუქტი ლვინის სახით „კულუხით“ ბარებოდა ბატონს. „კულუხი“ შეწერით იყო და ისაზღვრებოდა მოწეული პროდუქტის მიხედვით.

„დიდს (ვენახს) დიდობით და ცოტას ცოტაობით“<sup>10</sup> — წერია ვახტანგ VI-ის დასტურლამალში.

სამეფო ზერების დამუშავების სპეციალური წესი XVIII საუკუნისათვის დაღვენილი ყოფილა, რომლის მიხედვით განსაზღვრული იყო მუშაობის ხარისხი. ოღანიშნავია, რომ სამეფო კარი თავის ზერებს

5 ვახტ შტი ი., დასაბ. ნაშრომი, გვ. 57, 59, 63, 70.

6 დასტურლამალი, გვ. 9, 60—604.

7 ს. ც. ი. ა. ფ. 1450, დ. 18, № 132; 136; დ. 15, № 76; დ. 10, № 113.

8 სულხან-აბა თრ ბელი იანი, ლექსიკონი, თბ., 1928, გვ. 452.

9 იქვე, გვ. 129.

10 დასტურლამალი, გვ. 595.

ქირითაც ამუშავებდა<sup>11</sup>, რაც მეღვინეობის ინტენსიფიკაციაზე მეტყველებს. გაზრდილი მოთხოვნილება ღვინის პროდუქტზე ფულადი გასამრთვაზე ჯელოთი ანაზღაურებასაც თხოულობდა. გარდა სამეფო კარისა, დაქირავებული შრომით ხდებოდა საბატონო ზერების დამუშავება. მაგ., ედიშერ ციციშვილის ზეარში მუშაობა წარმოებდა „ბატონის ფასით“<sup>12</sup>. ოღანიშვილია, რომ ე. წ. „დიდ ზვარს“, რომელიც სამეფოდ ითვლებოდა, დაქირავებული გლეხები თავისი საპოხით და თავისი სარებით ამუშავებდნენ და მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ მოწეული პროდუქტის მიღებასაც. მათ სამეფო სალაროდან საზღაური ეძლეოდათ „თეთრისა და ფარჩის სახით“<sup>13</sup> (უკანასკნელი ფულადი ეჭვივალენტის სახეს ატარებდა).

სამეფო-საბატონო ზერებს თავისი მეზვრე ჰყავდა<sup>14</sup>, რომელიც ყველა ზემოქანამოთვლილ სამუშაოს ხელმძღვანელობდა. მოწეული ყურძნის მოკრეფა-მოგროვებას „მესთულე“<sup>15</sup> აწარმოებდა, ხოლო დაწურულ და დაყენებულ ღვინოს ქვევრებში კი მემარნე<sup>16</sup> ანაწილებდა. ამ დროისათვის არსებობდა სპეციალური სამეურნეო უჯრედი „საღვინე“, რომელსაც თავისი თავლიდარი ჰყავდა<sup>17</sup> და რომელიც ღვინის გაცემა-მიღებას აღრიცხავდა და აწარმოებდა. თავლიდარის გარდა, „საღვინეს“ „მეღვინე“ და „მეღვინეთუხუცესიც“ ემსახურებოდა<sup>18</sup>. მეღვინე და მეღვინეთუხუცესი სამეფო სახლის გარდა, ქართლის სათავადო სახლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოხელეებად ითვლებოდნენ, რომელნიც ღვინის მოხმარების საქმიანობის თაღარიგს სწევდნენ.

ეატანგ VI-ის მოღვაწეობის დროისათვის მეღვინეობის განვითარებასთან დაკავშირებით, დადასტურებულია აგრეთვე მერიქიფეთა არსებობა<sup>19</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროისათვის ქართლში მეტად მოჭარბებულია ღვინის დამამზადებელი და შესახახი სამეურნეო ნაგებობათა მოწყობა-გამართვა. საწნახელები და ჭურ-მარნები არა მარტო სამეფო კარს, სათავადო სახლსა და თავადიშვილ-აზნაურებსაც ჰქონდათ. ხშირად მათი მფლობელნი გლეხებიც იყვნენ<sup>20</sup>. XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში სოფ. ალთან სპეციალური

<sup>11</sup> დასტურლამალი, გვ. 604.

<sup>12</sup> იქვე.

<sup>13</sup> იქვე.

<sup>14</sup> ე. თაყაიშვილი, არქ. მეზ., 1907, ფ. 1, გვ. 136, 137, 140, 141, 177.

<sup>15</sup> დასტურლამალი, გვ. 521.

<sup>16</sup> იქვე.

<sup>17</sup> იქვე, ს. ც. ი. ა. ფ. 1448, დ, I, გვ. 80.

<sup>18</sup> იქვე. გვ. 670.

<sup>19</sup> ხელ. ინსტ. ფ. Ad., № 146.

<sup>20</sup> საქ. სიძე. ტ. 1, გვ. 125, 133; ფ. II, გვ. 227.

საწარმო არსებულია, სადაც აკეთებდნენ ქართლში განთქმულია და /  
გავრცელებულ მაღალხარისხოვან ჭურებს და რითაც ქართლის მარაგდების  
ნაწილი მარაგდებოდა<sup>21</sup>. როგორც ვხედავთ, მელვინების განვითა-  
რებას თან სდევდა რთული სამოხელეო ინსტიტუტის ჩამოყალბების  
აუცილებლობა, რომელიც ხელმძღვანელობდა, როგორც ამ პროცეს-  
ტის მოყვანისათვის მძიმე სამუშაოების ჩატარებას, ისე მის შემდგომ  
შენახვა-განაწილებას და ეს ყოველივე ვახტანგ VI-ის შემუშავებულ  
საკანონმდებლო ძეგლში — „დასტურლამალში“ იყო ასახული.

XVIII ს. პირველი მეოთხედისათვის ღვინის საზომ ერთეულად  
ყველაზე გავრცელებული იყო კოკა და „პატარა კოკა“. საშუალოდ  
კოკა 10 ლიტრას შეიცავდა. იყო შემთხვევება, რომ ერთი „დიდი  
კოკა“ ღვინო ამ ღროისათვის 1 მარჩილად ანუ 3 აბაზად ფასობდა.  
ღვინის მეორე საზომს საპალნე წარმოადგენდა. საპალნობით ხდებო-  
და ღვინის ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადატანა, ხოლო შემ-  
დეგ მისი გასაღება. ხშირად თავის მისაღებს ფეოდალური სახლები  
ყმა-გლეხებისაგან საპალნობით იღებდნენ.

ქართული ღვინის მაღალხარისხიანობაზე ფრანგი ნეგოციანტი  
შარდენი აღნიშავს: „ამისთანა ქვეყანა არ მოიპოვება, სადაც იმდენს  
და ისიც კარგ ღვინოს სვამდნენ“<sup>22</sup>.

შ. შარდენს თვალში სცემია ისიც, რომ ქართველები თბილისის  
ქუჩებში უხვად ყიდდნენ ღვინოს: „მოაქვთ იგი პირდაპირ დახლებ-  
ზე და ფართო მომხმარებელს უხვად აწოდებენ“<sup>23</sup>.

მელვინების განვითარებასთან დაკავშირებით ქართულმა ღვი-  
ნომ, დაავადყოილა რა ქვეყნის შიგნით არსებული მოთხოვნილება,  
მიიღო საექსპორტო პროდუქტის სახეც. ქართული ღვინო თავის სამ-  
შობლოს ფარგლებს გასცდა და საერთაშორისო ბაზარზეც უბადლო  
სავარრო საგნის ადგილი დაიმკვიდრა. იგი გასწვდა სომხეთს, სპარ-  
სეთს და ესპანეთსაც კი. ცხენის საპალნე საუკეთესო ქართული ღვინო  
8 ფრანგიდ გადიოდა უცხოურ ბაზარზე. ხოლო რაც შეეხება მდარე  
ხარიხის ქართულ ღვინოს, იგი 4 ფრანგიად საღდებოდა<sup>24</sup>.

მტრიგად, XVIII საუკუნისათვის ქართული ღვინო ხასიათდებო-  
და რა თავისი მაღალხარისხიანობით, გასავალს პოულობდა როგორც  
საშინაო, ისე საგარეო ბაზარზე. ქართულმა ღვინომ დაიმკვიდრა სა-  
ექსპორტო პროდუქტის უფლებაც.

21 ვახუშტი, დასახ. ნაშრ., გვ. 18.

22 შ. შარდენი, დასახ. ნაშრ., გვ. 241.

23 შარდენის მოგზაურობა, თბ., 1975, გვ. 247.

24 იქვე, გვ. 297.



ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის პერიოდში ქართლის სოფლის მეტ ურნეობის დარგთა შორის მესაქონლეობას გარკვეული ადგილი ეჭიაშვილია რა მესაქონლეობა უმთავრესად ქართლის მთიან ადგილებში იყო განვითარებული. თუ ბარი მთას აწვდიდა მარცვლეულს, ლვინისა და ხილს, მთა მას რძის ნაშარმით, მატყლითა და ხორცით ამარავებდა.

მარტო დავით ერისთავის ქალს მზითვად რგებია „ცხენის ჯოვი მისის მეჯოვით, სადიასახლისო ფური ცხრა მისის დიასახლისით, ტკვარი 100 მისის მეცხვარით, ლორი 30 მისის მელორით“<sup>25</sup>.

ასევე ალანიშვილია, რომ ვახტანგ VI-ის დროს მარტო საყაფლანიშვილის გლეხებს უნდა გაელოთ 69 თავი ძროხა, 616 თავი ცხვარი და ბატყანი, ხოლო თხა 104 თავი<sup>26</sup>.

ქართლის განვითარებულ მესაქონლეობაზე აღნიშნავს შარლენიც და თვის მოგზაურობაში წერს, რომ „ქართლში, როგორც მსხვილი, ისე წვრილფეხა საქონელი მრავალია და ძალიან კარგი ჭიშისაა“<sup>27</sup>.

საქონელზე დადებულ გადასახადთა ნაირსახეობა განვითარებულ მესაქონლეობაზე მივეთითებს. „ნახირისთავი“, „პირისთავი“, „სამლაშე“, „საბალახე“ და „ულაყი“ მესაქონლეობასთან დაკავშირებული გადასახადები იყო.

მსხვილფეხა საქონლის მომრავლებას და მეცხენეობის განვითარებას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ვახტანგ VI-ის შედგენილ სახელმწიფო გარიგების წიგნში სპეციალური თავია გამოყოფილი. რომელსაც „აჭილლის\* მოხმარების“ წესი ეწოდებოდა. აჭილლი ზამთარ-ში საგანგებოდ უნდა შენახულიყო. მას აბარებდნენ კათალიკოსს, მთავარეპისკოპოსს, მროველს, მანგლელს, ქვათახევის წინამდებარებს, ქნის ურისთავს, ამილახორს, ციცაშვილს, სომხითის მელიქს და ჯეახიშვილს<sup>28</sup>. მათ განსაკუთრებულ პირობებში უნდა ჰყოლოდოთ აჭილლა. შედეგ კი მეჯოვისათვის უნდა ჩაებარებინათ, სადაც მას ჯოგში გარევდნენ და მოგებულ კვიცზე მეჯოვე პასუხს აგებდა. „ნახირისთავი“ ყველაზე მძიმე გადასახადად ითვლებოდა. „ნახირისთავი“ დაკავშირებული იყო მსხვილფეხა საქონლის, კერძოდ, ნახირის ქონასთან. იგი ყოველწლიურ გამოსახვებს არ წარმოადგენდა და ეწირებოდა სოფელს, როგორც სამეფო-სახასო გამოსახვები<sup>29</sup>. მეცხვარეობის განვითარებასთან იყო დაკავშირებული გადასახადების „პირისთავისა“ და

25 საქ. სიძ. ტ. III, გვ. 501.

26 გ. ჭამბურია, ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 105.

27 შ. შარლენი, დასახ. ნაშრ., გვ. 245.

\* აჭილლა — საგიშე კურატია (სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი, 1928, გვ. 30).

28 დასტურლამალი, გვ. 684, 678.

29 დასტურლამალი, გვ. 522—523.

„საბალახის“ დაწესება. „პირისთავის“ სპეციალური წესი შემუშავების მიზანით იქცევენ, რომ სამეფოდ „პირისთავის“ გამოსალებს, ბეჭოდა ას ცხვარზე ერთი<sup>30</sup>. რაც შეეხება მეორე სახის გამოსალებს, იგი „საბალახის“ სახელწოდებას ატარებდა და მაისსა და თიბათვეში 100 სული ცხვრიდან ერთ სულს გამოჰყოფდნენ. მეფის მოხელე-მებალახე დადაღვინებდა აჩხეულს და ისევ ფარაში ტოვებდა. მებალახესაც თავისი სარგო ეძლეოდა, რომელსაც შიშლიგი ეწოდებოდა<sup>31</sup>.

აღნიშნული გადასახადების ზუსტი განსაზღვრა იმის მაჩვენებელი იყო, რომ ცენტრალური ხელისუფლება, ვახტანგ VI-ის თაოსნობით, სახელმწიფო შემოსავლის გაზრდისათვის იბრძოდა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას ხელს უწყობდა.

ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის პერიოდისათვის შესაძლებელი ხდება ზოგიერთი მსხვილფეხი საქონლის, კერძოდ ხარის ფულადი ექვივალენტის განსაზღვრა. ყოფილა შემთხვევა, რომ ერთი ხარი 19 აბაზად შეფასებულა<sup>32</sup>, მეორე შემთხვევაში კი 15 აბაზად, ხოლო კამეჩი 8 მარჩილად, რაც 4 მანეთსა და 4 აბაზს უდრიდა<sup>33</sup>. ამრიგად, აღებულ ხანაში, დაახლოებით ერთი ხარის ფასი მერყეობდა 3-სა და 4 მანეთს შორის. რაც შეეხება ძროხას, ვახტანგის სამართლის მიხედვით, „2 მინალთუნად ჩავარდებისო“<sup>34</sup>, ე. ი. 2 მანეთად. აღსანიშნავია, რომ ქართული ბედაურები ექვსპორტის საგანს წარმოადგენდნენ, რომელსაც ამიერკავკასიისა და მის გარეთ „ქართული ცხენის“ სახელით იცნობდნენ<sup>35</sup>.

ვახტანგ VI-ის დროს სასოფლო-სამეურნეო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა მეხილეობა-მებაღეობაში. განსაკუთრებათ ცნობილი იყო ქართლის ტერიტორია ხილის სავსე ბალებით. ქციის, მაშავერის და დებედის ხეობები ხილის დიდ პროდუქტს იძლეოდა<sup>36</sup>. შიდა ქართლის ჩაიონებიდან კი მეხილეობას მისდევლნენ თეძამის ხეობაში, გორის, მეტეხ-სასირეთის, ატენის, სვირის და ხოვლეს მიდამოებში<sup>37</sup>. მეხილეობით იყო, აგრეთვე, ცნობილი მტკვრის ჩრდი-

<sup>30</sup> დასტურლამალი, გვ. 527.

<sup>31</sup> იქვე, გვ. 522.

<sup>32</sup> ე. თ აყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა, 1907, წ. 1, გვ. 157.

<sup>33</sup> ხელნ. ისტ., ფ. Hd, 971.

<sup>34</sup> ვახტანგის სამართალი, გვ. 14—15.

<sup>35</sup> ქ. კ ც ც ი ა, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქები, თბ., 1981, გვ. 121.

<sup>36</sup> ვახტანგი, აღწერა... გვ. 34.

<sup>37</sup> იქვე, გვ. 56, 58, 74, 77.

ლოეთით მდებარე ტერიტორია — ლიახვის, ქსნის, არაგვის, რეზის  
და მცხუდის პირის მინდვრები<sup>38</sup>. ქალაქ თბილისის მისადგომებიც იყო  
განთქმული იყო თავისი მაღალხარისხოვანი ბალებით. ბალები ქა-  
ლაქის შიგნით იყო მოქცეული. საფიქრებელია, რომ ეს შემდეგში  
ცნობილი ორთავალის ბალები უნდა ყოფილიყო. თბილისში იყო აგ-  
რეთვე ე. წ. სამეფო, თბილელის და საკუთრივ ქალაქის ბალები.

ვახტანგ VI-მ სპეციალური წესით სათანადოდ დაადგინა თბილი-  
სის ბალების მორწყვის დღეები, რასაც თავლიდარი ასლანი აწესრი-  
გებდა. ვინც ამ გარიგებას დაარღვევდა, 12 მინალთუნი ჯარიმა უნდა  
გადაეხადა<sup>39</sup>.

გვრცელებულ ხილთა შორის ქართლში ხარობდა ნარინჯი, თუ-  
რინჯი, ლიმონი, ზეთისხილი, ბროჭეული, ყურძენი (ხილად სახმარი),  
ატამი, ვაშლი, ჭერამი, ალუჩია, ტყემალი, ნუში, უნაბი, თუთა, ქლია-  
ვი, ლელვი, ბალი, ალუბალი, მსხალი, „მრავალგვარი ვაშლი, კოში,  
ნიგოზი, თხილი, ზღმარტლი, ფშატი, საზამთრო და ნესვი“<sup>40</sup>.

აღწერდა რა შ. შარდენი ქართლის ეკონომიკურ მდგომარეობას,  
აღნიშნავდა, რომ „ქართლში ხილიც ძალიან კარგი იცის, ყოველგვა-  
რი ხილი მოდის. ეკრობის არც ერთ ადგილას არ მოდის უკეთესი ვაშ-  
ლი და მსხალი. აზიაშიც არსად არ მოდის უკეთესი ბროჭეული“<sup>41</sup>.

მებალეობა სამეფო სახლის სამეურნეო საქმიანობის მნიშველო-  
ვანი უბანი გამხდარა. ამაზე მიუთითებს „მებალეთუხუცესისა“ და  
მისღამი დაქვემდებარებული მებალეების შემაღებელობა, რომელთა  
უფლება-მოვალეობანი სპეციალურად განუსაზღვრავთ<sup>42</sup>. მებალეებს  
ევალებოდა ყოველი ბალის მოვლა და თადარიგის გაწევა, რაც ბალის  
ნაყოფიერებასთან იყო დაკავშირებული. მებილეობა ქართლში ისეთ  
ჭარბ პროდუქტს იძლეოდა, რომ თბილისის ბაზარზე პროვინციები-  
დან ჩასული ხილი იყენდა მის ასორტიმენტს.

XVIII საუკუნისათვის ქართლის მეურნეობის ერთ-ერთ განვი-  
თარებულ სახეობას მეთევზეობა წარმოადგვნდა. თევზის სხვადასხვა  
კიშებით ცნობილი იყო მდ. მტკვარი, ლიახვი, ქსნი, მცხუდა, რეხა  
და სხვა. თრიალეთსა და ტბა ფარავნიდან სამეფო სახლს ღიღი შე-  
მოსავალი შემოსდიოდა, რომელიც საპალნობით ბარდებოდა სპეცია-  
ლურ მოხელეს, ვინე ლარაძეს<sup>43</sup>.

38 ვახტარი, აღწერა..., გვ. 74, 78.

39 დასტურლამალი, გვ. 548—549.

40 ვახტარი, ბაგრატიონი, აღწერა..., გვ. 21.

41 შ. შარდენი, დასახ. ნაშრომი, გვ. 243.

42 საქ. სიძ. ტ. II, გვ. 141; ს. ც. ი. ა. ც., 1450, ფ. 45, № 122; ფ. Qd,  
№ 6998.

43 დასტურლამალი, გვ. 510.

მეთევზეობით განთქმულ რაიონებში „სათევზე გოდორი“ გლე-  
ხის მეურნეობის ისეთსაცე ატრიბუტს წარმოადგენდა, როგორც მეურნეობის დროებით ხმარებაში მყოფი სახნავ-სათესი მიწა, საწყლისპირო და წისქვილი<sup>44</sup>.

ვახტანგ VI-ს თევზის საჭერი გოდრების კონისათვის სპეციალუ-  
რი რიგი შეუმუშავებია. სამეფო კონების თადარიგის გარევა გაბაშვი-  
ლებს ჰქონიათ მიბარებული. გარდა სამეფო „კონებისა“, არსებულა-  
ანჩისხატისა და კათალიკოსის კონი, რომელთა „მოვლა“, „ქვებით  
შევსება“ და კონით დაჭერილი თევზის განაშილება აზნაურიშვილებს-  
თარიშვილსა და მესხიშვილს ჰბარებია<sup>45</sup>.

სპეციალურ სამუშაოებს ატარებდნენ მიჩენილი „კაცები“ ნედ-  
ლი თევზის დასამუშავებლად, ხმელი თევზი გამოჰყავდათ და ხი-  
ზილალას თვითონვე ამზადებდნენ. ქ. თბილისის მეთევზენი სამეფო  
ბას მხოლოდ ხმელ თევზებზე იხდიდნენ. თბილისში ხმელი თევზი,  
განსაკუთრებით ზუთხი და გელაქნური ქართლის სხვადასხვა კუთხი-  
დან შემოსული სასაქონლო პროდუქტის ერთ-ერთ გავრცელებულ სა-  
ხეობას წარმოადგენდა. თევზის საზომ ერთეულად, გარდა საპალისა,  
XVIII საუკუნისათვის ლიტრაც იყო. რუისის სამწყობეში შემავალი  
სოფლების ზანავის, ახალდაბისა და სანავისხევის მაცხოვრებელინი  
„დრამის“ მაგივრად გადასხადს ლიტრობით თევზს იხდიდნენ<sup>46</sup>.

ქართლის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს  
ძელთაგან მეაბრეშუმეობა წარმოადგენდა. ყველა უცხო მოგზაური,  
რომელსაც კი XVII და XVIII სს. მიგნაზე საქართველოში და, კერ-  
ძოდ, ქართლში შემოუდგამს ფეხი, დიდი ყურადღება მოქმედია იმ  
გარემოებისათვის, რომ საქართველოში აბრეშუმის კულტურის გან-  
ვითარება მაღალ საფეხურზე მდგარა.

XVII ს. მოგზაური ტავერნიე ალნიშნავდა, რომ „თბილისი საკ-  
მაოდ დიდი ქალაქია და აქ აბრეშუმით ვაჭრობა სწარმოებს“<sup>47</sup>.

არანაკლები ყურადღება მიქმედია შარდენს საქართველოში  
აბრეშუმის განვითარებისა და მისი უცხოეთში გატანის ფაქტისათვის.  
„ქართველებს... აბრეშუმი გააქვთ ოსმალეთში. არზრუმში და სხვა  
გარეშე ქვეყნებში, სადაც კარგ ფასად ჰყიდიან“<sup>48</sup>. — წერდა იგი.

ვახტანგ VI-ის დროს მეაბრეშუმეობით ცნობილი რაიონები  
იყო ქართლში დებედის, ხრამისა და მეჭუდის ხეობები. ამ ხეობათა

44 საქ. სიძვ. ტ. II, გვ. 225, 226.

45 დასტურლამალი, გვ. 513.

46 დასტურლამალი, გვ. 422.

47 ტავერნიეს მოგზაურობა, უკრნ. „მ-ბე“, 1898 წ., № 6, გვ. 4.

48 შ. შარდენი, დასახ. ნაშრ., გვ. 83.



მცხოვრები გლეხები სამეფო, საეკლესიო და საბატონო გამოსაცემში ჩატარდა ბი აბრეშუმის ყაჭი კვერცხის ოდენობით იყო განსაზღვრული<sup>49</sup>.

ვახტანგ VI-ის „დასტურლამალის“ მიხედვით, მეტაბრეშუმეობის განვითარების შესახებ დგინდება, რომ აბრეშუმის ბოჭკოს გამოყვანისათვის სპეციალური ტექნიკა იყო შემუშავებული. აბრეშუმის ჭიის მოვლისათვის გამოყოფილი პირები — „ქუმჩები“ აკეთებდნენ ლასტებს, რომლებსაც „ქუმები“ ეწოდებოდათ და ამ „ქუმებზე“ აბრეშუმის ჭია ქსოვდა აბრეშუმის ბოჭკოს<sup>50</sup>. ბოჭკოდან მეტარმე გლეხი ე.წ. „გულს“ მიღებდა, რომელიც დამუშავებული ნართის სახეობას წარმოადგენდა და დახვევის შედეგად იყო ნაწარმოები, რომელსაც მორგვის სახე ჰქონდა. აბრეშუმის ნართის მიღების შემდეგ ე.წ. „მანჯანიკი“<sup>51</sup> — სართავი მანქანა აბრეშუმის ძაფს იძლეოდა. ამრიგად, აბრეშუმის ძაფის მიღება მძიმე და ხანგრძლივი მუშაობის შედეგს წარმოადგენდა. ამითვე ისხსნება ის გარემოება, რომ ფარჩაზე, რომელზედაც მეტი შრომა იყო გაწეული, ნაკლები ფულადი გამოსალები იყო დაწესებული, ვიდრე აბრეშუმის ფაბრიკაზე. რომელიც დიდი წარმატებით სალდებოდა თბილისის ბაზარზე. მინბაში თბილისის საბავოს აბრეშუმის საპალნეზედ შაურს იღებდა, ხოლო ფარჩის საპალნეზედ ნახევარ შაურს<sup>52</sup>.

XVIII ს. 20-იანი წლებისათვის ქართლში ერთი ლიტრი აბრეშუმის ფაბრიკატის შეძენა დაახლოებით 6 მანეთად ყოფილა შესაძლებელი<sup>53</sup>. იყო შემთხვევები, როდესაც ქართლში შეძენილ აბრეშუმის ფაბრიკატის უცხო ვაჭრები საქართველოს საზღვრის გარეთაც გაიტანდნენ ხოლმე. შარდენის ცნობით, სპარსეთი ფართოდ ვაჭრობდა აბრეშუმით, რომელიც უმთავრესად საქართველოდან შემოპქნდათ. მისი ცნობით, საქართველოდან 2000-მდე საპალნე აბრეშუმი შემოდიოდა სპარსეთის ბაზარზე<sup>54</sup>, რაც აბრეშუმის ფაბრიკატის დიდ ოდენობას გულისხმობდა.

ქართული აბრეშუმის სასაქონლო ფუნქციის შესახებ ტივერნიეც აღნიშნავს, რომელიც წერს, რომ ადგილობრივი ქართული აბრეშუმი არა მარტო თბილისის ბაზარს ამარაგებდა, არამედ სომეხი ვაჭრებისათვის გასაღებისა და შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა. მათი საშუალებით ქართული აბრეშუმი სმირნასა და ხმელთაშუა ზღვის ნავ-

<sup>49</sup> დასტურლამალი, გვ. 582; ვახტანგი ბაგრატიონი, აღწერა..., გვ. 34, 45.

<sup>50</sup> 6. აბესაძე, მეტაბრეშუმეობა საქართველოში, თბ., 1957, გვ. 194—195.

<sup>51</sup> დასტურლამალი, გვ. 582.

<sup>52</sup> იქვე, გვ. 570.

<sup>53</sup> ს. ც. ი. ა., ფ. 1448, № 153, 318.

<sup>54</sup> შარდენი მოგზაურობა, გვ. 297.

სადგურებსაც კვებავდა<sup>55</sup>. ქართული აბრეშუმის საერთაშორისლური საქანკულო  
ქონლო პროდუქტად ქცევა მისი მაღალხარისხოვნებით იყო განპი-  
რობებული. ქართული აბრეშუმი, პირველ ყოვლისა, მისი უმშალო  
მწარმოებლის მოთხოვნილებას აქმაყოფილებდა და ნატურალური გა-  
მოსალების ფორმას წარმოადგენდა<sup>56</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ ვახტან-  
გის მოღვაწეობის ხანაში აბრეშუმის ნედლეულის და ნაწარმის მი-  
ღების ტექნიკა კვლავ ძველ ტრადიციულ წესს ემყარებოდა და თავი-  
სი სიახლით არ გამოირჩეოდა<sup>57</sup>. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია,  
რომ სპეციალური საბაჟო ნიხრი, რომელიც დაწესდა 1736 წ. თბი-  
ლისის სატრანზიტო სავაჭრო საქონლზე, აბრეშუმის ბაჟს გარკვეულ  
ადგილს უთმობდა. მათ შორის ქართულ აბრეშუმზე სპეციალური  
ბაჟი იქნა დადგენილი<sup>58</sup>.

ტექნიკური კულტურებიდან ვახტანგის დროს ქართლში გავრცე-  
ლებული იყო სელი და კანაფი. სელი მოჰყავდათ სამხრეთ საქარ-  
თველოში, კერძოდ, აბოცა, ტაშირსა და ყაიყულში. სელიდან უმ-  
თავრესად ხდიდნენ ზეთს, რომელიც იხმარებოდა, როგორც საქვებ,  
ისე საშვავ საშუალებად. თბილისის ბაზარზე უმთავრესად ტაშირის  
და აბოცის ზეთი შემოდიოდა, რომელსაც დიდი მომხმარებელი  
ჰყავდა<sup>59</sup>. ქართლში გამოყვანილ ზეთის პროდუქტს მისი სიმცირის  
გამო ცენტრალური ხელისუფლება უწევდა კონტროლს. ვახტანგ  
VI-მ აკრძალა ქართული ზეთის ქვეყნიდან გატანა, რისთვისაც და-  
წესდა ჭარიმა იმ პირთა მიმართ, რომელიც ზეთს ქვეყნიდან გაიტან-  
დნენ<sup>60</sup>.

გარდა ზეთისა, ქართლში კანაფის წარმოებაა დადასტურებული  
ვახტანგის დროს. კანაფისაგან საოჯახო მოხმარების ქსოვილებს ამ-  
ზადებდნენ. კანაფი შიდა ქართლის დაბა ალის მცხოვრებთა ერთ-  
ერთი გამოსალების სახეობას წარმოადგენდა. მათ სახუცო ფულადი-  
გადასახადის მაგიერ შეწერილი ჰქონდათ ტილოც, რაც ცხადია, მათ-  
ში შინამრეწველობის ამ სახეობის გავრცობასა და განვითარებას გუ-  
ლისხმობდა<sup>61</sup>.

XVIII ს. პირველი მეოთხედის ქვეყნის ეკონომიკურ მოღონიე-  
რებას თან სდევდა წიაღისეული მაღნეულის დამუშავება. ამ დროი-

55 ტავერნიეს მოგზაურობა, უურნ. „მოამბე“, 1898 წ. № 6, გვ. 4.

56 დასტურლამალი, გვ. 582.

57 6. აბესაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 195—196.

58 ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ. VII, თბ., 1965, გვ. 393.

59 ვახტ შტი, ალწერა..., გვ. 103; „დასტურლამალი“, გვ. 582; ქართ. ც. IV, გვ. 319.

60 დასტურლამალი, გვ. 10.

61 ე. თაყაიშვილი, აჩქოლოგიური მოგზ., 1907, წიგნი. I, გვ. 177.



სათვის ტაშირი ცნობილი იყო თავისი სპილენძით და წითელი მარმარილი რილოთი, რომელიც გამოირჩეოდა გარკვეული ელვარებით, სიმაგრე აკადემიური რითა და დახვეწილობით<sup>62</sup>. სპილენძის დამუშავება ხდებოდა აგრეთვე შიდა ქართლის ერთ-ერთ პუნქტში — სარკინეთში, რომლისთვის საც საჯუთარი სახელიც შეერქვათ თავისი ბუნებრივი თვისებების გამო. სარკინეთში, გარდა სპილენძისა, ითხრებოდა რკინაც და „იპოვების მცირე ლავარდიც“<sup>63</sup>. ცნობების უქონლობის გამო ძნელია თქმა, რა ხასიათს ატარებდა სპილენძის ამოღება და დამუშავება, მაგრამ, ცხადია, რომ ამის კულტურა ქართლის სამეფოს ჰქონდა და აწარმოებდა კიდეც.

რაც შეეხება სამეფო, სათავადო და სამონასტრო ნაგებობათა და სასახლეების მშენებლობას, ეს ხდებოდა ადგილობრივი ქვითა და მარმარილოთი, რომელიც ყარაღაქის მთიდან ამოჰკონდათ და ცნობილი იყო განუსაზღვრელი სიმკვრივით<sup>64</sup>.

## 2. მირზათა ინსტიტუტი

ვახტანგ VI-მ ქართლის სოფლის მეურნეობის დარგთა განვითარების მიზნით, განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია სარწყავი არხებისა და რუთა სისტემის მოწესრიგებას და იმ საირიგაციო ხასიათის მშენებლობათა ჩატარებას, რომელიც ქართლის სოფლის მეურნეობის დარგთა განვითარებასთან იყო დაკავშირებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია არხების მშენებლობანი ქციისა და მაშავრის ხეობებში. ვახტანგ VI-ის ეპიტაფიაში აღნიშნულია, თუ როგორ დაუკავშირა ვახტანგმა ქცია ხუნანს. ამით როგორ აქცია ქციის, მაშავრისა და ხუნანის უდაბური ველნი ნაყოფიერების წალკოტად<sup>65</sup>.

სეხნია ჩეხიძე ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის აღწერისას აღნიშნავდა: „განიღო რუ ნახიღურითგან, ვიღრე ყის ყალამდის... განიღო რუ ნაგებიდან ბოლოსა ყარაისასა“<sup>66</sup>, მოირწყო მოსავლიანი ყარაის ველი.

უდაბურ ადგილებში არხების გაყვანას დაბებისა და სოფლების დასახლება მოჰყვებოდა. უკაცრიელი მამულები ხალხით ივსებოდა. „აღაშენა სოფლები უშენსა ადგილებსა“, — წერს სეხნია ჩეხიძე.

ვახტანგიც განსაკუთრებით აღნიშნავს ვახტანგის მიერ რუთა მშენებლობის ფაქტს, რომელიც, თავის მხრივ, მოსახლეობის ზრდას

62 ვახტანგი, დასახ. ნაშრ., გვ. 103; ქართლის ცხოველება, IV, გვ. 319.

63 იქვე, გვ. 37.

64 ვახტანგი ბაგრატიონი, დასახ. ნაშრ., გვ. 39.

65 ელ. მეტ რევილი. ვახტანგ VI-ის ეპიტაფის ავტორი, უნივერსიტეტის შრ., ტ. 43, 1951.

66 სეხნია ჩეხიძე. საქ. ცხ-ბა. 1913, თბ., გვ. 25.



იწვევდა, დაბებისა და სოფლების მოშენებას გულისხმობდა. ადგენერაცია  
რუნი და აღაშენა მრავალი დაბები<sup>67</sup>.

ვახუშტის ცნობები სარწყავი არხებით დასერის შესახებ გვაძლევს სამუალებას წარმოვიდგინოთ, თუ როგორ ნაყოფიერდებოდა მტკვრით მთელი ყარაიას ველი. „ნაგებიდან გაიღო უდ შეფერინ ვახტანგ რუ მტკვრისაგან და მიერ უამითგან ნაყოფიერებს ჭალებს ქვეითნი მინდორნი“<sup>68</sup>.

ამავე დროს მოხდა ვახტანგ VI-ის თანამეცხედრის რუსუდან დედოფლის თაოსნობით გორის პირდაპირ წმ. გიორგის ეკლესიის მიღამოების არხებით დასერვა, წყალი ბურეთის მთიდან მოდიოდა<sup>69</sup>.

ალის წყლის დასავლეთით, სურამის წყლის გაღმოტანა დაღალულიდან ხოლომდე (ლიხამდე) ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის ერთერთ ეტაპს ეკუთვნის<sup>70</sup>. მასივე მეცადინეობით ხდება ბოლოს პირიდან, ე. ი. ლიხიდან აღმოსავლეთისაკენ — მდ. მტკვრისაკენ, დაახლოებით სოფ. ქვიშეთის გასწვრივ მოზრდილი არხის გაყვანა<sup>71</sup>.

არხების მშენებლობას თან სდევდა უდაბური ადგილების მოშენება, დაუსახლებელი ტერიტორიების ათვისება-გამოყენება, ახალი დაბებისა და სოფლების დასახლება.

შარდენიც აღნიშნავდა, რომ „ქართლის მიწას მორწყვა უხდება: მორწყვა უხვად აღმოაცენებს ყოველგვარ მარცვალს, მწვანილსა და ხილსა“<sup>72</sup>.

რუთა გაყვანის ასეთი დიდი დაინტერესება ვახტანგ VI-ის მიერ შემუშავებულ ქართულ იურიდიულ ძეგლებშიც არის ასახული, რომელთა მიხედვით ირკვევა, რომ რუთა მოხმარებას და სარწყავი არხების ვამოყენებას XVIII ს. პირველ მეოთხედისათვის სპეციალური რიგი ჰქონია დადგენილი.

ვახტანგ VI უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების განვითარებისათვის რუთა მოწესრიგების საქმეს. ამ საკითხს ვახტანგ VI თავის სამართლის 170-ე მუხლს სპეციალურად უძღვნის, საიდანაც ირკვევა, თუ რამდენად დაინტერესებულია ცენტრალური ხელისუფლება ქვეყნის ეკონომიკური განვითარებით, სოფლის მეურნეობის დარგების დაწინაურებით, რომელზედაც დამოკიდებული იყო ქვეყანაში მოსარწყავი სისტემის მოწესრიგება და გავრცობა. ამ მუხლში პირდაპირ ნათქვამია, რომ

<sup>67</sup> ვახტუშტი ბაგრატიონი, ცხ-ბა და ქმნილება შეფეთა ქართლ-სათა, 1973, თბ., გვ. 492.

<sup>68</sup> ვახტუშტი, აღწერა, გვ. 51.

<sup>69</sup> იქვე, გვ. 57, 58.

<sup>70</sup> იქვე, გვ. 81.

<sup>71</sup> იქვე.

<sup>72</sup> შ. შარლენი, მოგზაურობა საქართველოში, 1975, გვ. 243.

თუ სამეფო კარი და ცენტრალური ხელისუფლება ეცდება გაიყვანოს არხები, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ხელს შეუწყობს „ქვეყნის შენებას“, კერძოდ „პურის მოსავლისათვის იქს ყოველივეს“<sup>73</sup>.

ცენტრალური ხელისუფლება იღაშქრებდა საირიგაციო მშენებლობათა შემაფერხებელი ძალებისა და პირობების წინააღმდეგ. „რუს სათავეს ვერავინ დაუშლის, სადაც რუ მოიხდენს, ვენახი და ხოდაბუნი, რაც დახვდების, გადაჭრის და იქ გაატარებს“<sup>74</sup>.

„დასტურლამალში“ რუთა გამოყენების საქმეს თავისი ადგილი უცირავს. სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის თვალსაზრისით, განმარტებულია რუს მოხმარების არსი და მნიშვნელობა. რჯულებაში დადგენილია, თუ რომელი სოფელი ისარგებლებს და სადამდე უნდა იყოს გადაყვანილი ესა თუ ის რუ. მაგალითისათვის საინტერესოა რუთ სარგებლობის წესი. ურბნისის რუს იყენებდნენ საქაშეთიდან შინდელნი, შემდეგ ვარიინელნი, სასირელნი, ხოლო არაშენდელნი კი რუისის თავამდი. რაც შეეხება თვითონ ურბნელთ, ისინი სარგებლობდნენ გორის გზისა და მლაშის წყლის შესაკრავთან<sup>75</sup>.

ვახტანგ VI-ის შემუშავებულ „დასტურლამალში“ გარდა ურბნისის რუების, თბილისის „ციხის ბაღების“ მორწყების შესახებაც მოცემულია სპეციალური წესი. ციხის ბაღებში იგულისხმებოდა ის ბაღები, რომელნიც თვითონ ქალაქის გალავანში იყო მოქცეული და ემარტებოდა ე. წ. სალთავარის ბაღებიც (ორთავალის ბაღებს უნდა გულისხმობდეს, აბანოებთან მდებარე)<sup>76</sup>. ორთავალის ბაღებისათვის ორი დღე იყო განკუთვნილი — ოთხშაბათი და ხუთშაბათი. „უჯეროთ წყალი არ აღინონ., ცოტ-ცოტაობის რასათით გაიყოფდენ და ისრე აღინონ“<sup>77</sup>, წერია სპეციალურ თავში.

რუთა გამოყენების კვირის დანარჩენი დღეებიც განაწილებული იყო. პარასკევს დღისით წყალი ციხის ანბრისათვის (სურასათისათვის) მიღიოდა, პარასკევს საღამოს, შაბათს, კვირა დღეს და ლამეს სამეფო ბაღებს მორწყავდა, ხოლო ორშაბათსა და სამშაბათს დღედაღმ თბილელსა და საკუთრივ ქალაქის ბაღებისაერნ უნდა ედინა.

ცენტრალური ხელისუფლება თავის ძალაუფლებას წყლით მოხმარების საქმეზეც კანონიერად ავლენდა. „დასტურლამალში“ ხაზგასმით დადგენილია, რომ თუ „ვინიცობაა წყალ-ცოტაობა იყოს, ბატონის ბაღს წყალი არ უნდა დაყლდესო“<sup>78</sup>.

73 ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, გვ. 92.

74 დასტურლამალი, გვ. 531.

75 იქვე, გვ. 548.

76 იქვე.

77 იქვე.

78 დასტურლამალი, § 213, გვ. 549—550.

პირველ რიგში თბილისში ბალები უნდა ყოფილიყო წყლით უზუნველყოფილი. უფრო მეტიც, თბილისის სამეფო ბალის წყლით გარების წიგნი არსებობდა, რომელიც ებარა ფარეშ თავლიდარს ასლანს. სარგებლობის ეს დადგენილი რიგი და წესი გახტანგ VI-ის მიერ სახელმწიფო კანონმდებლობის ერთ-ერთი ნორმა იყო, ამიტომაც მისი დამრღვევი ისჯებოდა და გარიმდებოდა 12 მინალთუნით. იგი „საბატონო ჯარიმათ“ იყო გამოცხადებული. ამ გარიმის ათის-თავს კი სამეფო მოხელე ფარეშთ თავლიდარი ისლანი იღებდა<sup>79</sup>.

1707 წ. ერთ-ერთი საბუთიდან ირკვევა, რომ ინდონ გაბაშვილს დიდი მონაწილეობა მიუღია გახტანგის თაოსნობით ყიზილყალის, გულთაფისა და ხუნანის არხების გაყვანის საქმეში: „ახალი მოუგონარი და უცილობელი რუ გავიდევით, ჩვენი სახასო დიდი ურწყვიდ მინდვრები სარწყავათ გავხადეთ“<sup>80</sup>. ამის გამო გახტანგ VI-მ ინდონ გაბაშვილს საზღაურად ხუნანის მოურავობა უბოძა.

როგორც ვხედავთ, ცენტრალური ხელისუფლება ვახატნგ VI-ის თაოსნობით განსაკუთრებულ ყურადღებას ქვევდა საირიგაციო სამუშაოებს თავის სამფლობელოებში და ყოველმხრივ ცდილობდა მთელი ქართლის სათავადოებშიც ანალოგიური სამუშაოები ჩატარებულიყო.

„რუს სარწყავ წყალს, როგორც მამულს გაიყოფენ ძმანი, ისრე წყალი იმდენ ნაკადულად გაიყოფის“<sup>81</sup>, წერია გახტანგის სამართალში.

1717—1719 წწ. სპეციალური სასამართლო დგება ქავახიშვილების სასახლისკაცო დავის გმო, სადაც დავის მთავარი ობიექტი ხოვლეს წყალია. მტკიცე განაწესი დგინდება თუ რომელი სახლისკაცი, როდის და რა ხნით ისარგებლებს ხოვლეს რუთი<sup>82</sup>.

რუს სახლისკაცობის რიგის დაცვის პრინციპი გაყოფაში ქავახიშვილებთანაცაა დაცული. მაგ., შუათანა ძმის უფლება სარწყავ რუზე ასეა დადგენილი ქავახიშვილებთან: „რაც ფარემუზს უჭირავს, იყოთანდილიმ და ერასტიმ უნდა შუაღმ მოუტრწყონ. მას უკან შუა ძმათ შუა გაიყონ“<sup>83</sup>, ვკითხულობთ გარიგების წიგნში.

როდესაც დურმიშხან და პაპუნა გოსტაშაბიშვილებს გაუცვლიათ თავისი მამულები, დურმიშხანს თავისი წილი „წყლის ნახევარი“ პაპუნასათვის დაუთმია<sup>84</sup>.

79 დასტურლამალი ს 213, გვ. 548.

80 ს. ც. ი. ა. ფ. 1450, დ. 18, № 104.

81 ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, გვ. 80, ს 114.

82 საქ. სიძვ., ტ. II, გვ. 309.

83 იქვე.

84 საქ. სიძვ., ტ. I, გვ. 69—70.



რუ და სარწყავი წყალი, როგორც აღვნიშნეთ, ფეოდალური საკუთრების ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენდა, მაგრამ მისი განსხვითამათვა სება მაინც იყო შესაძლებელი. XVIII ს. I მეოთხედში თუმანიშვილებს ქსნის ერისთავებისაგან მდ. ლიახვიდან თავისთვის რუ ფეოდალი და თავის მამულში გადაუგდიათ, ამისათვის თუმანიშვილებს ფეშვაში მოურთმევია ერისთავებისათვის. რა ხასიათისა იყო ეს ფეშვაში, არ ჩანს. ცხადია, ამას იურიდიული უფლება პქონდა მოპოვებული, როგორც ქსნის ერისთავს, რუს პატრიონს, მაგრამ იმისათვის, რომ ეს უფლება დროებით მაინც თუმანიშვილებისათვის დაეთმო, ქონებრივი საზღაური აუღია სამაგიეროდ<sup>85</sup>.

ფეოდალური სამართალი რუს გაყიდვის წინააღმდეგ ილაშქრებდა. 1719 წ. ვახტანგ VI-მ სასამართლო დანიშნა, რომელიც წყლის ირგვლივ დავას არჩევდა და ერთდროულად ადგენდა: „წყალს ნუ-რავინ გაყიდისო“<sup>86</sup>, ე. ი. რუს გაყიდვის ფაქტები არსებობდა. ფეოდალური სამართალი ამ შემთხვევაში გამოდიოდა ფეოდალური საკუთრების დაურღვევლობის პრინციპიდან, რუსა და წყლის, როგორც საერთო საკუთრების ნორმათა დაცვის პოზიციებიდან, მაგრამ ვახტანგის შედგენილი სამართალი იცავდა აგრეთვე საკუთრების უფლებას იმ საქონელზე, რომელსაც სათავისთავო საქონლის სახე პქონდა მიღებული თავისი გარჯითა და შრომით მოპოვების შედეგად. ეს იყო „სათავისთა“ ქონების დანაწილების ფაქტი.

მაგალითად, რუს მოშენებასა და მის გაყვანაზე თუ იშრომებდა რომელიმე კერძო პირი, მას ამ რუზე უფლება უმკვიდრდებოდა. 1706 წ. შეთანხმების ბარათით ირკვევა, რომ გიორგი მელიქის რუ, რომელიც მოუწესრიგებელი იყო, ოქუაანთ მეფისამას ისე შეუუფლებია, რომ მისი გამოყენება გამხდარა შესაძლებელი. გაწეული ხარჯისათვის რუ სანახევრო საკუთრებად ქცეულა<sup>87</sup>.

როს გამოყენების უფროს-უმცროსობის პრინციპი აზნაურების თურქესტანი ვილების სახლის შემთხვევაშიცაა დადასტურებული. თოხი, ძმის შვილებიდან უპირატესობა ორ უფროს ძმესა აქვს. პირველ რიგში ისინი რწყავენ თავის მამულებს, შემდეგ კი კერი უმცროს ძმაზე დგება და ბოლოს „თუ ურიგოდ მორწყავს ვინმე, იმ ალაგს ჩევნთვის წავართმევთო“<sup>88</sup>. ვახტანგ VI ითხოვდა, რომ თურქესტანიშვილებს თავისი მერუე დაეყენებინათ და მისთვის დაეკისრებინათ ყველა საქმე, რაც მამულის რწყავს შეეხებოდა.

85 ბ. ი. ფ. Sd, № 858.

86 ბ. ი. ფ. Qd, № 1027; საქ. სიც. ტ. II, გვ. 9.

87 ს. ც. ი. ა., ფ. 1450, დ. 12, № 134.

88 ს. ც. ი. ა., ფ. 1450, დ. 11, № 134.

ამრიგად, ვაჭროვ VI და მისი სამართალი იცავდა რუთა  
სისტემაზე ფეოდალურ საკუთრებას, ყოველ მხრივ ცდილობდა  
ქართლის ეს ბუნებრივი სიმდიდრე რაციონალურად გამოყენები-  
ნათ.

XVIII ს. პირველი მეოთხედისათვის ქართლში არსებობდა მრა-  
ვალი რუ, რომელიც ქართლის სოფლის მეურნეობის განვითარების  
ერთ-ერთი მთავარი პირობათაგანი იყო. ცენტრალური ხელისუფლე-  
ბა რუთა გამოყენების ხელშეუხებლობის პრინციპს ატარებდა ვახ-  
ტანგის სამართლის 170-ე პარაგრაფით, რომლის მიხედვითაც ვერც  
ერთი სოფელი ვერ შეეცილებოდა მეორე სოფელს.

გ. გამბურია წერს, რომ მარტო საყაფლანიშვილოში ამ დროი-  
სათვის ჭაპალის, შულაერის, მაშავერისა და ქციის რუები არსებობ-  
დაო<sup>89</sup>.

ანალოგიური რუები საამილახოროს ტერიტორიაზეც არსებობ-  
და. XVIII ს. დასაწყისისათვის დამოწმებულია ზერტის, სობისის,  
თორტიზის რუები<sup>90</sup>. თადარიგი თითოეულ სოფელს ევალებოდა.  
თითოეულ ასეთ რუს თავისი მერუე მზრუნველი ჰყავდა. იგი ყველა  
სხვა ვალდებულებისაგან განთავისუფლებული იყო. მას ევალებოდა  
ისეთი სამუშაოების ჩატარება, როგორიც იყო რუს დაცვა, რათა  
წყალი არ გაპარულიყო; ღარით „გამურვა“ — გვარედინა რუების  
ზევიდან და ქვევიდან ღარით გატარება, სარწყავ ტერიტორიაზე  
წყლის თანაბარი განაწილება. ყველა ამ სამუშაოთა თადარიგს მერუე  
აწარმოებდა<sup>91</sup>. ასე ჩამოყალიბდა მერუეთა ინსტიტუტი.

XVIII ს. I მეოთხედისათვის რუთა მოწესრიგებისათვის და ახალ  
რუთა გაეთებისათვის დიდი სამუშაოები ჩატარდა. პატარა და დიდ  
ლიახვი დაუკავშირდა ერთმანეთს. გაყვანილ იქნა ქარალეთის, გარე-  
ჯვრის, ხავიწათუბნის, ბოგირის და სხვა რუები. ყოველი სოფელი თა-  
ვის რუს თვითონ უვლიდა და მასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსაც  
თვითონ სწევდა<sup>92</sup>.

ვაჭრანგ VI-ის მოღვაწეობის დროს თბილისის სანახები გლდა-  
ნისა და ავჭალის წყლით ირწყვებოდა. მაგ., გურამიშვილები მაინც  
ვერ ახერხებდნენ თავისი მამულების ჭეროვნად მორწყვას, ამიტომ რუს  
საკითხი სადაცო ბიბექტს წარმოადგენდა. წყლის განაწილება მაინც  
სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე ხორციელდებოდა.

<sup>89</sup> გ. ჭამბურია, დასახ. ნაშრ., გვ. 103—104.

<sup>90</sup> ს. ი. ფ. Ad, № 1251; ფ. Sd, № 585; მ. ჭიქოძე, ქართლის სათავადო-  
ების ისტორიიდან XV—XVIII სს. (საამილახორო). მას სიქ. და კავკ. ისტ. ნაცვ.  
35, 1963, გვ. 100.

<sup>91</sup> ს. ი. ფ. Sd, № 858 (მერუეს მერაბი სცელის ოფიციალური პასუხისმგე-  
ბელი).

<sup>92</sup> ს. ი. ფ. Sd, № 858.



თანაბრად ხდებოდა მისი სარგებლობის წესის დაცვა<sup>93</sup>, რომელიც ფერდალური საკუთრებისათვის შენარჩუნების შემთხვევაში ქონებული რიც შესაძლებლობებზე იყო დამოკიდებული. უპირატესობა წყლით სარგებლობისას იმას ენიჭებოდა, ვინც მეტ ჯაფასა და უნარს გამოიჩენდა ამათუ იმ რუს დაცვის საქმეში, ვინც მეტ ხარჯს გაიღებდა. ერთ-ერთი წყლის გარიგების ბარათის ფრაგმენტში კვითხულობთ: „ვინც დიდი ხარჯის მძლეველი იყოს, იმან მეტი წყალი აღინოს. ვინც ნაკლები ხარჯის მძლეველი იყოს, იმან ნაკლები წყალი აღინოს — ამ მერუესაც თავისი უნდა მისცენ“<sup>94</sup>.

ამ საბუთიდან ჩანს, რომ რუთი სარგებლობას ქონებრივი შესაძლებლობანი საზღვრავდნენ. სოციალურ და ეკონომიკურ უპირატესობას რუს მოხმარებაში გაღმამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. კერძო ინტერესის ზრდა რუთა მოხმარების შემთხვევაში უპირატეს მდგომარეობას იდენდა.

წყლის სამეურნეო გამოყენებისა და წყლის დაგროვების ერთ-ერთი წესი საბასთანაცაა დაცული, რომლის მიხედვით ირგვევა, რომ წყლის დაგროვება ხდებოდა წყლით ღარიბ ადგილებში, წინასწარ მოწყობილ ორმოებში, რომელსაც „ლაპვები“ ეწოდება. ს. ორბელიანი ლაპვების შესახებ წერდა: „ჭაი არის მთხრობელი კლდისა ანუ ნაგები წყალთათვის სადგომლად, ვიეთნი ლაპვს უკმობენ; ჯურლმული არის, რა ურწყულთა ადგილთა თხარონ მთხრობელი, რომ მუნ წყალი აღმოუცენოს“<sup>95</sup>.

რუთა მოწესრიგებას, მერუეთა ინსტიტუტის ჩამოყალიბებას, საირიგაციო ხსიათის მშენებლობათა ზრდას და წყლის სამეურნეო გამოყენებას, ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის დროს, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობისა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული.

ქვეყნის ეკონომიკურმა მოღონიერებამ, სოფლის მეურნეობის დარგების შედარებითმა განვითარებამ და ქართლის გარკვეულმა პოლიტიკურმა სიმშვიდემ, თავის მხრივ, ქვეყნის მოშენებაზე ზრუნვა განაპირობა.

როგორც აღვნიშნეთ, მთავარი დიდი მშენებლობანი საირიგაციო ხაზით გიმართებოდა, რომელიც პირველ რიგში ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების და სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო.

93 ბ. ი. ფ. Hd, № 14977.

94 იქვე, ფ. Qd, 637.

95 სულხან საბა თაბელიანი, „სიტყვის კონა“, თბ., 1955, გვ. 101.

საირიგაციო მშენებლობათა გვერდით მიმდინარეობდა საერო და საეკლესიო ხასიათის ნაგებობათა შენება-მოწესრიგება.

ვახტანგ VI-ის თაოსნობით დიდი სამუშაოები ჩატარდა ქალაქ თბილისში. აშენდა მეფის სასახლე. ვახტუშტი ბაგრატიონი წერდა: „პატიოსანი მიჭურტინისა და ოქროს ვარაყითა შეთხზული. მზემან ამისამან, ამისი უშვერნიერესი სახლი არც ერანს შიგან მინახვსო“<sup>96</sup>. თბილისის ე. წ. გარეთუბანში ბატონიშვილთა და თავადთა საცხოვრებლები შენდებოდა. 1712 წ. ხორამზი ბატონიშვილმა ქალაქის გარეთუბანში იყიდა სასახლე<sup>97</sup>. გარეთუბანშივე მუხრან ბატონმა სასახლე ააგო.

სააღმშენებლო მაღალი ტექნიკისა და განვითარებული არქიტექტურული დონის შესახებ შესანიშნავ მასალას იძლევა ვახტანგ VI-ის სიძის ვახტუშტი აბაშიძის ხელით შესრულებული სააღმშენებლო პროექტი, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ კახეთში, კერძოდ დავით გორგაში, ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის თაოსნობით უნდა აშენებულიყო სამხედრო დანიშნულების ნაგებობა თავისი კოშკი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ არქიტექტურულ ჩანახაზებში სპეციალური ტერმინებია დაღასტურებული: „ადლი“, „ქართული ადლი“, „ჩვენებური ადლი“, ჩარექი და სხვა<sup>98</sup>. ამავე დროს მიმდინარეობს (1716 წ.) წინარეხელ მაღალაქეთა დიდი მშენებლობანი, შენდება წინარეხში სასახლეები, ეკლესია და საძვალე სასაფლაოს ერთი მთლიანი ანსამბლი, ერთგვარი ფეოდალური უჯრედი<sup>99</sup>. ამ პერიოდს ეკუთვნის შანშე ქსნის ერისთავის მიერ შემუსვრილი ვანათის ციხის რესტავრაცია<sup>100</sup>.

გარდა საერო ხასიათის ნაგებობათა მშენებლობისა, ვახტანგ VI დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საეკლესიო ნაგებობების აგებასა და შემკობას. მან არა ერთ ტაძარს ჩაუყარა საფუძველი, არა ერთი ეკლესია შეამჟარ. სეეტიცხოველის რესტავრაცია მის დროს დამთავრდა, დომენტი კათალიკოსი წერდა:

მშეიღობით მოველი, დამიხედა სამცხეო გარიგებული.

სამირონეა მურასა, ოქროსა კარი შებმული,

<sup>96</sup> ვახტუშტი ბატონიშვილი, აღწერა..., გვ. 53.

<sup>97</sup> ლოკ. თბ., ისტ., 1945, თბ., № 77.

<sup>98</sup> ვ. ბერიძე, XVIII ს. ქართ. ხუროთმოძ. ნახაზები, საქ. მეცნ. მოამბე, XIV, 1947, გვ. 224.

<sup>99</sup> ვახტუშტი, აღწერა..., გვ. 75.

<sup>100</sup> ვ. ბერიძე, მცხოვის კათედრალი სეეტიცხოველი, მუშ. მ-ზე XV, 1948, გვ. 143.

სვეტია კარგად შემყული, გარ (ემო მო) ფარდებული,  
და ჩემს ძმას, ვახტანგსა მოეწყო, ღმერთმან ადილს ქებულა“ ერთოვანი  
ციტატისაც



დომენტი კათალიკოსის სიტყვებს ადასტურებს ვახუშტი ბატო-  
ნიშვილიც, სადაც მოთხოვნილია, თუ რა ხასიათის სამუშაოები ჩა-  
ტარდა სვეტიცხოველის შეკეთების დროს. „ვახტანგ მეფემან შეამ-  
ჭო სამირნეს იქროთა, მინითა და ვერცხლითა და ჰყო მოფენილ-  
მოფარდაგული ზეზითა ერილითა“<sup>101</sup>.

გარდა სვეტიცხოვლისა, ვახტანგმა თბილისის სიონის საყდრის  
რესტარაციაც ჩაატარებინა. ამ პერიოდში ხელახლიდ აღადგინა სიო-  
ნის გუმბათი, ტაძრის სამხრეთი მხარე, განაახლა ცხოვლისმყოფელის  
სვეტი და დაასვენა იქ შემყული ხატი. სვეტს შემოავლო მძიმე ზარ-  
ბაბის ფარდა და გამოუცვალა კანკელის სვეტები<sup>102</sup>.

სპარსელებისაგან მოოხრებული ურბნისის ეკლესია ამ დროს  
იქნა აღდგენილი. გამაგრდა ურბნისის დასავლეთით მდებარე ქვითვი-  
რის ზღუდე და შეიმჯო წმ. სტეფანე პირველი მოწამის ხატი<sup>103</sup>. ამავე  
პერიოდში განახლდა სადგერის ეკლესია, რომლის ხატიც შემკბილ  
იქნა ძვირფასი თვალმარგალიტით<sup>104</sup>. აგრეთვე ვახტანგის მოღვაწეო-  
ბის დროს, კერძოდ 1712 წ. დამთავრდა ქსოვრისის ტაძრის მშენებ-  
ლობაც. ზურაბ რატიშვილი და მისი თანამედროვე ანა სოლოლაშვი-  
ლი ქართლის ამ მშენებელ ტაძარს უდებენ საფუძველს<sup>105</sup>. ვახტანგ  
VII-მ მარმარილოთი შეამკობინა არყნალ-შამბინის ხევს შუა მღება-  
რე წყარო, რომელიც რამდენიმე სამიმოსვლო-საქართველო გზას იერ-  
თანებდა<sup>106</sup>.

ქვეყნის ეკონომიური დაწინაურების და ცენტრალური ხელი-  
სუფლების ზრუნვის შესანიშნავ მაგალითს იძლევა პაპუნა ღოვების  
ნაშრომ-ნაღვაშთა ნუსხა, რომლის მიხედვით ორკვევა, თუ რა დიდ-  
ძალი ფულადი დანაზოგი პქონია პაპუნა ღოვების, რათა შეეძინა ატე-  
ნის სასახლის ალავი, მას აუგია სასახლე, თავისი სამეურნეო ნაგე-  
ბობით — დარბაზით, საწოლით, მარნით, საკუჭნაოთი, სახაბაზოთი,  
საჯინიბოთი, ბოსქელით, კალო-საბძლით. აუშენებია კარგი ქვითვი-  
რის წისქვილი, დაუბრუნებია დიდი დოლაბი და წისქვილთანვე აუშე-  
ნებია მოზრდილი ფარეხი<sup>107</sup>.

101 განუ შტი, აღწერა..., გვ. 61, 19.

102 გ. ბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 224.

103 განუ შტი, აღწერა..., გვ. 78, 26.

104 იქვე, გვ. 83, 34.

105 3. ზეკარია, არქიტეტურული ძეგლები სოფ. ქსოვრისში, საქ. იად-  
გ-ბე, 1949, ტ. X, გვ. 635.

106 განუ შტი, იქვე, გვ. 40, 34.

107 ბ. ი., Hd, № 1656.

ყოველივე ამ საქმიანობის ჩატარება დიდ მატერიალურ სახსრების მოითხოვდა. გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, პაპუნა დოქტიდეს მულიც შეუძენია. სულ ოცდათხუთმეტი დღის მიწა უყიდია და ნ-მდე ვენახი ზერით. შეუძენია აგრეთვე ყმები თავისი მამულით მეტებსა და ატენში. პაპუა დოქტიდეს წასახალისებლად ვახტანგ VI-ისავან წყალობად საძვალე-სასაფლაოც მიუღია, სადაც საყდარი აუშენებია. ამრიგად, დოქტიდეს ახლად წარმოქმნილი ფეოდალური უკრედი საფეოდალო-სათავადოს არ ჩამოუვარდებოდა. მას პატარა სათავადოსათვის დამახასიათებელი ნიშნები გასჩენია ყმა-მამულისა, საძვალე-სასაფლაოსა და სასახლის სახით. ყოველი მსგავსი წამოწყების წამახალი-სებელი ვახტანგ VI იყო.

#### 4. ხილოსნობა ვახტანგ VI-ის დროს

ხელოსნობა ამ დროისათვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული სოფლის მეურნეობასთან. პირადი მოხმარების ბევრი საგანი — საოჯახო ინვენტარი, ტამისაცმელი, სასოფლო-სამეურნეო იარაღები და სხვა, ადგილობრივ ოჯახებსა და სასოფლო ცენტრებში მზადდებოდა. სოფლის ხელოსნოთა ნაწარმი ბაზარზეც გადიოდა. ხელოსნან-საქონელ-მწარმოებლები უმთავრესად ქალაქებში იყვნენ კონცენტრირებულნი.

ვახტანგ VI-ის მეფობის დროს მომრავლდნენ სამეფო-სახასო და სათავადო ხელოსნები<sup>108</sup>. მაგ., მჭედლები ჰყავდათ ციციშვილებს და ამილახორიშვილებს<sup>109</sup>. ვხვდებით აგრეთვე სადედოფლო აზნაური-შვილთა ხელოსნებსაც<sup>110</sup>. მარტო სომხით-საბარათიანოს მეწინავე საღროშის ტერიტორიაზე 35 მჭედლელი სახლობდა. გარდა მჭედლებისა, იქ იყვნენ მღებრები, ფეიქრები, დურგლები, ქვის მჭრელები, ხაბაზები, მეტყავეები, მექვაბეები, ნალბანდები და მეფუტკრები<sup>111</sup>.

XVIII ს. 20-იანი წლებისათვის სომხით-საბარათიანოს ტერიტორიაზე დაახლოებით ხელოსნობის 10—12 სახეობას მისდევდნენ. ხელოსნოთა განაწილება კუთვნილებისა და მოთხოვნილების მიხედვით ხდებოდა. სამეფო სახლის გარდა, ზემოჩამოთვლილ ხელოსნოთ კიდევ 11 მეტრვალი ჰყავდა, რომელიც სამეფო კარის შემოსევის ემსახურებოდნენ<sup>112</sup>. სამეფო სახლის გარდა ხელოსნები სასულიერო კა-

<sup>108</sup> ე. თაყაიშვილი, საქართველოს აღწერილობანი, 1907, გვ. 6, 51, 104, 289, 291, 309, 312, 324—25, 379.

<sup>109</sup> იქვე გვ. 28, 32, 33, 111, 253, 266.

<sup>110</sup> იქვე გვ. 65, 82, 126, 131, 246.

<sup>111</sup> იქვე, გვ. 51, 115, 289, 312, 68, 93, 279, 131, 70, 107, 299, 303, 119, 151, 104.

<sup>112</sup> დასტურლამალი, გვ. 657.



თედრალებსაც ჰყავდათ. ესენი იყენებოდები და მჭედლები რომელიც აგრეთვე ეკლესია-მონასტრების შემკობას, მორთვას განახლებას ახდენდნენ<sup>113</sup>.

აღსანიშნავია, რომ ყმა-ხელოსნები ზოგჯერ თავის საბატონო გამოსაღებს ფულად იხდიდნენ<sup>114</sup>.

ვახტანგ VI-ის დროისათვის დადასტურებულია ისეთი შეძლებული ხელოსნები, რომელთაც საკუთარი სახლი ჰქონდათ, ე.წ. დარბაზით, სათონეთი და მარნით<sup>115</sup>. იყო შემთხვევებიც, რომ ხელოსნებს თავისი საკუთარი დუქნები ჰქონდათ, სადაც თავის ნაშრომს უშუალოდ ასაღებდნენ<sup>116</sup>. მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ ისეთი ხელმოკლე ხელოსნები არსებოდნენ, რომელიც ვერ ახერხებდნენ ჯარიმის გადახდას და თავნასყიდ ყმად აცხადებდნენ თავს<sup>117</sup>. ვახტანგი შეძლებული იყო შემთხვევები, როდესაც ხელოსნები ქირავდებოდნენ სხვადასხვა სამუშაოშე და ხელფასს ლებულობდნენ<sup>118</sup>.

შ. მესხია აღნიშნავს, რომ ამ დროისათვის თბილისში ხელოსნობის 57 სახეობა არსებოდა, რომელიც ხელოსნობის ვიწრო სპეციალიზაციას მოითვლიდა და რომელიც, ცხადია, ამ დარგების განვითარების მაღალ დონეს განაპირობებდა<sup>119</sup>.

ხელოსნობის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ სახეობას XVIII ს. I მეოთხედისათვის სამღებრო საქმიანობა წარმოადგენდა. ყველაზე ცნობილი სამღებროები იყო ე. წ. ქალაქში ანუ თბილისში; ყაიყულში, საბარათაშვილში, ზემო ქართლში და სხვა. ზემო ქართლის სამღებრო დამოუკიდებელი იყო<sup>120</sup>.

ვახტანგ VI-ის მეფობის ხანაში თბილისში სამღებროს მთელი უბანი არსებობდა, რომელიც სამღებრო შენობათა კომპლექსს ჰქონიდა<sup>121</sup>.

სამღებრო თბილისა და ყაიყულში სადედოფლო საკუთრებას წარმოადგენდა, მას ცენტრალური ხელისუფლებისაგან დანიშნული მოხელე მღებართუხუცესი განაგებდა. ზემო ქართლის სამღებრო ამილახორის კომპეტენციაში შედიოდა, მას ალელი კაცი უწევდა ხელმ-

<sup>113</sup> ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 133, 136, 141, 151, 154.

<sup>114</sup> ბ. ი., ფ. Sd, № 6998.

<sup>115</sup> ც. ს. ი. ა., ფ. 1450, დ. 7, 71.

<sup>116</sup> ბ. ი., ფ. Sd, № 89.

<sup>117</sup> ც. ს. ი. ა., ფ. 1448, № 844.

<sup>118</sup> ბ. ი., ფ. Qd, № 8651.

<sup>119</sup> Ш. მესხია, Города и городской строй феодальной Грузии XVII—XVIII вв. 1959 с. 24—32.

<sup>120</sup> დასტურამალი, გვ. 717; ბ. ბერძენიშვილი, სამღებროთა შესახებ XVIII სს. საქ; მას. კავკ. და საქ. ისტ. 1937, ნაკ. VI, გვ. 437—440.

<sup>121</sup> სცია, ფ. 1450, დ. № 60.

ქლვანელობას. გარდა ზემოჩამოთვლილი სამღებროებისა, არც მარტინი კიდევ გორის<sup>122</sup>, სამთავისისა<sup>123</sup> და მძოვრეთის სამღებრო<sup>124</sup>, რომელთაც ამიღაბორიშვილები და ციციშვილები პატრონობდნენ. ამ უკანასკნელთა იჯარას პირდაპირ მისი მფლობელნი იღებდნენ სამეფო კარის განკარგულების გარეშე.

ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის ხანაში არსებობდა, აგრეთვე, სახელმწიფო სამღებრო ქვიშხეთში, რომელიც ვახტანგ VI-ს აბაშიძეებისათვის გადაეცა<sup>125</sup>. სამღებროს შემოსავალი აბაშიძის კუთვნილებას წარმოადგენდა.

ამრიგად, გარდა სადედოფლო სამღებროსი, ქართლში საფეოდალო, სათავადო სამღებროებიც ყოფილა დაარსებული.

სამღებრო XVIII საუკუნისათვის სპეციალურ ორგანიზაციის წარმოადგენდა, რომელიც მღებართუხუცესის მეთაურობით, მღებართა შემდგენლობით, შეიცავდა სამღებრო ქვევრებს თავისი სათბობით, ღებვის პროცესის ჩასატარებლად<sup>126</sup>. სამღებროებში იღებებოდა სხვადასხვა სახის ქსოვილი, დარია, შაიდიში, ყუთნი, დორისპირი, შალის ქსოვილი და სხვ<sup>127</sup>.

სამღებროთა ექსპლოატაცია ხდებოდა საიჯარო წესით, მაგრამ აღსანიშნავია, რომ კერძო-საფეოდალო სამღებროები საღებავს სამეფო მღებართუხუცესისაგან იძენდნენ. სამეფო მღებართუხუცესის გარეშე „ნურც იყოდის და ნურც გაყიდის“<sup>128</sup>, წერია ერთ-ერთი განკარგულების წიგნში.

XVIII ს. პირველი მეოთხედის სამღებროები. სადაც იჯარით ხდებოდა სამღებრო საქმის წარმოება, შუა საუკუნეების ტიბიურ სახელოსნოს არ წარმოადგენდა, როგორც ხელოსნობის სხვა დარგები და განსხვავებით შინიმრეწველურ ხსიათს ატარებდა. ძირითადად, ღებვის საქმე სამეფო სახლის, კერძოდ დედოფლის მონიპოლია იყო.

ვახტანგ VI-ის თაოსნობით ობილისში გაიხსნა მნიშვნელოვანი სარეწაო — ქართული ზარაფხანა, რომელიც სახელმწიფო საწყისებზე იყო დაფუძნებული. ობილისის ზარაფხანაში მოჭრილი ვერცხლის სპარსულწარწერიანი მონეტები ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძლიერებასაც გამოხატავდა. ისინი აღილობრივი იყვნენ. მაგრამ თავისი ზედწერილით განაპირობებდნენ ირანის შაჰების პო-

122 ს. ი., ფ. Qd, № 8015.

123 ს. ც. ი., ა., ფ. 1448, № 235.

124 ს. ი., ფ. Qd, № 809, 13650.

125 ს. ც. ი. ა., ფ. 1448, № 235.

126 ს. ბერძენიშვილი, სამღებროთა შესახებ XVIII ს. საქ-ში, მას. საქ-დავით. ისტ. 1937, ნაკ. VI, გვ. 437, 440.

127 ს. ც. ი. ა., ფ. 1450, დ. 17 № 118.

128 იქვ.



ლიტიკურ ჰეგემონობას<sup>129</sup>. თბილისის ზარაფხანამ სპილენძის მონეტა დას სამი სახეობა მაინც მოჭრა, რომელზედაც ქართველი მეფეების დრო გამგებლების სახელები იყო გამოხატული. მათ შორის ვახტანგ გამგებლის ზედწერილით 1708—1709 წწ. მოჭრილ იქნა სპილენძის მონეტა, სამანძიანი ხომალდით, ვახტანგის დაქარაგმებული სახელითა და 17-რიცხული თარიღით — 1708—1709 წწ.<sup>130</sup> ყოველივე ეს მეტყველი ფაქტია იმ გარემოებისა, თუ რამდენად ცდილობდა ქართლის ცენტრალური ხელისუფლება, ვახტანგ VI-ის მეთაურობით, თავისი პოლიტიკური გავლენით ესარებლა. გარდა ამისა, ეს მოვლენა იმასაც ნიშნავდა, რომ ვახტანგ გამგებელს ევროპული გამოცდილებანიც უნდოდა დაენერგა თავის სახელმწიფოში. თბილისის ზარაფხანაში, საიდანაც საიგარო შემოსავლის სახით მეფე ყოველწლიურად 30 ათას მანეთს იღებდა, დაქირავებული მუშები მუშაობდნენ, ამდენად იგი მანუფაქტურების სახეს ატარებდა<sup>131</sup>.

თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი მონეტა, მართალია, ირანისადან ვასალურ ხასიათს გამოხატავდა, მაგრამ მას ისეთივე დამახასიათებელი და ერთგვარად დამოუკიდებელი თვისებები გაუჩნდა, როგორც თვითონ ქართლის სახელმწიფოებრივობას. იგი, ერთი მხრივ, ირანის იმპერიისადმი დაქვემდებარებულ ქვეყანას წარმოადგენდა, მაგრამ ამავე დროს გარდაული დამოუკიდებლობის მქონე სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ერთეულის სახეს ატარებდა. ყოველივე ეს ვახტანგ VI-ისა და მის უშუალო წინაპართა სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის დამსახურება იყო. სპეციალურ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ ქართლის სახელმწიფოებრივმა მმართველებმა ვახტანგ გამგებლის მეთაურობით (სიმონ და ბაქარ გამგებლებმა) ისარგებლეს რა სეფევიდების ღინასტიის დასუსტებით, მოინდომეს, რომ ქართული მონეტა გადაექციათ თავის საკუთარ რეგალიად, რის გამოც ქართულ მონეტას მიეცა ეროვნული სახე. მით უმეტეს, აცხადებს ნ. ქოიავა, რომ ისეთი ნომინალი, როგორიც იყო მარჩილი (600 ფულადი ერთეული) და მინალთუნი (1000 ფულადი ერთეული) საერთოდ ირანში არც კი მოჭრილა<sup>132</sup>. მართალია, ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის დროს ქართლში ირანის შაპის დასტურით და შეთანხმებით იქრებოდა

129 დ. კაპანაძე ე. უცხო ნიმუშების მიხედვით საქართველოში მოჭრილი ზოგიერთი მონეტის საკითხისათვის. საქ. მეცნ. აკად. მ-ბე, XXVII, № 1, 1959, გვ. 117.

130 დ. კაპანაძე ე. ქართული ნუმიზატიკა, 1950, გვ. 96; Е. А. Пахомов, Монеты Грузии, Тб., 1970, с. 252.

131 III. A. Meskhiya. Города и городской строй феодальной Грузии XVII—XVIII вв. 1950, Тб., с. 124, T. Kuteilia. Грузия и Сефевидский Иран, 1979, Тб., с. 110.

132 ნ. ქოიავა, ფულის მიმოქცევა, კრებითი და ფინანსები XVIII ს. ქართლ-კახეთში, 1963, თბ., გვ. 43.

მონეტა, მაგრამ მას ადგილობრივი, ეროვნული და უნდა ვიფარის, სისტემატური ხასიათიც ჰქონდა მიღებული.

ინკავშირი  
მისამართისა

## 5. გამოგამართვის განაში განატანა VI-ის მოღვაწეობის ჩანაში

XVIII ს. დასაწყისისათვის, როგორც აღინიშნა, ქართლის ფეო-დალურ-ბატონიკურ ეკონომიკას გამოცოცხლება დაეტყო. სოფლის მეურნეობაში ერთავად შესამჩნევე განდა მეურნეობის გარკვეული სპეციალიზაცია, რომელიც იწვევდა ცალკეულ რაიონებს შორის კავ-შირის განმტკიცებას და საშინაო ბაზრის შემდგომ განვითარებას. ქართლების ზრდასთან ერთად, დიდი ყურადღება დაეთმო გზების გაუმჯობესებას და მათი დაცვის საქმეს, ხიდების აშენება-შეკეთებას, ქარგასლა-ფუნდუკების მშენებლობას. განვითარება დაეტყო ვაჭრობას, როგორც ქართლის შიგნით, ისე საქართველოს სამეცნ-სამთავროებასა და საზღვარგარეთაც. იმის გამო, რომ ქართლის მთავარ ეკონომიკურ ბაზას სოფლის მეურნეობა წარმოადგენდა და ხელოსნობა მიწისმოქმედებასთან იყო დაკავშირებული, შინაგანი ვაჭრობა დიდ აღმავლობას ვერ განიცდიდა, მაგრამ ქართლში მაინც ექვსი ცენტრალური-სავაჭრო მაგისტრალი გამოიკვეთა, რომელმაც თავი ქართლის დედაქალაქში მოიყარა. ეს საქართველო გზები თავისი ექვსი განაყოფით უერთდებოდა ჩრდილოეთის, დასავლეთის, სამხრეთის და აღმოსავლეთის განაპირია რაიონებს და ქვეყნებს<sup>133</sup>.

ამ გზების წყალობით ხდებოდა ქართლის სამეცნო დაკავშირება საქართველოს სხვა სამთავროებთან, ამიერკავკასიასთან, სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე მეზობელ სახანოებთან და სპარსეთ-თურქეთის სახელმწიფოებთან. „ქართლის სატახტო ქალაქი წარმოადგენდა მნიშვნელოვან სატრანზიტო პუნქტს, რომლის მეშვეობით წარმოებდა გაცხოველებული ვაჭრობა, როგორც აღმოსავლეთ ამიერკავკასიასა, ისე თურქეთსა და ირანის ქალაქებს შორის“<sup>134</sup>.

არსებობდა აგრეთვე თბილის-ერევნის უშუალოდ დამაკავშირებელი გზაც, რომელსაც სომხური წყაროები „ქართულ გზას“ უწოდებდნენ<sup>135</sup>. ამ გზით ჩამოპქნდათ გასაყიდი პროდუქტი, არა მარტო

133 სამიმოსვლო გზები დაინდება უახუშტი ბაგრატიონის რუკით. 1923 წ. ჯავახიშვილის მიერ გამოც; გ. ბერიძე, XVIII ს. თბილისი უახუშტის გეგმის მიხედვით, ანალები, 1947, გვ. 171—172; გ. ბერიძეშვილი, თბილისის გარეგანისახე XVIII ს-ში. თბ., 1965, გვ. 4—5.

134 ქ. კუცია, თბილისისა და აღმოსავლეთ ა/კ ქალაქების სავაჭრო ურთიერთობა XVII—XVIII სს. კრ., „მიებანი საქ. და კავკ. ისტორიიდან“. თბ., 1976, გვ. 58.

135 გ. მაისურაძე, ქართველი და სომები ხალხების ურთიერთობა XIII—XVIII სს. თბ., 1982, გვ. 187.

სომეხ სოვედაგრებს, არამედ დიდვაჭარ ხოჯებს. „თბილისში სომხური საქონლიდან კარგად საღდებოდა ხალიჩები, ნოხები, ტყავი და შეძლებული ბა“<sup>136</sup>. საქართველოდან ამ გზით, როგორც ცნობილია, გაპქონდათ იაფად შეძენილი ღვინო, ენდრო, ბოსტნეული და სახელგანთქმული ქართული ხილი. გარდა ამისა, ე.წ. „ქართული ცხენი“, რომელიც „გურგის“ ცხენის სახელით იყო ცნობილი<sup>137</sup>.

ვახტანგ VI-მ სავაჭრო-საქართველო და სამიმოსვლო გზები, როგორც სამეფო კარის, ისე სათავადო სახლების დაცვისა და ზრუნვის საგნად გადააცემით. ვაჭრობა-აღებშიცემობით დაინტერესებული ცენტრალური ხელისუფლება გზებისა და ხიდების მოვლისათვის სპეციალურ რიგს აღვენდა. „დასტურლამალში“ დაცული პარაგრაფი მმ „გზების შენახვისათვის“ გვაძლევს საშუალებას დავინახოთ, თუ როგორ იყო დაინტერესებული ცენტრალური ხელისუფლება ეკონომიკურად და პოლიტიკურად დაქსაქსული ფეოდალური ქვეყნის შექავშირებაში.

მისიონერი დიონიგო კარლო პიაჩელი თბილისის მომარაგების შესახებ წერდა: „თბილისის სურსათ-სანოვაგე ძალიან იაფია, ვინაიდან მიწას ისინი ხნავენ 12 ხარით, რომელთა შორის 6 კამეჩია. ამიტომ მიწები კარგადაა დამუშავებული და კარგ მოსავალს იძლევა. ესაა იმის მიზეზი, რომ აქ ყველაფერი იაფია. აქ სარჩის როველისა და ლინობის თვეში ამზადებენ. ამ დროს ცოტა ფულით (ჩვენ ქვეყნებთან შედარებით) მთელი წლის სარჩის შეგროვება შეიძლება“<sup>138</sup>.

XVIII საუკუნისათვის სავაჭრო-სამიმოსვლო გზები სამეფო კარის სათავადო სახლების და ცალკეული სოფლების ზრუნვის საგანი გახდა<sup>139</sup>. ცენტრალური ხელისუფლების ზრუნვა განაპირობებდა პოლიტიკურად და ეკონომიკურად დაქსაქსული ქვეყნების შეკავშირებას. როგორც აღვნიშნეთ, თბილისის ექვს გზას ექვსივე კარი ჰქონდა. ერთი ავლაბარში იყო, დანარჩენი ხუთი კი — მტკვრის მარჯვენა ნაპირას<sup>140</sup>. თბილისის ბაზარზე ამ ექვსი კარის საშუალებით პერიფერიებიდან მოედინებოდა საქონელი. ადგილობრივი სავაჭრო პროდუქტებიდან ქართლის ბაზარზე შემოდიოდა ქსოვილები, ფარჩი, აბრეშუმი, მატყლი, სელი, ბამბა, წინდები, სანოვაგე: ხორცი, თევზეული, ბრინჯი, ზეთი, ერბო, ქონი, თაფლი, ხილი, ფევილი, ბოსტნეული,

136 გ. გაითურაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 188.

137 კ. კუცია, ოლმოსალეთ მიერკავკასიის ქალაქები, 1981, გვ. 121.

138 დიონიგო კარლოს, „თბილისის აღწერა“, ბ. ვიორგაძის თარგ. მასალები, საქ. კავკ. ისტ. ნაც. 29, 1951, გვ. 156, 159, 160.

139 დასტურლამალი, გვ. 532—533.

140 გ. ბერიძე, XVIII ს. თბილისი ვახუშტის გეგმის მიხედვით, ანალები, 1947 წ., გვ. 141—142; ბ. ბერიძეშვილი, თბ., გარეგანი სახე, XVIII ს. 1965, გვ. 5.

მარცვლეული. შემოდიოდა სალებავი, უმთავრესად ენდრო და ილია, თამბაქო, პირუტყვი და ფრინველი. გარდა ადგილობრივი საქონელისა და თბილისის ბაზარზე ცნობილი იყო თავრიზის ფარჩა, ორდუბადის აბ-რეშუმი, ქირმანის შალი და ე. წ. „საყათის საქონელი“, სანელებლები და ფუფუნების საგნები.

შ. შარდენის ცნობით, „კარგად არის შენახული დიდი საბაზრო შენობები“, რომელთაც თავისი მოცულობის მიხედვით უფრო სახელმწიფო სავაჭრო მნიშვნელობა უნდა ჰქონდა, ვიღრე კერძო ხასიათი. მაგრამ დადასტურებულია, რომ XVIII ს. დასაქტყისისათვის მეფის სასახლის წინ არსებობდა ოთხუთხა მოედანი. რომლის ირგვლივ კერძო მოვაჭრეთა დუქნები მდგარა. შარდენმა ამ ბაზარს „გრძელი“ უწოდა და აღნიშნა, რომ ეს დუქნები დიდი გულისყურით არის მოწყობილი, სპეციალური ადგილი აქვთ მიჩნილი და ქალაქს გადმოჰყურებენ ზევიდან<sup>141</sup>. ამ ბაზარს ქართული წყაროები „რასტა ბაზარს“ უწოდებდნენ, რომელიც თბილისის მოედანს ერტყა გარს<sup>142</sup>. აქ შეხვდებოდით ოქრომჭედელის, ბაყალს, სარაჯს, მენაბდეს, ხარაზს, მექვაბეს, მეჭურჭლეს, მეზანდუქეს და სხვ<sup>143</sup>. იყო შემთხვევები, როდესაც ერთი მოვაჭრე რამდენიმე დუქანს ფლობდა, იგი მსხვილ მოვაჭრედ ითვლებოდა. მაგ., თუმანიშვილები და გოგნიაშვილები ხუთო-ემესი დუქნის მეპატრონებად ითვლებოდნენ<sup>144</sup>.

XVIII საუკუნისათვის დუქნები და ქულბაქები ფეოდალური საკუთრების გარკვეულ სახეობას წარმოადგენდნენ. მათი განსხვისება და გაყიდვა სპეციალური ფეოდალური ნორმების დაცვით ხდებოდა<sup>145</sup>.

ცენტრალური ხელისუფლება ცალკეულ კერძო მოვაჭრეთა აღებ-მიცემობაში ერეოდა და თავისითვის სასარგებლოდ აწესებდა გამო-სალებს დუქნის ფლობისათვის, რაც თვეში ერთ შაურს უდრიდა<sup>146</sup>. ვახტანგ VI-ის დროისათვის თბილისში დაახლოებით სახელმწიფო გადასახადის გამღები 200-მდე დუქანი არსებულა. გარდა ამისა, სახელმწიფო თბილისელ სახასო ვაჭართაგან იღებდა „მახტასაც“, რომელიც გროვდებოდა სახელმწიფო ვაჭარ-ხელოსნებისაგან<sup>147</sup>. მაგ., XVIII ს. 10-იანი წლებისათვის თბილისელ ვაჭართა ერთ ნაწილს 5

141 შ. შარდენი, დასახ. ნაშრ., გვ. 94.

142 ბ. ბერძნიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

143 ს. ც. ა. ა. ფ. 1450, დ. 6, № 76, 104; დ. 25, № 32; დ. 4. № 226; დ. 8, № 15.

144 ს. ც. ა. ფ. 482; ს. ც. ა. ა. ფ. 1450, დ. 16 № 14.

145 ს. ც. ა. ა. ფ. 1448, № 4420.

146 დატურლამალი, გვ. 537.

147 III. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии XVII—XVIII вв., 1950, с. 101.

შინალთუნი „მახტა“ ედოთ სახელმწიფო გამოსაღებად<sup>148</sup>. „მახტის“ განსაზღვრა ვაჭრის ქონებრივი შესაძლებლობების მიხედვით ხდება მარცხელი და. თბილისში შემოსული გასაყიდი საქონლის აწონება ვახტანგ VI-ისგან შემუშავებული წესის მიხედვით ხდებოდა, სპეციალურ დიდ სასწორზე, რომელსაც „ყაფანი“ ეწოდებოდა. „ყაფანზე“ იწონებოდა ფქვილი, ქერი, ბრინჯი, ფეტვი, შაბი და სხვა. „დასტურლამალის“ მიხედვით, „ყაფანი“ იჯარით გაიცემოდა<sup>149</sup>. მცირე მოცულობის საქონელი აბრეშუმი, ლილა, საღებავები და სანელებლები მეორე სანის სასწორზე — „მიზანზე“<sup>150</sup> იწონებოდა. მესამე სანის სასწორი კი „საყადი“ იყო, რომელიც, ანალოგიურად „მიზანისა“, არა უმეტეს 7 გირვანქა წონის საქონელს წონიდა<sup>151</sup>.

ქართლის მეფე ვახტანგი მფარველობდა მოქალაქეებსა და დიდ ვაჭრებს. მათი საქმიანობის წახალისების მიზნით, შედგა „საკუთრების ქალაქური წესი“, რომლის მიხედვით უშვილოდ გადაშენებული მოქალაქის „ბეითალმანი“ ქონება უნდა დარჩენოდა გრძელებულის ნათესავს და არა მის სიუზერებს, როგორც ეს მანამდე იყო<sup>152</sup>. ვახტანგმა ეს დებულება 1722 წ. დააკანონა თბილისის მოქალაქეთა სასარგებლოდ<sup>153</sup>. ამ შემთხვევაში ვაჭარ-მოქალაქეთა საკუთრების დაცვას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მაგრამ იღსანიშნავია, რომ ვაჭრობის თავისუფალ განვითარებას ფეოდალურ საბაჟოთა სისტემა მაინც ბორკავდა.

თბილისის მთავარი საბაჟოს გარდა, არსებობდა საბაჟოები სათავადო საზღვრებზე. ასეთი საბაჟოები ამილახორებს ჰქონდათ სოფე, ივოეთთან, ყაფლანიშვილებს — ბოლნისთან<sup>154</sup>. საბაჟოები არსებობდა გორთან, ცხინვალთან, ალთან, სურამთან, ახალდაბასა და სხვა.

სამეფო ხელისუფლება შეეცადა უფრო მეტად ჩარეულიყო სათავადოთა სავაჭრო-საშინაო საქმეებში. ამ გარემოებამ რამდენადმე ხელი შეუწყო სავაჭრო-ეკონომიკური ცხოვრების გამოცოცხლებას. ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის პერიოდში ქართლში სავაჭრო კაპიტალი ძევლებურად ხელს უწყობდა საქონელგაცვლას და ამით წვრილ საქონელმწარმოებელსა და მომხმარებლებს შორის კავშირს ამყარებდა. ცენტრალური ხელისუფლება თავისი საბაჟო პოლიტიკით არსებითად სავაჭრო მოგებაში მონაწილეობდა, ამავე დროს იგი რამდენად-

148 ბ. ი., ფ. Hd, № 14470.

149 დასტურლამალი, გვ. 537.

150 იქვე, გვ. 538.

151 იქვე, გვ. 541.

152 შ. მესხი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 315.

153 ბ. ი. ფ. Hd, № 2938.

154 გ. ჯამბურია, ქართ. ფეოდ. ურთ. ისტ., თბ., 1955, გვ. 107.

შე მფარველობდა ოდგილობრივ საქონელმწარმოებლებს და მათ უცხოური საქონლის კონკურენციისაგან იცავდა. მაგ., „დასტურლამალის“ მიხედვით, უცხოურ აბრეშუმზე დაწესებული ბაეთი თითქმის ოთხშერ სჭარბობდა ბაეს ოდგილობრივ აბრეშუმზე<sup>155</sup>. ვახტანგ VI-ის საბაჟო პოლიტიკა იქითქენ იყო მიმართული, რომ პირველი მოხმარების საგანზე მცირე ბაეთი დაეწესა. მაგალითად, საპალნე მარილზე 2 ბისტი (2 შაური) იქნა დაწესებული<sup>156</sup>.

ვახტანგ, VI-ის მთელი საშინაო პოლიტიკა და, კერძოდ, საბაჟო პოლიტიკა ხელს უწყობდა ოდგილობრივ წარმოებათა განვითარებას. XVIII ს. 30-იანი წლებისათვის საბაჟო პოლიტიკა პირველი მოხმარების საგნებზე არ შეცვლილა. თუ შევადარებთ 1736 წ. „ქალაქის შაეისა და ციხის კარის შართლამასი „დასტურლამალთან“<sup>157</sup>, დავინაზეთ თუ, საბაჟო ტარიფს არ განუცდია ცვლილებები ბრინჯზე, მარილზე, გელაქნურსა და ხმელ თვეზზე. აგრეთვე, უცვლელი დარჩენილა 1736 წლისათვის „ყაფნის ბაეი“ ფქვილზე, ქერზე, ფეტვზე, თაფლსა და ერბოზე<sup>158</sup>. ხოლო რაც შეეხება, „ჩელიექის“ ბაეის რიგის პროდუქტებს, როგორიცაა ფარჩა, ბამბა, შაბი, რკინა, ენდრო და სხვა, 1736 წ იგი ქალაქის ბაეის „შართლამასთან“ შედარებით მატულობს. ბამბა „დასტურლამალით“ 2 აბაზია<sup>159</sup>, „შართლამის“ მიხედვით — 10 შაური<sup>160</sup>. ასევე შაბსა და ენდროზეც თავრიზის ფარჩაზე კი „შართლამის“ მიხედვით ბაეი კლებულობს. თუ „დასტურლამალის“ მიხედვით თავრიზის ფარჩაზე თუმანზე 10 შაური იყო, 1736 წლს ერთნახევარჯერ იქლო და 1 აბაზამდე დავიდა. ცხადია, ოსმალობა-ყიზილბაშობის ქართულ სახელმწიფოებრივ წყობაში ქართლის ეკონომიკის დასცემდა ბაზარზე საქონელთა ფასის გაბერვა და თავის მხრივ, საბაჟო ტარიფის გაზრდას გამოიწვევდა, მით უმეტეს ისეთი არაპირველი მოხმარების პროდუქტებზე, როგორიც ფარჩაა, შაბი, რკინა და ენდრო იყო.

თბილისა და ქართლში შემოსული მოვაჭრენი თავს ქარვასლებში აფარებდნენ. მარტო თბილისში რამდენიმე ქარვასლა არსებობდა. ერთი დღევანდველი ქალაქის საბჭოს შენობის ოდგილას მდებარეობდა, სიონის სამხრეთით „თბილელის ქარვასლა“ იყო. კიდევ სამხრე-

155 დასტურლამალი, გვ. 540, 541.

156 იქვე, გვ. 552.

157 ვ. მესხი, მასალები საქონთველოს ეკონომიკური ისტორიიდან, მას. შექ. და კავკ. ისტ., ნაკ. 30, 1945, გვ. 78—79.

158 დასტურლამალი, გვ. 540.

159 იქვე, გვ. 542.

160 ვ. მესხი, გვ. 550, გვ. 79.



თით „მელიქის ქარვასლა“ და „მეფის ფუნდუქი“<sup>161</sup>. თბილისში კერძოდ მეპატრონეთი ქარვასლებიც არსებობდა. მაგ., ვინმე იოსებების მღვდელს თავისი ქარვასლიდან წლიური შემოსავალი 225 ყურუში ჰქონდა<sup>162</sup>. ქარვასლები და ფუნდუქები ყოფილა ახალციხეში, ახალქალაქში<sup>163</sup> და ქციის ხევში, შამბიანის მთასთან<sup>164</sup>, რომელიც სამი-მოსვლო გზაზე იყო აგებული.

ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის დროს ქართლის საექსპორტო საქონელს აბრეშუმი, ღვინო, სახელოსნო ნაწარმი, ქსოვილები და ბეჭვეული წარმოადგენდა. ყველა მათ საქონლის შესაძენად უცხოელი გაკრები თბილის ეტანებოდნენ. იქ ყიდულობდნენ ქართული აბრეშუმის ფაბრიკატს და უფრო ძვირ ფასებში ჰყიდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნებში. ვინმე ფარსადან-ბეგს XVIII ს. 10-იან წლებში 60 თუმნის აბრეშუმი გაუტანია საქართველოდან გასაყიდად<sup>165</sup>. დიდ სავაჭრო საქმიანობას ეწეოდნენ გორელი ვაჭრები ჯულაბაშვილები<sup>166</sup>. ისინი ქართლის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაშიც იყიდებენ ფეხს, ვახტანგ VI-ის კარზე დაწინაურებული ჩანან და ფართო ქსელი აქვთ გაბმული ირანსა და ჩრდილო კავკასიაში. პაპუნა ჯულაბაშვილს თავისი პუნქტი ისპანში აქვს, აქ თავისი რწმუნებული ჰყავს ხოჯა-ბეგ დათუნა, რომელთაგანაც მჭიდრო სავაჭრო ოპერაციებს ატარებს. როსტომ ჯულაბაშვილი კი საერთოდ ვახტანგ VI-ს თან ხლებია ისპანს<sup>167</sup>. ჯულაბაშვილები „ფსონის“ სავაჭრო გაერთიანების წევრები არიან. ისინი იაფად იძენენ საქონელს და შემდეგ ძვირ ფასებში ყიდიან. მთ თავისი „ფსონები“ ჰყავთ გილანში, თავრიზშა და ასტრახანში. გარდა ჯულაბაშვილებისა, ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის დროს სავაჭრო საქმიანობას ეწევიან გოგიჯანაშვილები, მამინაიშვილები და მამულაიშვილები<sup>168</sup>.

ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის დროსვე დასტურდება საგარეო ვაჭრობის ვალუტის პარტეტის არსებობა. იგი ასახულია ვახტანგის სამართლის XV და XVI მუხლებში, სადაც კარგადაა ქართული მონეტის შეფარდება უცხოურ მონეტასთან. მაგ., შაურს, ყიზილბაშნი უზალთუნს

161 გ. ბერიძე, XVIII ს. თბილისი ვახუშტის გეგმის მიხ-ით, ანალები, ტ. I, 1947, გვ. 145.

162 ხ. ი. ფ. Hd, № 820.

163 შ. შარდენი, დასახ. ნაშრომი, გვ. 242; დოკ. საქ. სოც. ისტ. ტ. I, გვ. 110.

164 ვახუშტი აღწერა; გვ. 40.

165 ხ. ი. ფ. თამარაშვილის პ. ფუნდი, № 10, 1122, გვ. 19.

166 დ. მეგრელაძე, მას. საქ. ექ. ცსტ.; მას. საქ. და კავკ. ისტ. ნაკ. 35, 1955, გვ. 213—214.

167 ხ. ი. ფ. Hd, № 7325.

168 ც. ს. ი. ა., ფ. 1450; დ. 29, № 137; ფ. 1451, დ. 1, აღწ. 5, 1; „მოამბე“, 1903, IX, გვ. 1—35.

უწოდებენ, ოსმალნი კი თანგირს; „ოთხ შაურს აბაზი ჰქვიან და თანა... გნითულთ ეძახიან..., ოცდაათს თუმანს ურუმნი ქისას ეძახიან...“ საჯ შაურს ფრანგი რუბს...“ ამრიგად, ქართული მონეტა გარკვეულ შემთხვევაში მსოფლიო ფულის ფუნქციას იძენდა. საინტერესოა, რომ ქართლში, ვახტანგის გამგებლობის პერიოდში, ირანულ-ეროვნულ მონეტასთან ერთად ჩნდება უცხოური მონეტის საჭიროებაც. ტურქეფორის ქართლში ყოფნის დროს მოქმედებდა „პიასტრი“ და „ვენეტიკური სეკინი“<sup>169</sup>. ეს არ იყო შემთხვევითი მოვლენა.

რაც შეეხება ერთიანი ეროვნული ბაზრის ჩასახვას, მ. სამსონაძე მიიჩნევს, რომ იგი ხდება ვახტანგ VI-ის მეფობის ხანაში, როდესაც საშინაო საქონელგაცვლაში სავაჭრო კაპიტალი იწყებს ჩარევას. „სრული საფუძველი გვაქვს, — წერს მ. სამსონაძე, — ეს პროცესი XVIII ს. პირველ მეოთხედში დაწყებულად მივიჩნიოთ“<sup>170</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგ VI-ის დროს ქართლის ვაჭრობა განვითარების გზას დაადგა და ვაჭართა ფენას საგრძნობი ზრდა და-ეტყო, ქართულმა ვაჭრობამ მაინც ვერ მოახერხა, ფეოდალური ურთიერთობის გახანგრძლივების პირობებში თავისი კლასობრივი, სოციალური უფლებებისა და პრივილეგიების დამკვიდრება. ვახტანგ VI-ის სამართლის მიხედვით ვაჭრები უფლებრივად უფრო დაბალ საფეხურზე მდგარან, ვიდრე აზნაურობა. ყველაზე შეძლებული, ე. ი. პირველი რანგის ვაჭრები უთანაბრდებოდნენ მეორე კატეგორიის აზნაურებს, წვრილი, სულ უკანასკნელ საფეხურზე მდგომი ვაჭრები კამსახურებს<sup>171</sup>.

ვაჭართა უფლებრივი მდგომარეობა იმაშიც გამოიხატებოდა, რომ პირველი კატეგორიის თვალის სისხლი თექვსმეტზერ უფრო მეტად იყო შეფასებული, ვიღრე იმავე კატეგორიის ვაჭრის, რამაც ასახვა ჰქოვა ვახტანგ VI-ის სამართალში.

XVIII საუკუნისათვის ქართლის ცენტრალური ხელისუფლება ცდილობდა უცხოელი ვაჭრები ქართლში მოეზიდა. ეს ინტერესი გამოწვეული იყო იმის გამოც, რომ ქართლი ეკროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნების გზაჯვარედინზე მდებარეობდა, სადაც შესაძლებელი იყო საქონლის იაფად შეძენა<sup>172</sup>, იმავე პოზიციებიდან იბრძოდა სულხან-საბა ორბელიანის მისიონი, რომელიც ცდილობდა საფრანგეთის

<sup>169</sup> ი. ვ. გვახიშვილი, ქართული საფასურთმცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა — მეტროლოგია, თბ., 1925, გვ. 56.

<sup>170</sup> მ. სამსონაძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX ს. I მესამედში. თბ., 1980, გვ. 35.

<sup>171</sup> ვახტანგ VI-ის სამართალი, გვ. 31.

<sup>172</sup> ე. შარდენი, მოგზაურობა, გვ. 266.



მთავრობა დაეინტერესებინა იმით, რომ ქართლი ფრანგული საქონ-  
ლის სატრანზიტო-სავაჭრო ხაზზე მდებარეობს. ვახტანგ VI პპირდებულის მიერ  
ბოლა ფრანგ სოველი და ხელის შეწ-  
ყობას დასავლეთ საქართველოსა და ჩერქეზეთთან ვაჭრობისათვის,  
კონსტანტინოპოლისკენ გზის გაყაფვის და ისეთი საქონლის შეძენას,  
როგორიც იყო მატყლი, აბრეშუმი, ღვინო და ტილო, რომელიც მა-  
თი ინტერესის სფეროში შედიოდა<sup>173</sup>.

მართლაც, XVIII ს. პირველ მეოთხედში საქართველოსადმი ინ-  
ტერესი როგორც ევროპელების, ისე რუსეთის მხრივ იმაში მდგო-  
მარეობდა, რომ ქართლი ტერიტორიულად მდებარეობდა დიდ სავა-  
ჭრო გზაგვარედინზე, რომელიც აერთებდა აღმოსავლეთს დასავლე-  
თთან. ამრიგად, ვახტანგ VI-ის ქართლის სამეურნეო-ეკონომიკური  
ცხოვრება განსაკუთრებით 1703—12 წწ. შედარებით პოლიტიკურად  
მშვიდობიანობის პირობებში აღმავალი განვითარების გზით მიღიოდა.

#### 6. ნატურალური და ფულადი საზღაური გახტანგ VI-ის დროს

XVIII საუკუნის I მეოთხედისათვის ქართლში ნატურალური საზ-  
ღაურის<sup>174</sup> გვერდით ფართოვდებოდა საზღაურის ისეთი სახე, რო-  
მელიც სესხის, ვალის, სარგებლის, ჯარიმისა და სისხლის დაურევების,  
ნატურალური ფორმის გარდა, ფულადი ფორმის სახეობასაც იძნდა.  
ეს პროცესი ვახტანგ VI-ის დროს გარკვეული ტემპით მიმდინარეობდა

მარტივი სასაქონლო წარმოების არსებობის გამო ნატურალური  
საზღაური კვლავ ძალაში რჩებოდა, იგი თავის მნიშვნელობას არ ჰყარ-  
გავდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მის პარალელურად ფულადი საზ-  
ღაურიც განაგრძობდა არსებობას და თანდათანობით უფრო გამოკვე-  
თილ სახეს იღებდა.

<sup>†</sup> სპეციალურ ლიტერატურში გამოთქმულია აზრი, რომ „ფული  
XVIII ს-ში... სუსტად არის განვითარებული, როგორც გადახდის და  
მიმოქცევის საშუალება... ჩვეულებრივი მოვლენაა ნატურალური სეს-  
ხი, მისი დაფარვა ნატურით, პროცენტების გასტუმრება ნატურით“ და  
ა. შ.<sup>175</sup>.

6. ქოიავას მიერ წარმოდგენილი სურათი მეტისმეტად მუქია და  
თანადროული ნარატიული თუ დოკუმენტური მასალა საშუალებას იძ-

173 გ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1902, გვ. 312.

174 საზღაური — ზღვევინების მონაცემი. საბა ორბელიანი, „სიტყვის კონა“, 1949, გვ. 552.

175 6. ქოიავა, ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII ს. ქარ-  
თლ-ქახეთში. თბ., 1963, გვ. 48.

ლევა გარკვეული კორექტივები შევიტანოთ მასში. ჩვენს ხელთ არსებული სამართლის ძეგლები — განჩინებისა და გარდაჭყვატულების წიგნები, თამასუქები და ვალის ბარათები, ხარჯის ნუსხები ცოტა სხვაგრად ასახავენ არსებულ ვითარებას.

როგორც ცნობილია, ვახტანგის საკანონმდებლო წიგნების მიხედვით, ფულის ბრუნვა შესულია მოქმედებაში. ფული გაცვლის საყოველთაო ექვივალენტადაა ქცეული და ფულის საშუალებით ხდება სამუშაო ძალის შეფასება. ფულის მეშვეობით დგინდება სამუშაო ძალის საფასური. შედარებით ფართოვდება ფულის მიმოქცევა, რაც იმის მანიშნებელია, რომ ჩნდება მარტივი სასაქონლო წარმოების გარკვეული ჩანასახები. ამის დასაღასტურებლად თუნდაც ის კმარა, რომ გარკვეულ შემთხვევაში ცოცხალი სამუშაო ძალა, ე. ი. ყმა-გლეხის მუშაობა, ყალიბდება საქონლის სახეობად და იღებს საქონლის გარკვეულ ფორმას. ფულის მეშვეობითა და მონაწილეობით სამუშაო ძალა — ყმა-გლეხი თუ მისი საქონებელი გირავდება, ფული ისესხება, პროცენტი ისაზღვრება, დამნაშავეც ფულით ჯარიმდება. ამრიგად, ვახტანგ VI-ის დროს, სამუშაო ძალის გაცვლის პროცესში ფული მეტნა-ქლებად მონაწილეობს.

ჯერ კიდევ იდრე, XVII საუკუნის 70-იანი წლების ფრანგი მოგზაური შარდენი მოგვითხრობდა რა საქართველოს შესახებ, ოღურება ქართლის ეკონომიკურ მდგომარეობას და ქართლის მაცხოვრებელთა ყოფა-ცხოვრებას, ოღნიშნავდა, რომ მათ შეუძლიათ ფრანგ მისიონერებთან „ივაჟრონ, ფული სარგებლით გაასესხონ და ისესხონ“<sup>176</sup>. შარდენის ცნობას აღასტურებს დღეს ჩვენ ხელთ მყოფი ზოგიერთი დოკუმენტური მასალა.

ვახტანგ VI-ს თავის სამართლის კანონებში სპეციალური თავი აქვს შედგენილი, სადაც იგი ვალისა და სარგებლის ზოგად სახეობებს ჩამოთვლის და ოღნიშნავს სარგებლის ყველა სახესხევობას: ერთ თუ-მანში აღებულს 5 აბაზს, 4 აბაზს, 3 აბაზს, 10 შაურს, 2 აბაზს, 5 შაურს, აბაზს, 3 შაურს, 2 შაურს და მიუთითებს, რომ „ამაში დიად ბევრი გვარიც ქმნილა“<sup>177</sup>.

ცნობილია, რომ გარკვეული თანხის გასესხების დროს, სარგებლის პროცენტის ღონე ისაზღვრებოდა ეკონომიკური ვითარებით. როგორც ზევით ვნახეთ, ვახტანგ VI-ის ოფიციალური სახელმწიფო გარებრივი სამართალი საზღვრავს და აღენს პროცენტის ნორმას და საერთოდ ამჭობინებს პროცენტის აღებას ან არ აღებას, ზოგჯერ კი მცირე პრო-

176 შარდენი, მოგზაურობა საქართველოში, თბ., 1935, გვ. 95; მისივე, დასახ. ნაშრომი, თბ., 1975, გვ. 324.

177 ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, § 116; ქართული სამართლის ძეგლები, თბ., 1963, ტ. I, გვ. 512.

ცენტის აღების. ვახტანგის სამართალი იდგენდა, როგორც ვნახეთ, 12, 18, 24 და 30 პროცენტსაც. ექ მიღებულია მინიმუმი 12 პროცენტი და მაქსიმუმი 30 პროცენტი. 6. ქოიაგა წერს, რომ: „30%, როგორც პროცენტის უდიდესი ნორმა, ძლიერ მაღალ ნორმად უნდა ჩაითვალოს“. იქვე განავრძობს: „XVIII საუკუნეში დასავლეთ ევროპაში კანონით გათვალისწინებული პროცენტის უდიდესი ნორმა არსად არ აღემატებოდა 10%-ს, მაგრამ იქაც სინამდვილეში, გაცილებით უფრო მაღალი იყო“<sup>178</sup>.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ მართალია, ჩვენ ხელთ არსებული დოკუმენტური მასალის მიხედვით, საქართველოში 30% საჩვებელი არ არის გავრცელებული სახე, მაგრამ მაინც გვხვდება სხვა სარგებლისა და სხვა პროცენტებთან ერთად. ამრიგად, ვახტანგის სამართალი არ იდგენს სარგებლის რაიმე ერთიან ნორმას, იგი ფიქსაციას ახდენს სარგებლის იმ განაკვეთებისას, რომელთაც სინამდვილეში ჰქონდათ აღგილი. ვახტანგ VI-მ კარგად იცის, რომ არ ხერხდება სარგებლის ნორმის ავტომატურად რეგულირება. სასაქონლო ფულად ურთიერთობაში კანონმდებლობის აქტიურ ჩარევას არ შეუძლია რაიმე ეფექტი მოგვცეს. ყოველ კერძო შემთხვევას თავისი გარკვეული აღგილი ეთმობა. ვახტანგის სამართალი და ყოველი ერთი ფაქტი კონკრეტულ შემთხვევას გულისხმობს და მისი განზოგადება ყოველთვის და ყველა შემთხვევაში შეუძლებელია. თითოეული კერძო ფაქტი ზოგად კანონად ვერ გასაღდება. ერთი კი ცხადია, რომ ვახტანგის კანონმდებლობა კარგად იცნობს ფულადი სარგებლის ნაირსახეობებს და ყოველ გარკვეულ მომენტს უსადაგებს მათ. დაგირავების დროს ისახლვრებოდა გარკვეული პროცენტი არსებულ მიწოდებასთან თანაფარდობით და თუ ჭარბი იყო მოთხოვნა მიწოდებაზე, მაშინ იზრდებოდა პროცენტიც.

ვახტანგის მიერ მოცემული სარგებლის რაობათა სურათი ისაზღვრებოდა იმ თამასუქებისა და ვალის ბარათებით, რომილნიც XVIII ს. პირველ მეოთხედში იყვნენ ძალაში და სარგებლის გარკვეულ შემთხვევებს ასახავდნენ.

ამრიგად, ჩვენ არა მარტო სესხის ფულად გამოხატულებას, არა მედ სარგებლისა და პროცენტის გარკვეულ ნაირსახეობას ვხედავთ. ეს არ იყო მშრალი კანონი. ვფიქრობთ, ეს იყო ის კეშმარიტი და რეალური ვითარების ამსახველი კანონი, რომელიც XVIII საუკუნისათვის ქართლის ეკონომიკურ ყოფაში შეინიშნა. ჩართალია, სამართლის წიგნში ვახტანგ VI ძირითადად ნატურალური სესხისა და ნატურალური სარგებლის ნიმუშებს იძლევა, მაგრამ არ არის დადგენილი, რა ხსიათის ნატურალური ნორმაა ყველაზე უფრო გავრცელებული XVIII ს. პირველი მეოთხედისათვის სარგებლის გადახდის შემთხვევაში. „პურზე

178 6. ქოიაგა, დასახ. ნაშრომი, გვ. 84—85.

ერთი ორადაც გაცემულა, ერთი სამაღაც, ათი თხუთმეტადაც... ღვიძე / ერთი სამად, ერთი ორად, ერთნახევრადაც და ა.შ.“.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ე. წ. „გირაოს“ ანუ დაგიროვების გარეშე ფულის გასესხება, როგორც წესი, ამ დროისათვის არ ხდებოდა. სწორედ „გირაო“ იძლეოდა პასუხს კრედიტორისათვის იმ შემთხვევაში, როცა მსესხებელი რაიმე მიზეზით დათქმულ ვადაში ან დათქმული პირობებით ერ გადაიხდიდა ვალს.

როგორც აღვნიშნეთ, სარგებლით გასესხების მრავალი ფაქტია დამოწმებული. ხშირად გასესხებული ფულის სარგებელი ნატურით ნაზღაურდებოდა და ეს ნატურალური გამოსალები კრედიტორს დაგირავებული ყმებისაგან უნდა აეღო. მაგ., როდესაც პაპუა ციციშვილი ოთარაანთ პაატაშვილისაგან 26 მარტილ თეთრს სესხად იღებდა, მასთან თავის ყმას აგირავებდა „თავისი მამულით, სახლკარით, ვენახით, სარწყავით, ურწყავით, ბალბოსტნით, თავისი წყლით, სასაფლაოთი, საწისძვილეთი, მთით თუ ბარით“. შეთანხმება ასეთი იყო, რომ პაატაშვილი მოიხმარდა ამ ყმას და კველა გამოსალებით ისარგებლებდა, სანამ ციციშვილი მას თავსნ არ გადაიხდიდა. ციციშვილს ფულადი სარგებელი აღარ მოეთხოვებოდა, სანამ ყმა-გლეხისაგან გამოსალებს პაატაშვილი იღებდა<sup>179</sup>. სესხის აღება ამ შემთხვევაში, ჩვენი ვარაუდით, ციციშვილის გასაელის დაფარვას ხმარდებოდა. ხშირად, როგორც ნ. ქოიავა აღნიშნავს, „სესხის აღებას... თავაღაზნაურობის მიერ ომი, სტიქოური უბედურებანი და გლეხის ვალდებულების შეუსრულებლობანი იწვევდა“<sup>180</sup>. თუმცა, ძირითადად სესხის აღება ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის დროს ხდებოდა პირადი და არა მოგების მომტანი საჭიროებისათვის.

გვაქვს ისეთი შემთხვევაც, როცა გირაოს სხვა ფუნქცია ექისრა. გერძოდ, გირაო გამოიყენებოდა ვალის პროცენტის დასაფარევად. გირაოს გაყიდვის უფლება, ცხადია, აკრძალული იყო. ეს მხოლოდ იძულებითი წესით მოხდებოდა, როცა მოვალე ვერ მოახერხებდა ვალის გადახდას. უპირატესი მდგომარეობა, ცხადია, გამსესხებელსა და მის ნათესავებს ჰქონდათ მოპოვებული. გირაოს ლირებულება, როგორც წესი, საგრძნობლად სჭარბობდა თავსნ და შესაბამისად ეს ზედმეტი თანხა უბრუნდებოდა მოვალეს მისი გადახდის შემდეგ. რაც შეეხება, იურიდიულ უფლებას, ეს აქარად ფეოდალური კანონით მსესხებლის მხარეზე იყო, მას შეეძლო გაეყიდა თავდაპირველი გირაო, სამაგიერო გირაოს დადებით, მაშინ, როდესაც გამსესხებელი ვერც ერთ შემთხვევაში ვერ გაყიდდა მას. გირაო გამსესხებლის ხელში გადაღიოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო გადაწყვეტდა, რომ მოვალეს

179 ხელნაზ. ინსტ. ფ. Qd, № 877.

180 ნ. ქოიავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 81.

არ შეეძლო გალის გადახდა. გირაო იძულების წესით იყიდებოდა, მით  
უმეტეს, რომ სულაც არ იყო საჭირო, გირაო მაინც ცდამაინც გამსესხებულია  
ბელს ეყიდა. გირაოს შესყიდვაში უპირატესობა გამსესხებულთა უკანასკნელია  
თესავებს ეკუთხნდათ და თუ ეს უკანასკნელი უარს იტყოდნენ გი-  
რაოს შესყიდვაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო გირაო რომელი-  
მე სხვა პირს ეყიდა. ამრიგად, გამსესხებული გირაოზე მხოლოდ დრო-  
ებით იძნდა იურიდიულ უფლებას, ვინაიდან მისი განსხვისება მას  
არ შეეძლო, რისი განმსაზღვრელიც თვით გირაოს არსებული ფეო-  
დალური სისტემა იყო. მსესხებულს გირაოზე არ გააჩნდა არავითარი  
იურიდიული უფლება, მისი უფლება მხოლოდ გირაოს შემოსავლით  
განისაზღვრებოდა. მაგრამ ხდებოდა ისე, რომ XVIII ს. პირველი მე-  
ოთხედისათვის სავაზშო ან სავაჭრო კაპიტალი არ ინდობდა როგორც  
უშუალო მწარმოებელს, ისე ფეოდალურ არისტოკრატიისაც. ეს უკა-  
ნასკნელი ხშირად ვერ ახერხებდა ვალის დაფარვას თავისი სოციალურ-  
ეკონომიკური დაკინების გამო და იძულებული იყო გირაო (ძირი-  
თადად ყმა-მამული) გაეყიდა და ამით გაესტუმრებინა ვალი. თვითონ  
მსესხებელი, დასაშვებია, რომ ვახტანგ VI-ის დროს დაინტერესებულ-  
ნი ყოფილიყვნენ გირაოს უქან დაბრუნებით, მისი შემდგომი ფეოდა-  
ლური ექსპლოატაციის მიზნით. სავაზშო ან სავაჭრო კაპიტალის ასეთი  
ხშირი ტენდენცია უფრო ვვინან ხანაშია მოსალოდნელი, ვახტანგ VI-ის  
დროს კი მას შედარებით ნაკლებად ვხვდებით.

ხშირად გირავნობის ნატურალურ სახეობასთან გვაქვს საქმე: მაგ.,  
როდესაც სვიმონ აბრამიშვილ თავისი ბიძაშვილისათვის 13 მარჩილი  
უსესხებია და გირაოდ „თავისი შესავალ-გასავალი დაუდვია<sup>181</sup>, სარ-  
გებლის მაგიერ გამსესხებელს ვენახის შემოსავლით უნდა ესარგებლნა.  
ოთხ თუმან ნახევარ თეთრში დაგირავებული სამი კომლი. ფულად სარ-  
გებლისაგან განთავისუფლდა მოვალე და ყმებისაგან ნაკისრი გამოსა-  
ლების აღება კი კრედიტორს რეგბია წილად.

როინ და ოთარ ჭავახიშვილების თამასუქიც ასეთი პირობით „შემ-  
დგარა<sup>182</sup>. ამრიგად, აქ ჩვენ საქმე გვაქვს ყმა-მამულზე სარგებლის ნა-  
ტურით გადახდის შემთხვევასთან. ასეთი მაგალითები ჩვენთვის საქვ-  
ლევ ხანაში ხშირია, სადაც მოვალენი პირები აცხადებენ: „სანამ  
შენ თეთრს მოგცემდე, ჩემ წილ გამოსალებს შენ სჭამდე, თეთრის სარ-  
გებელს კი არა მოხვდე“<sup>183</sup>.

სარგებლის ასეთსავე ნატურალურ სახეობას წარმოადგენდა სახ-

181 ხელნაწ. ინსტ. ფ. Hd, № 3823.

182 იქვე, ფ. dS, № 129.

183 მასალები საქ. ეკ. ინსტ., გვ. 14, № 8; ხელნ. ინსტ., ფ. Hd, № 3808.

ლის ქირა, რომელზედაც დამგირავებელი უარს ამბობდა: „ამ სახლიც  
ქირას არ გთხოვ და არც შენი თეთრის სარგებელს“<sup>184</sup>.

როგორც ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევებიდან ჩანს, ხშირად  
სარგებელი ნატურალურ სახეს ატარებდა, მაგრამ სარგებლის, ამ გავრ-  
ცელებული ე. წ. პროცენტის ნატურით დაფარვის გვერდით ვითარდე-  
ბოდა სარგებლის ფულადი ფორმა.

გასესხების მთავარ მიზანს, ცხადია, ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის  
ხანაშიც პროცენტის აღება წარმოაღენდა. კაპიტალი ამ შემთხვევაში,  
ძირითადად, სავაჭშო ან სავაჭრო იყო, ხოლო კრედიტის შინაარსი კი  
მდგომარეობდა იმაში, რომ აღებული სესხი ძირითადად დაებანდა, არა  
როგორც ზედმეტი ღირებულების შემქმნელი წყარო, არამედ, რო-  
გორც საასტებო ან კი დამატებითი ხარჯების გადახდის საშუალება. მაგ-  
რამ ვხვდებით შემთხვევებს, როცა ფულის გამსესხებლის ხელში ზოგ-  
ჯერ სესხი იქცეოდა სავაჭშო კაპიტალად, რომელსაც ისევ გასცემდა.  
ამდენად, გამსესხებელი მევაჭშის როლში გამოდიოდა და პროცენტსაც  
თვითონ იღებდა. ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის დროს ქართლის სამეფო  
მნიშვნელოვან ეკონომიკურ აღმავლობას განიცდის. შეინიშნება მარ-  
ტივი სასაქონლო წარმოების შემთხვევათა გაფართოება და წარმოებით  
წესზე გადასვლის ნიშნები (ზარაფხანის, სამლებროთა, სტამბის, არა-  
ყხანის, დაბახანის და სხვათა აქტიური საქმიანობა), რომელიც სახელ-  
მწიფოს მონაბოლიებს წარმოაღენენ და იჯარით გაიცემოდნენ.  
ფეოდალურ სახელმწიფოში პროცენტის ნაირსახეობა ჩნდება. ვახ-  
ტანგ VI-ის მეფობის ხანაში პროცენტი თუ სარგებელი, რომელიც არ-  
სებულ ფულად სახეს ატარებდა, თითქმის გარკვეულ ნორმად იყო და  
წესებული. უფრო ხშირად თვეში სარგებელი მერყეობდა თუმანზე,  
აბაზიდან ორ შაურამდე. მის მაგალითები ხშირია. მაგ., ზაქარია თურ-  
მანიძეს 5 თუმნის ვალში თუმნის სარგებელი თვეში ერთი აბაზი უნდა  
მიეცა<sup>185</sup>. ასევე ზაალ თარხნიშვილს მილაზირ სახლთხუცესის 11 თუ-  
მან ვალში სარგებელი თვეში ერთი აბაზის რაოდენობით უნდა ეხა-  
დნა<sup>186</sup>. მამუკა მოურავის შვილი მოძღვრის ძმისწულის შიოსაგან 15  
თუმან ახალ თეთრში 1 აბაზ სარგებელს იხდიდა<sup>187</sup>. ასევე ხეჩუანთ მელ-  
ქუას უნდა მიეღო თუმნის სარგებელი თვეში აბაზი<sup>188</sup>. შემდეგ კი  
ვხვდებით თუმნის სარგებელს თვეში სამ შაურს, რაც ყარაბუღაშვი-  
ლისა და სოლოღაშვილების შეთანხმებას მოჰყოლია<sup>189</sup>. ასევე ნიკო-

184 ბ. ი. ფ. Hd, № 15007.

185 მასალები საქ. ეკონომიკური ისტორიისათვის, ტ. II, გვ. 9.

186 იქვე, გვ. 13, № 6; ბ. ი. ფ. Hd, № 3784.

187 იქვე, ფ. Hd, № 14886.

188 ს. ც. ი. ა., ფ. № 1448, № 701.

189 მასალები საქართველოს ეკლესიის ისტორიისათვის, ტ. II, გვ. 13, № 17.

ლოზ თუმანიშვილს ერთ თუმან თეთრში თვეში სამი შაური პროცენტი  
აუღია<sup>190</sup>.

მაგრამ არის შემთხვევა, როდესაც კრედიტორი ამაზე უფრო  
მცირე სარგებელზეც თანხმდება. თუმნის სარგებელი თვის თავზე ორ  
შაურად დგინდება. მოქალაქე ჯალიბეგაშვილი ბეჟუა საქუაშვილს  
თუმნის სარგებელს თვეში 2 შაურს ჰპირდება<sup>191</sup>, ასევე ჩითახანთ  
გოგინაშვილი არუთინა ფარემუზ ნაზირას 8 თუმანნახევარ თავში,  
თუმანზე 2 შაურს უნაღდებს<sup>192</sup>. რამაზაშვილი ბეჟუანა ხითარიშვილს  
თუმნის სარგებელს თვეში 2 შაურს აძლევს<sup>193</sup>.

ამრიგად, მცირეპროცენტიანი სესხის არსებობა ვახტანგ VI-ის  
მოღვაწეობის დროს ქვეყანაში დაბალი კრედიტის გარკვეულ არსებო-  
ბაზე მიგვითითებს. 6. ქოიავას მცირეპროცენტიანი სესხის არსებობა-  
ში ეჭვი შეაქვს და მის დოკუმენტურ მასალაში ასახვას შემდეგნაი-  
რად ხსნის: „საბუთებში ადგილი აქვს პროცენტის განაკვეთის საეჭვო  
დამთხვევას კანონით დაწესებულ განაკვეთთან. არ უნდა დაგვავიწყდეს,  
რომ ეს განაკვეთი ნაჩვენებია ხელწერილში, რომელსაც ოფიციალური  
დოკუმენტის ხასიათი აქვს და რომლის ჩავარდნა მოსამართლის, ე. ი.  
სახელმწიფო მოხელის ხელში გამორიცხული არ იყო. ფაქტიური, ფა-  
სეული პროცენტი უფრო მიღალი იქნებოდა, ვიდრე კანონით გათვა-  
ლისწინებული და ხელშეკრულებაში ნაჩვენები. უფრო მაღალი პრო-  
ცენტი იიღებოდა ფასეულობად“<sup>194</sup>.

ვითვალისწინებთ რა ქართლის არასტაბილურ ექონომიკურ მდგო-  
მარეობას ვახტანგ VI-ის ხანაში, დასაშვებად მიგვაჩნია ძვირფასიანი,  
კრედიტის (30%-ის) არსებობა, მით უმეტეს, რომ ამის ცალკეული  
მაგალითი ჩვენს მიერაცაა მოტანილი. მაგრამ დოკუმენტური მასალა  
უპირატესად დაბალპროცენტიანი კრედიტის (10%-ის) გავრცელებას  
ადასტურებს. 6. ქოიავას გამოთქმულ მოსაზრებას კი დოკუმენტურ მა-  
სალაში სარგებლის დაბალი პროცენტის განზრას ჩვენების შესახებ,  
ჩვენ ვერ გავიზიარებთ, ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვახტანგ  
VI-ის სამართლში სამართლის მაქსიმალური ნორმა 30% იყო აღია-  
რებული და ვალის წიგნებში მასზე დაბალი პროცენტის განზრას ჩვენე-  
ბა კრედიტორის ინტერესებში სულაც არ შედიოდა. ამრიგად, სავ-  
სებით სამართლიანად მიგვაჩნია, რომ დოკუმენტური მასალა ქვეყნის  
ექონომიკის რეალურ ვითარებას ასახავს და მათი გათვალისწინებით  
შესაძლებელია ფაქტიური მდგომარეობის აღდგენა.

190 ხ. ი. ფ. Sd, № 1009.

191 ხ. ც. ი. ა., ფ. № 1448, № 4215.

192 იქვე ,ფ. Ad, № 755, ფ. Sd, № 831.

193 იქვე, ფ. Qd, № 8664.

194 6. ქოიავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 85—86.

շեցքեծոտ ուսետ Շեմտեզեզասաց, հռօդեսաց մագ.: ուստի վուլա՛՛շալու  
ազորացքներ տազու պամա դա ուղեծ սեսեած ուրմուր գլուրնա (Վահանին)՝  
անյ մանց նաեւարո դա որ մոնալուն տցուրս. Շանամզուլո ուժուցա  
սարցեցն տցեցն 6 ածանք, եռլու տազու ուստի գայուրացքներ պամա  
սալուցն տցուրուն ուղեծ. ազորացքն պամա մեռլուր տազուն գամո.  
մուցա-  
լու ուսեց սեսեած ուժուցա գայուրացքներ գամաւուն որ տպան դա  
անձուրուցն մաս յարո տցուրս տազու պամա գամուսալութեց: „Շեն տցուրս  
սարցեցն առ Ֆյոնճուց“<sup>195</sup>. առևծոնես ուսետո Շեմտեզեզաց, հռօդեսաց  
12 տպաննու ացտանգուր տարեննուցու թուզաննեց յրասტուն 4 տպան  
տցուրս դա „յրտ ձարա ցոցու“ ուժուցա<sup>196</sup>.

6. յուսացան մէրկուրուն յրտո թերուց, տուրյուն գլուրագու անյ գայուր-  
լու პրոցենտուն դածալու ցանցացուն առևծոնես ցարտանց VI-ուն դրու  
դասացքնեցն ուղեցն մանուն հռօդեսաց ցարլու ցարտանց VI-ուն յանոնմուցնեցն ուղեցն  
սա, գոյզմենտուրու մասալուց ուժուցա սամշալուցն ալցուննուր, հռմ դա-  
ծալու პրոցենտուն մոյմելունանուն ենուրու ուց. մագրամ մեռուց թերուց  
յու սանտուրյուսու, հռմ 12 տպան տցուրսու սարցեցն 4 տպան ցարուց-  
մուր, յ. ո. 30 პրոցենտու. ամրոցագ, սմալլուցու ზլուարու 30 პրոցեն-  
տուց յուցուուն նոցուրու յրտեզեցամու դագմանց ուղեցն ուղեցն<sup>197</sup>, մագրամ  
շուգու ցարուցալուց ցակեցն 12 դա 10 პրոցենտու, յոնանուն ամուսու  
პրոցենտու հեն եղուա. ամ յրտեզեցամու პրոցենտու ցորացնուն ուն  
նենտուրուտուն առու դայացմուրուցն դա ցորացնուն մտացար ցունչու-  
ստան յրտուր, პրոցենտու դայուարուս սամշալուցն ալսրուցներ. პրո-  
ցենտու ցաստուրմուրու ցուլուր, հռցուր ցնաեցու, առու ու ուս ունցուատո  
յրտեզեցամու ցարտանց VI-ուն մեցուն դրուս դա ցուլուր սամշալուր մանու  
ցալանդուն յրտ-յրտ սամշալուցն ցակեցնեցա.

ցարտանց VI-ուն մեցուն դրուս ու პորնո, հռմելնուց ցուլու սար-  
ցեցն ուտ սեսեածնեն, անցունեն ամ ցայցուն սկըպուալուր դուշումենտուր  
ծագուրմեցն. դցեցուր ցալուս ծարատո, սալաց յարցագ ուստեծուր ցու-  
լուս ցասեսեցն դա մուսու նորդուն մտուր პրոցենտու. 1709 թ. ցալուս  
նուսեսամու პորդապու համուցլուրու յրտու սպենն պորոցնեցն եղում  
մուցու տամասույցն, սալաց ցանսանցուր ցուլուս հառցենուր դա ալ-  
նունուրուն, ու հռմել մեցուր հա հառցենուն տամասույցն մուցու

„յամեսարնեցն տամասույցն (4 տպան)

յունիծարաս տամասույցն ց (3 տպան)

ցուրանուն տամասույցն կ (5 մոնալուն)

<sup>195</sup> և. Յ. օ. ա., դ. № 1450, դ. 5, № 63.

<sup>196</sup> եղուն. օնսր., դ. Hd, № 13690, 1390.

<sup>197</sup> եղուն. օնսր., դ. Sd 607, 1801.

შერგილის ოსეფასი თამასუქი და (ც) (5 თუმანი), 5 მინალთუნი გარემონტული თამასუქი ბ (2 თუმანი, 6 მინალთ.) ყარაბუღდაშვილის თამასუქი ა (1 თუმანი) მირიმანაანთ ოსეფას თამასუქი ა (1 თუმანი და 9 მინალთუნი), ია-  
სეს თამასუქი გ“.

სულ 9 თამასუქია გაცემული — დაახლოებით 18 თუმნის და 4 მინალთუნის ოდენობით<sup>198</sup>.

შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში თამასუქთა ნუს-  
ხის მფლობელს გარკვეული მევაბშეობისათვის მიუყვია ხელი, რომე-  
ლიც აწარმოებს ამ თამასუქთა იღრიცხვა-აღნუსხვას. რა ხასიათის  
სარგებელს იღებდა ეს მევაბშე ამ შემთხვევაში, ან კი როგორ იყო  
მოპოვებული ეს თანხა არ ჩანს, მაგრამ ვფიქრობთ, იგი თამასუქს გას-  
ცემდა მევაბშეობის მიზნით, რაც მას სავახშო კრედიტის გაზრდა-გა-  
ფართოების და შემდეგ, შესაძლებელია, ისევ დაბანდებისათვის სჭირ-  
დებოდა.

საინტერესო ცნობას იძლევა, აგრეთვე, ერთ-ერთი მევაბშის ანგა-  
რიშის ნუსხა, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ მას 8 თვის მანძილზე  
მარტო სარგებელი 65 თუმანი აულია. 65 თუმანი აულია მევაბშეს 162  
თუმნის თავნის სარგებლიდ<sup>199</sup>. ამ შემთხვევაში ვალი ისევ ფულადი  
დაბანდების საშუალებას წარმოადგენდა და სავარაუდებელია, ვახშის  
ზრდის წყაროს ქმნიდა. როგორც ვხედავთ, პროცენტის ხვედრითი  
წონა სინამდვილეშიც რამდენადმე მაღალი იყო, ვიდრე ეს ცნობილია  
სამეცნიერო ლიტერატურაში. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ფულადი  
პროცენტის ხვედრითი წონა არ შემოიფარგლება მხოლოდ თუმანზე  
ერთი აბაზითა და ან 2 შაურით. ზოგჯერ იგი თუმანზე 5 აბაზსაც  
იძლეოდა. ამ ზღვარს, როგორც ზევით აღვნიშნეთ, თვითონ ვახტანგის  
სამართლის 116-ე პარაგრაფიც აღვენს. ასევე კარგად ჩანს ვახტანგ  
VI-ის მოღვაწეობის პერიოდში, როცა ე. წ. „ვალის გარიგებაში“ ფუ-  
ლადი ვირაოს ძირითადი ფუნქცია თავნის დაფარვის გარანტია იყო,  
ხოლო ვირაოს ნივთიერი ფორმების (ყმა-მამული, საქონელი, ნივთი და  
ა. შ.) ღირებულება თავნზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგ VI-ის მოღვაწეო-  
ბის პერიოდში მევაბშეობითა თუ ვაჭრობით გატაცებულნი თარხნი-  
შვილები იყვნენ. ვფიქრობთ, თარხნიშვილები, მამულაშვილები, გო-  
რიგანაშვილები, ჯულაბაშვილები სესხს იღებდნენ თავიანთი საბრუ-  
ნავი სახსრების შესავსებად, მაშინ, როცა საჭირო იყო საქონლის მეტი  
რაოდენობით დაგროვება. მარტო დავით თარხნიშვილი რამდენიმე პი-  
როვნებისაგან იღებს ვალს: ბენედიქტე წინამდლერისაგან 10 თუმან

198 ხელნ. ინსტ. ფ. ძ. № 1861.

199 ხელნ. ინსტ. ფ. ძ. № 607.

თეთრს<sup>200</sup>, ჩაუშლარ ქემი დევიშბეგისაგან 6 თუმან თეთრს<sup>201</sup>, თავისი  
ბიძა თარხნისაგან 16 თუმან „ახალ თეთრს“ და სხვ.<sup>202</sup> იგი ყველაზე უძველეს  
დის კუთვნილ სარგებელს. სადაც არაფერია დებიტორ კრედიტორთა  
შორის და, რაც მთავარია, დავით თარხნიშვილი მოქლე ვადაში უბა-  
თილებს ყველას თამასუქებს, რადგან ვალები სრულიად აღარ რჩება.  
ცხადია, დავით თარხნიშვილი გარკვეული საქონლის დაგროვების შე-  
დეგად ახერხებს ყველა ვალის პირნათლად და დროულად დაბრუნებას.  
გარკვეულ საქმიანობასთანაა დაკავშირებული მოქლე ვადით ფულის  
სესხების საჭიროება და შემდეგ მისი განაღლება. როგორც ჩანს, დავით  
თარხნიშვილს 2—3 წლის ვადაში თავნისა და სარგებლის დაბრუნება  
ნაყოფიერი ვაჭრობის შედეგად ან ინტენსიური მეურნეობის გაფარ-  
თოებით მოუხერხება. ჩვენი ვარაუდით, საქმე უნდა გვქონდეს სავახ-  
შო ან სავაჭრო კაპიტალთან.

ამრიგად, როგორც ვნახეთ, ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის დროს  
სარგებლის ფულადმა ანაზღაურებამ ქართულ ეკონომიკაში გარკვეული  
ადგილი მოიპოვა. ამის პირდაპირი ამსახველი ვახტანგის კანონმდებ-  
ლობა იყო. მართალია, მან სარგებლის ნატურალური ფორმა ვერ გან-  
დევნა, მაგრამ თვითონ გარკვეული მოქმედუნარიანი გახდა.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტებისა და დაკვირვებების საფუძველზე  
შეიძლება ერთგვარი დასკვნა გადეთდეს. ვახტანგ VI-ის დროს ფულა-  
დი პროცენტის ხვედრითი წონა ძირითადად მაღალი არ იყო, იგი დაახ-  
ლოებით 10—12 პროცენტს უდრიდა, ხოლო ზოგ შემთხვევებში ორ-  
მაგად იზრდებოდა (დავით თარხნიშვილის მაგალითი; ხ. ი. დაცული  
საბუთი, ფ. 5d, № 607, 1861). სარგებელზე უპირატესად დაბალი  
პროცენტის გავრცელება ძირითადად ქვეყნის ეკონომიკის გარკვეულ  
აღმავლობასა და განვითარებაშე მიგვანიშნებს და გარკვეულ მარტივ  
სასაქონლო ურთიერთობათა გაფართოებისაკენ იხრება, მაგრამ ამა-  
ვე დროს, რაც შეეხება სავახშო კაპიტალს, ნ. ქოიავა აღნიშნავს, რომ  
„ფეოდალურ საზოგადოებაში... იგი არ ზოგადა არც ფეოდალს, ხოლო  
უკანასკნელი არც გლეხს. აღვილი ჰქონდა გლეხების, ხელოსნების, ვაჭ-  
რების და ფეოდალების განშრევებას<sup>203</sup>.

მართლაც, ვახტანგის სამართლით წარმოსახულ სისხლის სამარ-  
თლის დაურევების სისტემაში ფეოდალურ-სოციალური იერარქიის კი-  
ბექა აღმუდას სამართალს თუ შევადარებთ, დავინახავთ, რომ  
XVIII საუკუნისათვის, მართლაც მოხდა არსებულ სოციალურ ფენათა  
შორის განშრევება. ფეოდალთა ფენა თუ XIV ს. შედებოდა ერთი ხა-

200 იქვე, ფ. Hd, № 700; მას. საქ. ექ. ისტ., ტ. II, № 13, გვ. 18.

201 მასალები საქ. ექ. ისტ., ტ. II, № 13, გვ. 18.

202 იქვე, ტ. II, № 15, № 20, № 35; გვ. 10, 19, 35.

203 ხ. კო ა ვ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 103.

հուսեն տացագուսացան, զաթիւնցու սամարտալիք սամո ხարուսեն տացագու դամովից բռլո. աջրեցա, ածնաշրտա ցյենամուց մոեծա ցանշրւցեած. ցանշրւցեած ըանց VI-ու դրու որո խարուսեն ածնաշրտու մացուր 3 սաեն ածնաշրտ ցահնձա. հաց Մեեեծա ցլեետա ցաթեցորու ցանշրւցեած, պաց սուու- լուրո დանաթեցրեծ ցամոկցետա. „նասուու“ դա „ծոցանու“ ցլեեմա ցարցուցուլո սուուուրո ցաթեցորու ցունեցու դամկցուժրա. ցոյի- հոծտ, պացուցու ց ածենեծա, ցրտո մերուց, ցուուցունմու ցաեն- ցրմուցեծու, մուսո դահուշուլուն տացարտցուլուն սայշարտցուլուն, եռլու, մեռուց մերուց, ցրտցարաց ցուուցուլուր մարտուց սասայշուն մեռնեցամու սացակեն դա սացակրո ցամութալու մեռնեցամու սացակեն եռչեցու.

հաց Մեեեծա սահցեծուսա դա քրուենտու դացցենու նշուստ մացալո- տեծս, մաս ցաթիւնցու սամարտուսա դա արսեցուլո դոկումենտուրո մասա- լուս մօեցուու ցեր ցաերեցեծտ. նշոցադաց կո, ուսոնու նշեմուցմուլուս մո- եցուու, սրուլուու ցարցուցուլու արսեցունեն. նշոցչեր, հոցորու ուժուա, մալալու քրուենտու արսեցուն մօրուուաց ուց յեցյոնու ցյունումուցուրո դայցուուցեծու, ցարցուուուուուցուրո հուլու սութուացու մեցցո, հոմե- լուու ցաթիւնց VI-ու դրունցու յարտուն սամեցու ուրանուսացմու դա- յեցմուցեծուրեծու, լցույանուն դա մունա ցուուցուլուր ունեծ սնճա մո- կալունուա. ց ույցուուրեծու, տացու մերուց, մալալուհրուենտուանու ցալուս արսեցուն ցանաւուունենց լա եցլս ումունքնեն սացրտուա, հոցորու ցամութալու, ուց ցալուս սուուլուս մեռնեցամու, ցակրուն սա դա վար- մուցեծամու ենուր դածանցուն, ու ար ցազուցալուսիցունեցտ ուղկուլու մեմ- տեցցեծս.

մացրամ ամ ցալցուլու մեմտեցցետա արսեցուն (տարենմեցուլուն մա- ցալուուցօ դա նշեմուունու 2 մեմտեցցետ) մանց ցամակլուց սամու- լուն ար ուց ամ դրուսատցու. հոմ սացակրո դա սացակեն ցամութալո մտլուց ուցու ար ուց ամ դրուսատցու. հաց Մեեեծա, ցամութալու մասունքու դա- ծանցուն արսենու մետեցցեծու սուուլուս մեռնեցամու դա մուտ ումերես մերցուցունենու, մասու ցնունքու հյեն ար մոցցուուցեծ, հուս ցամու դածցուուցեծու ամ մեսամլուեծունեն ցերու ց ուշցեծտ. հոցորու դածալու, ուց մալալո քրուենտու մեմտեցցեծուսատցու, ցրտ-ցրտ մո- նշունաց — ցալցուն ցունունենտուրաց, անց նօման-ցուսեծատա ցրտո- ծունուն սնճա հատցալուս ու, հաց ցաթիւնց VI-ու դրունցու մար- տուց սասայշուն մեռնեցամու ածասուտցեծու, ցերմուց, ծոլումուց ցանց- ցուտարեցու սասայշուն ուրուցուն նշուն ուցեծս.

հյեն դուկումենտուն սացումցուլուն ար ցայցուլու սամուալուն քրու- պենտու դացցենու դրու ցուլու դա նամուրալուրո ցուումուն ու- րեցուլուն մեցու մացուցուսուտ. սամուսու մասալու ար ցացահնուա. ար Մեցուուն ացրեցա, ցրտու դա մաց ուցենուն ցալուն ցադասլուն նամու- րու դա ցուլու մեցուս տանածարու ան ցանսեցացեծուլո ուրուցուն ուցու-



ბით. ყოველივე ამის საშუალებას ჩვენ არ გვაძლევს ვახტაწინაურების  
მოღვაწეობის დროინდელი არსებული მასალა. ერთი კი ცნადია, რომ  
ნატურალური საზღაურის გვერდით ვითარდება ფულადი საზღაურის  
ფორმებიც და, გარდა ამისა, ჩნდება სავაჭრო და სავაჭრო კაპიტალის  
განვითარების ნიშნები. ფული იფართოებს მიმოქცევის საშუალე-  
ბას.

## ხეოთხვა თავი

**სოციალური ურთიერთობის მოწვერიგების ცდები ვახტანგ  
VI-ის მოღვაწეობის დროს და კლასობრივი პროცესი**

ვახტანგ VI-მ მნიშვნელოვანი ახალი ღონისძიებები ჩატარა დარღვეული „ბატონიყმური რიგის“ მოსაწესრიგებლად. მათ ღონისძიებათა ძირითადი მიზანი იყო გაბატონებული კლასის უფლებების დაცვა-განმტკიცება და მწარმოებელი საზოგადოების „ნორმალური“ პირობებში ჩაეყენდა, რაც თავის მხრივ, ფეოდალური სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარეობდა. როგორც ცნობილია, 1704—08 წწ. სპეციალურად შეაგრძელეს არსებული გადაწყვეტილებების, გარიგებისა და განჩინების წიგნები და შეიმუშავეს სახელმწიფო აღმინისტრაციული და სამეურნეო სამართლის წიგნი, რომელსაც „დასტურლამალი“ ეწოდა. „დასტურლამალში“ დადგენილ იქნა სახელმწიფო მოხელე-ხელისუფალთა უფლება-მოვალეობანი, გათი ჯამაგირი, მიწის მფლობელობასა და მიწით სარგებლობის წესები, სამეფო-სახასო მამულის მომელელ მსახურთა წესრიგი, სახელმწიფო გამოსალებთა რაოდენობა და სხვა.

„დასტურლამალი“ ქართლის სახელმწიფო-პოლიტიკური წყობილების განმტკიცებას ემსახურებოდა. მასში დიდი ყურადღება ექცევდა სახელმწიფო-სამეფო მეურნეობის მოვლა-პატრონობის საკითხებს. ცენტრალური ხელისუფლება ვახტანგ VI-ის მეთაურობით ამით სამეფო შემოსავალს აღენდა და მწარმოებელთა რაციონალური ექსპლოატაციის საქმეს აგვარებდა. „დასტურლამალშა“ დიდი გავლენა იქნია სახელმწიფოს ეკონომიკური საფუძვლების განმტკიცებაზე პრა მარტო ქართლში, არამედ მეზობელ პოლიტიკურ ერთეულებშიც. როგორც აღვნიშნეთ, ძირითადად „დასტურლამალი“ ემსახურებოდა სამხელეო უფლება-მოვალეობათა განსაზღვრას, რაც პრაქტიკაში უნდა ასახულიყო.

სოციალური ურთიერთობის მოწვესრიგებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვახტანგის დროს შედგენილ კანონთა კრებულს, რომელიც მალე მოელი საქართველოს ბატონიყმური ურთიერთობის ძირითად კოდექსად იქცა.

ვახტანგ VI თვითონ აცხადებდა, რომ მისი თაოსნობით შედგენი-

ლი კანონმდებლობა ქვეყანაში ავტედობის დროს მოშლილი წესრიგის/ ალდეგენას ისახვდა მიზნად. „საქართველოს მეფენი ბევრჯერ უძლიერი ამაღლებული და ნებისმიერ თავისად ბრძანებული და ბევრჯერ უამთა და დროთა ცვალებით ასრუ დამდაბლებულან, რომე ოდენ სახელი მეფე რქმევია, თორემ მართებული არა უქნევინებიათ რა. ორორც ყმათა სდომებიათ, ისრე უსამართლებიათ და ურიგებიათ. ამისი მომ-სწრები თვითონ მეცა ვარ და სხვანი მრავალნი. ხნით ჩემსა უფროსნი არიან და ისინიც ამგვარს დროს ბევრს შეესწრებოდენ“<sup>1</sup>.

ვახტანგ VI-მ დევლი კანონებისა და ადათობრივი სამართლის მცოდნე პირთა მოშველიებით შეადგინა სამართლის ქრებული და სამეფოს მსაჭულებს სახელმძღვანელოდ მიუჩინა. მანვე ზუსტად განმარტა მო-სამართლეთა უფლება-მოვალეობანი და ყველას მტკიცე წესრიგის დამ-ყარებისაკენ მოუწოდა. ვახტანგის „სამართალში“ იირკლა XVII—XVIII სს. ფეოდალური სოციალური ფენების უფლებრივი და ეკო-ნომიკური მდგომარეობა.

ვახტანგის შემუშავებულ „სამართალში“ განსაკუთრებული ადგი-ლი ეთმობა ფეოდალთა უმაღლესი ფენების პრივილეგიათა განსაზღვ-რას. ჩამოთვლილია სამი ხარისხის თავადთა „სისხლის“ ფასი. მათ შო-რის პირველი ხარისხის ანუ დიდებული თავადის „სისხლის“ 1536 თუ-მანს უდრიდა. ვახტანგის სამართლის მიხედვით თავადი თავის სოცია-ლურ უპირატესობას იმკვიდრებდა „მამულით, კაცობით, ბატონის სამ-სახურით, ციხით, მონასტრით, უფროსის კაცის მოყვარედ მოკიდე-ბით“<sup>2</sup>.

პირველი ხარისხის თავადი სათავადო სახლის მეთაური იყო. „სასახლისკაცო რიგის“ დაცვა სახლის მეთაურის კომპეტენციაში შე-დიოდა. მის უფლებას წარმოადგენდა სათავადო სახლის მართვაც. მთელი სათავადო სამოხელეო აპარატიც მის ექვემდებარებოდა. დიდე-ბულ თავადზე იყო დამოკიდებული მეზობელ სათავადოებთან ურთი-ერთობის დამყარება და მის განკარგულებაში შემავალი საერთო-სა-თავადო კმა-მამული, რომლის შემოსავლის 2 ნაწილს თვითონ იღებდა და დანარჩენს „სახლისკაცებს“ — თავადიშვილებს ურიგებდა<sup>3</sup>.

მეორე ხარისხის, ანუ შუა თავადის სისხლი ორჯერ ნაკლებს უდ-რიდა — 793 თუმანს, მესამე ხარისხის თავადისა კი — ოთხჯერ ნაკ-ლებს, ანუ 384 თუმანს<sup>4</sup>.

<sup>1</sup> ვახტანგ VI, სამართლის წეგნი, მუხ. 25.

<sup>2</sup> იქვე, მუხლი 23.

<sup>3</sup> გ. ჯამბურია, ლოკ. ქართ. სათავადოს ისტ. შას. კავკ. და საქ. 1960 წ. ნაკვ. 33, გვ. 118; ხ. ი. ლ. Sd, № 228; M. ქიკოძე, Из истории феодальнойной Грузии (Саамилахваро), 1953, с. 13.

<sup>4</sup> ვახტანგ VI, სამართლის წეგნი, მუხ. 26, 27, 28.

ეს გარემოება იმას მოწმობდა, რომ ვახტანგ VI-ის დროს თავადული და წილებაში დილერენციაცია გაღრმავებული იყო. თუ გავითვალისწილები ნებთ, რომ XIV ს. კანონმდებლობა მხოლოდ ერთი ხარისხის „დილებულს“ აღნიშნავდა.

ცენტრალური ხელისუფლების დასაყრდენს აღებულ ხანაშიც თავადები და სათავადოები წარმოადგენდნენ, ამიტომაც ვახტანგ VI-ის თავის სამართლში სათავადო სახლის ორგანიზაციის საკითხს და სახლიყაცთა უმცროს-უფროსობის დაცვის საქმეს თორმეტი მუხლი დაუთმო. ამ მუხლებმა საბოლოოდ განსაზღვრეს სათავადო სახლის მეთაურისა და სახლისკაცთა უფლება-მოვალეობანი. სათავადო სახლში „სასახლისკაცო რიგის“ დაცვა ბატონიურ-თავადურ სახელმწიფოს ინტერესებში შედიოდა და ცენტრალური ხელისუფლება ამ სათავადო სახლების გაყრისა და დაშლის წინააღმდეგი იყო. მავე დროს მეცეზომებს იღებდა, რომ სათავადო სახლების შემდგომი გაძლიერება არ დაეშვა.

ვახტანგ VI-ის კანონმდებლობის მიხედვით, ქართლში აზნაურებიც სამ ხარისხად იყოფოდნენ. „გადიდებული აზნაურის სისხლი 192 თუმნად ფასობდა, „შუა“ აზნაურებისა — 96 თუმნად, ხოლო მესამე ანუ „ცალმოგუი“ აზნაურისა — 48 თუმნად<sup>5</sup>.

როგორც ვხედავთ, აზნაურთა ფერი განიცადა ერთგვარი დილერენციაცია. XIV ს. კანონმდებლობაში ორი ხარისხის აზნაური არსებობდა, ხოლო ვახტანგის დროს კი — სამი ხარისხისა<sup>6</sup>.

ვახტანგის სამართლის მიხედვით, სააზნაურო სახლში ჩამოყალიბდა ფერდალური საკუთრების ორი ფორმა: სახსომ-საერთო და სათავისთავო, მაგრამ XVIII ს. დასაწყისისათვის გახშირებულა უყმო აზნაურთა არსებობაც. რაც შეეხება სისხლის შეფარდებს, აქაც სხვადასხვაობაა. ვახტანგის სამართლის მიხედვით, XVIII საუკუნისათვის აზნაურთა სისხლი ორჯერ უფრო შემცირებულია XIV საუკუნესთან შეტანდებით.

ცენტრალური ხელისუფლება ცდილობდა არ დაეკარგა თავისი გავლენა თავადთა ყმობაში ყმოფ აზნაურებზე. ამიტომ სამეფო კარი ხშირად ერეოდა თავადისა და აზნაურის ურთიერთობაში (ვახტანგ VI—ბერე ამილახორიშვილისა და ტარსაიქაშვილის ურთიერთობაში<sup>7</sup>, ნაზარალახანი — იოთამ ამილახორიშვილისა და ქარუმაძეთა ურთიერთობაში)<sup>8</sup> და ამით თავის უზენაეს ხელისუფლებას ახორციელებდა. სა-

5 ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., I, გვ. 426.

6 ვახტანგ VI-ის წიგნის სამართლი, მუხ. 29, 30, 31.

7 ცისა, ფ. 1448, № 1694; ე. თავ ა 0 შ ვ ი ლ ი, მასლები საქ. სტატისტ. აღწერ. XVIII ს. თბ., 1907; გ. ა კ თ ფ ა შ ვ ი ლ ი, სოციალური ურთიერთობის ისტორიიდა XV—XVIII სს. ქართლში, 1965, გვ. 91.

8 ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, მუხლები 30, 31, 32.

9 საქ. სიძვ., ტ. III, გვ. 211.

10. მ. ქიქოძე

ერთოდ, ცენტრალური ხელისუფლება ცდილობდა, რომ სათავრდო აზნაურები მიემხრო და ამით თავადთა მოსალოდნელი შინააღმდეგულება გაეტეხა.

ვახტანგის სამართალში გარკვეული ყურადღება ეთმობა ვაჭართა ფენას. ამ შემთხვევაშიც სამეფო ხელისუფლება, რომელიც ვაჭრობის გაფართოებით დაინტერესებული იყო, ვაჭართა უფლებებს იცავდა. XIV საუკუნის კანონმდებლობისაგან განსხვავებით, ვახტანგის სამართალი ვაჭართა ოთხ კატეგორიას განსაზღვრავდა. ეს მიუთითებს ცენტრალური ხელისუფლების გარკვეულ დაინტერესებას ვაჭართა ფენისადმი. ვაჭართა „სისხლი“ მათი მდგომარეობის შესაბამისად შეფარდებული იყო აზნაურთა, მსახურთა და გლეხის სისხლთან. „დიდებული ვაჭრის“ სისხლი იგივეა, რაც შუა „აზნაურისა“ — 96 თუმანი, „მეორე ვაჭრისა“, რაც „ცალმოგული აზნაურისა“ — 48 თუმანი, ხოლო მსახურებთან და გლეხებთან არიან გათანაბრებული III და IV კატეგორიის ვაჭრები<sup>10</sup>.

ამრიგად, „დიდებულმა ვაჭარმა“ მხოლოდ შუა აზნაურის „სისხლამდე“ მიაღწია. საგულისხმოა, რომ XIV საუკუნეშიც ანალოგიურ შემთხვევასთან გვქონდა საქმე. მაშინაც დიდი ვაჭრის სისხლი საშუალო აზნაურის სისხლის ტოლი იყო. ასე რომ, როგორც ვეხდავთ, ვაჭართა უფლებებში საუკუნეთა მანძილზე ცვლილებები თითქმის არ მომხდარა, რაც ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის შეფერხების მაჩვენებელი იყო. მიუხედავიდ იმისა, რომ ცენტრალური ხელისუფლება ვახტანგ VI-ს თაოსნობით ყველაფერს აკეთებდა, რომ ქვეყანა ეკონომიკურად მოლონიერებულიყო და გაძლიერებულიყო, სავაჭრო-საქარავნო გზები მოშენებულიყო, ვაჭართა ფენა პრივილეგიებს ვერ იძენა.

ვახტანგის კანონმდებლობის სოციალური არსი გამოვლინდა მწარმოებელი საზოგადოების უფლებათა განსაზღვრის ფროს. ვახტანგის სამართალში კარგად ისახა ბატონყმობის დადგენილი რეჟიმი: ბატონის სრული საკუთრება წარმოების საშუალებებზე — („ყმისა ყველა ბატონისა არის“) და არასრული საკუთრება წარმოების მუშავზე — ყმა-გლებზე. ვახტანგის კანონებით ყმა-გლეხის სისხლი დიდებულ თავადთან შედარებით 128-ჯერ ნაკლებად იქნა შეფასებული (1536 თუმანი — 12 თუმანი), XIV საუკუნის სამართლის მიხედვით კი გლეხის სისხლი 100-ჯერ ნაკლები იყო. ამრიგად, კლასობრივი დიფერენციაცია კიდევ უფრო გაღრმავებული იყო ვახტანგ VI-ის დროისათვის. ეს გარემოება მწარმოებელი საზოგადოების ექსპლოატაციის შემდგომ გაძლიერებაზე მეტყველებდა.

ვახტანგ VI-მ კანონმდებლობის სპეციალური თავი მიუძღვნა „ბატონყმობის რიგის“ მოწესრიგების საკითხს. აქ პირველ რიგში ისახა

<sup>10</sup> ბ. ი. ფ. Ad, № 2220.



ფეოდალთა კლასის ბრძოლა ბატონიშვილი ჩაგვრის შედეგად გაქცეული ყოველი უმა-გლეხთა დაბრუნებისათვის. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ამის წინააღმდეგ იბრძოდა ვახტანგის კანონმდებლობა და სამართალი აღიარებდა, რომ ბატონს 30 წლის განმავლობაში შეეძლო ეძებნა გაქცეული ყმა და თავის მამულში დაებრუნებინა<sup>11</sup>. კანონმდებელი მეფე, არასამეფო ყმამამულის ინტერესებსაც არ ივიწყებდა: ბატონისაგან გაქცეული ყმა თუ სამეფო მამულში, ამ შემთხვევაში თრიალეთში შეიძინებოდა, მაშინ მისი მოძებნის ვადა 12 წელიშადი იყო<sup>12</sup>. გარდა ამისა, კანონი უფრო მეტ „შეღავათებს“ ანიჭებდა ისეთ გაქცეულებს, რომელიც „გადაკარგვის“ შემდეგ მეფე-ბატონის მამულებზე სამეფო-სახასო ყმებად დასახლდებოდნენ. ამ შემთხვევაში ძევლი მებატონე გაქცეულ ყმას საბოლოოდ კარგავდა. გასაგებია, რომ ასეთ კანონმდებლობას, რომლის შემდგენელი და თაოსანი ვახტანგ VI იყო, საგრძნობლად უნდა შეეზღუდა ფეოდალთა თვითნებობა და სამეფო ხელისუფლებისათვის მეტი უფლებები დაემკვიდრებინა. სახასო ყმათა მდგომარეობა ვახტანგის სამართლის მიხედვით გაუმჯობესდა. ფეოდალთა ძალმომრეობა და თვითნებობა უნდა შეწლუდულიყო იმის შემთხვევაში, რომ გლეხები არ აყრილიყვნენ და 6 წლის დამალების შემდეგ მეფის მამულებში არ დასახლებულიყვნენ.

„ნურა კაცი თავის ყმას ძალას ნუ დაატანს, თორემ წაეგა... ხელმწიფეს ეყმობა და ყმა დაეკარგება“<sup>13</sup>, წერია ვახტანგის სამართალში.

ვახტანგ VI-ის სამართალში რამდენადმე აისახა ზოგიერთი ცელი-ლება გლეხთა ცალკეულ კატეგორიებს შორის. ვახტანგის კანონებში დაბასტურებულია, მაგალითად, მსახურთა მდგომარეობის გაუარესება. XIV საუკუნის კანონმდებლობაში მსახურის სისხლი ორნახვარჯერ სჭარბობდა გლეხისას, სხვაობა მსახურის და გლეხის სისხლს შორის შემცირდა. ვახტანგის სამართლის მიხედვით, მსახურის სისხლმა დაიკლო. იგი ორჯერ მეტი გახდა გლეხის სისხლთან შედარებით. ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ იმატა დაბეგრილ მსახურთა რაოდენობამაც. თეოთონ ბეგარა დამძიმდა. თუ უწინ მსახურებს ლაშქარნალირობა და სამასპინძლო ეკისრათ, ახლა დაემატათ შრომითი ბეგარა (ზვარში მუშაობა, ხვნა, თესვა, მკა) და ზოგჯერ საბალახო<sup>14</sup>. მაგრამ ანგარიშგი-საწევია ისიც, რომ ვახტანგის კანონმდებლობა განსაკუთრებით ამახვილებდა ყურადღებას მსახურთა უფლებების შენარჩუნებისათვის. ისე-

11 ვახტანგ VI. სამართ. წიგნი, მუხლები 30, 31, 32; საქართველოს ისტორიის ნაკვევები, 1973, გვ. 395.

12 ვახტანგ VI, სამართ. წიგნი, მუხლი 202.

13 იქვე, მუხლი 201.

14 დასტურლამალი, გვ. 596. „მოამბე“, 1903 წ. IX, გვ. 6; დოკ. სოც. ისტ. ტ. I., გვ. 143.



თი მსახურები, რომელნიც „თავდახსნილობით“ მოიპოვებდნენ<sup>15</sup>. თავდახსნილობით აზატონბას, თავისუფლებას, დიდი უფლებების მქონენი გახდებოდნენ. „აზატ ნაქმნარისაგან კიდევ უფრო აზატი იქნება“<sup>16</sup>, წერია ვახტანგის სამართალში. მსახურთა ძეველ „საპატიო“ ვალდებულებებს (ლაშქარ-ნალირობა, გამასპინძლება) დაემატა აზალი მოვალეობანი — ზვარში მუშაობა, ხვანა-თესვა და სხვა<sup>17</sup>.

სამართალში, აგრეთვე, გარკვეული აღგილი დაეთმო „ბოგანო“ გლეხთა კატეგორიას. აღსანიშნავია, რომ განისაზღვრა მისი აღგილი მწარმოებელთა ფენებში და დადგინდა საგადასახადო შეღავთები, რაც მათი დაკნინებული ქონებრივი მდგომარეობით აიხსნებოდა<sup>18</sup>. „ბოგანო“ გლეხთა გამრავლებამ გამოიწვია სახელმწიფოსგან მათი დაცვის აუცილებლობა.

ვახტანგ VI-სათვის სრულიად ცხადი იყო, რომ „ბატონყმური რიგის“ ნორმალიზაცია ფეოდალური წყობილების ჩარჩოებში შეუძლებელი იქნებოდა ისე, თუ საბატონო გადასახადების აკრეფაში მყაცრი წესრიგი არ დამყარდებოდა. ვახტანგ VI-ის თაოსნობით ცენტრალური ხელისუფლება მწარმოებელთა კლასის ფიზიკური დაცვის მიზნით, ფეოდალებს კატეგორიულად ლმობიერებისაკენ მოუწოდებდა და თავის კანონმდებლობაშიაც მყაცრად უსვამდა ხაზს, რომ „უდების დადება (ანუ გლეხებისათვის ზედმეტი გადასახადების დაკისრება) კაცის კვლის ოდენ არის“<sup>19</sup>. ამიტომაც, როგორც ზემოთ ითქვა, „დასტურლამალით“ ცენტრალურმა ხელისუფლებამ სამეფო-საგადასახადო სისტემა მოაწესრიგა<sup>20</sup>.

სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრების წინსვლა და სოციალური ურთიერთობის მოწესრიგება ვახტანგის მეფობის დროს ქართლში, საერთოდ ქვეყნის შედარებითი აღმავლობის მაჩვენებელი იყო. რაც ასევე შედარებითმა მშევიდობიანობამ მოიტანა. ბატონყმური წესრიგის დამყარება მნიშვნელოვნად ზღუდავდა ფეოდალთა თვითნებობას, მაგრამ, მეორე მხრივ, იზრდებოდა და ძლიერდებოდა ფეოდალთა კლასის სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, რომლის მოთხოვნები სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა. ყოველივე ამის ობიექტური შედეგი მწარმოებელთა ექსპლოატაციის შემდგომი ზრდა უნდა ყოფილიყო

15 ვახტანგ VI, სამართალი, მუხლი 260.

16 დასტურლამალი, გვ. 596. დოკ. საქ. ისტ. ტ. I, გვ. 143, „მომბე“, 1903 წ.

17 ვახტანგის სამართალი, მუხ. 100; ივ. ჭავახიშვილი, საქ. ექ. ისტ. ტ. I, გვ. 16; დ. მეგრელიძე, კლასობრივი ბრძოლა XVII—XVIII ს. 1982, 23 37.

18 ვახტანგის სამართალი, მუხ. 214.

19 ეს საკითხი ვრცლადა განხილული ივ. სურგულაძის ნაშრომში „ნარკვებზე საქ. სახელმწიფო და სამართლის ისტორიიდან“, თბ., 1955, გვ. 112—120.

და ასეც მოხდა. უმთავრესად დაწესებული გადასახადების გაზრდა „ხარჯში გარევა“ და „ხარჯში მიღომა“ იყო. გადასახადთა გადახდის უზნარობა იწვევდა ყმისა და ბატონის ურთიერთობის გამწვავებას კი გადასახადთა განაწარმები გლეხები არა მარტო აყრა-გაქცევით, არამედ ზოგჯერ უფრო აქტიურადაც იბრძოდნენ ბატონის წინააღმდეგ. საკმაოდ ძლიერი ყოფილი კარწახელებისა და უზნარიანელთა გამოსვლა თრიალეთში, სადაც ვახტანგ VI-ს უკაცრიელი ადგილების დასახლება განუზრახავს და სათანადო ბრძანებაც გაუცია. ამით, რა თქმა უნდა, თრიალეთის მცხოვრებთა სახელმწიფო სამსახური იზრდებოდა, ამიტომ „მრავალი შფოთი და ცილობა“ დაწყებულია. სახელმწიფო პირთაგან აჭანყებულთა დაშოშმინება მორიგების გზით რომ ვერ მოხერხდა, ძალით სცადეს, მაგრამ შედეგს მაინც ვერ მიაღწიეს. „გლეხი კაცის თავხედობა ვერ მოვშალეთ“<sup>20</sup>, წერდა ვახტანგ მეფე.

კარწახელებისა და უზნარიანის გლეხთა გამოსვლას უშედეგოდ არ ჩაუვლია. აჭანყებულებმა მიზანს მიაღწიეს. ისინი სამეფო ვალდებულებისაგან გაუთავისუფლებიათ. კარწახელებისა და უზნარიანის გლეხთა გამოსვლა კლასთა ბრძოლის აღრინდელი ისტორიის ერთ-ერთი მეტყველი ფურცელთაგნია.

XVIII ს. პირველ მეოთხედში სულ უფრო და უფრო შესამჩნევი ხდებოდა კლასობრივი ბრძოლის შედარებით ახალი და თავისებური ფორმა — სოციალური ჩავრისა და თავის დაღწევის მიზნით მამაკაცურ სარწმუნოებაზე ხელის აღება — „გათათოება“ თუ „გალეკება“.

ქართველი გლეხის „გალეკებას“ ნ. ბერძენიშვილი სოციალურ საფუძველს უქნას და ონიშნავს, რომ კახელი გლეხები (იგულისხმება ქართლელი გლეხებიც) „ლეკობაში“ „უბატონობას“ ხედავენ და ეს კი საბოლოოდ ყოველივე დაბრკოლებას სძლევდა... გლეხი გალეკებაში უბატონობას ეძებდა“<sup>21</sup>.

ბატონის უფრო ჩავრითა და უცხოელთა ძალმომრეობით შევიწროებული გლეხები ხშირად თავიანთ მშობლიურ აღგილებში ვეღარ ძლიებდნენ, გარბოდნენ, „ყაზახობდნენ“, და „ხიზანდებოდნენ“. ამის უარავი მაგალითი გვაქვს. მაგ. გლეხები მიიღო ბატონის რუსეთში ვახტანგ VI-სთან და ქართველ მოახალშენებთან, რომელიც ქართლში დამყარებულ რეჟიმს გაურბოდნენ. ვახტანგის გარდაცვალებასთან და კავშირებით შემდგარი უწყისების მიხედვით, რუსეთისათვის 392 კაცს

20 ს. კაკაბაძე, ისტ. საბ., V, გვ. 12.

21 ნ. ბერძენიშვილი, XVIII ს. საქართველოს ისტორიიდან, მსკი, 1944, ნავ. I, გვ. 187—88.

შეუფარებია თავი, ხოლო სამშობლოში დაბრუნებულა 177<sup>22</sup>. ეს იმას /  
ნიშნავდა, თუ რამდენად აიძულებდა ქართველ კაცს გარეშე შრომის  
და სოციალური ჩაგვრის აუცილებლობა სამშობლოს გასცლოდა. ამას-  
თანავე „გაქცევასთან“ დაკავშირებული და მეტ-ნაკლებად გავრცელე-  
ბული მოვლენა გახდა გახიზვნა ომოსავლეთის ქვეყნებში, რაც, უმე-  
ტეს შემთხვევაში, „გათათრებაში“ გამოიხატებოდა. ბატონიყური ექ-  
სპლოატაციისაგან გაქცეულთა ლტოლვას სამხრეთ-აღმოსავლეთისა-  
კენ რამდენადმე აქტებდა შედარებით „რბილი ჩაგვა“, რაც ამ ქვე-  
ყნის ჩამორჩენილობას ახასიათებდა და ის პიროვნული თავისუფლე-  
ბის ილუზიები, რის გამოც გაქცეულთა იმედგაცრუება (რელიგიური  
და ეროვნული ჩაგვრის იმ სამყაროში) გარდაუვალი იყო.

„გალეკებაც“ კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი პასიური ფორმა  
იყო, რომელიც დაღესტნელ მთიელთა შემოტევებისა და უკიდურესი  
გაძლიერების პერიოდში წარმოიშვა<sup>23</sup>. მწარმოებელი საზოგადოების  
აყრის თავის მიწაშეყლიდნ და სხვა ბატონთან თუ მეზობელ ქვეყანაში  
შეხიზენას ვახტანგ VI განსაზღვრულ მნიშვნელობას ანიჭებდა. ამ მი-  
ზნით მან სპეციალური ღონისძიება გაატარა. ეს იყო ე. წ. „მყრელო-  
ბა“, რომლის საშუალებითაც არა მარტო კახეთიდან, არამედ ქართლის  
სხვადასხვა კუთხეში გახიზნული გლეხები თავიანთ ძეელ მამულებზე  
უნდა დაებრუნებინათ. ვახტანგ VI-მ იმასაც მიაღწია, რომ სპარსეთი-  
დანაც ოფიციალურად მიიღო დასტური ამ ღონისძიების ჩასატარებ-  
ლად<sup>24</sup>. სპეციალურ „მყრელებს“ მიენდოთ ეს მძიმე საქმე. „მყრელო-  
ბა“ ეფექტურად მიმდინარეობდა, მაგრამ იყო შემთხვევები, როდესაც  
წასული ყმები ძალადობდნენ და უკან არ ბრუნდებოდნენ.

ვახტანგმა ისიც მოახერხა, რომ „მყრელობის“ განხორციელებაში  
კახეთის სამეფო კარიც აქტიურად ჩააბა. კახეთის სამეფო კარის მო-  
ხელენი პირობას სდებდნენ, რომ, თუ ღირსეულად ვერ შეასრულებ-  
დნენ დასახულ მიზანს და ქართველი ყმების აყრის ვერ მოახერხებ-  
დნენ, ჯარიმას გადაიხდიდნენ 500 თუმნის ოდენობით. ათასობით გაქ-  
ცეულ-გადახვეწილი გლეხი უბრუნდებოდა თავის ძეელ კერძს. ვახ-  
ტანგ VI-ის შემუშავებულმა კანონმდებლობამ განსაკუთრებული შე-  
ღავათები მიანიჭა „ახალ მოსულ კაცებს“. რომლებიც ერთი წლის  
ვადით გაანთვისუფლეს გადასახადებისაგან<sup>25</sup>.

22 ხ. ი. ფ. H, № 3078, გვ. 1—29.

23 მ. ღ მ ბ ა ძ ე, საქ. ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973, გვ. 397; ღ. მ ე გ-  
რ ე ლ ა ძ ე, გლეხობის კლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XVII—  
XVIII სს.), 1979, გვ. 58.

24 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ისტორიული საბუთები, V, ტც., 1913, გვ. 17, 24.

25 დასტურლამალი, პ. უმიჯაშეილის გამოც. 1886, გვ. 10.

ვახუთი თავი

## კართული კულტურის აღორძინება ვახტანგ VI-ის თაოსნობით

XVIII საუკუნის დასაწყისში საქართველო ორანისა და თურქეთის ძლიერ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ზეგავლენის განიცდიდა. ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვით, XVII ს. მეორე ნახევრიდან „შეერთოთ ქართველთა“ ყიზილბაშური „უგვანო“ წეს-ჩვეულებანი. ვახტანგ VI-ის მეთაურობით ქართული პოლიტიკისა და იდეოლოგიის მოღვაწენი კარგად ხედავენ ამ საშიშროებას. მათ ესმოდათ, რომ ქართველობისათვის ეროვნული სახის შენარჩუნება, გარდა ფიზიკურ არსებობაზე ზრუნვისა, მის კულტურასა და იდეოლოგიაზე ზრუნვასაც მოითხოვდა. ქართული კულტურის დაცვისა და განვითარებისათვის ბრძოლაში უდიდესი როლი სწორედ ვახტანგ VI-მ შეასრულა. მის ირგვლივ დაირაზმა მთელი დასი ქართული მოწინავე საზოგადოების წარმომადგენლებისა (საქართველოს ყოველი მხრიდან), რომელთაც არ დაიშურეს ყველა შესაძლებლობანი ქართული ენის, ქართული ლიტერატურის, კულტურისა და მეცნიერების ასალორძინებლად.

ივ. ჯავახიშვილის დახასიათებით, „სწორედ გასაოცარი ხანა იყო ეს ხანა! ასეთი დაუღალევი მედგარი მუშაობა, რომელსაც ერთი საზოგადო მიმართულება ჰქონდა და ფართო და ღრმა ნიაღავი ეპურა. უფლებას გვაძლევს ქართული მწერლობის ამ ხანას ენციკლოპედიური ხანა დავარქვათ სახელად. თითქმის ყველა იმდროინდელი მოღვაწის აზრი და გონება იმ ფიქრისაკენ იყო მიმართული, რომ ქართველი ხალხის შემოქმედებითი ნიჭის მრავალი საუკუნის ნამუშევარი და ნაპირნახულევი შეეკრიბათ, შეესწავლათ და ჩამომავლობისათვის დამთავრებული, ყოველმხრივი წარმოდგენა და ცოდნა გადაეცათ. იმ დიდი საქმის მოთავედ და სულის ჩამდგმელად დიდებული, დაუვიწყარი ვახტანგი იყო“<sup>1</sup>.

XVIII საუკუნის დამდეგისათვის საქართველოში სასწავლო-საგანმანათლებლო კერათა რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა. შესაფერისი სწავლა-განათლების მიღებას მხოლოდ სამეფო ოჯახისა და

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ცტორია, ტ. I, 1928, გვ. 116.

დიდ ფეოდალთა შვილები ახერხებენ. ვახტანგ VI-ის სიტყვაში მომდინარეობს საქართველო „მრავალგზის მტერთაგან მოოხრებული იყო და არღა დაშობილ იყო ქართულსა ენასა ზედა სწავლა ესე ფილოსოფოსთა, (რის გამოც) სხვათა ენის კაცნი ქართველთა ეკიცხებოდნენ“<sup>2</sup>.

ვახტანგ VI-მ სათანადო ღონისძიებები გაატარა განათლებისა და ცოდნის გასავრცელებლად. თანამედროვის სიტყვით, ვახტანგი იყო „ყრმათათვის დიდად მოღვაწე და სწავლა-შემატების გულის-მოღვინეული“<sup>3</sup>.

ვახტანგ VI-ის ღონისძიებათა შედეგად აღმოსავლეთ საქართველოში განათლების კერათა რაოდენობა საგრძნობლად გაფართოვდა. ამ საქმეს ემსახურებოდა ქართული სტაბებების მიერ სახელმძღვანელოების გამოცემა, რაც სიახლეს წარმოადგენდა. პირველი ქართული მეთოდური პედაგოგიური სახელმძღვანელო — „სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა“ 1711 წელს დაიბეჭდა თბილისის სტამბაში. სახელმძღვანელო დაბეჭდილი იყო მხედრული შრიფტით და შედგენილი იყო გერმანული სიონის ხუცეს მონაზონის მიერ. იგი ითლი, საერთ ენით ადვილასათვისებელი გახდა ჭაბუკებისათვის. ვახტანგ VI-მ ეს წიგნი ავტორს შეამოკლებინა, რათა ადვილი გამხდარი ხმარებისათვის.

წიგნს ახლავს ვახტანგ VI-ის წინასიტყვაობა, სადაც წერია, წიგნი იბეჭდება „ძეთა და სულთა ჩემთა ოლსახრდელად“.

სახელმძღვანელოს ავტორი გერმანული წიგნი ვახტანგმა „ყრმათათვისაც დიდად მოღვაწემ და სწავლა შემატების გულისმოღვინებ... დააბეჭდინა თვისა საფასეთა წარსაგებელთა“<sup>4</sup>.

1721 წ. თბილისშივე გამოიცა ვახტანგ VI-ის მიერ სპარსული-დან თარგმნილი კოსმოგრაფია-გეოდეზიის სასწავლო-სახელმძღვანელო „აიათი, ანუ ქმნულების ცოდნა“<sup>5</sup>. ეს იყო პირველი ნაბეჭდი სამეცნიერო-საბუნებისმეტყველო სახელმძღვანელო და მას ქართული კულტურის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, იმის გამო, რომ იგი მიჩნეულია ასტრონომიის, ნატურალური ასტროლოგიის, გეოგრაფიისა და გეომეტრიის პოპულარული შესწავლის ერთ-ერთ პირველ ცდადნ.

2 ქ. შარაშიძე, ქართული ნაბეჭდი სახელმძღვანელოები XVIII ს. (კრებულში, სწავლა-აღმინდის ისტორია საქართველოში), ტ. I, 1937, გვ. 34.

3 ქართული წიგნი, ტ. I, 1941, გვ. 17.

4 იქვე, გვ. 18.

5 იქვე, გვ. 29—30.

6 რ. ჩაგუნავა, ვახტანგ ბაგრატიონის საბუნებისმეტყველო სამეცნიერო მოღვაწეობა, 1986, თბ., გვ. 22—23.

ვახტანგ VI სახელმძღვანელოებს რუსეთში ყოფნის დროსაც  
შეკვდავდა. 1732—37 წწ. მოსკოვის სტამბის ქართულ განყოფილების გამოიცა თეოფანე პროკოპიჩის სახელმძღვანელოს „პირველი სას-  
წავლო ყრმათათვის“ ქართული თარგმანი.

განათლებისა და მეცნიერების საქმის წარმატებას დიდად შეუ-  
წყო ხელი თბილისში ქართული სტამბის დაარსებამ. ვახტანგ VI-მ  
ეს დიდი ლონისძიება სისრულეში მოიყვანა სამშობლოდან გადახვე-  
წილი ქართული სწავლულის, მეცნიერის, მესტამბის და გრავიორის ან-  
თომოზ ივერიელის აქტიური მონაწილეობით. ანთიმოზი (1650—  
1716 წწ.) 16 წლის ასაკში თურქ-ოსმალებს გაუტაციათ და სტამბუ-  
ლის ბაზარზე გაუყიდიათ. ქართველი ტყვე იერუსალიმის პატრიარქს  
შეუსყიდია და საპატრიარქო კარზე ჰყოლია დაახლოებულ პირად.  
ანთიმოზს პატრიარქის იმედები გაუმართლებია და შეუსწავლია არა-  
ბული, ბერძნული და სლავური ენები. იგი ჩინებული მხატვარი, ხუ-  
როთმოძღვარი, პოეტი და მოქადაგე გამხდარაშ. ანთიმოზი იერუსა-  
ლიმის საპატრიარქო კარზე 23 წელი დარჩენილა. ორსებობს ვარაუ-  
დი, რომ ანთიმოზს აქ გარკვეული მოვალეობა უნდა ჰქონიდა და ა-  
სრებული, კერძოდ თარჯიმნობა, რომელიც ხელს შეუწყობდა ქარ-  
თველ საერო და სასულიერო ბრძანებათა იერუსალიმის საპატრიარ-  
ქო კართან ურთიერთსაყოფად<sup>7</sup>. ამიტომაც იყო, რომ კონსტანტინო-  
პოლის ბაზარზე ქართველი ტყვით, რომელიც გარკვეული ნიშნებით  
გამოიჩინიდა, იერუსალიმის პატრიარქი დაინტერესებულა და არა  
ვინმე აღმოსავლელი ფეოდალი, რომელიც აქტიურად ქართველ  
ტყვეებს იძენდნენ. მაგრამ, როდესაც 1698 წ. უნგროვლახეთის მთა-  
ვარს კონსტანტინე ბრაკოვიანუს იერუსალიმის პატრიარქისათვის მოუ-  
თხოვია სტამბის ხელობის მცოდნე, იმ უკანასკნელს უნგროვლახეთში  
მესტამბე ანთიმოზ „ანდრია ქართველი“ მოუვლენია. აქედან დაიწყო  
ანთიმოზ ივერიელმა თავისი სასტამბო საქმიანობა. მან აქცია ვლახე-  
თი მართლმადიდებელ ქრისტიანულ ცენტრად და აქედან მოახერხა  
მთელი ქრისტიანული აღმოსავლეთის ნაბეჭდი წიგნებით მომარაგება<sup>8</sup>.  
1705 წ. მადლიერმა რუმინელებმა ანთიმოზი რიმინისკის ეპისკოპოზის  
პატივში იყვანეს. ქართლის პოლიტიკურმა მესვეურმა ვახტანგ VI-მ  
თავისი მიზნების განხორციელება იერუსალიმის პატრიარქებისა და  
უნგროვლახეთის უშუალო მონაწილეობით მოინდომა. მას იქ ან-

7 ქრ. შარაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 36.

8 გ. ლეონიძე, ქართული ეროვნული სტამბის ისტორიისათვის. „დროშა“, 1951, № 2, გვ. 16; მ. გვინჩიძე, ანთიმ ივერიელი, თბ., 1973.

9 შ. კურალეშვილი, ქართ. სტამბის ისტ-დან, 1959, გვ. 25; ვალე-  
რია კრისტეა, „ანთიმოზ ივერიელი“, ლიტ. საქართველო, 1984 წ., 3/III, გვ. 4.

10 M. Роллер, История Румынии, 1950, с. 181.

თიშოზ ივერიელი ეგულებოდა, რომელიც შეეცდებოდა თავისი ქარგული სამშობლოსათვის ძალა და ენერგია არ დაეშურა ტე-ტექნიკური დეისით საქმე ისე აეღორძინებინა, როგორც ეს მან თავის მეორე სამ-შობლოში — უნგროვლახეთში მოახერხა.

პირველ რიგში, ვახტანგმა იერუსალიმის პატრიარქ ხრისანთეს სთხოვა საქართველოში გამოცდილი მესტამბე გაეგზავნათ. ხრისანთეს კი, თავის მხრივ მაშინვე ანთიმოზისათვის (რომელიც ხრისანთესთან ერთად იერუსალიმის კარზე მოღვაწეობდა) უცნობებია ქართლის შმართველის თხოვნა. სიყრმიდან სამშობლოს მოწყვეტილ ანთიმოზს საქართველოში წიგნის ბეჭდვის წარმოება პირად საქმედ მიუჩნევია და 1707—08 წწ. ამ საქმეში გამოცდილი და გაწაფული თავისი მოწაფე მიჰაი სტეფანაშვილი-იშტვანვიჩი მოუვლენია<sup>11</sup>. ეს დაახლოებით იმ წლებში მოხდა, როდესაც ანთიმოზ ივერიელი თავისი სასულიერო და პოლიგრაფიული საქმიანობის აღზევების ზენიტზე იყო ასული. 1708 წ. ანთიმოზს უნგროვლახეთის მიტროპოლიტობა ჰქონდა ბოძებული. 1708—1709 წწ. კი ქართული სტამბის მომზადების წლები იყო.

„მომართა ქვეყანასა ქართლისა, დიდის საფასითა და წარსაგებელითა“, წერია ვახტანგის შესახებ 1711 წ. გამოცემულ „სწავლა-ნის“ ანდერძში.

სტამბისათვის სპეციალური „სახლები“ აშენდა, რომელიც მეფის სასახლესთან იყო ახლოს, მტკვრის მარჯვენა მხარეს, ანჩისხატისა და სიონის ტაძრის შუა მდებარე ფართობზე. იგი რამდენიმე ოთახიან შენობას წარმოადგენდა. რაც შეეხება სტამბის მოწყობას — სასტამბო შრიფტის, სასტამბო იარაღების და სასტამბო დაზგის შემზადებას, აღგილზე უნდა გაკეთებულიყო<sup>12</sup>. მიჰაი სტეფანაშვილი მაღალკვალი-ფუციური მესტამბე იყო, კარგად ჰქონდა შესწავლილი თავისი მას-წავლებისაგან პოლიგრაფიული საქმიანობა და მისთვის აღგილზე სასტამბო დაზგის მოწყობა ძნელი არ უნდა ყოფილიყო.

ვლახელი მიჰაის თაოსნობით, ქართულმა სტამბამ 1709 წ. დაბეჭდა პირველი „სახარება“ და თბილისის სტამბის მოღვაწეობას საფუძველი ჩაუყარა. ამ „სახარების“ ერთი ცალი ვახტანგ VI-მ ანთიმოზ ივერიელს გაუგზავნა. ანთიმოზს იგი საგანგებო ყდაში ჩაუსვამს და ვლახეთის შმართველს კონსტანტინე ბრაკოვიანუსათვის უბოძებია<sup>13</sup>.

11 გ. ლეონიძე, ქართული სტამბის ისტორიიდან, „დროშა“, 1951 წ. № 2, 83. 17; ქ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, 1955, გვ. 89.

12 ქ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში (1709—22 წწ.), 83—90—92; გ. ლორთქი ფანიძე, ვახტანგ VI და ქართ. სტამბის მოღვაწენი, 1962, 83. 79—80.

13 გ. ლეონიძე, დასახელებული წერილი, გვ. 18.



ამრიგად, ქართლის შეფეხს ანთიმოზ ივერიელის საშუალებით გოუხერხებია უნგროვლახეთის მბრძანებლისათვის მაღლობის გადახურვა და იმ სამსახურისათვის, რომელიც ვლახეთის სახელმწიფოს საქართველოსათვის გაუწევია.

ვახტანგ VI-ის უშუალო მონაწილეობითა და რედაქტორობით 1709—1712 წწ. თბილისის სტამბაში დაიბეჭდა 14 წიგნი, რომელთავან 11 საეკლესიო იყო, 2 სასწავლო სახელმძღვანელო და ერთიც უვეფხისტყაოსანი<sup>14</sup>. სასულიერო ლიტერატურაზე გულისყურის გაძლიერება ვახტანგს ერთ-ერთ პოლიტიკურ იდეოლოგიურ ღონისძიებად და ქვეყნის ოლდგენა-გაძლიერების საშუალებად მიაჩნდა. ვახტანგის სტამბის სახელმოხევეჭილი რედაქტორი ნიკოლოზ ორბელიანი წერდა: „ხელით წერაში ჩვენი საღვთო წერილნი გარყვნილ იყო“. ამიტომაც საღმრთო წიგნები იბეჭდებოდა მათი დედნებთან შეკრება-შედარების და რედაქტირების შედეგად. სასულიერო ხასიათის წიგნთა ბეჭდვის შემდეგ ვახტანგ VI-მ საერო ხასიათის წიგნებზე გადაინაცვლა. პირველ რიგში მათი გული მოიგო: „გაცუდდნენ ყოველნი მზრახველნი“ — სწერია 1709 წ. „სამოციქულო“ ლექსში.

სტამბის მოწყობისადმი სკეპტიკურად განწყობილ პირთა წინააღმდეგობის მიუხედავად, ვახტანგმა ბეჭდვა ხუცურით — ნუსხა-ხუცური შრიფტით დაიწყო და შემდეგ მხედრულზე გადავიდა. სასულიერო წიგნების მხედრული შრიფტით დაბეჭდვა, „მოსახლეობაში მათი ფართო გავრცელება, მისი პოპულარიზაცია საზოგადოების თვითშეგების ამაღლებისა და მათი ზნეობრივი სრულყოფის მიზნით ხდებოდა“<sup>15</sup>. ვახტანგ VI-ს ამ ღონისძიების გატარება სრულიად დროულად მიაჩნდა. ვახტანგის სტამბის ქალალდს ჭვირნიშანი ჰქონდა, რაც მის ევროპულ წარმოშობაზე ლაპარაკობს. არსებობს აზრი, რომ ქალალდის მოტანა ევროპიდან და მესტამბის მოწვევა ერთდროულად უნდა მომხდარიყო<sup>16</sup>, რაც სრულიად დასაშვებია. ქართული წიგნის გამომცემლებსა და რედაქტორებს მძიმე და საპასუხისმგებლო საქმე დაევალათ. მათ უნდა მოეხდინათ სასულიერო და სასწავლო წიგნების შეფრება უცხო და მშობლიურ დედანთან, ამის საფუძველზე უნდა შეეტანათ შესწორებები და დაზიანებული ადგილები აღედგინათ. ეს შარტო ტექნიკურ სამუშაოებს არ გულისხმობდა და კვალიფიციურ მუშავთა დასს მოითხოვდა. ასეთი დასი ქართლში აღმოჩნდა, ვახტანგ VI-ის თაოსნობით ნიკოლოზ ორბელიანის, გერმანე მღვდელმონაზონის, მიქელ მესტამბის, გარსევანყოფილი მღვდელი გაბრიელის და ვიქრინე სამთავრების სახით<sup>17</sup>. რედაქტორები გარდა სტილისტური

<sup>14</sup> ე. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 88.

<sup>15</sup> ქ. შარაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 94.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 123, 124.

ცელილებებისა, შინაარსობრივ სხვაობებსაც იძლეოდნენ ტაქტის  
გამარტივებისა და გაგების თვალსაზრისით. თვითონ ვახტანგიშვილი მიზანზე  
და:

„ვთქვი ენით ადვილით, რომ იყოს მოუწყინები,  
არვინ გამხალოთ ამისთვის საკითხევ-მოსაყიდვები“.

მხედრული შრიფტის წარმოქმნა და შემოღება ვახტანგ VI-ის  
მოღვაწეობასთანაა დაყავშირებული. ქართული კულტურის ისტო-  
რიაში ამ ფაქტს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭებოდა. ადვი-  
ლი მხედრული შრიფტითა და ადვილი „სოფლიური“ ენით დაწერი-  
ლი წიგნები უფრო დიდ გავრცელების არეს მოიცავდა და უფრო  
იოლად შესძლებდა პოლიტიკურად დაქსაქსული სახელმწიფოს შე-  
მომტკიცება-გვერთიანებას. ვახტანგ VI-ს სოლომონ მაღალაძისათვის,  
რომელიც კათალიკოსის კარის მდივან-მუზიკონბარი იყო, დაუვალებია  
მხედრული შრიფტის ხელნაწერი ნიმუშის დამზადება<sup>17</sup>.

დადგენილია, რომ სოლომონ მაღალაძის მოღვაწეობის ხანა  
(1703—1737 წ.) ვახტანგ VI-ის კულტურულ-პოლიტიკური საქმიანო-  
ბის წლებს ემთხვევა. მაღალაძის მიერ ხელით ნაწერი მხედრული ვახ-  
ტანგის ნაბეჭდი წიგნების მხედრულის მსგავსია<sup>18</sup>.

1712 წ. ქართული წიგნის ბეჭდვის საქმიანობა შეფერხდა. ირანის  
შაპმა ვახტანგს მაქმადიანობის მიღება შესთავაზა და ურჩი პასუხის  
მიღებისთანავე, გაგულისებულმა ირანის მმრდანებელმა ქართლის  
გამგებელი ისპაპანს იხმო. აზიური პოლიტიკის მოძულე ვახტანგი  
ირანის ძნელსა და მძიმე გზას დაადგა. როგორც ჩანს, ვახტანგის სა-  
ქართველოდან უცხოეთში გადახვეწას თან მოჰყვა მიჰაი სტეფანაშვი-  
ლის თავის სამშობლოში დაბრუნება. 1713 წ. პარიზს ანთიმოზ ივე-  
რიელი პატრიარქ ხრისტოს წერლა, რომ მიჰაი თავის დედაქალაქს  
დაუბრუნდა და შემდეგ პოლანდიაში მიდის თავისი ხელობის უფრო  
ღრმად დასაუფლებლადო<sup>19</sup>. მიჰაის საქართველოდან წასვლა და შემ-  
დეგ უკან სამშობლოში დაბრუნება, არ შეიძლება მარტო სასტამბო სა-  
ქმის კვალითიკაციის ამაღლების სურვილით ყოფილიყო გამოწვეუ-  
ლი. უნდა გავითვალისწინოთ ის მომენტიც, რომ მესტამბე თავისი  
მასწავლებლის ანთიმოზის და თავისი თანამოღვაწის ვახტანგის პო-  
ლიტიკის სულიერი თანაგამზრახიც უნდა ყოფილიყო. ვახტანგ VI-ზ  
ქრისტიანობა არ დაპგმო და უარყო შაპმის წინადადება. ხოლო რუმი-  
ნეთში მყოფი ანთიმოზ ქართველიც (რომელიც აზიური პოლიტიკის  
გატარების წინააღმდეგი იყო თავის მეორე სამშობლოში) ცნობილია

17 ქ. შარაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 14, 114.

18 იქვე, გვ. 112—113.

19 გ. ლეონიძე, დასახ. წერილი, გვ. 18.



ევროპისა და, კერძოდ, რუსული ორიენტაციისაკენ იხრებოდა. ან-  
თიმოზი თავისი რწმენის მსხვერპლი გახდა. ოსმალთაგან დადგრილი მას  
ეპისკოპოსთა ყრილობამ ანთიმოზი შერისხა და იგი რუმინეთის კანო-  
ნიერი მმართველის მეამბოხედ გამოაცხადა. მას მისნობაც დასწამეს.  
კრებამ მას მიტროპოლიტის უმაღლესი ხარისხი ახალა და გააძევა სი-  
ნას მთამე. სინას მთამდე ანთიმოზს არ მიუღწევია. თურქმა ჯარისკა-  
ცებმა მოხუცი ქართველი მოღვაწე 1716 წ. ქ. აღრიანოპოლითან დაი-  
კირეს, ასო-ასო აკუშეს და მდ. მარიცის ტალღებს გაატანეს. ასეთი  
გულსაკლავი იყო ბოლო კიდევ ერთი ქართველი დიდი მოღვაწისა,  
რომლის ბეჭი 16 წლის ასაკში თურქმა მტაცებლებმა გადაწყვიტეს,  
ხოლო სიბერის უკანასკნელი წლებიც მათვე შეუკვეცეს და სიკვდი-  
ლი დაუჩქარეს. ამდენად, ჩვენი ვარაუდით, მიპაი სტეფანაშვილის სა-  
ქართველოდან უკან უნგროვლახეთში დაბრუნება სწორედ მაშინ მოხ-  
და, როდესაც ვახტანგ VI-მ თავისი პოლიტიკური ხაზი სრულიად შე-  
ცვალა, სპარსეთის შაპის წინადაღება არ მიიღო და თავი ტყვეობისა-  
თვის გაიმეტა. ვფიქრობთ, ეს აქტი ანთიმოზისა და ვახტანგის ერთო-  
ბლივი პოლიტიკური თანამშრომლობის თვალსაზრისით უნდა ყოფი-  
ლიყო გაპირობებული. ქართლის გამგებლის, ვახტანგის სამშობლო-  
დან გამგზავრებას თან მოჰყვა სტამბის მუშავთა მუშაობის საგრძნობი  
შენელება.

თბილისის ქართულმა სტამბამ 1712 წ. დასაწყისში მხოლოდ  
„ვეფხისტყაოსანი“ და „კურთხევანი“ დაბეჭდა. „ვეფხისტყაოსნის“  
ვამოცემის აუცილებლობა ორი მომენტით იყო გაპირობებული. პირ-  
ველ ყოვლისა, „ვეფხისტყაოსნის“ არსებული ხელნაწერები ვეღარ  
აქმაყოფილებდნენ ამ ნაწარმოებისადმი წაყენებულ გაზრდილ მოთ-  
ხოვნილებას. ქართული საზოგადოების კულტურული დონე ახალ  
იდეალებს აყენებდა. მეორე მომენტი კი იმაში მდგომარეობდა, რომ  
ქართლის ცენტრალური ხელისუფლება თავს იმდენად მოღონიერებუ-  
ლად გრძნობდა, რომ თავისი პოლიტიკის წარმოებას იდეოლოგიაში  
სრულიად მიზანშეწონილად მიიჩნევდა.

თბილისის სტამბა საკმაოდ დიდ პროდუქციას იძლეოდა, მაგრამ  
წიგნება არსებულ მოთხოვნილებას მაინც ვერ აქმაყოფილებდა. XVIII  
საუკუნისათვის განათლებისა და წიგნთა გამრავლება-გავრცელების  
მნიშვნელოვან ცენტრებად კვლავ ეპლესია-მონასტრები რჩებოდნენ.  
ქართლში განსცურობით ცნობილი იყო შიო მღვიმე და მცხეთა. მა-  
ლიალ დონეზე იდგა კალიგრაფია და წიგნის მხატვრული გაფორმება  
(თავსამკაულები, ბოლოსართები, მთავრული ასოები, ილუსტრაციე-  
ბი, ყდა...).

ვახტანგისდროინდელ საკათედრო ტაძრებსა და მონასტრებში,  
მსხვილ საფეოდალო სასახლეებში არსებობდა მდიდარი ბიბლიოთე-

ქები და დოკუმენტთა საცავები — „საწიგნები“, მაგ., ქართლში შიომ მღვიმეს, მცხეთის საყდრის, თბილისის სიონის და სხვათა თაღლის წიგნსაცავები პქონდათ.

ვახტანგ VI-ის თაოსნობით თბილისში 1709 წ. სტამბის გამართვა და წიგნების ბეჭდვის დაწყება ეროვნული მნიშვნელობის ფაქტი იყო. იგი „პირველი სტამბა იყო საერთოდ კავკასიაში“<sup>20</sup>, რისი წყალობითაც ევროპული ცივილიზაციის ეს დინება თბილისიდან უნდა გავრცელებულიყო მახლობელ აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაში. ასეც მოხდა. ეს ფაქტი ვახტანგ VI-ის სახელმწიფოებრივ-სახო-გადოებრივი მოღვაწეობის უაღრესად მნიშვნელოვანი და ყურადსაღები ღონისძიება იყო. თბილისის სტამბაში ნაბეჭდი წიგნები საქართველოს ფარგლებსაც გასცდა. დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსანი“ ჩვეულებრივ გამოცემულ წიგნს არ წარმოადგენდა. მისი პირველი გამოცემის საკითხს შეეხო არა ერთი ცნობილი მკვლევარი, რომელთაც უმთავრესად გამამახვილეს ყურადღება ფილოლოგიურ-ლიტერატურული თვალსაზრისით<sup>21</sup>.

„ვეფხისტყაოსანი“, როგორც ზევით აღვნიშნეთ, პირველად დაიბეჭდა 1712 წ. ქ. თბილის ვახტანგ VI-ის თაოსნობით და უშუალო მონაწილეობით.

რაკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის სიტყვით: „ფეოდალური საქართველოს ცივილიზაცია სამ სვეტს ემყარებოდა. „ვეფხისტყაოსანი“, სახარება და „ქართლის ცხოვრება“ იყო გამარჯვებული ფეოდალური ურთიერთობის სამი „წმინდა წიგნი“<sup>22</sup>.

ცივილიზაციის ამ სამი სვეტის შემაგრება ვახტანგ VI-ზ მოახდინა. მან პირველმა 1709 წ. თავის მიერვე მოწყობილ სტამბაში დაბეჭდა ქართული სახარება, გამოსაცემად მოამზადა და დასტამბა „ვეფხისტყაოსანი“ და თვითონვე უხელმძღვანელა „ქართლის ცხოვრების“ მეცნიერული ტექსტის დადგენისათვის ჩატარებულ სამუშაოებს. გარტო ეს ფაქტი ვახტანგ VI-ის სახელმწიფოებრივ-კულტურული მოღვაწეობის შეფასებისათვის კმაროდა.

20 3. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, ქართული სტამბის წიგნი 1629—1979 წწ., თბ., 1985, გვ. 739.

21 ა. შანიძე, „ვეფხისტყაოსანი“, შესავალი წერილი, 1937; ქ. კ ე კ ე ლ ი ძე, ეტიუდები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, გვ. 270—85; ა. ბარამიძე, „ვეფხისტყაოსანი“ ვახტანგისული განმარტება, ლიტ. გაზ. 1962 წ., № 46; გ. ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი, რუსთველოლოგია, 1941; ქ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, თბ., 1955; ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, ვახტანგისული ვეფხისტყაოსანის რედაქცია, 1957.

22 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, შესავალი წერილი, 1966, გვ. 7.

ვახტანგ VI-მ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს დაურთო ბოლოსიც უკავია შემდეგი სათაურით: „თარგმანი პირველი წიგნისა ამის ვეფხისტყაოსნისა, თქმული ბატონიშვილის პატრონის ვახტანგისა“.

ამ ბოლოსიტყვაობით, როგორც აღიარებულია სპეციალურ ლიტერატურაში, ვახტანგმა დასაბამი დაუდო ლიტერატურულ-კრიტიკული აზროვნების განვითარებას საქართველოში და საფუძველი ჩაუყარა სპეციალურ დისციპლინას, რომელსაც დღეს „მეცნიერული რუსთველოლოგია“ ეწოდება<sup>23</sup>.

ვახტანგის მიერ შედგენილი „თარგმანი“, რომელიც წარმოადგენს ქართული ლიტერატურული კრიტიკის საძირკველს, საინტერესოა, როგორც ქართული ფეოდალური აზროვნების, იდეურ-პოლიტიკური შეხედულების გამომხატველი დოკუმენტიც.

„ვეფხისტყაოსნის“ გამოცემისა და მისი ბოლოსიტყვაობის შედეგენის საჭიროება, უწინარეს ყოვლისა, გაპირობებული იყო იმ იდეური ჭიდილით, რომელიც ასესძობდა სამეფო კარსა და ქლერიკალთა შორის XVI—XVIII სს-ში.

ყოველი კომენტარი, რომელიც ქართლის პოლიტიკურმა მმართველმა „ვეფხისტყაოსნას“ განმარტებების სახით დაურთო, გაბატონებული იდეოლოგიის პოზიციიდანაა შედგენილი და ამ მსოფლმხედველობის ერთგვარ ანარეკლ წარმოადგენს. ვახტანგი იძულებული შეიქნა მიემართა ისეთი ხერხისათვის (ე. წ. ალეგორიულ-მისტიკური ხერხისათვის), რომელიც დაიცავდა პოემას „ავად მჩხრეკელთა“ მოსალოდნელი თავდასხმისაგან. ვახტანგ VI-ისგან ამორჩეული საშუალება ერთგვარი ფრთხილი პოლიტიკური ფანდი, თავისებური „დიპლომატიური სვლა“ იყო, რომლის მეშვეობით მას უნდა გაემართლებინა „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდური გამოცემა და მისი ფართო გავრცელება იმ პირთა წინაშე, რომელთა ხელთ იყო იმდროინდელი იდეოლოგიის საჭე და ძალაუფლება. წინააღმდეგ შემთხვევაში, პოემის დაბეჭდვის სანქციის მიღება შეუძლებელი იქნებოდა. თავის კომენტარებში ვახტანგ VI-მ „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი განიხილა ფეოდალურ სოციალურ ურთიერთობებზე წარმოქმნილი, ქრისტიანულ-კლერიკალური მორალის, გაბატონებული ფილოსოფიური და ეთნიკური წარმონაქმნის შუქზე, რათა თავისი მიზანი განეხორციელებინა და პოემის გამოცემის თავდაპირველი სანქცია მიეღო. ვახტანგს კარგად ესმოდა, რომ მას, როგორც ქვეყნის სახელმწიფოებრივ მოღვაწეს, მისი

23 გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგია, 1941, გვ. 64; ქ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, თბ., 1955, გვ. 164—67; ა. ბარამიძე, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული განმარტებანი, ლიტ. გაზ., 1962, № 4; ს. ყუბანევა შვერი, ვეფხისტყაოსნის გამოცემისადმი დამკიდებულება XVIII—XIX სს., ლიტერ. ძიებანი, 1943, წ. 1.

იდეოლოგიური მესვეურობაც უნდა ეკისრა. იგი პირდაპირ აცნადებს  
თავის კომუნტარებში, რომ „ვეფხისტყაოსნის“ შეფასება მიქნავთ მომა-  
დი საქმეა, მისი უშუალო დანიშნულებაა, რაღან იგი ქვეყნის პოლ-  
ტიკური გამგებელია და სულიერი ცხოვრების მწარმოებელი.

„ქუფყნის უფროსი — წერს იგი — ავის დამშლელი წამს და ამად  
დავშვერ“<sup>24</sup>.

ავის დამშლელის როლში თვითონ ვახტანგი გამოვიდა. ერის წი-  
ნაშე ეს პასუხისმგებლობა თვითონ იდო თავს. თავისი პოლიტიკური  
უფლებები მან „ავის დაშლისაქენ“ წარმართა და ოფიციალურ წრეებ-  
ში დაუშვებელი და მიუღებელი კლასიკური ხანის ლიტერატურული  
ძეგლი — „ვეფხისტყაოსნი“ ისევ ქართული აზროვნებისა და პოე-  
ზიის შედევრად გამოაცხადა.

ვახტანგ VI-ის როლი და მძიმე პოლიტიკური ცხოვრება მუდამ  
გადახლართული იყო ეროვნული კულტურისა და აზროვნების ოლორ-  
ძინებასთან.

ქართველი ერის სულიერმა ჭირისუფალმა კარგად აუღო ალლო  
იმ გარემოებას, რომ საღვთისმეტყველო ლიტერატურასთან ერთად  
დაბეჭდვა და გამრავლება სჭირდებოდა საერო ლიტერატურულ ძეგ-  
ლებსაც. მომწიფებული იყო დრო, როცა ქართული მოწინავე საზო-  
გადოება საერო მწერლობისადმი გამოცოცხლებულ ინტერესს გა-  
მოიჩინდა. თავისი გამოცემის ბოლოსიტყვაობაში ვახტანგი წერს:  
„საღმონა აღარ კითხულობდნენ და სოფლის ზღაპარს უფრო წაიკით-  
ხავდნენ“<sup>25</sup>.

ვახტანგის დამოკიდებულება „ვეფხისტყაოსნისადმი“, როგორც  
საერო ხასიათის ძეგლისადმი, კიდევ უფრო ანგარიშგასაწევი და და-  
მახერებელია, თუ ჩვენ გავითვალისწინებთ მის შემდგომ ღვაწლს ამ  
სფეროში. პოლიტიკურ სარბიელს მოწყვეტილმა და სამშობლოდან  
დაკარგულმა მეფემ საერო ხასიათის ლიტერატურის ოლორძინებისა  
და განვითარების საქმეს შეალია მთელი თავისი შემოქმედებითი ძა-  
ლები და შესაძლებლობანი.

ვახტანგ VI-ის მთელი ეს საქმიანობა ქართველი ერის კულტუ-  
რული ცხოვრების გამდიდრებისაქენ იყო მიმართული. „ვეფხისტყაო-  
სნის“ გამოცემაც ამ მოთხოვნებს პისტორიანი

ვახტანგი თავის გამოცემას უნაკლოდ არ მიიჩნევდა: „თუმცა  
უწესოდ იყო და ანუ უკეთ სცნო ვინმე, თქვენცა სთარგმნეთ“<sup>26</sup>, მო-  
რიდებით აღნიშნავდა იგი. ტექსტში ცვლილებების შეტანის შესახებ,

24 შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსნი, 1712, ა. შანიძის გამოც., თბ., 1937,

გვ. 7.

25 იქვე, გვ. ტბ.

26 იქვე, გვ. სპ.

გამომცემელი აღნიშნავდა: „რაც რუსთველისაა იმის გარდა, არა მით-  
ქვემს რა“.

მას კარგად ესმოდა, რომ „ამისი („ვეფხისტყაოსნის“) უკადრისის  
მკადრე, თავს გმობს“<sup>27</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგ VII-მ კეთილსინდისიერი შრომა  
გასწია „ვეფხისტყაოსნის“ გამოსაცემად, იგი მაინც აღიარებს. „მე  
თარგმანი მრავალი დამრჩა“<sup>28</sup>.

ვახტანგ VII-ის დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან პირ-  
ველმა შეძლო მეცნიერულ სიმაღლეზე აეყვანა „ვეფხისტყაოსნის“ გა-  
გების საქმე, პირველმა მისცა ქართველ მკითხველს პოემის კრიტი-  
კული ანალიზი. ვახტანგი თავის ნაბიჯს გამართლებას უძებნის, რო-  
დესაც აღნიშნავს: „ყველაკასა უხაროდა... (პოემის გამოცემა. — მ.  
ქ.) საღმომართოსა და საეროსა, ეისაც აქუს სმენა გულსა“<sup>29</sup>.

ვახტანგ VII-ისათვის მთავარი იყო გაეფანტ „ვეფხისტყაოსნის“  
ირგვლივ კლერიკალურ წრეებში გაბატონებული აზრი და გაექარ-  
წყლებინა იმ პირთა შეხედულებანი, რომელიც იმ ნაწარმოებს თავი-  
სი ტენდენციური უცოდინარობით სათანადოდ ვერ „სთარგმნიდნენ“  
და მაღალზეობრივ ხასიათს უკარგავდნენ. ვახტანგმა მათ „უვიცნი“  
უწოდა, რომელიც „მსგავსად თვალთა, ვერა სცნობენ მცნობელი“  
და ძვირფას ქვას უბრალო ბრჭყვიალა ქვად ასაღებენო. იგი ამ  
„უვიცო“ იდარებდა ისეთ ჭიათ, რომელიც ფრინველთა გვამს შესე-  
ვიან, ძიგნიან, გემოს ვერ გრძნობენ და ვერ ძლებიან, ფრინველის  
სხეულს კი ანადგურებენ და თვითონაც იხოცებიან. საგულისხმოა, რომ  
ამ ალეგორიულ შედარებას ვახტანგმა XVIII ს. რეაქციული კლერი-  
კალობის იდეოლოგთა დახმასიათებისათვის მიმართა, რათა კიდევ უფრო  
მძაფრად დაენახვებინა მკითხველისათვის „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ  
არსებული ოფიციალური შეხედულების სიმცდარე.

ვახტანგი თავის კომენტარების შესავალში წერს იმ სარგებლობის  
შესახებ, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ რეაბილიტაციას უნდი მოეტა-  
ნა ქართველი ერის სულიერი ცხოვრების გამდიდრებისათვის. ერთი  
მხრივ, „უსწავლელი და უმეცარნი სოფლის საშველად და სიბრძნედ  
შეურაცხს“ და, მეორე მხრივ, მეცნიერ სცნობენ ესრედ, ვითარ გა-  
ნიმარტვის“ და „რომ ას იგი სიბრძნისა და კეთილის ერთი დარგი“<sup>30</sup>.

როგორც ცნობილია, ვახტანგ VI-ს ეკუთვნის საინტერესო და-  
კვირვება „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის ორიგინალობის საკითხის ირ-  
გვლივ. გარდა იმისა, რომ მან პირველმა აწარმოვა და იმ დასკვნამდე

27 შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსნი, 1937, გვ. სპს.

28 იქვე.

29 იქვე, გვ. სპს.

30 იქვე, გვ. სპს.



მივიღა, რომ „სპარსში“ „ვეფხისტყაოსნის მსგავსი ამბავი არ მოიწოდება. მან ამ მტკიცებას გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებაც დამტკიცებული დო საფუძვლად. ვახტანგის რწმენით, ყოველივე სპარსულ-მაჭმადიანური მიუღებელი და შეუთვისებელი იყო ქართული იდეოლოგიური სინამდვილისათვის, ქართველი ხალხის აზროვნებისა და ფსიქიკისათვის. თვითონ ის ფაქტი, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პირველმა გამომცემელმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია პოემის წარმომავლობის სკიოთს, მარტო ძეგლის ორიგინალობის ძიების თვალსაზრისით არ უნდა ყოფილიყო საინტერესო. ამას უფრო ფართო, შეიძლება ითქვას, ისტორიული, მნიშვნელობაც უნდა ჰქონოდა. ცნობილია, რომ „სპარსულობა“ — სპარსულ-ადმინისტრაციული თუ ფსიქიკურ-კულტურული ფორმის აღიარება მაჭმადიანური გარემოების პირობებში, პოლიტიკურ მორჩილებას, ირანული ექსპანსიის წინაშე ქედის მოხრას გულისხმობდა და „ქართველობის“ ქართული იდეოლოგიის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული. სპარსული პოლიტიკისა და მაჭმადიანური იდეოლოგიის გავლენების მოძრულ ქართლის მეფე ყოველ მხრივ ცდილობს დამტკიცოს, რომ „ვეფხისტყაოსნი“ ქართული ეროვნული გენის ნაყოფია და არ არის აღმოცენებული ირანული კულტურის ნიადაგზე. ირანული პოლიტიკის ჰეგემონიის პირობებში, სპარსეთის „ვალის“ — ვახტანგ VII-ის მსგავსი განცხადება თამაში პოლიტიკური ნაბიჯი იყო და ნათლად გამოხატავდა მის ურჩ დამოკიდებულებას თავისი სიუზერენისადმი. ვახტანგის ანტისპარსული განწყობილება განსაკუთრებით აშკარად „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემიდან რამდენიმე თვის შემდეგ გამომულავნდა, როცა მან შაპის შეთავაზებულ გამაჭმადიანებაზე უარი განაცხადა, რის გამოც შორეულ ქირმანს გადაასახლეს.

როგორც აღვნიშნეთ, ვახტანგს აუცილებლად სჭირდებოდა თავისი ქვეყნის იდეოლოგიურ მესვეურთა მხარდაჭერა, რათა თანამე-მამულეთათვის დამტკიცებინა თუ რა დიდ, პრაქტიკულ — ეროვნულ, პროგრესულ საქმეს უდებდა სათავეს, როდესაც „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდვის საქმეს იწყებდა.

„ვეფხისტყაოსნის“ იდეური რეაბილიტაციის თვალსაზრისი ჩანს შაირობის ვახტანგისეულ განმარტებაშიც. ვახტანგი ხაზგასმით აღნიშნავს, შაირობა სიბრძნის დარგია, საღმრთოა, რადგან „დარგი ერთსა რიგსა პქვიან. საღმრთო, რომ საღმრთოთ გაიგონოს და დაისწავლოს, მსმენელთათვის დიდი სარგებელია“<sup>31</sup>. ამ შემთხვევაშიც, ქართლის სახელმწიფო მოღვაწეს და იდეოლოგს ღვთის მსახურთა თვალით უნდა შეეხედა „ვეფხისტყაოსნის“ გავრცელების საქმისათვის და შაი-

<sup>31</sup> შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსნი, 1937, გვ. სეზ.



რობის ამ შესანიშნავი ნიმუშისათვის ღვთის სამსახურიც დაევალებინა, როგორც სინამდვილეში ვახტანგი შაირობის, როგორც ლიტერატურული ქადაგის, შეფასებისას მთლიანად იზიარებს რუსთველის თვალსაზრისს.

„ვეფხისტყაოსნის“ ბოლოსიტყვაობაში ვახტანგი სოციალური ხასიათის საკითხებზეც ამახვილებს ყურადღებას. იგი ვასალურ-სიუზე-რენულ დამოკიდებულებას ბატონისა და ყმის ურთიერთობის ჭრილში განიხილავს. ცხადია, ვახტანგი ფეოდალური ურთიერთობის დამახასიათებელ თემას ანვითარებს და საზოგადოების გაბატონებული ფენის ინტერესების მქადაგებლად გამოდის, როდესაც ოღნიშნავს: „ეს ბატონიშიმობის სასწავლელთ უთქვამს“, „ბატონის ბრძანება ყმაშ წყნარად და გასინჯვით უნდა მოისმინოს და კიდეც უნდა ჩცხვენოდეს და კიდეც უნდა ეშინოდეს“<sup>32</sup>.

ვახტანგი უყურადღებოდ არ ტოვებდა ფეოდალური ბუნებისათვის დამახასიათებელ სიუზერენ-ვასალური ურთიერთობის მეორე მხარესაც. თუ ერთი მხრივ იგი ითხოვდა ყმისაგან ბატონისადმი სამსახურს, რიდა და ზოგჯერ შიშსაც კი, მეორე მხრივ, იგი ბატონს ავალებდა ერთგული ყმის დაფასებას. „კაი ყმა უნდა (ბატონს) უყვარდეს“ — „ბატონს კაი ყმის გაზრდა უნდა იამოს“, წერს ვახტანგ VI.

როგორც ცნობილია, ვახტანგ VI-მ „ბატონიშიმური რიგის“ მოწეს-რიგებისა და სამართლის ნორმების დადგენისათვის დიდი სამუშაოები ჩაატარა, სამართლის მთელი კოდექსი შეადგინა და საგულისხმოა, რომ მან თავის კომენტარებშიც გაამახვილა ყურადღება ამ საკითხთა მიმართ და ყმის ვასალური დამოკიდებულება ბატონისადმი, ერთგულად, ღვთის სამსახურს გაუთანაბრა. „ვინც ბატონისათვის თავს მოიკლავს, მართებული საქნელი საქმე არის და ცხონებაც აქვს“<sup>33</sup>, ხოლო „ვინც უზენაესი ბატონის — მეფის უფლებას შეასრულებს, იგი ღვთის ბრძანებასაც ადგება“, წერს იგი.

ამ შემთხვევაში, ქართლის პოლიტიკური ხელმძღვანელი, პირველ ყოვლისა, ფეოდალური სახელმწიფოს იდეოლოგიური საფუძვლის გან-მტკიცებას ცდილობდა, მეორე მხრივ, ვახტანგს მიზნად ჰქონდა „ვეფხისტყაოსნისადმი“ ფანატიკურად განწყობილ კლერიკალთათვის ენე-ცენტრიდინა პოემის ავტორის ღვთის უშიშროება და განგებისადმი უაღრესი ქედის მოხრა. ამ საშუალებით იგი ცდილობდა იმ პირთა გულის მოგებას, რომელიც ყოველ მხრივ ეცდებოდნენ პოემის გავრცელების საქმის შეფერხებას.

საინტერესოა, აგრეთვე, ვახტანგის კომენტარი სახელმწიფო გამგებლის სახელმწიფო მოღვაწის შესახებ. ქვეყნის უზენაეს

<sup>32</sup> შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსნი, 1937, ვა. ტ.

<sup>33</sup> იქვე, ვა. ტნა; რთდ.

მმართველს, ფეოდალ მეფეს იგი მზეს ადარებს. „მეფედ ქებაზ მშეც  
ითქმის და იმას უბნობს, რადგან იმს შედარებია მტერი“<sup>34</sup>, წერს მოგვადა

ამრიგად, ვახტანგი აბსოლუტიზმისაკენ ლტოლვას საფუძვლად უდებს იმ ტრადიციულ შეხედულებას, რომელიც კლასიკურ ხანაში, აბსოლუტური მონარქიის ძლიერების დროს შემუშავდა.

ვახტანგის ყურადღება მიიძყრო განსაკუთრებით „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთმა კარდინალურმა საკითხმა — მიჯნურობამ. ამ მხრივაც, გამომცემელმა გარევეული დამოკიდებულება გამოამუღავნა პოემის მიმართ.

სპეციალურ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ ვახტანგმა რუსთველური მიჯნურობა არასწორად გაიგო. ამ მოტივს ალეგორიულ-მისტიკური საფუძველი მოუძებნა და ღვთის სიყვარულს გაუთანაბრა. არსებობს აზრი, რომ ვახტანგის კომენტარებში გამომუღავნდა სიყვარულისა და მიჯნურობის სუფისტური გაგება, რაც მისი ლირიკისათვის იყო დამახასიათებელი<sup>35</sup>. ჩვენი ფიქრით, ასეთი მოსაზრება სადაც ვით, რისთვის დასჭირდა ვახტანგს განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება მიჯნურობის მოტივზე? საფიქრებელია, რომ აქაც მთავარი მიზეზი იყო ის რეალური აუცილებლობა, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემასთან იყო დაკავშირებული. ვახტანგი რამდენიმე ადგილას პირდაპირ აცხადებს: „ვეფხისტყაოსნი“, „სამედაო“ თხზულებად იყო აღიარებული და იმის „დასაცავად დავშვერი“.

„რუსთველისათვის ამ წიგნის დაწერა რომ საერთოდ დაგიშამებიათ, იმას საერთოდ არ დაუშერია. მეძავნიც და მისი მდევარნიც ნამეტნავად გაულამდავს“<sup>36</sup> — წერს გამომცემელი. ამ პუნქტშიც ვახტანგის მთავარი მიზანი იყო გაეფანტა ეს მცდარი, გაბატონებული შეხედულება „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის შესახებ, რომელიც XVII—XVIII საუკუნეებში ჩამოყალიბდა. ვახტანგს ეს მძიმე ცილისწამებაც უნდა მოეხსნა „ვეფხისტყაოსნისათვის“ და ყველა იმ სტროფის ირგვლივ უნდა დაერთო კომენტარი, სადაც კი მიჯნურობაზე იყო საუბარი. ამრიგად, ყოველი ეს შენიშვნა, როგორც სხვა შენიშვნები, გამომცემელმა წინასწარ იღებული გეზით შეადგინა, რათა გაებათილებინა XVIII საუკუნისათვის ჩამოყალიბებული „გახანგრძლივებული“ ფეოდალური ურთიერთობის საფუძველზე წარმოშობით.

34 შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსნი, 1937, გვ. ტემთ.

35 კ. კვავლიძე, ეტიუდები, ტ. II, გვ. 185; ა. ბარამიძე, ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, შესავალი, გვ. XIV; შ. შარაშიძე, პირეველი სტამბა საქართველოში, 1957, გვ. 147—48; ს. ცაიშვილი, რუსთველური მიჯნურობის განვითარება ვახტანგ VI-თან, ძველი ქართული მწერლობის საყითხები, 1957 წ. ტ. II, გვ. 237—39; მ. ქიქოძე, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემის საკითხთანვის, მაცნე, 1965, წ. გვ. 96—105.

36 ვახტანგ VI, თარგმანი, გვ. ტმზ.



ლი ოფიციალური აზრი, საერთოდ „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსსა და, კერძოდ, რუსთველური მიჯნურობის ირგვლივ. ამ ამოცანის შემსრულებელი რულება ერთი ხელის დაკვრით, ცხადია, ვერ მოხერხდებოდა. პირველ რიგში, აქაც საჭირო იყო ანგარიშის გაწევა იმ საზოგადოებისადმი, რომელიც ამ ნაწარმოების გამოცემისა და გაერცელების საბოლოო ბედს წყვეტდა. ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩინია დავუშვათ ვარაუდი, რომ ვახტანგისეული მიჯნურობის განმარტება ნაკარნახევი იყო არა იმდენად მისი პირადი რწმენით (სუფისტური თუ ნეოპლატონური შეხედულებებით), როგორც ეს აღიარებულია სპეციალურ ლიტერატურაში, არამედ პოლიტიკური მოსაზრებითაც.

ეს იყო ნაცადი ხერხი, რომელსაც ვახტანგმა, როგორც ვნახეთ, „ვეფხისტყაოსნის“ რეაბილიტაციის მიზნით არაერთგზის მიმართა სხვა საკითხთა განმარტების დროსაც, რათა საბოლოოდ გაებათილებინა აზრი, თითქოს „რუსთველის ნათქვამში საღმთო არ ერიოს“ — რაო<sup>37</sup>.

რასაკვირველია, ჩვენთვის ძნელია გადაჭრით მსჯელობა იმ ლიტერატურულ მიმღინარეობათა შესახებ, რომლებმაც ვახტანგის პოეზიაზე მოახდინეს გავლენა. რაღაც ეს სპეციალურ კვლევას მოითხოვს<sup>38</sup>. მაგრამ ამავე დროს ძალზე სათუოდ წარმოგვიდგება მოსაზრება, რომლის მიხედვით ვახტანგის მიერ რუსთველური მიჯნურობის განმარტება სუფისტური მსოფლმხედველობის გამოვლინებად მიიჩნიოთ. მით უმეტეს, ძნელია იმ აზრის გაზიარება, რომ ასეთი მრწმესი საფუძვლად ედო საერთოდ ვახტანგის შემოქმედებას.

თუ გავითვალისწინებთ, რომ სუფიშმი აღიარებს კეშმარიტად მხოლოდ ღმერთს და მარტოოდენ მისდამი ლტოლვაში, მის სამსახურში ხედავს სიცოცხლის გამართლებას, რომ სუფისტებისათვის ობიექტური სამყარო, კერძოდ აღამიანთა ჩელური, პრაქტიკული ყოფა, სრულიად მოწყვეტილია ღვთისაგან და თუ ამასთან ერთად გავიხსენებთ ვახტანგ VI-ის მთელ მოღვაწეობას, მის მრავალფეროვან და დიდ პრაქტიკულ საქმიანობას საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში, გარკვეულ შეუსაბობას დავინახავთ.

ძნელი წარმოსადგენია, რომ სუფისტური მოძღვრების მიმდევარს თვისი საქმიანობით ისე ჰქონდეს გადგმული ფესვები პრაქტიკულ ცხოვრებაში, ისე იყოს დაკავშირებული ცხოვრებისეულ ყველა სფეროს, როგორც ვახტანგი იყო. ჩვენ ვერ დავისახელებთ თითქმის ვერც ერთ გვიანფერდალური ხანის ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეს, რო-

<sup>37</sup> ვახტანგ VI, გვ. სეა.

<sup>38</sup> ს. ცაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 248—359; მისიევ, ძველი ქართული მწერლობა, II, 1985, გვ. 348—359.

მელსაც ისეთი მრავალმხრივი პრაქტიკული საქმიანობა ჰქონდეს ჩა/ ტარებული თავისი ერის კულტურული ცხოვრების განვითარების შემთხვევაში/ როგორც ეს ვახტანგ VI-ის მოღვაწეობას ახასიათებს. რა მოსახლებით, რა საფუძველზე შეიძლება მოხდეს ვახტანგ VI-ის პრაქტიკული საქმიანობის გათიშვა მისი მსოფლმხედველობისაგან? არ არის გამორიცხული, რომ სუფისტურმა მსოფლმხედველობამ გარკვეული გავლენა მოახდინა ქართულ მწერლობაზე, მაგრამ ვფიქრობთ, არა ისეთი სიძლიერით, როგორც ვახტანგის ლიტერატურულ მემკვიდრეობას და, კერძოდ, მის კომენტარებს შიაწერენ.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მაპმალიანურ, აღმოსავლურ სახელმწიფოთა ჰეგემონობის პირობებში ამიერკავკასიის ხალხთა შორის პირველ რიგში სწორედ ქართველმა ერმა შესძლო შეენარჩუნებინა ნაციონალური კულტურა, ქრისტიანულ-ქართული იდეოლოგია, ისევე, როგორც მან ეროვნულ ძალთა უაღრესი დაძაბვით შეინარჩუნა ქართული სახელმწიფო და ქართული სამართალი.

საგულისხმოა, რომ ვახტანგი განმარტავს რა რუსთველის მიჯნურობას, წერს: „რუსთველს ცოლქმრობის სიყვარულზე უთქვამს, არა თუ მეძაობაზედო“, — მაგრამ ცხადია, იმასაც უნდა ვაწიოს ანგარიში, რომ სხვა ადგილის იგი აღნიშნავს, რომ „რუსთველის მიჯნურობა ღვთისადმი ლტოლვაა და სასუფევლისადმი გათანაბრება“<sup>39</sup>.

აშკარაა ისიც, რომ ვახტანგის ლიტრიკულ ლექსში „სატრფიალონი“ ქალის სიყვარული ალეგორიული გამოხატულება ღვთის სიყვარულისა, მაგრამ არ შეიძლება არ შეინიშნოს ლექსში „სალბუნად გულისა“ სიცოცხლის, რეალური ცხოვრების ის შთავონებული სიყვარული, რომელიც სუფისტური ღოგმების ერთგული პოეტისათვის უცხო უნდა ყოფილიყო. მა ლექსში, ჩვენი ფიქრით, სატრფიალო მოტივს რეალური ქალის სიყვარული უდევს საფუძვლად და მასში მოეტურად წარმოსახულ მოვლენებშიც, ამქვეყნიური ცხოვრების სიამეანაგულისხმევი და არა მარადიული სასუფევლის ნეტარება. „სალბუნად გულისაში“ სამშობლოდან გადახვეწილი პოეტი — მეფე სრულიად რეალურად აღადგენს თავის მეხსიერებაში სიჭაბუქის ბეღნიერ დღეებს, ცოცხალი ფერებით აღწერს ბუნების წარუშლელ შთაბეჭდილებებს, მაისის ობილისს:

რა სკობს მაისში ტფილისა, ვარდი ვარსკელავებრ ესხასა,  
მწვანედ ლელავდეს გარემო, ცვარი ცის მასზედ ესხასა...<sup>40</sup>

პოეტი იგონებს სამშობლოში გატრარებულ ტკბილ წუთებს: ბულბულთა გალობას, ცაცხვებისა და ტირიფის შრიალს, შევარდნით ნაღი-

<sup>39</sup> ვახტანგ VI, დასახ. ნაშრ., გვ. სპ, სპთ, ტმგ.

<sup>40</sup> ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, ა. ბარამიძის რედ., 1975, თბ., გვ. 35.

რობის სცენებს, „აქ დასცენ ნადირთ და იქ ისროდენ, გააწითლონ სის-  
ხლით წყალი“, კოჭრის გრილ სიოს, ქციასა და ხრამში თევზაობის უფლებათა  
თელ სურათს. „სწყვეტდნენ, პხოცლნენ, სისხლის მათით სევდა სულა  
დაიკარგონ“<sup>41</sup>.

პოეტი მეფე შეპხარის საქართველოს ბუნებას, საქართველოს ცას,  
სამშობლოს მობიბინე მდელოს, ამქვეყნიურ ბედნიერებას და სი-  
ცოცხლის სიამეთ. ძნელი წარმოსადგენი არ არის, რომ სიცოცხლით  
ესოდენ აღტაცებულ მეფე-პოეტს რეალური ქალის ეშნიც ეგრძნოს.  
და მართლაც, მისი ტრფიალის საგანი საყვარელი ქალის სახე ისეთივე  
მიწიერი საღებავებით არის დახატული ამ ლექსში:

მას პირი უგაეს ბროლსა და შიგ ლალი გამსცვირვალობსა,  
ბაგე — ვარდისა ფურცელსა, კბილი მარგალიტს ძალობაა,  
ტანი — ალვასა მჩხვევლსა, მჟღარეტელნი მწვე საბრალოსა,...  
და მე გაუხდივარ ქარვად და ტან-ლერწამ, რომ უწყალობსა.

თვალინი მიგიგაეს ჭერანსა, წარბი ზანგუბრელს, სულო და,  
და შენმა ბაგისა ციმციმმა ფერი ყაყაჩის სულ ოდა,  
და საბრალოს გენთა ტრფიალითა, სიცოცხლევ გულთა სულ ოდა<sup>42</sup>.

იმავე ლექსში პოეტი გვატყობინებს: „საღმთოც ვიცოდი და სა-  
ეროც“<sup>43</sup>. საეროს ცოდნაში ავტორი რეალური ცხოვრების, სიცო-  
ცხლის ცოდნას გულისხმობდა. ამრიგად, რეალური სამყაროს არსე-  
ბობა, მისი რეალური მშვენიერების აღქმა და რეალურ-კონკრეტული  
ქალის ტრფიალი ვახტანგის პოეზიისათვის უცხო და უჩვეულო არ  
უნდა ყოფილიყო. ჩენ ვუშვებთ ვარაუდს, რომ ვახტანგ VI-ის მიერ  
„ვეფხისტყაოსნისადმი“ დართულ განმარტებას, მიჯნურობის საკითხ-  
ში, საფუძველად უდევს არა კომენტატორის ჩამოყალიბებული „შეხე-  
დულება“ სიყვარულის მისტიკურ არსებაზე (ე. ი. სუფისტური მო-  
ძღვრება), არამედ, უპირველეს ყოვლისა, პრაქტიკული მოსაზრება,  
გამომდინარე იმ ქრისტიანულ, იდეურ-პოლიტიკური აუცილებლობი-  
დან, რომელიც პოემის გამოცემასთან იყო დაკავშირებული.

ასეთი ვარაუდის სასარგებლოდ „თარგმანის“ ზოგიერთი კიდევ  
სხვა პუნქტიც მეტყველებს.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხებისა, ვახტანგმა ყურადღე-  
ბა გაამახვილა აგრეთვე პოემის მრავალ ზნეობრივ პრობლემაზე. ერთ

41 ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, ლექსები და პოემები, ა. ბარამიძის რედ., 1975, თბ., გვ. 36, 37.

42 იქვე, გვ. 35.

43 იქვე, გვ. 38.

ადგილას იგი აღნიშნავს, რომ „რუსთველის წიგნი სულ სასწავლებელი გამარტინია“<sup>44</sup>.

ვახტანგს პოემა სიბრძნის ზღვად მიაჩნია. თუ „რაც ამას (რუსთველს) დაუშერია, კაის გზით ისწავლით, ერთს ოსტატად გეყოფა“<sup>45</sup>, წერდა იგი.

გამომცემლის თვალსაზრისით, „ვეფხისტყაოსანი“, როგორც საერო, ისე სასულიერო საზოგადოებისათვისაც მაღალი ეთიკის სახელმძღვანელოა, კერძოდ იმის გამოც, რომ პოემის ავტორს ოჯახი დაცოლ-ქმრის ურყევი სიყვარული საზოგადოების საფუძვლად დაუსახავს. „უმისოდ ყოფის გაძნელების“<sup>46</sup>, განმარტავს ვახტანგი.

კომენტარებში ცალკე გამოყოფილია მეფეთა მორალის საკითხი. ვახტანგის გაგებით, ქვეყნის გამგებლობის ზნეობრივი სახე ერთს ზნეობას უნდა პასუხობდეს. იგი მეფეთ მოუწოდებს სიბრძნის, წყალობის, შებრალებისა და სიუხვისაკენ: „რაც ამ წიგნს უკან მეფეები ყოფილან და იქნებიან, ყუელას სწავლა და ამ ამბის მოყუანით და თქუმით მეფედ საქციელთ უთქუამს“<sup>47</sup>.

ვახტანგი ილაშქრებს უმაღურობის, ღალატის და სიცრუის წინააღმდეგ და აცხადებს, რომ „კაცმან ძნელი საქმე კარგად უნდა ჰქმნას, თვარა აღვილსა საქმესა უჭიროც იქს“<sup>48</sup>. კომენტარებში დაგმობილია „მექტათამეობა“<sup>49</sup>, „პირობის გატეხვა“<sup>50</sup>. ვახტანგი მოუწოდებს „ვეფხისტყაოსანის“ მკითხველთ გაჭირვებულის დანუგეშებას<sup>51</sup>. „სირცხვილისა და აუგის გზის მოშლას“<sup>52</sup>, თავმდაბლობას, ცოდნის სასარგებლოდ მოხმარებას, ლაშქრობა-ნადირობას და ხუმრობა-შექცევას. ამრიგად, ვახტანგ VI მკითხველის ყურადღებას ამახვილებს ყველა იმ საკითხისადმი, რაც ადამიანის საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ცხოვრების წარმართვის ხელს შეუწყობს უა ამით „ვეფხისტყაოსანის“ ავტორის სიბრძნეს პრაქტიკულად განახორციელებს.

ვახტანგ VI, როგორც დიდი საერო მოღვაწე, „ვეფხისტყაოსანში“, უწინარეს ყოვლისა, საერო საქმისათვის სასარგებლო, ქართველი ხალხის სოციალური და ზნეობრივი ცხოვრებისათვის სწორი გეზის მიმცემ შინაარსს ეძებდა და სწორედ ამ მიზნით „თარგმნიდა“ მას.

44 შ. რუსთაველი, დასახ. ნაშრომი, გვ. ტმგ.

45 იქვე, გვ. ტმდ.

46 იქვე, გვ. ტვ.

47 იქვე, გვ. ტი.

48 იქვე, გვ. ტმ.

49 იქვე, გვ. ტლ.

50 იქვე, გვ. ტკ.

51 იქვე, გვ. ტლ.

52 იქვე, გვ. ტლ.

თანამედროვეთათვის გასაგებ და საჭირო ენაზე. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, ჩვენ სადაც მიგვაჩინია სპეციალურ ლიტერატურული რაში გაბატონებული შეხედულება იმის შესახებ, რომ ვახტანგმა „პოეტის (რუსთაველის) ნათელი აზროვნება რელიგიურ-მისტიკური „თარგმნის საბურეველში გაახვია და ალეგორიზმის მომიშეზებით, არა თუ გახსნა რუსთაველის ენა, არამედ გააბუნდოვნა, დააბნელა“.

ვითვალისწინებთ რა ვახტანგ VI-ის მთელ პრაქტიკულ საქმიანობას, მის ღვაწლს ქართველი ერის კულტურისა და სულიერი ცხოვრების საქმეში, გვიშირს ვიწამოთ ის მოსაზრება, თითქოს ვახტანგის მიერ შედგენილი „ვეფხისტყაოსნის“ კომენტარები გამოხატავდნენ მის მისტიკურ (სოფისტურ) მსოფლმხედველობას და რომ ეს იყო „მისი რწმენა, გამომდინარე მისივე შემოქმედებითი პრაქტიკიდან“.

ქველა ალეგორიული განმარტება, რომელსაც ვახტანგმა მიმირთა, რუსთაველის სახელის რეაბილიტაციისა და „ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამოცემის პოპულარიზაციის მიზნით, განპირობებული იყო ძირითადად იმ არსებული ისტორიული ვითარებით, რომელიც სუფევდა XVIII საუკუნის საქართველოს იდეურ-საზოგადოებრივი ბრძოლით გართულებულ სინამდვილეში.]

ვახტანგ VI-ის მეფობის ხანაში დიდი გარდატეხა მოხდა ისტორიული მეცნიერების შესწავლისა და „ქართლის ცხოვრების“ დამუშავების დარგშიც. ვახტანგის თაოსნობით ქართლის სამეფო კარის მოღვაწეებმა ეს დიდი საქმე თავს იდვეს. შედგა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა „ქართლის ცხოვრების“ გამართვა-რედაქტირება და შეწყვეტილი საქართველოს ისტორიის გავრდელება. XVIII საუკუნის დამდეგამდე არსებული „ქართლის ცხოვრება“ XIV საუკუნემდე იყო მიტანილი და შემდეგი საუკუნეების ისტორია არ არსებობდა. სპეციალურად შემდგარმა კომისიამ, რომლის უშუალო მოთავე ვახტანგ VI იყო, ორი სახის სამუშაო ჩაატარა. პირველი სახის სამუშაო, რომელიც არსებული „ქართლის ცხოვრების“ რედაქტირებას, გამართვა-შესწორებას გულისხმობდა, ვახტანგის გამგებლობის ხანაში აწარმოა. ეს მოხდა 1712 წლამდე. „დიდებულნო და პატიოსანნო ქართველნო! უამთა ვითარებისაგან ქართლის ცხოვრება გარყვნილ იყო რომელიმე მწერალთა მიერ და რომელიმე უამთა ვითარებისაგან არღარა წერებულ იყო. ხოლო მეხუთემან ვახტანგ ძემან ლეონისამან და მმისწულმან სახელოვანის გიორგისამან შეკრიბნა მეცნიერნი კაცნი და მოიხუნა, საცა რამ ქართლის ცხოვრებები პოვა, კუალად გუვარნი მცხეთისანი, გელათისანი და მრავალთა ეკლესიათა და შეამოწმეს და რომელ გარყვნილ იყო, გამართეს და სხუაცა წერილი

მოიხუნეს, რომელიმე სომეხთა და სპარსთა ცხოვრებისაგან გამოიჩინა /  
ნეს და ესრულ აღწერეს“<sup>53</sup>.

„სწავლულ კაცთა“ კომისიამ, ვახტანგის ხელმძღვანელობით, მთელი „ქართლის ცხოვრება“ გამართა თავებისა და ქვეთავების მიხედვით და დასასათაურა ნაკვეთების გათვალისწინებით. გარდა ამისა, ქართველმა მეცნიერებმა შემოიღეს ყოველი თავის პაგინაცია, რომელიც დასასათაურებიდან იწყებოდა და რომელსაც სპეციალური ტერმინი „ქული“ უწოდეს. მათ ადვილი მიგნებისათვის საძიებელი დაურთეს და ყოველი თავის დასაწყისში სინგურით — წითელი ასოებით შეამკეს. ამრიგად, ისინი ვახტანგ VI-ის მეთაურობით შეეცადნენ დამხმარე აპარატით გაეადვილებინათ და გაემარტივებინათ „ქართლის ცხოვრების“ მოხმარების საქმე. ამით, მათ გარკვეული მეცნიერული სამუშაოები ჩაატარეს<sup>54</sup>.

„სწავლულ კაცთა“ კომისიას თავისი მუშაობის პირველ ეტაპზე ავრეთვე ხელი მიუყვია „ქართლის ცხოვრების“ შევსებისათვისაც. სამოქალაქო ცხოვრების — საქართველოს პოლიტიკური ისტორიის გვერდით მათ წმინდანთა ცხოვრებანი შეიტანეს, სადაც მათ მოლვა-შეობას საქართველოს კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების შესწავლის საქმეში დიდი როლი მიაკუთვნეს. მათ შეიტანეს პეტრე ქართველის, ცამეტი ასურელი მამის, შეშანიკის, დავითის და კონსტანტინეს, გობრონის და ექვთიმე ქართველის ცხოვრებანი. ვახტანგ VI-ის მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ელფერს ატარებდა. იგი შეესატყვისებოდა ქართული, ეროვნული რელიგიის — ქრისტიანობის დაცვისა და განმტკიცების საქმეს ემსახურებოდა, რათა ეხსნა პოლიტიკურად დაკვემდებარებული ქვეყანა მაჰმადიანური იდეოლოგიის ზეგავლენისაგან. როგორც ნ. ბერძენიშვილი ამბობს: „გაჩაღდა ბრძოლა მაჰმადიანობის პროპაგანდის წინააღმდეგ და დაიწყო ქრისტიანობისაკენ მიმართული ენერგიული მოქმედება“, ყოველივე ამის სულის ჩამდგმელი და აქტიური მონაწილე ვახტანგ VI იყო<sup>55</sup>.

წმინდანთა ცხოვრების ჩანართების გაკეთებას წინ უძლოდა ყველა არსებული უძველესი ხელნაწერისა და დოკუმენტური მასალის შეკრება, რომელთა შეჯერება-შესწავლის საფუძველზე უნდა შემდგარიყო სპეციალური ჩანართი. ასეთი სამუშაოები სწავლულმა მეცნიერებმა სათანადოდ მოახერხეს. სპეციალურ ლიტერატურაში ცნობი-

53 ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1965, გვ. 24.

54 ქ. გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954, გვ. 207.

55 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, თბ., 1967, გვ. 296.

ლია, რომ ვახტანგისეულმა რედაქციამ ქართლის ცხოვრების ტექსტის  
შეუჩრდყო სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, ბასილ ეზოსმოძღვარის მშენებელის  
სალა და რედაქციის მიერ რედაქტირებულმა ქართლის ცხოვრებაში  
სრულდება სახე მიიღონ<sup>56</sup>.

„ქართლის ცხოვრების“ რედაქტირება გულისხმობდა აგრეთვე  
ტექსტის ზოგიერთი ადგილის კრიტიკულ შესწორებულ  
იქნა მაგალითად, კავკასიის ხალხთა საერთო წინაპრებისაგან — თარ-  
გამოსისაგან წარმომავლობისა, თარგამოსიანთა ადგილ-სამყოფელის  
ადგილი, მისი სამხრეთიდან გაღმოსვლის ამბავი და ეგრისის დასაც-  
ლეთი საზღვრის დაზუსტების საკითხი<sup>57</sup>. ვახტანგ VI-ის თაოსნობით  
ჩატარებულ ამ სამუშაოებს საფუძვლად ედო არსებული ისტორიო-  
გრაფიული მეცნიერების მიღწევები, რომლითაც „სწავლულ კაცთა  
კომისია“ ხელმძღვანელობდა. ამდენად, ყველა ის სამეცნიერო შრო-  
მა, რომელიც სისრულეში მოიყვანეს „ახალი ქართლის ცხოვრების“  
ავტორებმა, უპასუხებდა ყველა იმ მოთხოვნას, რომელიც XVIII ს.  
დასაწყისის განვითარებული ისტორიული მეცნიერების საფუძვლებს  
შეესატყვისებოდა. ეს მდგომარეობდა ისტორიული მოვლენების მი-  
ზეზ-შედეგობრივ რაობათა გარკვევაში, რომლის ძირითადი ობიექტი  
აღამის წარმომავლობა იყო და არა ღვთის ნება. ვახტანგ VI-ის მიერ  
ეროვნული ისტორიისადმი ასეთი დაინტერესება იმ დროისათვის სა-  
ერთო საკაცობრიო მოვლენა იყო და საქართველოსათვისაც დამახა-  
სიათებელი.

მეორე დიდი და მნიშვნელოვანი სამუშაოები, რომელიც ვახ-  
ტანგისძროინდელმა მეცნიერებმა ჩაატარეს, საქართველოს ისტორიის  
მოწესრიგებაში მდგომარეობდა. მათ მოახდინეს „ქართლის ცხოვრე-  
ბის გაგრძელების“ შედგენა. XVIII საუკუნის დასაწყისისათვის საქარ-  
თველოში შემორჩენილი იყო „ქართლის ცხოვრების“ ის ვარიანტი,  
რომელიც XIV საუკუნის თხრობით თავდებოდა. ამ გარემოებას ყუ-  
რადღება პირველად ვახტანგ გამგებელმა მიაქცია. მან პირველმა მიი-  
ჩნია საჭიროდ, რომ ქართველ მეცნიერთა ეს ხარვეზი შეეცნოთ და  
თხრობა გაეგრძელებინათ უკვე XVIII საუკუნემდე. ისტორიის შემ-  
სწავლელმა ჯგუფმა მთავარ წყაროდ ადგილობრივ, ქართულ ისტო-  
რიულ დოკუმენტებთან ერთად უცხო წყაროებიც გამოიყენა. მათ  
სომხური და სპარსული დოკუმენტური მასალითაც ისარგებლეს.

საქართველოს ისტორიის გაგრძელების ავტორებმა მთავარი  
საკვანძო-კარდინალური საკითხების გადაჭრა სცადეს. ისინი შეეხენ  
XV საუკუნეებში საქართველოს დაშლა-დანაშევრების საკითხს, აღ-

56 კ. გრიგოლია, დასახ. ნაშრომი, გვ. 210; შ. ხანთაძე, ქართული ის-  
ტორიოგრაფია XVIII საუკუნეში, 1985, გვ. 27.

57 კ. გრიგოლია, დასახ. ნაშრომი, გვ. 217, 218.



ნიშნეს სათავადოთა წარმოქმნის ფაქტი და ერისთავებთან გათანაბრ—  
რების მომენტები. მათ დაახასიათეს ქართლის სამეფო კარისა და უძველესი  
თლის მეფეთა მოღვაწეობის ეროვნული ხასიათი, მათი ფეოდალური  
სათავადოებისადმი დაპირისპირების ცდები. ორ გამოპარვიათ მათ აგ-  
რეთვე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხები, მაგრამ მიუ-  
ხედავად ყოველივესი, ქართლის ცხოვრების გამგრძელებლების ნა-  
მუშევარს მრავალი ხარვეზი აღმოაჩნდა. მათ საქართველოს ისტორია  
უმთავრესად ქართლის ისტორიის თხრობით შემოფარგლეს. მათი ყუ-  
რადლების სფეროს გამორჩა იმერეთის, კახეთისა და სამცხე-საათაბა-  
გოს ისტორიის გავრცობა. გაგრძელების ავტორებს აგრეთვე გამორ-  
ჩათ მათი წინამორბედების მიერ მიღებული წესი — ისტორიის თავე-  
ბად დაყოფის შესახებ. მათ შეადგინეს ერთი გაბმითი ტექსტი და არა-  
თანაბრად გადმოსცეს ამბის თხრობა საუკუნეების მიხედვით. მეტად  
მოკლედ აღწერეს XIV—XV სს., როდესაც ვრცელი ნაწილი შემდგომ  
XVI—XVII სს. დაუთმეს. საფიქრებელია, რომ ავტორებს მოგვიანო  
ხანის მასალა უფრო ჭარბად ჰქონდათ ხელთ, მაგრამ აშკარა დის-  
პროპორციულობა ნამუშევარს ერთგვარად ფასს უკარგავდა. | მიუხე-  
დავად ყველა იმ ნაკლისა, რომელიც XVIII ს. ისტორიის შეცნიერთ  
ახასიათებდათ ქართლის ცხოვრების გაგრძელების შედგენისას, მათ  
საქართველოს ისტორიოგრაფიაში გარკვეული ნოვატორული როლი  
შეასრულეს და ისტორიული აზროვნება და შეცნიერება წინა საფე-  
ხურზე აიყვანეს. [სპეციალურ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ  
ვახტანგ VI-ის დროს ჩატარებული სამუშაო ქართლის ცხოვრების ირ-  
გვლივ, ორ სხვადასხვა კოლექტივს ქაუთვნის და ერთი მისი ბატონი-  
შვილობის ხანას მოიცავს (1703—12 წლამდე) და მეორე კი — 1724—  
31 წწ., როდესაც საქართველოდან რუსეთში შეხინული ქართველ-  
ნი თავის საშობლოსადმი სიყვარულის უის შეცნიერულ მოღვაწეო-  
ბაში კლავდინენ<sup>58]</sup>]

მიუხედავად ყოველივესი, მართებულია შ. ხანთაძის მოსაზრება,  
რომ XVIII ს. ისტორიისთა დამსახურება იმაშიც მდგომარეობდა,  
რომ „ისინი მხარში უდგნენ ვახტანგ VI-ს სამეფო ხელისუფლების  
სიძლიერისა და ხელშეუვალობის აღიარებასთან, პროგრესულ ხასიათს  
ანიჭებდნენ ქართლის ცხოვრების ავტორების იდეურ-პოლიტიკურ  
მარტამსს“<sup>59</sup>.

ამით ვახტანგის იდეოლოგიის გამტარებელნი მიზანშეწონილად  
და გარდაუვლად მიიჩნევდნენ ვახტანგ VI-ის პოლიტიკურ მიზანსწრაფ-  
ვას, რომ მომხდარიყო საქართველოს და ამიერკავკასიის გაერთიანე-

<sup>58</sup> ქ. გრიგოლია, დასახ. ნაშრომი, 1954, გვ. 286—210; ს. ყაფხჩიშვილი  
და ქართლის ცხოვრება, II, თბ., გვ. 326—442.

<sup>59</sup> შ. ხანთაძე, დასახ., ნაშრომი, გვ. 45.

ბა ქართლის მეფის მეთაურობით. „ესე ქართლის ცხოვრება პირვე-  
ლივე მეფეს გახტანგს თვით ეკეთებინა ქართლს მყოფობასა და შემ-  
მე რუსეთს ძველთა გუჯრებთა და ცხოვრებათა მოხუცებულ მახსოვარ  
შეცნიერთა საქართველოს კაცთაგან დიდის გამოკვლევით და გამო-  
ძიებით გულისმოდგინეთ ეკეთებინა, რომ საქართველოს ცხოვრება  
ნოეს შეილის იაფეტის ქართლისიდამ აქამომდე, რა, როგორ ყოფილა,  
ან მეფენი ვინა მსხდარან და ან რა უძიერი და დრონი ყოფილა“<sup>60</sup>.

გარდა ქართლის ცხოვრების ირგვლივ ჩატარებული სამუშაოე-  
ბისა ვახტანგ VI-მ ყურადღება გაამახვილა ბაგრატიონთა შთამომავ-  
ლობით-მემკვიდრეობით ნუსხების შედგენაზეც, რომელიც მოიცავდა  
ბაგრატიონთა სამეფო სახლის წევრთა მთელსა და სრულ ორნუ-  
სხესც.

ვახტანგ გამგებლის ყურადღების სფეროს არ სცილდებოდა, აგ-  
რეთვე, წმინდანთა ცხოვრებაც. მისი ინიციატივით მოხდა დაყარგუ-  
ლი და მიმობნეული იოანე ზედაზნელის ცხოვრების შეკრება და გა-  
დაწერა. იოანე ზედაზნელის ცხოვრების მომწესრიგებელი და გადა-  
მწერი ხუცეს მონაზონი გაბრიელ საგინაშვილი, დავით გარეჯის ნათ-  
ლისმცემლის მონასტრის მოღვაწე იყო და თავის თავს ბესარიონ  
ორბელიანის მოწაფედ თვლიდა<sup>61</sup>.

ვახტანგ VI-ის პოლიტიკური და მეცნიერული ავტორიტეტი  
ქართლის ფარგლებსაც სცილდებოდა და მისი სახელით ეშეოდნენ  
კულტურულ საქმიანობას ისეთ სამეცნიერო კერაშიც, როგორიც მა-  
შინ დავით გარეჯის სამონასტრო სკოლა გახლდათ.

ვახტანგ VI-ის თაოსნობით, XVIII ს. მეცნიერთა და სწავლულთა  
ინტერესები შემოფარგლული არ იყო მარტო საქართველოს ისტო-  
რიის შესწავლით. ისინი ზოგადი ისტორიის გაცნობას და შესწავლა-  
საც ეწაფებოდნენ. ზემოხსენებული ბესარიონ ორბელიანი, რომელიც  
XVIII ს. I მეოთხედში დავით გარეჯის წინამძღვრად ითვლებოდა, მუ-  
შაობს რომის პაპის გრიგოლის მიერ შედგენილ რომისა და იტალიის  
ცხოვრებაზე და 1715 წ. იშერს მსს ხუცურად<sup>62</sup>.

ვახტანგის მითითებით, ქართლის პოლიტიკური ცხოვრების თავ-  
გადასავალი შეადგინა სეხნია ჩევიძემ, რომელმაც თავის ისტორიას  
„ცხოვრება მეფეთა“ უწოდა. სეხნია ჩევიძის ისტორია განსაკუთრე-  
ბით სანდოა, რადგან იგი თვითონ იყო თვითმხილველი და ზოგჯერ  
აქტიური მონაწილეც იმ ამბებისა, რომელსაც იგი დაწვრილებით ალ-  
წერს. როგორც ისტორიკოსი სეხნია ჩევიძე, ქართლის ცხოვრების

60 ქ-ცა. IV, გვ. 522.

61 ხ. ი. ფ. Q, № 158ა.

62 იქვე, ხ. ი. ფ. H, № 1557; 10.

63 იქვე, ხ. ი. ფ. A, № 121.

გამგრძელებლის მოთხოვნათა დონეზე იღგა და ამბავთა თხრობას აგებდა არა თემატური პრინციპით, არამედ ქრონოლოგიური მარტინის დაცვით. მართალია, მისი ისტორია ძალიან მდიდარია ფაქტობრივი მასალით, მაგრამ საკითხთა მიღვომა არაობიერტური და უკრიტიკო. მას მხედველობიდან რჩება ქართლის შინა პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ვითარების აღნუსხვა-დახსიათება. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ეროვნული ისტორიით, მისდამი მეცნიერულ მოთხოვნილებათა წაყენება და მისი მეცნიერული დისკუსიების დონეზე ყველა, ქვეყნის კულტურის აღორძინებას ერთერთი ნიშანი იყო და მისი აქტიური თაოსანი თვითონ ვახტანგ VI გახლდათ.]

ვახტანგ VI-ისათვის სრულიად ცხადი იყო, რომ მაპმაღიანურ სახელმწიფოთა რკალში მოქცეული საქართველო და ქართული ენა გადავგარების საშიშროების წინაშე იღგა. ქართულ ენაში თურქულ-სპარსული სიტყვები იქრებოდა. იღენებოდა ძველი ქართული ნორმები და მშობლიურ ენას მოსპობა ელოდა. მანამდე არსებული ქართული ლექსიკონი აღარ შემორჩენილა. თავის ანდერძნამაგში საბა წერს: „ვინაიდან ესე პატიოსანი წიგნი დაპკარგვოდათ, ენა ქართული თავის ნებაზე გაეყურნათ“.

აუცილებელი გახდა ქართული ენის გასუფთავება, ქართული სიტყვიერი ნორმების დადგენა, განსაზღვრა და შემდეგ მათი დამკვიდრება. ამ რთულ ეროვნულ საქმეს ჯერ კიდევ 1685 წ. ქართველმა პოლიტიკურმა მესვეურებმა (გიორგი XI, არჩილმა და ლევან ბატონიშვილებმა) ჯეროვანი ყურადღება მიაქციეს და სულხან-საბა ორბელიანს დაავალეს ქართული ლექსიკონის შედგენა<sup>64</sup>. სულხანმა, ვახტანგ VI-ისა და ქართლის პოლიტიკური ცხოვრების უშუალო და აქტიურმა მონაწილემ, ამ დიდ საქმეს 33 წელი მოანდომა. მან ლექსიკონი 1716 წ. დაამთავრა, რომელსაც ვახტანგ VI-მ პოეტური სახელშოდება „სიტყვის კონა“ უწოდა. „სიტყვის კონის“ საბოლოო რედაქცია ვახტანგ VI-ის დაკვეთით შეასრულა მოსკოვში 1725 წელს საბას ძმამ ზოსიმე ორბელიანმა. მადლიერი ვახტანგ VI საბას ლექსიკოლოგიურ ღვაწლს დიდად აფასებდა და წერდა:

„რადგან დაშერა ასე საბა, ქება მმართებს აწყა მეცა,

შეუყრია მრავლად სიტყვა, რა ვიხილე, სიბრძნე მეცა.

საბა-სულხანი ლექსიკონზე მუშაობისას იყენებდა როგორც სომ-

<sup>64</sup> ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1966, გვ. 481.

ხურინ, ისე დასავლური ენის ლექსიკოგრაფების გამოცდილებებს<sup>65</sup>. სიკურ ფილოსოფოს ავტორთა შედეგებს და ეცნობოდა მათ დედნებში. გარდა უცხოური წყაროებისა, საბა ლექსიკონს აგებდა ეროვნული ლიტერატურისა და ქართულ წყაროთა მასალის საფუძველზე. დაღვენილია, რომ „სიტყვის კონის“ ავტორი იყენებდა ევსტატე მცხეთელის „მარტვილობას“, „წმ. ნინოს ცხოვრებას“, „ვეფხისტყაოსანს“, „ამირან-დარეჯანიანს“, „ვისრამიანს“, „ქართლის ცხოვრებას“ და სხვა<sup>66</sup>.

როგორც ცნობილია, „სიტყვის კონა“ განმარტებითი ლექსიკონია და აღსანიშნავია, რომ გარდა ზემოჩამოთვლილ ნაწარმოებთა მასალისა, მასში შეტანილია თავისი დროის სასაუბრო ენის ნორმებიც, რომელსაც იმდროინდელი სამწერლო ენა იშვიათად იცნობდა. ახლად-შედგენილ ლექსიკონს ახასიათებდა აგრეთვე ენციკლოპედიური ლექსიკონის თვისებებიც. მასში შეტანილია ისტორიულ პირთა და გეოგრაფიულ პუნქტთა სახელები და მოცემულია მათი განმარტებანი<sup>67</sup>.

ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის ხანაში ჭეროვანი ყურადღება მიექცა ფილოსოფიურ აზროვნებას. 1710 წ. ნიკოლოზ ორბელიანი (საბას ძმა) აქვებს და ამთელებს ფილოსოფიურ ნაშრომთა კრებულს. რომელიც „კათელორიის“ სახელითაა ცნობილი<sup>68</sup>. ფილოსოფიურ მეცნიერებათა დაინტერესება ვლინდება ბერძენ-რომაელ აეტორთა გაღმოქართულებასა და გავრცელებაში. ითარგმნება ქართულად სოზმები და სენტენციები. დგება მათ შეხედულებათა კრებულები ქარკრატეს, პლატონის, არისტოტელეს, არისტოფანეს, ეპიკურეს აფორითულ ენაზე<sup>69</sup>. ერთ-ერთი მსგავსი კრებული ითარგმნება ერასტი თურქესტანიშვილის მიერ, რომლის შეჯრებას, დამუშავებას და გაღვესა თვითონ ვახტანგი ახდენს<sup>70</sup>.

ანალოგიური ხასიათის ფილოსოფიურ კრებულს ვახტანგის თაოსნობით თარგმნის აგრეთვე ბაქარ ვახტანგის ძე, სადაც თავმოყრილია, ბერძენ ფილოსოფოსთა აფორიზმები, ბრძნული აზრები და შეხედუ-

65 ი. ლ. ა ბ უ ლ ა ძ ე, სულხან-საბა ორბელიანის სომხური წყაროები, სახ. უნ. შრ., ტ. III, 1938, გვ. 253—70.

66 ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, საბას „სიტყვის კონა“, როგორც ლექსიკოგრაფიული ნაშრომი. სულხან-საბა ორბელიანი, საიუბილეო კრებული, 1959, გვ. 259—756.

67 ლ. მ ე ნ ა ბ ლ ე, სულხან-საბა ორბელიანი, 1953, გვ. 78.

68 ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, სულხან-საბა ორბელიანი, საიუბილეო კრებ. 1959, გვ. 265.

69 ს. ი. ფ. ს, № 2574.

70 იქვე, ფ. ს 2, № 2435, ფ. 40; ხელნაშ. აღწ. ტ. III, 1960, გვ. 256.

71 პ. კ მ ე რ ლ ა ძ ე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, 1952, ტ. II, გვ. 381; ბ. დ ა რ ჩ ი ა, ვახტანგ VI-ის პოეტური მემკვიდრეობა, თბ., 1986, გვ. 5—7.

ლებები<sup>72</sup>. ვახტანგ VI-ის მეორე ვაჟი ვახუშტი ბატონიშვილი კი  
სომხურიდან თარგმნის ფილოსოფიური ხასიათის ნაშრომს, იყრიც მართვა  
თლის მეფის მითითებით და ბრძანებით<sup>73</sup>.

ქართლის პოლიტიკურ და კულტურულ მოღვაწეთა საქმიანობა  
ვახტანგ VI-ის მეთაურობით, პედაგოგიური აზროვნების სფეროსაც  
შეეხო. ოლზრდის პრობლემა სრულად აქტუალურ და პრაქტიკულ სა-  
კითხად იქნა დასმული. ჭაბუკ უფლისწულს — ვახტანგს აღმზრდე-  
ლად მიჩენილი ჰყავდა, ერთი მხრივ, არჩილ მეფე, ბიძა მამის მხრიდან  
და, მეორე მხრივ, დედის ძმა, განსწავლული სულხან-საბა ორბელია-  
ნი. ცოდნის საიდუმლოებას კი კათოლიკე მისიონერები აცნობდნენ.  
ეს ფაქტი შემთხვევითი მოვლენა არ იყო. ქართულ ეროვნულ ტრა-  
დიციულ ნიადაგზე აღზრდილი უფლისწული თავისი ქვეყნის საჭირ-  
ბოროტო საკითხებს, ცხადია, უფრო გონივრულად და რაციონალუ-  
რად გადაწყვეტდა.

საბა-სულხან ორბელიანშა თავისი „სიბრძნე სიცრუის“ იგავ-არა-  
კთა წიგნს განმარტება დაურთო: „ყრმათათვის ამაოდ საკითხავი და  
მრავალგან სასარგებლოდ გამოსაღევი წიგნი“ არისო. მათ მკითხველს  
უნდა ამცნონ ჭაბუკი უფლისწულის — მომავალი ვახტანგ VI-ის პე-  
დაგოგიური აღზრდის საშუალებანი, რომელიც დემოკრატიული აღ-  
ზრდის პოზიციებს ემსახურებოდა და სქოლასტიკურ-დოგმატური  
სწავლების წინააღმდეგ იყო მიმართული. საბა აღზრდის ისეთ პრინ-  
ციპს ატარებდა, როდესაც უფლისწულმა უნდა შეისწავლოს „ყოველ-  
თა გლობაკთა, ულონოთა და მდაბალთა ჭირნი“ და იგი მაშინ შეიქნე-  
ბა თავისი ქვეყნის და ერის ჭეშმარიტი მმართველი. მსგავსი პროგრე-  
სული აზროვნება პედაგოგიკის დარგში XVIII საუკუნისათვის მომ-  
წიფებული იყო. „სიბრძნე სიცრუის“ იგავ-არაკთა კრებული განათ-  
ლებული აბსოლუტური მონარქიის იდეას ატარებდა, რომელიც იღა-  
შერებდა პოლიტიკურად დაშლილი და დაქსაქსული საქართველოს  
წინააღმდეგ. იგი იბრძოდა ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნი-  
სათვის, რომელიც მტერზე გამარჯვების საწინდარი უნდა გამხდარი-  
ყო<sup>74</sup>.

იგავ-არაკთა აეტორი ძალიან ქარგად ხედავს XVIII ს. სოცია-  
ლური ჯგუფების არსებობას, მათ ურთიერთდამოკიდებულებას; ამ  
ჯგუფებში ვაჭართა ფენის ეკონომიკურ და პოლიტიკურ უპირატესო-  
ბას, თავადაზნაურობის დაცემას, ურთიერთქმიშპსა და უბადრუკობას.  
ვახტანგ VI-ის მთელი სამართლებრივი მოღვაწეობა სწორედ ყველა  
ამ საკითხს მიესადაგებოდა.

72 ხ. ი. ფ. S, № 2434, ფ. 39.

73 ქ. შარაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 35.

74 სულხან-საბა ორბელიანი, „იგავი ისარის“, გვ. 26.



პედაგოგიური ხასიათის შინაარსის მატარებელია, აგრეთვე, სულ-  
ხან-საბა თრბელიანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თხზულება „სწავლის ლანი და მოძღვრებანი“, რომელიც ქართული გვიანთეოდალური მკევრმეტყველების შესანიშნავ ნიმუშსაც წარმოადგენს. საბამ ეს ნა-  
წარმოები 1698—1703 წ. გარეჯის ნათლისმცემლის უდაბნოში ბე-  
რად აღვეთის დროს შეთხა, რომელიც შემდეგში რუსეთში 1729 წ.  
მისია ძმამ ზოსიმემ გადაწერა და შემოგვინახა<sup>75</sup>. ამ ნაწარმოების მთა-  
ვარ ძარღვს სოციალური უთანასწორობა წარმოადგენს, სადაც „უგ-  
ვანო ქვეყნის მეპატრონეთადმი“ დაპირისპირებულია ყმა-გლეხი. ავ-  
ტორის შეხედულებით, იმ პოლიტიკური გასაჭირის საწყისი, რომე-  
ლიც ქართლს ადგა XVIII ს-ში, ორგული, მოღალატე დიდებულთა მი-  
ზეზითაც იყო განპირობებული; მათი, ვინც თავის განდი-  
დებასა და გამდიღრების სურვილებს ანაცვალეს თავისი რჩული და  
რწმენა, თავისი სამშობლო.

საბას საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების გარ-  
დაქმნისათვის აუცილებელ პირობად ქრისტიანული სარწმუნოებისა  
და მორალის განმტკიცება მიაჩნდა და მთელი მისი საეკლესიო მოძ-  
ღვრება ჰუმანისტური იდეების ქადაგებას ემსახურებოდა<sup>76</sup>.

დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი ხასიათის მოტივები ვახტანგ  
VI-ის პოემაშიცაა გაბნეული. პოეტი მეფე მაღალზნეობრივი პოზი-  
ციებიდან მოუწოდებს ყრჩათ:

ბრძენს უთქომს: არა სიმდიდრე, არა სიქეთის ქონანი,  
არ შეეღრების სახელსა, მისი, ვისა აქვს გონანი<sup>77</sup>.

აღზრდა-განათლების საქმეს ემსახურებოდა აგრეთვე ვახტანგ  
VI-ის მეთაურობით წამოწყებული მთარგმნელობითი სამუშაოები. 1703—1712 წ. ვახტანგ VI-ის გამგებლობის დროს, მისი თაოსნო-  
ბითა და ბრძანებით ითარგმნა სპარსულიდან XVIII ს. იგავ-არაკთა  
კრებული „ბახტიარ-ნამე“, ანუ „ათვეზირიანი“, რომელიც დიდაქტი-  
კურ-მორალური ეპოსის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს<sup>78</sup>.

ვახტანგის განიშინობის დროს ითარგმნება აგრეთვე სპარსული-  
დან აღმზრდელობითი ხასიათის XII ს. ძეგლი „ამირნასარინი“, რომ-  
ლის გალექსვას რუსეთს შეხიზნული მოხუცი ვახტანგი გულს აყო-  
ლებს. ეს ძეგლი შეიცავს აღმოსავლეთისა და ცნობილ ბერძენ ავტორ-  
თა სენტენციებსა და აფორიზმებს, თქმულებებსა და ნაკვესებს.  
„ამირნასარინის“ თავები მიძღვნილია სპეციალურად სამოხელო

75 ხ. ი. ტ. A № 479.

76 ი. ლოლაშვილი, სულხან-საბა თრბელიანი, თხ. ტ. III, 1963, გვ. 13.  
(შესავალი წერილი).

77 ვახტანგ VI, ლირიკა, 1975, გვ. 69, ტაეპი 18.

78 ქ. დ. გ. ლ. ძ. ძე, ძეგლი ქართული მწერლობა, ტ. II, 1952, გვ. 365.

თანამდებობის პირებისადმი, სადაც დახასიათებულია კუთხით  
ლა სახელო-თანამდებობათა ფუნქცია-მოვალეობანი — მეფეთა უფლება  
ზირთა, სპასალართა და მდივანთა. აგრეთვე დახასიათებულია სტუმ-  
რისადმი გაწეული სამსახურის, ამანათის შენახვის, მეშურნეობის,  
საქონლის შემოგროვების ფუნქციები. ამ ძეგლს ვახტანგ VI გარკვეულ  
პრატიკულ დანიშნულებას ანიჭებდა და ნებისმიერი ცვლილებები  
შეკრონდა. ვახტანგი ნათარგმნი ტექსტის მიმართაც იჩენდა სუბიექ-  
ტურ დამოკიდებულებას. იგი კრიტიკულად ვქცეოდა ტექსტს, რო-  
გორც იდეოლოგიური გააზრების თვალსაზრისით, ისე ლიტერატუ-  
რული აღნაგობის მიხედვითაც<sup>79</sup>. იგი თავის თარგმანს ავსებდა სრუ-  
ლიად სხვა თხზულებიდან მოტანილი მასალით. მოსკოვში გაღემსილ  
„ამირნასარინს“ კი ურთავდა ლექსს, სადაც ირონით თავის უკუ-  
ლმართ ბედს უჩიოდა:

„სმელოს გარდაქცევითა მებოძა ლუქსობანი“.

ვახტანგ VI-ის თაოსნობით ხდება სამიჯნურო ხასიათის ძეგლის „პარამგულანდამიანის“ სპარსულიდან თარგმნა, სადაც მოთხრობილია ბარამისა და გულანდამის გმირული სიყვარულისა და თავდადების ამბავი. რომანტიკული ეპონის ეს შესანიშნავი ძეგლი ქართველები-  
სადმი მისაწვდომი გახდა გაშლილი მთარგმნელობითი მუშაობის შე-  
დეგად<sup>80</sup>. უფრო მოგვიანებით სპარსეთს პატიმრობაში მყოფი მეფე მთარგმნელობით მუშაობას აგრძელებს. იგი 1712—1716 წწ. ქირმან-  
ში პოლიტიკურ პატიმრობაში მომწყველეული, მოწყვეტილი თავის სამ-  
შობლოსა და მოშორებული ქვეყნის მართვას, ცხოვრების გამწარე-  
ბულ წუთებს ლიტერატურული მოღვაწეობითა და მთარგმნელობითი  
საქმიანობით ივსებს. ვახტანგი იწყებს ძველი იგავ-არაკების კრებუ-  
ლის „ქილილა და დამანას“ თარგმანს:

ეს თბოლი მარგალიტი დავაცვი და დავაშალე,  
ჭირნი ჩემნი უსაზომო ამ საქმითა გავაშალე,  
სიბრძნე ჭემი რიტორობა, მოვაწვიე, მოცვეხადე,  
მაგრამ ჩემთვის ამართული ვერ დავშალე, ვერსით ბადე<sup>81</sup>.

„ქილილა და დამანას“ თარგმნა ქართულად ჭერ კიდევ კახეთის მეფე დავითს (თეიმურაზის მამას) დაუწყია და ვერ დაუმთავრებია.

<sup>79</sup> გ. ი მე და შე ვი ლ ი, ყაბუს-ნამეს ქართული ვერსია, ამირნასარიანი, ლი-  
ტერატურული ძეგლანი, ტ. IX, 1955, გვ. 343.

<sup>80</sup> კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძევლი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1952,  
გვ. 306—11.

<sup>81</sup> ქილილა და დამანა, ალ. ბარამიძის და პ. ინგოროვას რედ. 1949, გვ. 2.



ეს თარგმანი ვახტანგ VI-ს ხელთ ჩავარდნია და 2 უცნობი მწიგნობა რისათვის მიუცია, რომელთაც 1714 წწ. ბოლომდე უთარეგმნიათ. მაგრა ამ ვახტანგს ეს თარგმანი ნაკლოვანად მიუჩნევია და ირანში დაუწყია მასზე მუშაობა.

„თუმცა დამეკლოს რამე ნუ დამგმობთ: ჩემი პირი ქვეს ჰქონებოდა, დაღნებოდა. ჩემი ფიქრი და ნალველი ზღვის ალაგს აავსებდა“<sup>82</sup>, წერდა ქართლის ბედის მაძიებელი მეფე.

ვახტანგი ქირმანში ძველ „ქილილა და დამანას“ ქართულ დუდის უდარებს, ასწორებს და რედაქციულად მართავს, მაგრამ არ ქმაყოფილდება ამით და საკუთარ თარგმანს იკეთებს. ვახტანგი ასწორებს მხოლოდ „ქილილა და დამანას“ სიტყვა-სიტყვით თარგმანს, როდესაც მას შავი კარზე იხმობს პოლიტიკურ საქმიანობაში ჩასაბმელად. ვახტანგი კარგად ხედავდა, რომ მის თარგმანს სჭირდებოდა დამატებითი გამართვა, გაჩალხვა და რედაქციული სამუშაოების ჩატარება. მაშინ ვახტანგმა თავისი თარგმანი ონანა მღივანს ქობულაშვილს გაუგზავნა, მაგრამ როდესაც სულხან-საბა ევროპიდან დაბრუნდა, მას მიანდო ეს დიდი საქმე.

მიუხედავად იმისა, რომ XVII—XVIII ს. მიჯნაზე საერთო ხასიათის ლიტერატურული ნაწარმოებები ღორძინდებოდა და მეცნიერების ისეთ დარგებს, როგორიცაა ფილოსოფია, ასტრონომია, ფიზიკა-მათემატიკა, ქიმია, ისტორია, პედაგოგიკა ჯეროვანი ყურადღება ეთმობოდა, მაიც სასულიერო ლიტერატურისადმი ინტერესი არ ნელდებოდა. ქართული მოწინავე საზოგადოება თავის ნიჭს, უნარს, ენერგიასა და შესაძლებლობებს ანდომებდა სასულიერო-აგიოგრაფიულ ნაწარმოებთა გამრავლება-გავრცელებას. დიდი მუშაობა ტარდებოდა ეკლესია-მონასტრებში, სადაც სპეციალური ჯგუფი იქმნებოდა გადამწერ-კალიგრაფისტებისა და ხარჯთა გამღები-მიმგებლების. ყოველივე ეს ხდებოდა ვახტანგ VI-ის თაოსნობით.

მწიგნობარ-კალიგრაფისტთა შორის ცნობილია იობ ფიტარეთელი წინამძღვარი, რომელსაც აქტიური მონაწილეობა მიუღია საბას ლექსიკონზე მუშაობისას<sup>83</sup>. ამის შესახებ ანტონ კათალიკოზი წერდა: „იობ პიტართის წინამძღვარი ტფილისელი, სიტყვითა შინა და სამღვდელოთა წერილთა ზემოწევნილი და მუსიკობათა ქართულითაც გამოცდილი იყო“<sup>84</sup>.

82 ქილილა და დამანა, ალ. ბარამიძის და პ. ინგოროვეს რედ. 1949, გვ. 2. ე. მეტრეველი, ალ. გვ. ა ბ რ ი ა, სულხან-საბა რობელიანის მთარგმნელობითი საკითხისათვის, სულხან-საბა რობელიანის საიუბილეო კრემული, 1959, გვ. 160—79.

83 ლ. მენაბ დ ე, ძველი ქართული კრების ისტორია, „მაცნე“, 1965, № 2.

84 ა ნ ტ ო ნ I, წყობილი იტყვაობა, პ. იოსელიანის გამოც. 1850, გვ. 278.

იობ წინამდლვარმა ვახტანგ VI-ის ბრძანებით გაამრავლა 1706 წ.<sup>85</sup> პარაკლიტონი. აგრეთვე საბას მამის, ვახტანგ ორბელიანის უდიდესობურა ბით მან მონაწილეობა მიიღო ძველი აღთქმის წიგნების გადაწერაში;<sup>86</sup> ვარაუდობენ, რომ იგი უნდა იყოს ერთ-ერთი ოთხთავის გადამწერი<sup>87</sup>.

იობისათვე ღვაწლის შედეგია 1706 წ. გულანის გადაწერა, რომელიც მნიშვნელოვანია, როგორც გიორგი მთაწმინდელის ხელნაწერის ვარიანტი. ეს ხელნაწერიც პიტარეთელ წინამდგარს ვახტანგ VI-ის განკარგულებით შეუსრულებია<sup>87</sup>.

ვახტანგ VI-მ მეცნიერების სხვა დარგებისადმიც ჯეროვანი ყურადღება-გამოიჩინა — ზუსტი მეცნიერების ისეთი დარგი, როგორიცაა ასტრონომია. ეს ინტერესი გამოუმედავნებია ქართლის გამგებელს ვახტანგს მაშინ, როდესაც იგი სპარსეთს ტყვეობაში იმყოფებოდა, კერძოდ, 1712—1719 წწ. მან შაპის ბიბლიოთეკაში დაცული XV საუკუნის ცნობილი სამარყანდელი ასტრონომის თემურლენგის შეილი-შეილის ულუღბეგის ვარსკვლავმრიცხველობა ანუ „ზიჯი“ გადმოაქართულა, მდივანბეგ მელქისიერექ კავკასიის თანამშრომლობით. ვახტანგის ასტრონომიული ნაშრომის ქართულად თარგმნა გარკვეულ მიზნებს ემსახურებოდა, მას სასწავლო სახელმძღვანელო დანიშნულება ჰქონდა. კრებული შეიცავდა რთულ ცხრილცხავებს და ნახაზებს, რომელსაც ვახტანგმა დაურთო განმარტებები. სპეციალურ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ „ზიჯის“ ყველა ხელნაწერიდან ვახტანგ VI-ის ხელთ მყოფი ხელნაწერი ყველაზე უნიკალური და სრულქმნილი ეგზემპლარი ყოფილია. სწორედ ფრანგ მეცნიერს დელიოს ვახტანგისეული ამ ხელნაწერით უსარგებლია, როდესაც ასტრონომიულ დაკვირვებებს აწარმოებდა კავკასიის რუკებზე მუშაობის ღროს.

რ. ჩაგუნავას მიერ ზემოთ აღნიშნული მეცნიერული ნაშრომის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ამ ასტრონომიულ თხზულების თარგმანში ჩართულ იქნა მოკლე სახელმძღვანელო ცნობარი, რომელშიც ტრიგონომეტრიული ცხრილები და არითმეტიკის საკითხები იყო განხილული. მისი ავტორი ვახტანგ VI იყო. ასე რომ, ვახტანგ VI-ს არა მარტო უთარგმნია ულუღბეგის „ზიჯი“, არამედ თვითონაც მეცნიერულად დაუმუშავებია და თავისი მხრიდან დამოუკიდებელი, სპეციალიზებული ნაკვლევი დაუმატებია<sup>88</sup>. „ზიჯიმ“ პრაქტიკული ას-

85 ხ. ი. ფ. H, № 885, 3—82.

86 ხ. ი. ფ. Q, № 326, გვ. 156, 157.

87 იქვე, ფ. A, № 626; № 628.

88 ხ. ი. ფ. S, 161; აღწ. ტ. I, 1946, გვ. 336; ნ. Невская, Петербургская астрономическая школа XVIII в., Ленинград, 1984, с. 170, 173; რ. ჩაგუნავა, ვახტანგ ბაგრატიონის საბუნებისმეტყველო სამეცნიერო მოღვაწეობა, თბ., 1986, გვ. 3.

ტრონომის სახელმძღვანელოს სახე 1730 წ. პეტერბურგში მიიღო ვახ-  
ტანგ VI-ს დაბული მუშაობის შედეგად. ქართლში ამ ნაწარმოების  
სახელმძღვანელო ფუნქცია შეუსრულებია და ეს ღირფასოვანი სა-  
ხელმძღვანელო შემდეგშიც ყოფილა ხმარებაში.

ქართლის გამგებლის ასტრონომიული მეცნიერებით დაინტერ-  
სება ეტყობა აგრეთვე ნასირთუსელის „სტოლაბის სასწავლო წიგნს“  
ანუ „ქმნულების ცოდნის წიგნს“, რომელსაც ვახტანგის ჩასწორებები  
ახლავს, ვახტანგს წაუშლია არაბულ-სპარსული სიტყვები და ქართუ-  
ლი შესატყვისებით შეუცვლია<sup>89</sup>.

ეს ასტრონომიულ-კოსმოგრაფიული შინაარსის წიგნი ვახტანგს  
სპარსეთში უთარგმნია და როგორც თვითონ წერს, „სტოლაბიც“ ქარ-  
თულად გადმოულია. მას ასტრონომიულ-გეოდეზური დაკვირვებების  
საწარმოებელი ხელსაწყო აღუნუსხია, რომელიც დღესაც ინახება სა-  
ქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

რ. ჩაგუნავას კვლევის შედეგად სრულიად ცხადი ხდება, რომ  
ვახტანგ VI-ს მრავალი სამეცნიერო სამუშაო ჩაუტარებია, რის შედე-  
გად ზემოხსენებული სახელმძღვანელო სახმარ წიგნად უქცევია; კერ-  
ძოდ, ტრიგონომეტრიის ცოდნის ხერხებით სიმაღლის მიხედვით  
ჩრდილი განესაზღვრა და სახელმძღვანელოში მოცემული ამოცანების  
მიხედვით, გეომეტრიის გამოყენებით მდინარის განის და მიუღო-  
მელი საგნის გამოთვლა მოუხერხებია<sup>90</sup>. ცხადია, ამ ხასიათის სამუ-  
შაოების ჩატარება ვახტანგ VI-ის სპეციალური ცოდნის საფუძველზე  
ხდებოდა.

ვახტანგ VI-ს, ნიკოლოზ ორბელიანს და ვახტანგი ბატონიშვილს  
ხელთ ჰქონიათ 1233 წლით დათარიღებული ასტრონომიული კალენ-  
დარული ნაშრომი, რომელიც აქარის ხიხათა ერისთავს აბუსერიძე  
ტბელს შეუდგენია. ამ ნაშრომზე ქართველ მწიგნიბართ თავისი კვალი  
დაუტოვებიათ, მრავალი შესწორება შეუტანიათ და ქართული სპე-  
ციალური ტერმინები დაურთავთ.

ასტრონომიული მეცნიერებით დაინტერესებას ამ პერიოდში ით-  
ანე ჯამბაკურ თრბელიანიც აღნიშნავდა, რომელიც XVIII ს. 60-იანი  
წლებისათვის ამ მიმართულებით ატარებდა სამუშაოებს. „ვარსკვლავთ-  
მრიცხველობა ვახტანგ მეფემ მასწავლა“<sup>91</sup>, წერს იგი. ეს არ იყო კერ-  
ძო შემთხვევა. მას უფრო ფართო ხასიათი ჰქონდა.

პოლიტიკური კატასტროფის მიუხედავად, ქართული კულტურის  
მესვეურნი კვლავ აგრძელებენ რუსეთში თავის მეცნიერულ და კულ-

<sup>89</sup> ქ. შარაშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 37; ჩ. ი. ფ. H, № 437; რ. ჩა-  
გ უ ნ ა ვ ა, იქვე, გვ. 33.

<sup>90</sup> ჩ. ი. ფ. A, 85; რ. ჩაგუნავა, იქვე, გვ. 35.

<sup>91</sup> ხელნაშ. აღწ., ტ. I, 1945, გვ. 211.

ტურულ მოღვაწეობას. ვახტანგის ბრძანებით ითარგმნება ასტრონომიული ნაშრომი „სივაյის ზომა ანუ პლანიმეტრია“, რომლის ატასტატურა მსწორებს და ავტორის თვითონ ვახტანგი. იგი შესულია ზემოთ ხსენებულ ასტრონომიულ კრებულში.

ვახტანგ VI-მ რუსეთში ყოფნის დროს მათემატიკურ დისციპლინათა სარბიელზე განაგრძო მუშაობა. თუ მას თავისი მოღვაწეობის პირველ ეტაპზე, როგორც რ. ჩაგუნავა ოღნიშნავს, მათემატიკის დარგი მხოლოდ დამხმარე ფუნქციად ჰქონდა მიჩნეული, მან ახლა პოზიტიურ არითმეტიკას, პრაქტიკულ და კონსტრუქტიულ გეომეტრიის დისციპლინებს მისცა მეცნიერული ჩამოყალიბების დასაბამი. ამ საქმეში მას, როგორც კრებულის ანდერძი გვამცნობს, მიხეილ ელივიჩი უწევდა დახმარებას.

რ. ჩაგუნავას მიუკვლევია აღმოსავლეთმცოდნეობის საკვშირო ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში ზელნაწერი, სადაც დაცულია ვახტანგის ული „კვინკლოსი“, რომელიც მჩხასა და მთვარის ციკლების გამოანგარიშების მათემატიკურ წესებს იძლევა. რ. ჩაგუნავა ოდგენს, რომ ის ხერხები, რომლითაც ვახტანგს უხელმძღვანელია რუსეთში, თანამედროვე ევროპულ მეცნიერებათა დონეზე იღვა<sup>92</sup>.

ქართველ მოღვაწეთაგან სამხედრო ხელოვნებისადმი დაინტერება მოსკოვში დასახლების შემდეგ გაძლიერებულია. ვახტანგ VI-ს სპეციალურად დაუვალებია რუსულიდან ქართულად საარტილერიო წიგნის თარგმნა, რომელიც თვითონ უსწორებია, შენიშვნები შეუტანია და დაურთავს ალექსანდრე არჩილის ძის ბატონიშვილის მიერ თარგმნილი სამხედრო წიგნი. ეს სამხედრო ხსიათის წიგნი იმ კატეგორიის ღირსშესანიშნავი სახელმძღვანელო გამხდარა, რომ მოგვიანებით ამ წიგნის მეშვეობით და ხელმძღვანელობით ერეკლე II-ს გიორგი თარხნისათვის დაუვალებია ზარბაზნების გაწყობა და მასაც ამ კრებულით უხელმძღვანელია<sup>93</sup>. გიორგი თარხნის მიღებულ ზარბაზნებს რუსი სპეციალისტებისაგან მოწონება მიუღია და ქართლ-კახეთშიც სამხედრო ძალების ერთ-ერთ წყაროდ შექმნილა. ამ სახელმძღვანელოს ათეული წლების მანძილზე თავისი მეცნიერულ-პრაქტიკული ღირებულება არ დაუკარგავს.

XVIII საუკუნის დასაწყისისათვის გარკვეული ინტერესი იზრდება ისეთი ტექნიკური დისციპლინებისადმი, როგორიცაა ქიმია. ვახტანგ VI-ს სპარსეთში ყოფნის დროს დაუწყია ქიმიის სახელმძღვანელოზე მუშაობა. მას შეუდეგნია „წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიის ქმნის“, რომელზედაც მუშაობა რუსეთში გაუგრძელებია. ვახ-

92 ბ. ი. ფ. 5, № 167, გვ. 1—22; რ. ჩაგუნავა, დასახ. ნაშრ., გვ. 33, 35.

93 ბ. ი. აღწერ. I, 1959 წ., გვ. 184.

ტანგს ხელთ ჰქონია, როგორც თვითონ ამბობს „თეზითის... ჩემის ძმის ნუსხის პირი“<sup>94</sup>, რაც იმას უნდა გულისხმობდეს, რომ ქიმიური პროცესებით ინტერესდებოდნენ მისი სახლისკაცნიც. ვახტანგს არა მარტო შეუდგენია ეს წიგნი და სხვა სახელმძღვანელოებიდან გადმოუტანია ქიმიურ ნივთიერებათა რეცეპტები, არამედ თვითონ ჩაუტარებია პრაქტიკულად ზოგიერთი ქიმიური ცდა. ამ სახელმძღვანელოზე ვახტანგი ბატონიშვილსაც უმუშავია და ფიზიკისა თუ ქიმიის ხელსაწყოთა ზოგიერთი ნახაზი დაუტანებია ამ ნაშრომისათვის.

ა. ჩენენკელის აზრით, „ნაშრომს ეტყობა რუსეთში და ირანში დაგროვილი ქიმიური ცოდნის გავლენა“ და ვარაუდობს, რომ ვახტანგ VI-ს ქიმიური ლაბორატორია უნდა ჰქონოდა<sup>95</sup>.

სპეციალურ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ ვახტანგ VI-ის ეს ნაშრომი კარგად ასახავს ექსპერიმენტული ქიმიის განვითარებას საქართველოში, ქიმიურ ნაერთთა გამრავლების ფაქტებს და მისი მოხმარების საჭიროებას მედიცინისა და საყოფაცხოვრებო საქმიანობაში. ცფიქრობთ, იგი გამოყენებული იყო ზარაფხანაში, თოფხანასა და სამღებროებში. უფრო მეტიც, რ. ჩაგუნავა დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ ზემოთ ხსენებული მეცნიერული ნაშრომის ანალოგიური გამოკვლევა იმდროინდელ რუსეთში არ არსებობდა, იგი გაჩნდა მხოლოდ XVIII ს. II ნახევარში და XIX ს. მიაღწია. ამდენად ამ კუთხით, ვახტანგ VI-ზე საუბარი შეიძლება როგორც XVIII საუკუნის მაღალევალიფიციურ მეცნიერზე<sup>96</sup>.

ზემოაღნიშნულ ნაშრომში, გარდა ქიმიურ ნივთიერებათა წესების წარმოებისა, შეტანილია ოპტიკის ზოგიერთი წესი, რომელიც სპეციალისტების აზრით, ზუსტად ემთხვევა თანამედროვე ოპტიკის წესებს და ამდენად, დღესაც მეცნიერულ ღირებულებას წარმოადგენს<sup>97</sup>.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ნაღვაწის შედეგად ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ვახტანგ VI დიდი გაქანების მეცნიერი იყო და ენციკლოპედიური განათლების მქონე მკვლევარი.

ვახტანგ VI-მ თავის „მრავალმხრივ სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად ქართული მედიცინისათვისაც მოიცალა. მან აამეტყველა XV საუკუნის ცნობილი მოღვაწის ზაზა ფანსკერტელ-ციციშვილის სახე,

94 ბ. ი. ფ. S, № 3721; ვახტანგ VI, წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიის ქმნისა, თ. ენუქიძის და ვ. კოკოჩაშვილის გამოც., 1981.

95 ა. ჩენენკელი, ქიმიური შინაარსის ერთო ძველი ქართული ხელნაწერის შესახებ, სეც. სამედ. სახ. შრ., ტ. I, 1961, გვ. 285—305.

96 ვახტანგ VI, წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიის ქმნისა (რედ. თ. ენუქიძე და ვ. კოკოჩაშვილი, 1981, შესავალი გვ. 1—35); P. Чагунашвили, Вахтанг Багратиони и его труд по химии. 1981, с. 4, 5.

97 გ. შენგელია, ოპტიკის საკითხები და ვახტანგ VI-ის ოპტიკური პარაგრაფები, საქ. ეფალ. მ-ბე № 5, 1963 წ.

რომელიც ქართველებს მხოლოდ ყინწვისის ფრესკის სახითღა ჰქონდა /  
შემორჩენილი. ქართულმა სამედიცინო ტრაქტატებმა, რომელნაც შემორჩენილი  
პრაქტიკულ საჭიროებას პასუხობდნენ, XVIII საუკუნისათვის თავი  
დაზიანებული სახით მოიტანეს. ამიტომაც 1719 წ. ვახტანგ VI-მ და-  
ზიანებული, დაფურცვლილი XV ს. სამედიცინო კარაბადინი იღადგი-  
ნა, შინარსობრივად გამართა, პაგინაცია დაურთო, ააკინძინა, შენიშვ-  
ნები დაუმატა და სახმარ სამედიცინო წიგნად აქცია. ეს სამკურნალო  
წიგნი ვახტანგმა ორ ორგანულ ნაწილად დაპყო, თითოეულს თავისი  
სათაური და თავისი დანიშნულება ორგუნა. წიგნის I ნაწილი ემსა-  
ხურება მედიცინის ზოგადი თეორიული საკითხების განხილვას, კერ-  
ძოდ დიაგნოსტიკის, ჰიგიენის და მკურნალობის საკითხებს<sup>98</sup>. ხოლო  
II ნაწილი კი კერძო ხასიათს ატარებს და ცალკეულ ორგანოთა დაა-  
ვადების წინააღმდევ წარმოებულ სამკურნალო მეთოდებს ადგენს<sup>99</sup>.

სპეციალურ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ ძველ ფარმა-  
კოლოგიურ საშუალებათა ფორმების და მათი ტექნიკოგიური პრო-  
ცესების ასეთი ვრცელი და სისტემატიკურებული აღწერილობანი შა-  
ნაძე არსებულ სამედიცინო ძეგლში დადასტურებული არ არის<sup>100</sup>.  
ამით აისწენება ის ვარემოვება, რომ ვახტანგმა ჯეროვანი ყურადღება  
სწორედ ამ ძეგლს მიაქცია და იგი თავისი ერის საკეთილდღეოდ  
სახმარ, სახელმძღვანელო, სამედიცინო დოკუმენტად აქცია. ვახტანგ  
მეფის ყველა მეცნიერულ-თეორიული მოღვაწეობა პრაქტიკული საქ-  
შიანობით იყო ხოლმე განპირობებული. ეს შრომაც მან პრაქტიკული  
მიზნებისათვის ჩატარა. „ეს შევაწყობინე და შევაკვრევინე საქსრად  
ყოველთა“, — წერდა იგი კარაბადინის ჩართულ ფურცელში.

როგორც ზევით აღვინიშნეთ, ვახტანგს გრანდიოზული სამუშა-  
ოების ჩატარება მოუხდა სამართლის დარგში. ვახტანგის კანონებმა  
დიამკვიდრეს სავალდებულო ძალის უფლება. განსაკუთრებით ეს  
ფაქტი აისახა სასამართლო პრაქტიკისა და პროცესუალურ სამართალ-  
შიც. XVIII ს. მართლმსაჭულება ხელმძღვანელობდა ვახტანგის კან-  
ონებით და სასამართლო პრაქტიკა ასახვდა ფეოდალური ურთიერთო-  
ბისათვის დამახასიათებელ საზოგადოებრივ სოციალურ დიფერენცია-  
ციას და იმ იერარქიულ კიბეს, რომელიც ვახტანგის სამართალში იყო  
მოცემული. სოციალური იერარქია, რომელიც სასამართლო პრაქტი-  
კაში იყო ასახული, პირდაპირ უთითებდა იმ მუხლებს, რომელთა სა-  
ფუძვლებზე ისაზღვრებოდა ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის თუ სო-  
ციალური კატეგორიის სისხლი. ქართული მართლმსაჭულება სა-

98 ვამოცემულია 1959 წ. გ. შენგელის მიერ. ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის  
სამკურნალო წიგნი.

99 ცქვე, გვ. 23.

100 გ. შენგელი, იძველება, გვ. 24.

ზღვრავდა ვახტანგის სამართლის კანონების მიხედვით, როგორც სამი  
კატეგორიის თავადის, ისე სამი კატეგორიის აზნაურის სისხლს. ამას ვჯელა  
დადასტურებას საარქივო მასალა იძლევა<sup>101</sup>. ყმაგლების სისხლის დაურ-  
ვებაც ამა თუ იმ სასამართლო პროცესზე ხდებოდა ვახტანგის სა-  
მართლის გათვალისწინებით<sup>102</sup>. ამ შემთხვევაშიც როგორც ზევით აღ-  
ნიშნული იყო გლეხთა კატეგორიათა სხვაობა სისხლის შეფასებით იყო  
გათვალისწინებული (24 თუმანი და 12 თუმანი). ქართულ მართლმსა-  
ჭულებას, როგორც მთელ ფეოდალურ ყოფას, საფუძვლად ედო: „ძაცი  
მამულით, კაცობით, ბატონის სამსახურით, ციხით, მონასტრით და უფ-  
როსის კაცის მოყუარედ მოკიდებით ამაღლდების და სისხლიც გაუღი-  
დდების“.

ასევე თვალსაჩინოდ ასახავდა სასამართლო პრაქტიკა ვახტანგის  
სამართლის სავალდებულო ძალას გვიანფეოდალური საქართველოსა-  
თვის დამახასიათებელ სათავადო სახლის ორგანიზაციის საკითხების  
გარკვევის დროსაც<sup>103</sup>. მთელი XVIII ს. მართლმსაჯულებანი სახლის  
ორგანიზაციის და სახლისკაცთა უმცროს-უფროსობის პრინციპი, რო-  
გორც კანონი, დაცული იყო და სასამართლო პრაქტიკა ხელმძღვანე-  
ლობდა ვახტანგის მიერ შემუშავებული რიგით, იმ რიგით, რომლის  
დამცველად მართლმსაჯულება გვევლინება. სასამართლო პრაქტიკისა  
და ვახტანგის სამართლის ურთიერთობის და ამ უკანასკნელის სავალ-  
დებულო ძალის დამადასტურებლად მასალას იძლევა XVIII ს.  
სასამართლო წარმოება, სადაც დანაშაულის კლასიფიკაცია და მის სა-  
ფუძველზე სისხლის დაურვების სახეები ვახტანგის სამართლის მსგავ-  
სად არის გადაჭრილი; ხოლო დანაშაულის ანაზღაურება პრალდებული-  
საგან ხდებოდა ქონებრივი საზღაურის გადახდით<sup>104</sup>.

XVIII ს. მართლმსაჯულება ითვალისწინებდა რა ვახტანგის სა-  
მართალში დადგენილ ნორმებს, ზღვარს ველებდა ცივი და სხვა ია-  
რალით მიყენებულ ჭრილობის შემთხვევებს და იმის მიხედვით განა-  
სხვავებდა დანაშაულს<sup>105</sup>. სასამართლო პრაქტიკაში ვახტანგის სამარ-  
თლის სავალდებულო ძალას გამოხატავს „შინ მოხდომის“ საკითხიც.  
ვახტანგის სამართალში დაცული ეს ნორმა (მეორე პარაგრაფის მუხლ-  
შია ასახული) გამოხატულებას ჰპოვებს პრაქტიკაშიც<sup>106</sup>.

101 ბ. ი. ფ. Sd, № 1142; ფ. Ad № 1171; ციია, ფ. 226, № 3077.

102 ციია, ფ. 226, 3078, 3185, 5046; ბ. ი. ფ. Hd, № 435, 1440, 2951.

103 ბ. ი. ფ. Hd, № 1053, საქ. სიძ. ტ. III, გვ. 476; ბ. ი. ფ. Ad, № 1493,  
1713; ციია, ფ. 226, № 4712.

104 ბ. ი. ფ. Hd, № 1053.

105 იქვე.

106 იქვე, № 14635.

ბეითალძანი (უძეოდ დატოვებული) მამულის ვახტანგის სამართლის 231—232 მუხლები) სამეფო სახასო საკუთრებად გამოცდა და მამულის მიზითვში ნარგებ (სამართლის 145-ე მუხლი) მამულზე უფლების შენარჩუნება-პატრონობა ქართულმა პროცესუალურმა სამართალ-მაც ასახა<sup>107</sup>. ეს ნორმა ვახტანგ VI-ის მიერ მკვიდრდებოდა.

ფეოდალური სამართალი იცავდა რა ფუძის მოუშლელობისა და მამულის მკვიდრობის პრინციპს, თვითონვე განმარტავდა, რომ სამართლით გაჩენილი მკვიდრობა არ უნდა წაერთვოს ოჯახს, რათა ოჯახი არ ამოწყდეს და „შემულიდან ხელმწიფეს სამსახური არ მოაკლდეს“.

ზემოთ მოტანილი მასალა გვაძლევს საშუალებას განვაცხადოთ, რომ ვახტანგ VI-ის შემუშავებულ სამართალს მიღებული ჰქონდა კანონით მოპოვებული ძალა. იყო შემთხვევები, როდესაც რომელიმე კერძო ხასიათის კაზუსი არ იყო ხოლმე გათვალისწინებული კანონ-მდებლობაში, მაშინ მოსამართლეს ეძლეოდა უფლება თავისუფლად ემოქმედა.

ამრიგად, ვახტანგ VI სარგებლობდა რა ადგილობრივი ადათობრივი სამართლის ნორმებით, რომელიც ფეხმოქიდებული იყო სასამართლო პრაქტიკაში, აყალიბებდა ამ ნორმებს კანონის სახით და მას სავალდებულო ძალის ანიჭებდა<sup>108</sup>.

ქართული პროცესუალური სამართალი, რომელიც აისახა ვახტანგ VI-ის კოდექსში, და რომელიც, თავის მხრივ, იყო დაფუძნებული არსებული სასამართლო განჩინებისა და სასამართლო გადაწყვეტილების წიგნებსა და ბარათებში, შეესატყვისებოდა სინამდვილეს. ქართული ვახტანგისდროინდელი პროცესუალური სამართალი იცავდა საქმის ძიების ეტაპებს; კერძოდ, სარჩელის შედგენას, საგამომძიებლო მოთხოვნის აცილებას, მოწმეთა ჩვენებებს, საქმის გაბრას, სასამართლო წარმოების საგამომძიებლო ფუნქციასა და ხელახალი გამოძიების შემთხვევებს<sup>109</sup>. ამით იგი გვიანთეოდალურ საქართველოში განვითარებული სამართლის არსებობას აღასტურებდა. ამავე დროს ქართული საპროცესო სამართალი, რომელიც ვახტანგ VI-ის კანონებში იყო დაცული, ინახავდა ძიების ისეთ მეთოდებსა და ხერხებს, რომელიც ორდალების სახეს ატარებდნენ, რითაც პროცესუალურ სამართალში „საღმრთო მსგავრს“ და ადათობრივ სამართალს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ადათობრივი სამართლის ქართულ სპეციალურ სამართალში დანერგვა და XIX ს. შემორჩენა, უნდა ისხნას ქართლში ფეოდალიზმის გახანგრძლივებით, რომელიც, თავის

107 საქ. სიბ. ტ. III, გვ. 243; ბ. ი. ფ. სდ, № 1243.

108 ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო დაწერილებით — გ. ქიკოძე, ვახტანგის კანონთა სავალდებულო ძალის საკითხისათვის XVIII ს. სამართალში, ზურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1959 წ. № 2.

109 ბ. ი. ფ. სდ, № 3492; ციხა, ფ. 450, დ. 30, № 10.

მხრივ, გახპირობებული იყო გარე პოლიტიკური რთული სიტუაციის  
მუდმივი არსებობით.

საინტერესოა, რომ ვახტანგის სამართლის სოციალური ხასიათი  
განსაკუთრებით აღმოჩნდა პროცესუალურ სამართლის შემთხვევაშიც.  
სამართლის ძიების დროს დამამტკიცებულ საბუთთა ერთ-ერთი სახეო-  
ბის — მოფიცართა ინსტიტუტის გათვალისწინებისას ცხადი გახდა,  
რომ სოციალურ მომენტს საქმის ძიებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა  
ჰქონდა. კაცის მოქვლის შემთხვევაში, ცილის აცდენის დროს, შეგნე-  
ბულ მოფიცართა 3 სახის თავადზე მიგვითითებს. ვახტანგის კოდექსი  
(დიდებულ თავადთაგან 40 შეგნებული, ე. ი. 10-ჯერ მეტი) მოფიცი-  
საგან, ხოლო უმცროს თავადთაგან 12 შეგნებულიდან 60 მოფიცარი  
კმარიდა. აქ სხვაობა დიდებულ და მესამე რანგის თავადთა მოფიც-  
რებს შორის მეტად დიდია. ეს ფაქტი დასასტურებულია პროცე-  
სუალური ძიების დროსაც, როდესაც მტკიცდება სოციალური დიფე-  
რენციაციის გარდაუვალობა სასამართლო ძიების დროს<sup>110</sup>.

მიუხედავად იმ დიდი დანაკლისისა, რომელიც საქართველომ  
განიცადა ვახტანგ VI-ის და მის თანამზრახთა რუსეთში გადასახლე-  
ბით, მათ საქართველოზე ფიქრისა და ღვაწლისათვის ყურადღება არ  
მოუდუნებით. პირველი პრაქტიკული კულტურული ლონისძიება, რო-  
მელიც ვახტანგ VI-მ გადაწყვიტა სისრულეში მოყვანა, იმაში მდგო-  
მარებდა, რომ მან კანცლერ გაბრიელ გოლოვკინს მოაგონა, რომ  
არჩილის დროს დაბეჭდილ წიგნებს „ივერთა ქვეყანაში“ გზავნიდნენ  
და ახლაც ითხოვდა, რომ ქართული სტამბა აუსუბავებინათ: „Дабы  
повелено было... на грузинском языке книги печатать в  
России, как прежде в оную Грузинскую“<sup>111</sup>.

რუსეთში ყოფნისას ვახტანგ VI-ს დიდი ინტერესები ისტორიისა და  
განსაკუთრებით საქართველოს ისტორიისადმი კიდევ უფრო გაღვივ-  
ვებია, რაც განპირობებული იყო მისი ქვეყნის ეროვნული თვითშეგნე-  
ბის გამძაფრებული გაზრდით. იმის გამოც, რომ მისგან დატოვებუ-  
ლი და მტრის მიერ დაპყრობილ სამშობლოს, კიდევ უფრო სჭირდე-  
ბოდა, გარდა პრაქტიკულ-პოლიტიკური, ისე მორალური პრესტიჟის  
გამაგრება და აწევა, თუნდაც თავის თანამემამულეთა თვალში.

ვახტანგმა 1728—33 წწ. შეაღინა ე. წ. „ქრონოლოგია“, რომე-  
ლიც გარდა ისტორიის დამხმარე დისციპლინის ნორმების დაცვისა,  
იძლეოდა, როგორც საერო, ისე სასულიერო ქრონოლოგიურ მნიშვ-

110 ამ საითხის ირგვლივ იხ. მ. ჭიქოძე, პროცესუალური სამართლი  
XVIII ს. საქართველოში, 1965 წ. „მაცნე“; И. Кекелия, Древняя грузинская  
законодательства, Тбилиси, 1969.

111 ქართული წიგნი, შესავალი, გვ. XVIII.

ნელოვან თარიღთა განმარტებებს. იგი „შეიცავდა აგრეთვე ქრონოლო-  
გიური გამოთვლის პრინციპებს, ტაბულებსა და ჩანახაზებს“<sup>112</sup>.

ვახტანგ VI-ის შემწეობით ნიკოლოზ ორბელიანმა 1728 წ. ქ. მოს-  
კოვს შეადგინა ე. წ. „ქრონიკონი“, რომლის ანდერძში ვკითხულობთ:  
„ეს საძირქვე მეფემან ქართლისამან ვახტანგ ბაგრატიონმან დაიდი სას-  
ჭელით გააკეთა“ და როცა ავტორი თხოულობს, რომ მისი ჭირნახუ-  
ლი არ დაიკარგოს, პირველად ვახტანგ VI-ის მოხსენებას ითხოვს მკი-  
თხველისაგან“<sup>113</sup>.

ვახტანგ VI-ის ამმხრივი მოღვაწეობის შედეგია ქართველ მეფე-  
თა სხვა ქრონოლოგიის გარიანტული სამუშაოც, ე. წ. „ბაგრატიონთა გე-  
ნეალოგიური ხის“ შედგენა, რომელიც იწყება საქართველოს მეფეთა  
შთამომავლობის აღნუსხვით და მთავრდება ვახტანგის შვილების და-  
სახელებით<sup>114</sup>.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაუტარებია ვახტანგ  
VI-ს ე. წ. „მაჩაბლისეული ქართლის ცხოვრების“ დამუშავებაში,  
რომელიც 1736 წ. მოსკოვში ყოფილა დამთავრებული<sup>115</sup>. ეს ნუსხა  
შემდგარა „ქართლის ცხოვრების“ ორი სხვადასხვა ეგზემპლარის შე-  
ჯერების შედეგად, რომელიც ხელთ ჰქონდათ გიორგი მაჩაბლისა და  
ვახტანგ VI-ს. ეს ეგზემპლარები იმით იყვნენ საინტერესონი მეცნიერ-  
რთაოვის, რომ ისინი თამარ მეფის ისტორიის განსხვავებულ თხრობას  
იძლევიან. ე. წ. „მაჩაბლისეულ ქართლის ცხოვრების“ შემდგენლებ-  
მა ეს გარიანტული სხვაობანი შეიტანეს თავის ნამუშევარში. აქვე აქ-  
ტიური მონაწილეობა მიუღია ვახტანგ VI-ს „ქართლის ცხოვრების  
ერაყისეული“ ნუსხის შედგენაშიც, რომლის ანდერძში აღნიშნულია,  
რომ ეს ნუსხა „ვახტანგის თანხლებით“ დგებოდა და „აქ მოსკოვს  
არის ამ ქართლის ცხოვრების ბოლოს ექვსიოდ რვეული... კარგი საჯ-  
მარი და შესატყვისი წიგნი“<sup>116</sup>.

ვახტანგი ბატონიშვილიც ვახტანგის თანადგომით ეწევა თავის  
დიდია და მნიშვნელოვან სამუშაოებს „ქართლის ცხოვრების“ შედ-  
გენასა და „საქართველოს აღწერის“ დროს. ზემოხსენებული „ქარ-  
თლის ცხოვრების“ მინაწერის მიხედვით ირკვევა, რომ ვახტანგის ვახ-  
ტანგ VI-ის დაწყებული საქმე რუსეთში გაუგრძელებია და დაუსრუ-  
ლებია. ერთ-ერთი ეგზემპლარის მინაწერში ვკითხულობთ, რომ „ქარ-  
თლის ცხოვრება“ პირველად ვახტანგ მეფეს ქართლში თვით ეკითე-

112 ხ. ი. აღწ. ფ. Q, H, № 548; ფ. S, № 1624.

113 ხ. ი. აღწ. ფ. H, № 90.

114 ხ. ი. აღწ. ფ. S, IV, № 3939; ფ. Ad, № 844; თ. კუთნია, გორგის ოლქ-  
ში აღმოჩენილი ქართული სიძველენი, „ლიტერატურული ძებანი“, IV, 1948, გვ.  
255—59.

115 ხ. ი. აღწ. ფ. V, ფ. Hd, № 2135.

116 ხ. ი. აღწ. ფ. H, ტ. I, № 44.



ბინა და მერმე რუსეთს გაეგრძელებინა... „ძეგლთა გუჯრებითა და ცხოვრებითა, მოხუცებულ მახსოვარ შეცნიერთა, საქართველოს კულტურული თავის დიდის გამოკვლევით და გამოძიებით, გულის მოდგინებით ეკეთებინა“. ხოლო მინაწერისავე ცნობით, ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ დასრულებული სახე ვახუშტის მიუცია მისთვის<sup>117</sup>.

ვახტანგ VI რუსეთში მარტო საქართველოს ისტორიის დამუშავებით არ ითარგლება. იგი მსოფლიო ისტორიისადმიც იჩენს დიდ ინტერესს და პატუა თუმანიშვილს ავალებს კუნიტოსს კურციოსის აღექმანდრე მაკელონელის ცხოვრების თარგმანს<sup>118</sup>.

რუსეთში ვახტანგ VI დიდი გულისყურით ეკიდება ლექსიკოლოგიურ სამუშაოებს და საბას ხელს უწყობს, რომ ერთ-ერთი ეგზემპლარი ქართულ სიტყვათა ლექსიკონისა რუსეთში ყოფნის დროს დაამთავროს, რასაც თავის ანდერძში საბა აღნიშნავს კიდეც<sup>119</sup>. ქართულ ლექსიკონზე მოთხოვნა ისე ვაზრდილა მოსკოვის ქართულ კოლონიაში, რომ „სიტყვის კონის“ გადამწერი ზოსიმე ობელიანი თავის ანდერძში მიუთითებს, რომ ვახტანგის ინიციატივით ზოსიმეს გადმოუწერიათ ერთ-ერთი ეგზემპლარი<sup>120</sup>. ასევე ვახტანგის დაკვეთით 1731 წ. გაუმრავლებია დემეტრე რევაზიშვილს საბასეული ქართული ლექსიკონი<sup>121</sup>. სპეციალისტთა შორის გავრცელებულია აზრი, რომ საბას დროს და საბას შემდეგ რუსეთში არსებულ ლექსიკონებზე მუშაობისას რედაქტირებას ვახტანგი უკეთებდა, რის ვარაუდის უფლებას ვახტანგის მინაწერები იძლევიან<sup>122</sup>. ამრიგად, ლექსიკოლოგიური მუშაობა რუსეთში ვახტანგის თაოსნობით გრძელდებოდა. იხვეწებოდა და სრულებრივი სახეს იღებდა საბასეული „სიტყვის კონა“.

რუსეთში ჭეროვან ყურადღებას ვახტანგ VII სამართლის ძეგლებისადმიც იჩენდა. მისი თაოსნობით 1729 წ. მოსკოვში მოხდა ალექსი მიხეიოლის ძის სამართლის ძეგლის გადმოქართულება<sup>123</sup>. ამ ნაშრომის ავტორები იყვნენ ცნობილი მოღაწენი ნიკიტა ოდოევსკი, სიმონ პრიბორსკი და თევდორე ვოლკონსკი. ცხადია, იურისპრუდენციის ეს ნიმუში ვახტანგისათვის დიდი მნიშვნელობისა იყო. არც ერთ რუსულ კანონმდებლობას დაუტოვებია უყურადღებოდ ვახტანგის შედგენილი „დასტურლამალი“ და რუსულად უთარგმნიათ<sup>124</sup>. შემდეგ ვახტანგის

117 ბ. ი. აღწ. ფ. S, ტ. I, № 281.

118 ბ. ი. აღწ. ფ. H, ტ. IV, № 462.

119 ბ. ი. აღწ. ფ. H, ტ. III, № 1035.

120 ბ. ი. აღწ. ფ. Q, ტ. III, № 935.

121 ბ. ი. აღწ. ფ. A, ტ. V, № 1703.

122 Л. Кутателадзе, Редакция толкового словаря Сулхана Орбелиани по автографам, с. 35.

123 Р. Орбели. Грузинские рукоп. Инст. востоков. I, 1956, № 104.

124 იქვე, № 105.

კანონების გაცნობას ისეთი მოწონება დაუმსახურებია, რომ მშენებლების მიხედვით და გათვალისწინებით რუს იურისტებს შეუძლებულებელიათ რუსული კანონების ერთ-ერთი კოდექსი, რომლის წინასიტყვაობაში გვითხულობთ: „Составлен был по решению русского правительства на основании законов грузинского кодекса“<sup>125</sup>.

ვახტანგის მოღვაწეობა მოსკოვში საღვთისმეტყველო სფეროსაც შეეხო. 1730 წ. ვახტანგ VI-ის დაკვეთით ნიკოლოზ ორბელიანმა გადმოწერა არჩილ მეფის მიერ თარგმნილი ბერძენი ავტორის პეტრე მოგოლის „აღსარება სარწმუნოებისა“<sup>126</sup>.

ვახტანგის თვითონ შეუდგენია ე. წ. „საღვთისმეტყველო კრებული“, რომელიც შეიცავს აბორიფებს, საღვთისმეტყველო საკითხევებს და ქადაგებებს. ვახტანგს ეს ტექსტი თავებად და რიცხვებად დაუყვით. გარკვეულ ფურცლებზე ჩანს ვახტანგ VI-ის ნამუშევარის კვალი<sup>127</sup>.

აქვე ვახტანგს შეუდგენია ერთ-ერთი კვინქლოსი, რომელიც შეიცავს საეკლესიო დღესასწაულთა კალენდარს, მზის მოქცევის აღწერას და კრიპტოგრამულ ანბანს<sup>128</sup>. ვახტანგის ამ ნაშრომს მისივე ანდერძი ერთვის: „პირველ ასურს ბრძენთაგან ფარვით ეს კვინქლოსთა საუბარი, ვახტანგ მოსკოვს ცხადად ვწერე სათანადო საუბარი“.

ამრივალ, ვახტანგ VI-ის მეთაურობით კულტურულ-საგანმანათლებლო და მეცნიერული სამუშაოსათვის სამშობლოს განშორებულ ქართველ მწიგნობართ მეცნიერების სხვადასხვა დარგთა დაინტერესებით, ისე გამოუჩინიათ თავი, რომ რუს სპეციალისტებს ქართული კულტურის ძეგლები თავის ენაზე გადაუტანიათ.

მეცნიერულ-კვლევითი სამუშაოები ისე ვრცელდებოდა ქართველ კოლონისტთა შორის, რომ ნიკოლოზ ორბელიანს ვახტანგის დავალებით უმუშავია წიგნზე „აღსარება მართლისა სარწმუნოებისა“, რომლის შესახებ ამის ხელნაწერი გვატყობინებს: „მეფეს ვახტანგს უჩივერ ვექმენ (წერს ნიკოლოზი), თორემ ჩემისთანას ცოდვილის ბერისაგან ძნელად შესამართავი წიგნი იყო“<sup>129</sup>.

ვახტანგ VI-ის ინტერესთა სფერო იმდენად ფართო გახდა, რომ იგი ეკონომიკურ მეცნიერებასაც გადასწვდა. მან 1725—28 წწ. სიმონ მაკაცარიძეს ათარგმნინა ფრანგულიდან ფლორინოვის ნაშრომი, რომელიც შეიცავდა მიწის დამუშავების სისტემის საკითხებსა, ცნობებსა

<sup>125</sup> Р. Орбели, დასახ. ნაშრომი, № 106.

<sup>126</sup> ბ. ი. აღწ., ფ. S, I, № 202.

<sup>127</sup> ბ. ი. აღწ. ფ. S, I, № 260.

<sup>128</sup> ბ. ი. აღწ. ფ. Q, I, № 225.

<sup>129</sup> ბ. ი. ფ. Q, № 164, გვ. 91; ფ. A, № 586, გვ. 119.

და რჩევებს სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების საქმიანობის ში<sup>130</sup>. როგორც დავინახეთ, ვახტანგის ინტერესთა სფერო გამოიჩინა მრავალფეროვნებით. მისი ნიჭი და უნარი სწვდებოდა მეცნიერებათა კვლევის თითქმის ყველა დარგს.

ვახტანგისავე ქერიული მონაშილეობით 1731 წ. მამუკა ბარათაშვილმა შეაღდგინა პოეტიკის თეორიული სახელმძღვანელო „ლექსის სწავლის წიგნის“, რომელიც აფრორისავე ანდერძში აისახა<sup>131</sup>. ეს იყო პირველი ცდა ქართულ ლიტერატურულმცოდნეობაში.

მეცნიერების ზემოხსენებულ დარგთა დაინტერესების გარდა რუსეთში ვახტანგ VI დიდ ყურადღებას აქცევდა საერო ლიტერატურას, განსაკუთრებით — პოეზიას. იგი თვითონ ცდილობდა გამართლება მოეძებნა პოეზიით დაინტერესებულთათვის. თავისი განწყობილება მან ვერ დაფარა თავის პოეზიაში:

დამიმონა კაშანმა, სევდა მომხვდა მისთვის წამლად,

ნაღველს ვხმარობ მუდამ მელნად, გულსა ვაწებ, მცად კალმად<sup>132</sup>.

მისი ლიტერატურული მემკვიდრეობისა და განსაკუთრებით პოეზიის მეურვე იყო მდივანი მელქისედეკ კავკასიძე. იგი 1730 წ. თავის ანდერძში განმარტავდა, რომ „მოცალებასა შინა მყოფსა, ჭმუნვა ნაღვლისა მაქარევებლად, საქართველოს მპყრობლის მეფის ვახტანგისა მიერ დიდსა სამეფოსა მოსკოვს“ — იწყებდა ამ მნიშვნელოვან საქმეს.

ვახტანგის ლექსთა კრებულისადმი ინტერესი მოსკოვის ქართულ კოლონიაში იმდენად იზრდება, რომ 1734—37 წწ. კავკასიძისეული ლექსთა კრებული დემეტრე ორბელიანს გადაუწერია.

მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ ვახტანგის ლექსთა კრებულის კავკასიძისეულ ნუსხაში შესულია ე. წ. სოკრატეს „სიტყვისგება“, რომელიც, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ერასტი თუმანიშვილს უთარებმნია, რათა იგი ქართველი მეითხველისათვის უფრო ადვილად მისი წევდომი გამხდარიყო. ვახტანგს იგი თვითონ გაულექსავს და უწოდებია მისთვის „სიბრძნე მაღალობელი“<sup>133</sup>.

ამ ხელნაწერის ანდერძში პირდაპირ ნათქვამია:

„ბრძანებით მეცეთმეფისა პატრონის ვახტანგისათა,  
ეს მისგან ნაბრძან-ნაკაზში ხელოვან ოსტატისათა,

130 ბ. ი. ფ. S, № 5446; ფ. H, № 68.

131 ბ. ი. ფ., № 548; ფ. S, № 526; გ. ზოქაძე, პოეტიკის სახელმძღვანელო, 1957.

132 ბ. ი. აღწ. ფ. Q, ტ. II, № 548; გვ. 30; ეს ხელნაწერი საფუძვლად დაედო ალ. ბარამიძის 1975 წ. გამოცემას. გვ. 22.

133 ბ. ი. ფ. Q, № 548.

გრძელ სალალობელი წოდებით სიტყვითა გვარადისათა,  
და მწერ მესხი ეინმე მდივანი კელითა კავკასიძისათა".

შემთხვევითი არ არის, რომ 1733 წ. ვახტანგს მის მიერვე სპარსული დანართი პროზაულად თარგმნილ „ამირნასარიანის“ გალექსვა დაუმთავრებია<sup>134</sup>.

ვახტანგ VI-მ მელქისედეკ ქავკასიძეს 1733 წ. დაავალა აგრეთვე თავისი თარგმნილი „ქილილა და დამანას“ ქართული ვარიანტის გალექსვა. ცხადია, ესეც არ იყო შემთხვევითი მოვლენა. ეს იყო ქართველი ადამიანის სულიერი სამყაროს გამღიღრების კიდევ ერთი შესაძლებლობა.

რუსეთში ვახტანგისავე ინიციატივით ხდება მემუარული ლიტერატურის გავრცობა-გამრავლება, რომლის საუკეთესო ნიმუშს ოტია ფავლენიშვილის „ვახტანგიანი“ წარმოადგენს. ავტორი სისტორიო ეპოსის ფორმით თხზავს ვახტანგ VI-ის რუსეთში გადასახლების ისტორიას. იგი ვახტანგის ამაღლის წევრია. ო. ფავლენიშვილი ვახტანგ VI-ის საგარეო პოლიტიკის კრიტიკულ შეფასებას იძლევა. ვახტანგ VI-მ „საქმეს თავი ვერ აბა, ნდობა აქვს საჭვირჭვილოსანი“<sup>135</sup>, წერს იგი.

ო. ფავლენიშვილის მსჯელობით, ვახტანგ VI-მ ევროპისა და რუსეთის პოლიტიკურ რეალურ გეგმებს ალლო ვერ აუღო — „თავი ვერ აბა“, ასებული საერთაშორისო ვითარება ბოლომდე ვერ შეაფასა. „ვახტანგიანის“ ავტორი თელის, რომ რუსეთთან ურთიერთობის გამწვავებას მოჰყვა „არევა ურუმისანი“ და შინაურ თუ გარეშე მტერთან შულმა უბიძგა ვახტანგს განეცხადებინა — „ამაში ჰარ სქობს ჩვენი გარევა“. გაეცალა თავის ქვეყანას და რუსეთს შეეხინა. ამდენად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ „ვახტანგიანის“ ავტორი ობიექტურად აფასებს ვახტანგ VI-ის ამ პოლიტიკურ ნაბიჯს, რომელსაც საქართველოსთვის სასიკეთო არაფერი მოუტანია.

ო. ფავლენიშვილი თვითმხილველია ვახტანგის მოღვაწეობისა, ამავე დროს მისი ღვაწლის ობიექტურად და კრიტიკულად შემფასებელი. ამდენად, მის აზრს გარკვეული მნიშვნელობა აქვს.

ასევე აღწერა გაბრიელ გელოვანმა ვახტანგ VI-ის და მისი ამაღლის რუსეთში გამგზავრების მიზეზები: პეტრე I-სგან იმედების გაღვივება, ქართველ თავგაცთა ერთსულოვნება რუსული ხელისუფლებისადმი; რაჭის ერისთავისაგან, იმერთ დედოფლის ნინოს, ოდიშისა და ჩერქეზ ბატონთა თანაგრძნობა; სარდალ კროპოტკოვის მიპატიუება და სხვა. აქვე მოთხრობილია, თუ როგორ „ფრიად მოხარული

<sup>134</sup> ხ. ა. აღწ. ფ. S, ტ. IV, № 4500.

<sup>135</sup> ო. ფავლენიშვილი, ვახტანგიანი. ს. ყუბანენშვილის ჩედ. ლიტერატურული ძიებანი, IV, ტ. 1948, სტ. 47.

იქნა კელმწიფე, პეტრე I“ და როგორ დასაჩუქრა ვახტანგის მარე  
გაგზავნილი სარდალი ამილახორი<sup>136</sup>.

ო. ფავლენიშვილისა და ღ. გურამიშვილთან შედარებით გ. გვ-  
ლოვანი უფრო უკრიტიკოდ უდგება ვახტანგ VI-ისა და ქართველ  
ლტოლვილთა რუსეთში გადასცვლის ფაქტს. იმდენად, მისი თხრობა  
გარევეულად ტენდენციურია. 1737 წ. ვახტანგ VI-ის დაკვეთით ვახტანგ  
რიელ გელოვანს უთარეგმნია რუსულიდან მსოფლიო გეოგრაფია,  
რომლის შემადგენლობაში შესულა მათემატიკური გეოგრაფიის ცნე-  
ბების განმარტებანი ეკვატორის, არქტიკის, გრადუსის და დედამიწის  
სხვა ნაწილების — ეკვიპის, აზიის, აფრიკის, ამერიკის და აესტრა-  
ლიის დახსიათება<sup>137</sup>.

ზემოჩამოთვლილი ფაქტები მეტყველებენ, ქართველ მოღვაწეთ  
რუსეთში ვახტანგ VI-ის მეთაურობით რა ფართო ინტელექტუალური  
და პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა დაკისრებული იმ პოლიტიკურ  
მისიასთან ერთად, რომელიც მათ იტვირთეს. ვახტანგი თავის მოღვა-  
წეობას სამშობლოს გარეთ დიდი გულისტკივილით ახასიათებს და იმ  
იმედების გაცრუებას, რომელიც მას რუსეთში ცხოვრებამ კიდევ  
უფრო დაანახა:

მზე და მთვარე სიტურფისა ვისი იყო ბაძის მქნელი,  
ბაღსა შევან მისთა მშერეტთა გარდი ჰქონდა გასაქნელი,  
მუშასა სადღა იხსენებდა მისი შუბლთა გამოშემნელი,  
ბოლოდ დაქნა ეს ყვავილი მოუვიდა ის საქნელი<sup>138</sup>.

ოდნავი ირონიით, ამავე დროს დიდი გულისტკივილით, დამჭვნარ  
შვავილად ესახება და ეზმანება მრავალ ჭირგადაზღიულ და პოლიტიკუ-  
რად დამარცხებულ მეფე ვახტანგ VI-ს. თავისი ცხოვრება, რომელიც  
სამშობლოს სიკეთის, მისი კეთილდღეობისა და აღორძინებისათვის  
არ დაიშრა, მაგრამ ამაოდ. მეფის რუსეთის მთავრობა ყოველმხრივ  
შეეცადა გამოეყენებინა ვახტანგის პრაქტიკული გამოცდილება რა  
დიპლომატიური ურთიერთობის უნარი, რომელიც მას დამსახურებუ-  
ლი ჰქონდა ირანის მიმართ. როგორც დავინახეთ, რუსეთის მთავ-  
რობა ცდილობდა ვახტანგის მეშვეობით შავი ზღვის და კასპიის  
ზღვის საკითხი საბოლოოდ გადაეჭრა, 1725—36 წწ., როდესაც  
ვახტანგ VI მეფის რუსეთის კარზე იმყოფებოდა, რუსეთის იმპე-  
რიის მევეურები ცდილობდნენ სარგებლობა მიეღოთ ვახტანგ VI-ის  
მათთან ყოფნით და სპარსეთს გზავნიდნენ თავის წარმომადგენ-  
ლადაც (ჭერ 1726 წ. გილანს და 1734 წ. შემახაში). ეს როგორი

136 ხ. ი. ფ. S, № 1743. გვ. 118.

137 ხ. ი. ფ. S, № 222; გ. ჯანაშვილი, Описание, III. III, გვ. 261—262, ფ.  
S, 1007 ფ. 1131.

138 ა. ლ. ბარამიძე, ვახტანგ VI, გვ. 40.

მისია ვახტანგმა ყოველთვის დაუზარებლად იტვირთა, მაგრამ სახელმწიფო სრულები მოყვანა გაუშირდა, ვინაიდან რუსეთის სახელმწიფო უმტყუნა და ღანაპირები არ შეუსრულა. მეფის რუსეთი ყველა ამ შემთხვევაში თვლიდა, რომ პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმა მისთვის ნაადრევი იყო. ამიტომაც, რუსეთისაგან დაიმედებული ვახტანგ VI და მისი სამშობლო ისევ და ისევ სრულიად მარტო რჩებოდა დამ-პყრობელი მტრების წინაშე. ვახტანგ VI-ს პოლიტიკური მოყავშირის არჩევანი არ გაუმართლდა — რუსეთის ქვეშევრდომობის მიღებაზე უარი განაცხადა და მოსკოვიდან ასტრახანში გადასახლდა. ვახტანგის ასტრახანში გადასახლებას მისი სიკვდილი მოჰყვა, ქართველ ლტოლ-ვილთა იმედები საბოლოოდ დაიმსხერა:

ვაი, ჩა ბოძი წაიქცა,  
სახლკარი თავს დაგვექცა —

მისტიროდა მოსკოვის ქართული კოლონია თავის უკანასკნელ ნუ-  
გეშს.

აყალ. ნ. ბერძენიშვილი წერს, რომ „სანამ რუსეთს ა/კავკასიაში მეტოქეები ძლიერი ჰყავდა, ხოლო დასაპირისპირებლად საკმაო სა-  
კუთარი ძალა არ გააჩნდა, ძლიერი მოკავშირე ხელდებული — პეტრე  
პირველისეული გეგმა ვახტანგ VI-ის ამიერკავკასიის საქრისტიანოს  
მეფედ რომ გულისხმობდა, რუსეთის იმპერატორის მფარველობის  
ქვეშ გამართლებული იყო, ხოლო რუსეთში პეტრეს მოშხრები თა-  
ვის მოსახრებას იმით ასაბუთებდნენ, რომ რუსეთისათვის ეს ქვეყანა  
ე. ი. საქართველო, შორსაა, რომ მისი ოთვისება ძნელია... ქართველ  
პოლიტიკოსებს რუსეთის პოლიტიკურ მესვეურთა გულწრფელობაში  
დაეჭვების საფუძველი არ ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს მო-  
წოდებანი უქმ სიტყვებად რჩებოდნენ. მოხდა ისე, რომ თანა-  
თან რუს პოლიტიკოსთა თვალში „საქართველომ“ თავისი  
დრო მოსჭიმა. კავკასიის გადმოღმა ამიერიდან მეფის რუსეთის პო-  
ლიტიკოსები ჰქონდავდნენ მხოლოდ ტერიტორია ვაკავაზე-ს, რო-  
მელიც გააერთიანეს კიდეც, მაგრამ არა საქართველოდ, არამედ რუ-  
სულ გუბერნიად“<sup>139</sup>;

ზემოთ თქმულის შედეგად, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ვახტანგ VI  
ერთ-ერთი უაღრესად პროგრესული სახელმწიფო მოღვაწე  
იყო გვიან ფეოდალურ საქართველოში. საგარეო და საშინაო პოლი-  
ტიკის პრობლემათა გადაჭრა, სოციალურ საკითხთა მოგვარება, ეკო-  
ნომიკის დარგთა განვითარება, საგარეო და საშინაო გაჭრობისადმი  
ხელის შეწყობა, მარტივ სასაქონლო მეურნეობაში სავახში და სავა-  
ჭრო კაპიტალის დანერგვაში თანადგომა, სახელმწიფოებრივი მექანი-

139 ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორი-  
დან, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IV, გვ. 124—125.



ზმის მოწესრიგება და განსაკუთრებით, ეროვნული კულტურის მეცნიერების აღორძინება საქართველოში, მისი თაოსნობით და მე-თაურობით ხდებოდა.

XVIII ს. I ნახევრის საქართველოს სახელმწიფო მოღვაწე ვახტანგ VI ბაგრატიონთა შორის ყველაზე მოწინავე პიროვნება იყო ენციკლოპედიური განათლებით ოლქურვილი და მრავალმხრივი მეცნიერული ნიჭით დაგილდოებულიც, მაგრამ ტრაგიკული პიოგრაფიით.

ჩვენ გვინდა ვიფიქროთ, რომ ისტორია იწერება თანადროულობისათვის, აწყვეტილობისათვის, მისი ყოფისა და აზრისათვის. იგი უნდა გვიცავდეს შეცდომებისაგან და გვიბიძგებდეს სინათლისაენ. წარმოსახულ ისტორიაში უნდა ჩანდეს მოვლენების მიზეზედეგობრივი ერთობაც, უნდა ჩანდეს შეცდომასთან ერთად გამარჯვების არსიც.

## ГОСУДАРСТВЕННАЯ ДЕЯТЕЛЬНОСТЬ ВАХТАНГА VI

### Резюме

Монография посвящена всестороннему изучению государственной деятельности Вахтанга VI (1675—1737 гг.), одной из значительных фигур в истории Грузии позднефеодальной эпохи.

Политическая деятельность Вахтанга VI представлена на широком историческом фоне исследуемого периода. В строгой хронологической последовательности поэтапно прослеживаются все детали, внешне- и внутриполитической деятельности этой незаурядной личности. При этом каждому из этих этапов, исходя из объективных данных, полученных вследствие комплексного изучения первоисточников и критического анализа специальной научной литературы, даются соответствующие авторские оценки.

В монографии показано, что попытка Вахтанга VI-го кардинально изменить внешнеполитическую ориентацию Грузинского царства (решение царя отказаться от т. н. компромиссной политики, предусматривающей обязательное признание грузинскими царями суверенства Ирана и принятие ими ислама, при полном сохранении издревле существующего грузинского государственного строя, социальной системы, родной речи и культуры) и тем самым коренным образом перестроить жизнь своей страны во всех ее проявлениях не увенчалась успехом.

Безуспешными оказались и шаги, направленные на поиски союзников, для осуществления этого нового внешне-политического курса, в лице Франции и России. Ни одна из этих держав не пошла на усложнение собственных внешне-политических проблем. Вахтанг VI вынужден был отказаться от своих замыслов. Последующие годы пребывания грузинского царя в Иране (1712—1719 гг.) тяжелым бременем легли на многострадальное грузинское государство и таким образом отрезок времени (1703—1712 гг.) фактически свел на нет деятельность Вахтанга, направленную на развитие экономики, культуры и социальной жизни страны.

В 1716 г. грузинский царь принимает ислам. Шах Ирана

В 1719 г. Вахтанг при поддержке и содействии мусульманских ханов возглавляет борьбу мирного населения Закавказья против опустошительных набегов дагестанских арагов. Цель операции — объединение закавказских народов против господства Ирана. Однако это хорошо продуманное важное начинание Вахтангу VI не удается довести до конца. Все надежды на полное освобождение Родины возлагаются на единоверную Россию. Но и на этот раз им не суждено сбыться — состоявшийся военно-политический союз Вахтанга VI и Петра I не приносит для Грузии желаемых результатов.

Международная ситуация и на этот раз оказалась неблагоприятной для кардинального изменения политической судьбы Грузии. Русско-грузинский союз затрагивал жизненные экономические интересы Англии, Франции, Турции, Ирана. В случае его успеха в руках Российской империи оказывались стратегически важные торговые позиции на Черном, Каспийском и Средиземном морях. Эти державы, конечно же не допустили бы реализации подобного союза. Петр I, по-видимому, вовремя оценил неблагоприятную для России международную обстановку. Обещанная Петром I помошь оказалась невозможной. Более того, грузинская и армянская армии, начавшие т. н. «Персидский поход», ожидая помощи из России (кстати, оговоренной русско-грузинским соглашением), фактически были оставлены на произвол судьбы. И хотя Петр I post factum начал дипломатические переговоры с Ираном и Турцией, русско-турецкий договор был подписан лишь в 1723 г. Для Вахтанга VI все было кончено. В 1724 г. османские захватчики покорили Грузию. Началась жестокая пора турецкого ига — «осмалоба». Вахтанг VI, не находя выхода из создавшейся сложной ситуации, решил покинуть Родину. В надежде вернуть потерянный престол и освободить Грузинское царство при помощи России он взял курс на Россию. Вместе с Вахтангом Родину покидала и его свита из 1200 человек, цвет тогдашней просвещенной, прогрессивно мыслящей и интеллектуальной Грузии. Покидая Грузию, Вахтанг VI, «сам того не желая», «скончал мосты» для возвращения на Родину. Страна оказалась обезглавленной.

Не менее печальным оказался и последующий этап политической деятельности Вахтанга. Царской России, занятой в ту пору «Балтийским вопросом», было не до проблем потерявшего престол и Родину грузинского царя. Вахтангу VI и его окружению назначили пособия, в военной же помощи было отказано. В 30-х годах XVIII века, когда Турция, в связи с возрождением былой мощи Ирана, начала терять свои

позиции на Кавказе, у Вахтанга VI появился реальный шанс вернуть престол и восстановить грузинскую государственность, ему вновь было отказано в помощи. На этот раз уже императрицей Анной (следует подчеркнуть, что Вахтанг VI в качестве военной помощи просил всего 297 человек!).

Не увенчались успехом и неоднократные попытки Ирана установить (на прежних условиях компромиссной политики) дипломатические отношения с проживавшим в России Вахтангом VI. Осуществлению одной из таких попыток, предпринятых Надир-шахом в 1726—1728 гг., помешала Екатерина I. Находившийся в Гилане Вахтанг VI был срочно отозван, а «оскорбленный» этим актом Надир-шах спровоцировал новые набеги дагестанских абрегов на истекавшие кровью грузинские города и села. Аналогичная этой сложилась ситуация и в 1734 г., когда царский двор России не дал санкции на встречу Вахтанга VI и Бакара Багратиони с тем же Надир-шахом в Дербенте. Все закончилось тем, что в 1735 году в Гандже был подписан русско-иранский договор, по условиям которого Грузия объявила вассальным государством Ирана. Грузинскому царю надлежало предстать перед шахом Ирана и из его рук вновь получить потерянную корону и царство. Это была последняя возможность для Вахтанга VI вернуться на Родину царем, залечить раны своей страны, нанесенные ей иноземными захватчиками, поднять разрушенную экономику, возродить поруганную врагами культуру. Однако такой путь возвращения на Родину Вахтанг VI не сумел выбрать. Не приняв российского подданства, он тем не менее решил дожить свой век в России — переселился в Астрахань, где и скончался в 1737 г., унеся с собой неосуществленные мечты и надежды на освобождение Родины.

Всесторонне анализируя политическую деятельность Вахтанга VI, учитывая при этом тяжелые ее последствия для Грузии, трудно оценить ее однозначно, хотя чувства и порывы, движущие Вахтангом, всегда были продиктованы беспредельной любовью к отчизне, великой мукой о тяжелой судьбе своего многострадального народа, желанием вернуть ему свободу и независимость, намерением видеть его просвещенным и передовым. Политика Вахтанга VI потерпела крушение. Он ошибался в оценке существующей исторической ситуации, неверно анализировал острые политические моменты, до конца слепо веря в непроприемость избранного им пути освобождения отчизны. Отказавшись от внешне-политической ориентации Грузии, ставшей к тому времени уже традиционной, он тем самым лишил ее даже тех возможностей развития, которые ей гарантировались в условиях компромиссной политики Ирана.

В монографии исследуются и другие важные аспекты государственной деятельности Вахтанга VI.

Для укрепления государственного строя Грузии большое значение имел созданный Вахтангом VI Кодекс законов и «Дастурламали» (государственный распорядок). Однако тут же следует отметить, что в условиях слабой централизации феодального государства, бесконечных набегов дагестанских абрагов и внутриполитических распрей, а также целого ряда внешнеполитических факторов этот кодекс законов не смог обеспечить ускорения процесса бюрократизации управленческого аппарата Грузинского царства. Как явствует из синхронных этому историческому памятнику правовых и юридических документов, регламентация функций чиновников нередко нарушалась. Ввиду того, что представители центральных государственных органов часто выполняли функции местных чиновников, грани этих функций (центрального и местного аппарата чиновников) стирались. Часто нарушалась регламентация функций и в самом кругу чиновников более низкой категории. Так, например, «местумре» (смотритель за гостями), «иасаули» (судебный исполнитель), «мдивани» (секретарь, письмоводитель) кроме своих часто выполняли функции и других чиновников.

В период государственной деятельности Вахтанга VI (1703—1712 гг., 1719—1724 гг.) в экономике Картлийского царства произошли определенные сдвиги. Особенно ощутимыми они были в сельском хозяйстве, в частности, в таких ее отраслях, как виноградарство, садоводство, полеводство, овощеводство, шелководство, скотоводство. Одним из важных движущих факторов прогресса в сельском хозяйстве явилось дальнейшее расширение по всей территории Картли сети ирригационной системы. В этой связи огромное значение имели соответствующие статьи составленного Вахтангом VI «Дастурламали», касающиеся целого ряда связанных с ирригацией организационных вопросов.

Определенных успехов достигло и ремесленное дело. Достаточно сказать, что в период царствования Вахтанга VI в Картли насчитывалось 57 ремесленных предприятий различного профиля. Особо следует отметить красильные дома, расположенные в Тбилиси, Кайкуле, Сабаратиано, Верхней Картли, Гори, Самтависи, Мдзворети, Квишхети, являющиеся образцами кустарной промышленности. Одна часть ремесленных предприятий принадлежала царской власти («сахасо»), другая — княжеской («сатавадо»). В отдельных случаях ремесленники владели собственной лавкой, домом с жилым помещением («дарбази»), пекарней («торне») и винным погребом. В ремесленном деле все чаще использовался наемный труд. С одной стороны, широкие масштабы

развития ремесленного дела в Картли, а с другой — узкая специализация безусловно говорят о высоком уровне развития.

По инициативе и содействию Вахтанга VI в 1709 г. было основано государственное предприятие — Монетный двор («Зарапхана»). В этой связи одним из значительных моментов явилась чеканка трех типов медных монет с грузинскими надписями (1708—1709 гг.), с применением европейской цифровой системы (тут же следует оговорить, что выпускаемые до этого монеты обычно имели грузинско-персидские надписи). В «Зарапхане» использовался наемный труд.

Мероприятия, проведенные Вахтангом VI, способствовали оживлению строительного дела, развитию городов и торговли. В интересующую нас эпоху были реставрированы собор Свети-Цховели, тбилисский храм Сиона, храмы в Урбниси, Садгори, Ксовриси. В центре Картлийского царства, на перекрестке важных торговых путей Закавказья и Ближнего Востока, был воздвигнут мраморный фонтан. Строились и реставрировались дороги, мосты, торговые площади, бани, гостиные дворы для местных и иностранных купцов. В Тбилиси пересекались шесть транзитных торговых маршрутов, соединяющих Грузию с закавказскими и северокавказскими центрами, с мусульманскими ханствами, с Ираном и Турцией. Местные купцы объединялись в специальные товарищества («псони»). В этот период крупными купцами считались Туманишвили, Гогниашвили, Джулабашвили, Гогиджанашвили, Маминишвили, Мамулайшвили и др. Таможенная политика, проводимая царской властью, строго защищала интересы государства. Оно покровительствовало местным мелким товаропроизводителям, защищая их от конкуренции иностранного товара. Так, пошлина на иностранный шелк при Вахтанге VI возросла в четыре раза, тогда как на товары первой необходимости, например на соль, пошлина назначалась максимально низкой. Расширение торговых связей Грузии безусловно стимулировало рост и специализацию товаропроизводства во всех регионах страны. В специальной научной литературе вполне справедливо замечено, что при всех недостатках существующей таможенной системы, именно при Вахтанге VI, начался процесс формирования единого национального рынка — столь важного явления для дальнейшего развития экономики Грузии в целом. В этом отношении большое значение имело и постепенное внедрение в жизнь (наряду с натуральной) денежной формы взыскания. В 1703—1712 гг., в условиях простых торгово-денежных отношений, появляются первые ростки ростовщического капитала. Уровень процента в этот период чаще не велик (10%—12%).



«Законы Вахтанга» ставили целью упорядочение кре-  
постных отношений по всей Грузии. Этот правовой доку-  
мент устанавливал полную собственность помещика на средства  
производства и неполную собственность на непосредственных  
производителей. В кодексе не раз подчеркивается социальная  
пропасть между классами феодальной Грузии. (Одним из  
примеров, иллюстрирующих это положение, может служить  
такая статья «Законов Вахтанга VI», в которой кровь помещика  
оценена в 128 раз дороже крестьянской).

При Вахтанге VI, как и в предыдущую эпоху, классовая  
борьба крестьян все еще носила пассивный характер. Наблю-  
дались массовые побеги подвергавшихся тяжелой эксплуа-  
тации крестьян. Но четко выраженных социальных требований  
они, как правило, не предъявляли, за исключением населения  
триалетских деревень, которое добивалось перевода из сос-  
тояния помещичьих крестьян в государственные, т. н. «сахасо».

Талант и яркое дарование Вахтанга VI шире всего  
проявились в его деятельности на поприще культуры и науки.  
По его инициативе в 1709 г. в Тбилиси была создана первая грузинская типография. Много труда вложил он в дело печатного  
издания поэмы Шота Руставели «Витязь в тигровой шкуре»  
(общезвестно, что это первое издание поэмы положило  
начало русской литературы как науки). Трудно переоценить  
значение критических примечаний Вахтанга VI. В этих  
изысканиях грузинский царь предстает перед нами высоко-  
образованным и прогрессивно мыслящим деятелем своего  
времени. По инициативе Вахтанга были изданы грузинские  
учебники. Скрупулезному изучению и популяризации подверг-  
лось богатое наследие грузинской агиографической литературы,  
имеющей огромное значение для упрочения позиций  
христианской религии и морали.

В монографии подробно повествуется и о других важных  
инициативах Вахтанга VI. В частности, говорится об издан-  
ном в Картли переводе «Жизни Александра Македонского»,  
о составленном там же «Толковом словаре» Сулхана-Саба  
Орбелиани, имеющем энциклопедический характер и др.

Вахтанг VI способствовал развитию философской  
науки. В этой связи следует отметить изданный при нем  
сборник философских сочинений греческих и римских авторов.

Серьезные работы велись при Вахтанге VI и по точным  
наукам. В астрономических изысканиях применялись три-  
гонометрические и математические теории. По мнению ряда  
специалистов, эти исследования вполне соответствовали  
уровню тогдашней русской и европейской астрономической  
науки.

Интересуясь военной проблематикой, Вахтанг VI перевел  
с русского на грузинский язык пособия по артиллерии,

которым, кстати, в Грузии пользовались вплоть до конца XVIII века. При этом же царе велись теоретические и экспериментальные разработки в области химии. Итоги этих исследований широко применялись на практике (в красильнях, при чеканке монет, изготовлении оружия и т. д.). Всеми силами способствовал Вахтанг VI широкому использованию в Грузии медицинского лечебника XV века.

Трудно переоценить значение упомянутых выше свода «Законов Вахтанга VI» и «Дастурламали», свидетельством чего является не только сам факт перевода этих памятников на русский язык, но и то немаловажное обстоятельство, что русские юристы именно этот кодекс положили в основу своего собственного сборника законов. Об интересах Вахтанга VI красноречиво говорит и следующее: им был осуществлен перевод с русского языка «Судебника Алексея Михайловича», авторами которого были Никита Одоевский, Симеон Приборский и Феодор Волконский.

Не оставался Вахтанг VI равнодушным и к экономической науке. По его инициативе с французского языка был переведен труд Флоринова, дающий важные советы по сельскому хозяйству.

Заслугой Вахтанга VI вполне справедливо считают и то, что по его почину М. Бараташвили был составлен учебник по теории поэтики. По инициативе Вахтанга VI возник новый жанр грузинской мемуарной литературы (Г. Геловани, О. Павленишвили), донесшей до нас критический обзор событий, произошедших во время переселения Вахтанга в Россию.

Вахтанг VI был признанным поэтом своего времени. Специалисты единодушны в том, что он создал новую эпоху в поэзии и поэтическом мышлении позднефеодальной Грузии.

Итак, не может быть двух мнений о том, что прогрессивно мыслящий, вооруженный энциклопедическими знаниями науки и культуры своего времени, обладающий многогранным талантом Вахтанг VI являлся выдающейся личностью позднефеодальной Грузии. Тем горше вспоминать о его трагической судьбе, о не оправдавших себя его надеждах и скитаниях.

Автор предлагаемой монографии верит, что история пишется для современности, для понятия смысла бытия во всех его проявлениях. История призвана как защищать последующие поколения от ошибок, так и предвидеть будущее. Автором сделана попытка показать причинно-следственные отношения минувших явлений, осмыслить суть поражений и побед.

ა-ს გამოცემის მიზანი არის მიმღები მოდერნის მიმდევარი დროის სამარტინო მოძღვანელობების და მათ განვითარების შესახებ მომსახურება. ამასთან ერთად ასევე მიმღები მიმდევარი დროის სამარტინო მოძღვანელობების და მათ განვითარების შესახებ მომსახურება და მათ განვითარების შესახებ მომსახურება.

## შინაგანი

### შესავალი

3

I თავი. ვახტანგ VI-ის პოლიტიკური მოღვაწეობა.

1. ირანის იმპერიისადმი ქართლის კომპრომისული პოლიტიკის შეცვლა . . . . . 7
2. ვახტანგ ბაგრატიონის ქართლში გამგებლად დასმა. მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა . . . . . 13
3. ვახტანგ VI-ის ურთიერთობა ევროპასთან . . . . . 22
4. ვახტანგ VI-ის ლაშქრობანი ლეკი აბრაგების წინააღმდეგ და განჯის აღყა . . . . . 30
5. ვახტანგ VI-ის ურთიერთობა რუსეთთან XVIII ს. 20-იან წლებში . . . . . 37
6. ვახტანგ VI-ის რუსეთში ვადასახლება და მოღვაწეობა . . . . . 60

II თავი. ვახტანგ VI-ის დროინდელი ქართლის მოხელეთა საკითხისათვის . . . . . 80

- III თავი. ვახტანგ VI-ის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა სამეურნეო სფეროში.
1. სოფლის მეურნეობის დარგთა განვითარება . . . . . 101
  2. მერუეთა ინსტიტუტი . . . . . 111
  3. სააღმშენებლო სამუშაოები . . . . . 118
  4. ხელოსნობა ვახტანგ VI-ის დროს . . . . . 120
  5. გაჭრობა ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის ხანში . . . . . 124
  6. ნატურალური და ფულადი საზღაური ვახტანგ VI-ის დროს . . . . . 181

IV	თ ა ვ ი . სოციალური ურთიერთობის მოწესრიგების ცდები ვახტანგ VI-ის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის დროს და კლასობრივი ბრძოლა 143
V	თ ა ვ ი . ქართული კულტურის იღორძინება ვახტანგ VI-ის თაოსნობით 151
	Государственная деятельность Вахтанга VI. Резюме . . . . . 196

დაბეჭდის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

აქტუალური კულტურული მასალები

1988 წლის 2 მარტი  
სტატიური განხრის აღმოჩენის დღის 3779

(ვაკე მიმოხილვა)

გამომცემლობის რედაქტორი ლ. კოტ რიკაძე  
მხატვარი ნ. გაბუნია  
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე  
ტექნიკური ნ. ბოკე რია  
გორეებრორი გ. გრძელიშვილი  
გამომშვები ელ. მაისუ რაძე

ვადაცა წარმოებას 22.4.1988; ხელმოწერილია დასაბეჭდიდ 26.9.1988;  
ქაღალდის ზომა 60×90!/16; ქაღალდი № 1; ბეჭდვა მაღალი;  
გარნიტურა ვენური; პირობით-საბეჭდი თაბახი 13.0;  
პირ.-საღ. გატ. 13.12; საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 11.27

ფე 02494; ტირაჟი 9000; შეკვეთა № 1345;  
ფასი 2 მან. 30 კაპ.

---

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниерба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

---

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

დაცვული კონცერტი ერთ გამარჯვებულ კონცერტზე  
აღმასრულდება მიწურულის მუსიკული გამოსახველების

**Манана Геронтьевна Кикодзе**

**ГОСУДАРСТВЕННАЯ ДЕЯТЕЛЬНОСТЬ  
ВАХТАНГА VI**

(на грузинском языке)

«МЕЦНИЕРЕБА»

ТБИЛИСИ

1988

მანანა გერონტის ასული ქიქოძე

ვახტანგ VI-ის სახელმწიფო მუზეუმის მოღვაწეობა

„მეცნიერება“

თბილისი

1988

129/12



1988 წელს გამომცემლობა „მეცნიერება“ გამოსცემს შემდეგი  
დასახელების წიგნებს:

1. გ. გიორგაძე, ათასი ღვთაების ქვეყანა.
2. გ. ძიძიგური, საქუთრებისა და ექსპლუატაციის ფორმები  
ფეოდალურ საქართველოში (XV—XVIII სს.).
3. ავტორთა ჯოლეჭივი, ისტორიულ-წყაროთმცოდნეო  
ბითი გამოკვლევები.